

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

•

თანამედროვე ქართული
სალიტერატურო ენის
ნორმები

*
პირველი
კრებული



გამომცემლობა «მეცნიერება»
თ ბ ი ლ ი ს ი
1 9 8 6

კრებულში შეტანილია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები და ამ პრინციპთა საფუძველზე დადგენილი ნორმები. ნორმები ეხება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ორთოგრაფიის, სიტყვაწარმოების, სახელთა ბრუნებისა და ზმნების უღვლილების და სიტყვათა შეწყობის სადაეო საკითხებს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი უცხო ენებიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის საკითხებსაც.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები განხილული და დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს 1970 წელს გამოცემული „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ნორმების“ ფორტიპურ გამოცემას. იგი იბეჭდება საქართველოს სსრ საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სადარეკტივო ორგანიზაციის მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	VI—XI
შემოკლებათა განმარტება	X II—X VI
1. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები	1—8
2. ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები	9—22
3. იო-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	23—25
4. ან-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	26—27
5. ენ-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	28—29
6. უმახვილო ი-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	30—32
7. გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში	33—35
8. ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და lu ჭგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში	36—39
9. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში	40—49
10. რუსულის გზით შემოსულ eჟ-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	50—53
11. რუსულის გზით შემოსულ a-ზე დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში	54—60
12. მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება	61
13. წოდებითი ფორმის დაბოლოება	62—64
14. რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები	65—74
15. მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა ბრუნებისას	75—85
16. -მე, -ვე, -ლა, -ლა(ც)ა ნაწილაკიან სახელთა ბრუნება	87—94
17. თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა	95—104
18. სახელის შეწუობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნვებში	105—124

19. ზედსართავ სახელთა წარმოება ნახესხებ სიტყვათაგან -ურ ბო-
ლოსართით 125—128
20. ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე
მა-ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან. 129—130
21. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში
(წითელი დროშის თუ წითელ დროშის?) 131—134
22. ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულ-
თან ბრუნვაში (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?) 135—138
23. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით
რიცხვში 139—147
24. რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა 148—157
25. შერწყმული დანართის მართლწერა (სახლ-მუზეუმი თუ სახლი-
მუზეუმი?) 158—160
26. სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები 161—167
27. პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები 168—175
28. აღვიარებ თუ ვაღიარებ? აღვიარე თუ ვაღიარე? აღმიარებია
თუ მიღიარებია? 176—180
29. სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ (მათ ის
აქვსთ თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნისთ თუ გიგზავნით? ის თქვენ
დაგიდგამსთ თუ დაგიდგამთ?) 181—184
30. ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი
რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჭკუფში (ისინი
დაიმაღლენ თუ დაიმაღლენ? დაემაღლენ თუ დაემაღლენ მას? და-
ესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?) 185—187
31. სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა
პირველ მეორე და მესამე ჭკუფებში (ისინი აშენებდნენ თუ
აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ? გაფითრდნენ თუ
გაფითრდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შეკითხებოდნენ თუ
შეკითხებოდენ?) 188—190
32. ჰ- და ს- თავსართების ხმარება ზმნებში 191—202
33. -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა 203—205
34. ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ
ჩაუნთქავს? 206
35. -ევ სუფიქსიანი ზმნების ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება
დრო-კილოთა მეორე ჭკუფში 207—210
36. ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურ-
მეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (ვშობილვარ თუ
შობილვარ? ვშობილიყავი თუ შობილიყავი ან ვშობილიყავი?) 211—213
37. ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა
წარმოება თურმეობით მეორეში (შეგვკითხებოდით თუ შეგვკით-
ხებიყავით?) 214

38. ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველში (გაუბედავს თუ გაუბეღია? მოუკლავს თუ მოუკლია? დაუბამს თუ დაუბია? შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?) 215—217
39. -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებინოს?) 218—219
40. ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხნია? გაეტეხა თუ გაეტეხნა?) 220—223
- დამატება
- ა) აღამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია 224—237
- ბ) სახელების სარეკომენდაციო აიის შედგენილობის მესახებ 238—240
- ორთოგრაფიული საძიებელი 241—292

წინასიტყვაობა

ქართულ სალიტერატურო ენას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველი ქართული სალიტერატურო ენა, რომელზედაცაა დაწერილი V—XI საუკუნეების საეკლესიო მწერლობის ძეგლები, საკმაოდ ჩამოყალიბებული და უნიფიცირებული ნორმების მქონე ენა იყო, თუმცა დიალექტური თუ სხვა წარმოშობის ფორმები მასშიც არაიშვიათად გვხვდება.

ახალი სალიტერატურო ქართული ძველი ქართული სალიტერატურო ენის გაგრძელებაა. იგი წარმოიქმნა ძველი ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისა და გადამუშავების შედეგად. მისი შემდგომი განვითარება ხდებოდა ქართული კილოს საფუძველზე, რომელიც გაძლიერებული ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ახალი ცენტრის — თბილისის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ახალი ქართულის წყაროდ ამ სახელმწიფოს მმართველი წრეებისა და მოსახლეობის განათლებული ფენების მეტყველებაა მაჩვენელი. ეს მეტყველება წარმატებითაა გამოყენებული XII საუკუნიდან განვითარებული საერო მწერლობის საუკეთესო ნიმუშებში.

სალიტერატურო ენაში ახალი ნაკადის შემოჭრამ, ცოცხალი მეტყველების მონაწილეობის გაძლიერებამ ძველი ქართულის ნორმათა თანდათანო ცვლა გამოიწვია და ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბებას სათავე დაუდო.

XVIII საუკუნეში ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბების პროცესი დამთავრებულია. ამის ნიმუშებს სულხან-საბა ორბელიანის პროზისა და დავით გურამიშვილის პოეზიას ენა წარმოადგენს.

მაგრამ შემდგომ ანტონ კათალიკოსის ბელოვნურმა ორთოგრაფიულმა ნორმებმა, რომლებიც არ ემყარებოდა ენის ბუნებრივი განვითარების შესწავლას, მთელი საუკუნით შეაფერხა ახალი ქართული სალიტერატურო ენის წინსვლა.

ახალი სალიტერატურო ქართული მწერლობაში საბოლოოდ XIX საუკუნის მესამოეც წლებიდან მკვიდრდება. ეს დიდმნიშვნელოვანი მობრუნება ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება.

სწორედ ამ დროიდან იწყება ჩვენში არსებითი ხასიათის მუშაობა სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად. ამ დროს გატარდა სერიოზული ორთოგრაფიული რეფორმა სალიტერატურო ენაში: სალიტერატურო ენამ ხელი აიღო ძველი ასოების ხმარებაზე.

შემდგომ ქართული მწერლობის, კერძოდ, ქართული პროზის განახლება-სა და განვითარებას, ქართული პუბლიცისტიკისა და ჟურნალისტიკის შექმნას სალიტერატურო ენის გამდიდრება და მისი გამოყენების ფარგლების გაფართო-

უბა მოჰყვა. ლიტერატურულ საქმიანობაში ჩაებნენ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენლები. ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო სალიტერატურო ენაში მოცილე პარალელურ ფორმათა მომრავლებას.

ამ გარემოებას უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარივე მიეკუთვნება და ქართული სალიტერატურო ენის სადავო ფორმათა შესახებ პრესაში რამდენიმე საინტერესო წერილიც გამოქვეყნდა. საუკუნის ბოლოს ასეთი ხასიათის მუშაობას უკვე ასე თუ ისე სისტემატური ხასიათი მიეცა.

ამგვარი მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში, ვანსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც დაარსდა თბილისის უნივერსიტეტი (1918 წ.) და დასაბამი მიეცა ქართულ ენაზე მეცნიერების ალორძინებასა და განვითარებას.

ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ უკვე 1921 წელს გამოვიდა წიგნაკი „სალიტერატურო ქართულისათვის“ (54 გვ.), რომელიც წარმოადგენდა პროექტს ქართული ორთოგრაფიის სადავო საკითხთა მოსაგვარებლად. ეს პროექტი შეადგინა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ: გ. ახვლედიანი, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე და ა. შანიძე (თავმჯდომარე); კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დ. უზნაძე.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა მოსაგვარებლად წარმოებულ მუშაობას გვეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა.

1925 წელს დაარსდა ცენტრალური სატერმინოლოგიო კომისია, რომელიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიების შემუშავებასთან ერთად სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოგვარებისათვისაც ზრუნავდა. ამ მხრივ წარმოებული მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა კიდევ 1932—1933 წლებში ცალკე ნაკვეთებად (სულ 10 ნაკვეთი).

ცოტათი უფრო გვიან განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიმუშავა სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგების ძირითადი პრინციპები და დაადგინა სალიტერატურო ენის ზოგიერთი ნორმა. ამ კომისიის სახელით 1936 წელს დაიბეჭდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული (84 გვ.).

სალიტერატურო ქართული ენის ამ ნორმათა საფუძველზე დამუშავდა „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1941 წელს გამოიცა (206 გვ.); მეორე გამოცემა 1946 წელს დაიბეჭდა (262 გვ.), ხოლო მესამე — 1949 წელს (278 გვ.).

მუშაობა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაციისათვის შემდგომაც არ შეწყვეტილა. 1946—1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი კომისია, რომელმაც გარკვეული მუშაობა ჩაატარა სადავო საკითხთა მოსაგვარებლად. (კომისიის თავმჯდომარე იყო ს. ჯანაშია, თავმჯდომარის მოადგილე — ე. თოფურია; ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ 1948 წ. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ა. შანიძე).

შემდგომ ქართული სალიტერატურო ენის საცილობელ საკითხთა შესწავლისა და ნორმათა დადგენისათვის წარმოებულ მუშაობას უფრო სისტემატური და გვეგმაშეწონილი ხასიათი მიეცა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით — შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწი-

ფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ქართული მწერლობის, ლიტერატურისა და პრესის მუშაკთა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სხვა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები და ქართული ენის საეციალისტები.

კომისიის დანიშნულებაა „გაუწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ქვეშაირად ხალხური და ჭეროვნად მოემსახუროს ქართულ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი“.

მეორე მხრივ, 1963 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები და შეიმუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად. განყოფილების მიერ შემუშავებულ პროექტთა განხილვა დაკისრებული აქვს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს; საბჭოს მიერ მოწონებული პროექტები გადაეცემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას განსახილველად და სათანადო დადგენილების მისაღებად. სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოდ ითვლება.

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა შეისწავლა მოსაგვარებელი საკითხები, გამოიყენა წინა წლებში დამუშავებული ნორმებიც ცალკეულ საკითხთა შესახებ და შეიმუშავა ნორმათა პროექტები, რომლებიც წარუდგინა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ სახელმწიფო კომისიას. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა ნორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხებისა.

ქართული სალიტერატურო ენის ეს ნორმები, რომლებიც ახლა ქვეყნდება, მოიცავს ორთოგრაფიისა და მორფოლოგია-სინტაქსის, აგრეთვე უცხო ენებიდან სიტყვათა შეთვისების არაერთ საკითხს.

სულ კრებულში წარმოდგენილია 40 სტატია. თითოეულ სტატიაში მოცემულია საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა, ენობრივი ანალიზი და, ბოლოს, სათანადო დასაბუთება მიღებული ნორმისა. სტატიებში დამოწმებულია ქართული მწერლობის ძეგლებიდან, პრესიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან თუ სახელმძღვანელოებიდან ამოღებული ნიმუშები საცილობელი პარალელური ფორმებისა.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქ წარმოდგენილი ნორმები ქართული ენის შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას ასახავს. ორიოდ გამოწონაკლისის გარდა, სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებები წიგნში წარმოდგენილი არაა მისი ხასიათის გამო.

სალიტერატურო ქართულის ნორმების განხილვისას თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ კომისიის წევრები: გ. ჯავახიშვილი (კომპიის თავმჯდომარე), ირ. აბაშიძე, გ. ახვლედიანი, ალ. ბარამიძე, ნ. ბერძენიშვილი, შ. გამყრელიძე, ივ. გი-

გინეიშვილი (მდივანი), ი. გრიშაშვილი, ვ. თოფურია, გ. ლენიძე, ქეთ. ლომთათიძე (თემქდომარის მოადგილე), ა. შანიძე. არნ. ჩიქობავა, გ. წერეთელი და, სხვადასხვა დროს, ი. დოლიძე. დ. მჭედლიშვილი და გ. ჯიბლაძე.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავებისას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს და თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიის მსჯელობისათვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა ავტორის მოხსენებები.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენის პრინციპებს საფუძვლად დაედო არნ. ჩიქობავას მოხსენების დებულებები.

ნორმებს სალიტერატურო ქართულის ცალკეულ საკითხთა შესახებ საფუძვლად დაედო მოხსენებები:

1. ნ ა ბ ე ს ა ძ ი ს ა :

ა) რუსულის გზით შემოსულ **ეჟ-ზე** დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

ბ) რუსულის გზით შემოსულ **ჰ-ზე** დაბოლოებულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

გ) აღვიარებ თუ ვალიარებ? აღვიარე თუ ვალიარე? აღმიარებია თუ მილიარებია?

2. გ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ს ა :

ა) **ჟ-ს** შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

ბ) **ღ-ს** შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

გ) უძახილო **ი-ს** შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

3. ი ვ . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა :

ა) რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები.

ბ) მოსაკვარებელი საკითხები ადამიანთა სახელების ბრუნებისას.

გ) თანდებულთა და თანდებულისა სახელთა მართლწერა.

დ) სახელის შეწუობა ცალკე მდგომ თანდებულებთან და ზმნისართებთან ნათესაობითსა და მიცემითს ბრუნებში.

ე) პრევერბების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ვ) **ჰ-** და **ს-** თავსართების ხმარება ზმნებში.

ზ) -ეე სუფიქსიანი ზმნების ენებითი გვარის ფორმათა წარმოება დროცილობა მეორე ჯგუფში.

თ) ნთქამს თუ ნთქავს? ჩანთქამს თუ ჩანთქავს? ჩაუნთქამს თუ ჩაუნთქავს?

4. ვ . თ ო ფ უ რ ი ა ს ი :

ა) -მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება.

ბ) ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?).

გ) შერწყმული დანართის მართლწერა (სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?).

დ) -ავ სუფიქსიანი ზმნების მართლწერა.

5. ვ . თ ო ფ უ რ ი ა ს ი და ი ვ . გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს ა (ერთობლივად):

ა) ვ ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები.

ბ) რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა.

გ) სხვათა სიტყვის მართლწერის საკითხები.

6. ლ. ლეჟაეასი:

მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში.

7. ს. ყაუხჩიშვილისა:

ა) ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დაწერილობა ქართულში.

ბ) ზედსართავი სახელების წარმოება ბერძნულიდან მომდინარე მა-ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან.

8. აკ. შანიძისა:

ა) 10-ს შემცველ რუსულ და რუსულის გზით შემოსულ სიტყვათა გადმოცემა ქართულში.

ბ) ევროპის ენებიდან მომდინარე Ia და Ia ჯგუფებიანი სიტყვების გადმოცემა ქართულში.

გ) მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება.

დ) წოდებითი ფორმის დაბოლოება.

9. არნ. ჩიქობავასი:

ა) სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ (მათ ის აქვსთ თუ აქეთ? ის თქვენ გიგზავნისთ თუ გიგზავნით? ის თქვენ დაგიღამასთ თუ დაგიღამათ?).

ბ) ი- და ე- პრეფიქსებიანი ვნებითი გვარის ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოება დრო-კილოთა II ჯგუფში (ისინი დაიძალნენ თუ დაიძალენ? დაემალნენ თუ დაემალენ მას? დაესწრნენ თუ დაესწრენ? შეეჩვივნენ თუ შეეჩვიენ მას?).

გ) სუბიექტის III პირის მრავლობითობის ნიშანი დრო-კილოთა პირველ, მეორე და მესამე ჯგუფებში (ისინი აშენებდნენ თუ აშენებდენ? იზრდებოდნენ თუ იზრდებოდენ? გაფითრდნენ თუ გაფითრდენ? მოვიდნენ თუ მოვიდენ? შეჰკითხებოდნენ თუ შეჰკითხებოდენ?).

დ) ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (ეშობილვარ თუ შობილვარ? ეშობილიყავი თუ შობილიყავი ან ეშობილიყავი?).

ე) ორპირიანი გარდაუვალი ვნებითი გვარის ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორეში (შევჰკითხებოდი თუ შევჰკითხებოდავი?).

ვ) ორპირიანი -ავ და -ამ სუფიქსებიანი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველში (გაუბედავს თუ გაუბედაი? მოუკლავს თუ მოუკლია? დაუბამს თუ დაუბაი? შეუსვაშს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?).

ზ) -ებ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში (აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებოდა?).

თ) ორპირიანი გარდამავალი ზმნების ფორმათა წარმოება თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში (გაუტეხია თუ გაუტეხნია? გაეტეხა თუ გაეტეხნა?).

10. ს. ქანაშვილისი:

ა) გერმანული ei დიფთონგის გადმოცემა ქართულში.

ბ) ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან — ურ სუფიქსით.

გ) მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს დამატების სახით ერთვის ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სია, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხაზოგადობრივ მეცნიერებათა განყოფილების მიერ გამოყოფილი სპეციალური კომისიის მიერ. კომისიაში შედიოდნენ: ილ. აბულაძე, ნ. ბერძენიშვილი, ივ. გიგინეიშვილი, ი. დოლიძე (თავმჯდომარე), ვ. თოფურია, ნ. კეცხოველი, ქეთ. ლომთათიძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, გ. წერეთელი. განმარტებითი წერილი „ადამიანთა სახელების სარეკომენდაციო სიის შედგენილების შესახებ“ დაწერილია ივ. გიგინეიშვილის მიერ.

საცილობელ პარალელურ ფორმათა ნიმუშებში, რომლებიც სტატიებშია მოყვანილი, ავტორთა ორთოგრაფიაა დატული.

წიგნს ერთვის მასში განხილულ სიტყვა-ფორმათა ორთოგრაფიული საძიებელი.

სანამ ნორმები მთლიანად გამოიყვამოდა ცალკე წიგნად, რამდენიმე სტატია დაიბეჭდა კიდევ. ამ ნორმათა საფუძველზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ავტორის რამდენიმე პოპულარული წიგნაკი ქართული მეტყველების კულტურის საკითხებზე და მართლწერის დამხმარე სასკოლო საბელმძღვანელო. ამ ნორმებს ემყარება მთლიანად „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“, რომელიც 1968 წელს გამოიცა.

ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ისტორია და მეტად მდიდარი ტრადიციები მოეპოვება. მასში ერთმანეთის გვერდით დღესაც მტკიცეა დატული სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული ფორმები. ასეთი სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაცია სიძნელეებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ტრადიცია მძლავრად მოქმედი ფაქტორია ჩვენი სალიტერატურო ენისა. აქ წარმოდგენილ ნორმათა დადგენისას ტრადიციას ყოველთვის ექცეოდა სათანადო ყურადღება.

იმ საფუძველების შესახებ, რომელთაც ემყარება სალიტერატურო ქართულის ნორმები, მკითხველი პასუხს იპოვის წერილში — „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენის პრინციპები“ — რომლითაც ეს წიგნი იწყება.

შემოკლებათა განმარტება

ა. აბაშ., აღ. აბაშ., აღ. აბაშელი	ალექსანდრე აბაშელი
გ. აბაშ., გ. აბაშიძე	გრიგოლ აბაშიძე
ი. აბაშ., ი. აბაშიძე	ირაკლი აბაშიძე
აბო	კ. კეკელიძე, აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა: წამებაა წმინდისა მოწამისა ჰაბომსი, თბილისი, 1935
„აკადემიის შოამბე“, „საქართვე. მეცნ.“	ეურნ. „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოამბე“
აკაო	აკაკი წერეთელი
„ანა დედოფ. ქ. ც.“	ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრება
არაბ.	არაბული ენა
შ. არაგ., შ. არაგე.	შიო არაგვისპირელი
ლ. არდაზ.	ლავერნტი არდაზიანი
ლ. ასათ., ლ. ასათიანი	ლადო ასათიანი
ა. შ.	ასე შემდეგ
„ახ. კომ.“, „ახ. კომუნისტი“	გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“
ნ. ბარ., ნ. ბარათ., ნ. ბარათაშვილი	ნიკოლოზ ბარათაშვილი
ვ. ბარნ., ვ. ბარნოვი	ვასილ ბარნოვი
დ. ბაქრ.	დავით ბაქრაძე
ქ. ბაქრაძე	ქეთევან ბაქრაძე
ბაჩ.	ბაჩანა (ნიკო რაზიკაშვილი)
აქ. ბელ.	აკაო ბელიაშვილი
ბერძნ.	ბერძნული ენა
ეკ. გაბ.	ეკატერინე გაბაშვილი
„გამარჯება“	გაზ. „გამარჯება“
კ. გამს.	კონსტანტინე გამსახურდია
ვ. გაფრ.	ვალერიან გაფრინდაშვილი
გერმ.	გერმანული ენა
გვ.	გვერდი
რ. გვეტ.	რაჟდენ გვეტაძე
ი. გოგ., ი. გოგებ.	იაკობ გოგებაშვილი
ი. გრიშ., ი. გრიშაშვილი	იოსებ გრიშაშვილი
ი. გულის.	იერემია გულისაშვილი
დ. გურამ.	დავით გურამიშვილი
შ. დად.	შალვა დადიანი
ო. დგებ.	ორდე დგებუაძე
ი. ეედოშვ.	იროდიონ ეედოშვილი

ია ეკ., ია ეკალ., ი. ეკალ.

ი. ელფთ.

რ. ერ., რ. ერისთ., რ. ერისთავი

ე. ი.

ე. წ.

ეტიუდ.

ეაეა

„ვეფხ.“, „ვეფხისტყ.“

ვნებ.

გ. თავზ.

თარგმ.

„თბილ.“

ა. თევზ., ა. თევზაძე

ა. თვალჭრ.

თურქ.

„ივერია“

ილია

ინგლ.

ი., იოანე

იობ

იტალ.

იხ.

ქ. კალაძე

ნ. კეცხ.

ნ. კვარაცხ.

ნ. კვინიკაძე

დ. კლდ.

ს. კლდ.

კიმენი, I

კიმენი, II

„კომ“, „კომუნისტი“

ლათ.

„ლელო“

„ლიტ. გაზ.“

„ლიტ. და ხელ.“

„ლიტ. საქ.“

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე)

ილია ელფთერიძე (ილია ზურაბიშვილი)

რაფიელ ერისთავი

ესე იგი

ეგრეთ წოდებული

ეტიუდები

ეაეა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი)

„ვეფხისტყაოსანი“

უნებითი გვარი

გიორგი თავზიშვილი

თარგმანი

გაზ. „თბილისი“

ანდრო თევზაძე

ალექსანდრე თვალჭრელიძე

თურქული ენა

გაზ. „ივერია“

ილია ჭავჭავაძე

ინგლისური ენა

ქართული ოთხთავის ორი ძველი რე-

დაქცია სამი შატბერდული ხელნა-

წერის მიხედვით, იოანეს სახარება,

ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945

წიგნნი ძუელისა აღთქმისანი, ტ. 1,

ნაკვეთი 2, ა. შანიძის გამოცემა, თბი-

ლისი, 1948

იტალიური ენა

იხილე

კარლო კალაძე

ნიკო კეცხოველი

ნინო კვარაცხელია

ნიკოლოზ კვინიკაძე

დავით კლდიაშვილი

სერგო კლდიაშვილი

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები,

კიმენი, ტ. I, კ. კეკელიძის გამოცემა,

თბილისი, 1918

ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები,

კიმენი, ტ. II, კ. კეკელიძის გამოცე-

მა, თბილისი, 1946

გაზ. „კომუნისტი“

ლათინური ენა

გაზ. „ლელო“

გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“

გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“

ნ. ლომ.	ნიკო ლომოური
კ. ლომთ.	კოლა ლომთათიძე
კ. ლორთქ.	კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ლ. ლუკა	ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, ლუკას სახარება, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
მაგ.	მაგალითად
მ., მათე	ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, მათეს სახარება, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
მრ., მარკ.	ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, მარკოზის სახარება, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1945
კ. მაყ.	კოტე მაყაშვილი
ა. მაშ.	ალიო მაშაშვილი (მირცხულაეა)
ი. მაჩ., ი. მაჩაბ., ივ. მაჩაბ.	ივანე მაჩაბელი
ივ. მაჭ.	ივანე მაჭავარიანი
ს. მგალ., სოფ. მგალ.	სოფრომ მგალობლიშვილი
მდინ.	მდინარე
მედიც.	მედიცინა
ს. მთვ.	სიმონ მთვარაძე
მიმართ.	მიმართულებითი ბრუნვა
ა. მირცხ., ა. მირცხულაეა	ალიო მირცხულაეა
მისთ.	მისთანანი
მიც., მიცემ.	მიცემითი ბრუნვა
„მნათობი“	ეურნ. „მნათობი“
მოთხრ.	მოთხრობითი ბრუნვა
მოქმ., მოქმედ.	მოქმედებითი ბრუნვა
მრავლ.	მრავლობითი რიცხვი
მ. მრევლ.	მიხეილ მრევლიშვილი
მუს.	მუსიკა
შ. მღე.	შოი მღვიმელი (ქუჩუცაშვილი)
ნათეს.	ნათესაობითი ბრუნვა
გ. ნატრ.	გიორგი ნატროშვილი
ე. ნინ., ე. ნინოშ., ე. ნინოშვ.	ეგნატე ნინოშვილი (ინგოროცეა)
ი. ნონ., ი. ნონეშვილი	იოსებ ნონეშვილი
გ. ორბ.	გრიგოლ ორბელიანი
ოშკი, მსაჭულთა	წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკვეთი 2, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1948
პათ. ანატ.	ელადიმერ ელენტი, „პათოლოგიური ანატომია“

თ. რაზ., თ. რაზიკ. რელიგ. „რუსულ.“	თედო რაზიკაშვილი რელიგიური „რუსუდანიანი“, ილ. აბულაძისა და ივ. გიგინეიშვილის გამოცემა, თბი- ლისი, 1957
რუს. საბა	რუსული ენა სულხან-საბა. ორბელიანი, სიბრძნე- სიცრუისა, თბილისი, 1957
სამოქ. სამ. კოდექსი, 1938	საქართველოს სსრ სამოქალაქო სამარ- თლის კოდექსი, 1938
სასულიერო პოეზია	ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბილისი, 1913
საქართვ. სიძველენი	საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყა- იშვილის რედაქტორობით
„სახ. გან.“, „სახ. განათლ.“, „სახ. გა- ნათლება“	გაზ. „სახალხო განათლება“
სახ., სახელობითი სპარსული სხე.	სახელობითი ბრუნვა სპარსული ენა სხვა
გ. ტაბ. ფრ., ფრანგ. ქართ.	გალაქტიონ ტაბიძე ფრანგული ენა ქართული ენა
ლ. ქიაჩ.	ლეო ქიაჩელი (შენგელაია)
გ. ქიქ., გერ. ქიქ.	გერონტი ქიქოძე
ა. ქუთ.	ალექსანდრე ქუთათელი
ა. ყაზბ., ა. ყაზ.	ალექსანდრე ყაზბეგი
ს. შანშ.	სანდრო შანშიაშვილი
შღრ., შეად.	შეადარე
შმღ.	შემდეგ
დ. შენგ.	დემნა შენგელაია
ბ. ჩხ.	ბორის ჩხეიძე
ავქ. ცაგარელი	ავქსენტი ცაგარელი
ცხორებაჲ საბა ასურისაჲ	ცხორებაჲ საბა ასურისაჲ, სიმ. ჩანა- შის გამოცემა, „არილი“, თბილისი, 1926
წამებაჲ ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ	ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვი- ლობა, ნ. მარის გამოცემა: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, V, С.-Петербург, 1903
წარტყ.	წარტყუენაჲ იერუსალმისაჲ, ნ. მა- რის გამოცემა: Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, XI, С.-Петербург, 1909

წელიწადული

ზ წერ., გ წერეთ.

წოდ., წოდებ., წოდებითი

დ. კონკ.

ხალხ.

ხანმეტი, ხანმეტი ტექსტები

ხანძთ.

ა. ხარაბ., ა. ხარაბაძე, ათ. ხარაბაძე
ხევსურული მასალები

ხრონ.

ივ. ჭავჭავ.

მ. ჭავჭავ.

ბ. ჭორჯ., ბ. ჭორჯაძე

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, I—II, ტფილისი, 1923—24

გიორგი წერეთელი

წოდებითი ფორმა

დანიელ კონკაძე

ხალხური

ხანმეტი ტექსტები, ივ. ჭავჭავაძის გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, 1922—23

გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. შარის გამოცემა:

Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, VII, С.-Петербург, 1911

ათანასე ხარაბაძე

ქვესურული მასალები, ბეს. გაბუურის მიერ შეკრებილი, პროფ. ა. შანიძის რედაქციით: „წელიწადული“, I—II, ტფილისი, 1923—24

ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისაჲ, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920

ივანე ჭავჭავაძის

მიხეილ ჭავჭავაძის

ბარბარე ჭორჯაძის

თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის ნორმათა

დარგების პრინციპები

ქართული სალიბერალური ენა სოციალისტური ერის ეროვნული ენაა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული ერთიანი საერთო-ეროვნული სალიბერალური ენა არაჩვეულებრივად განვითარდა, დაიბეჭდა და სრულყოფილი გახდა. სოციალისტური კულტურის აყვავების შედეგად ქართულმა ერთიანმა ეროვნულმა სალიბერალური ენამ გზა გაიკაფა საქართველოს ყველა კუთხეში. ქართული ეროვნული სალიბერალური ენის სიწმინდის დაცვა, მისი შემდგომი სრულყოფა და მთელ ქართველ ხალხში მისი შემდგომი დამკვიდრება სახელმწიფოს ზრუნვის საგანს შეადგენს.

ქართული სალიბერალური ენა დღეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ეს ენა მომსახურებას უწევს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულებებს, მდიდარ პრესას, რადიოს, თეატრს, მრავალრიცხოვან საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს. ამ ენაზე განუხრელად ვითარდება და ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს ქართული საბჭოთა მწერლობა. ამ ენაზე აყვავდა საბჭოთა საქართველოში მეცნიერებას ყველა დარგი. ქართულ სალიბერალური ენას არასოდეს უკნია გამოყენების ასეთი ვრცელი ასპარეზი, არც განვითარების ასეთი ფართო შესაძლებლობა, როგორც აქვს მას დღეს საბჭოთა საქართველოში.

ეს ნიშნავს: ქართული სალიბერალური ენა არასოდეს არ ყოფილა ისე მდიდარი სასიცოცხლო ძალებით, ისე ძირმტკიცე, როგორცაა ის იქცა დღეს, სოციალისტური წყობილების დროს და ამ წყობილების მეოხებით. იგი შეივსო ახალი ცნებების გამომხატველი სიტყვებითა და გამოთქმებით, მეცნიერების სხვადასხვა დარგის მდიდარი ტერმინოლოგიით. ამ ტერმინებსა და გამოთქმებს ყოველდღიურად მოიხმარენ მოსახლეობის ფართო ფენები, მათი საშუალებით ეწაფება ქართველი ახალგაზრდობა მეცნიერების სხვადასხვა დარგს.

თანამედროვე ქართული სალიბერალური ენის ეს მდგომარეობა ასახავს საქართველოს სახალხო მეურნეობისა და სოციალისტური კულტურის მძლავრ აღმავლობას. ბუნებრივია, რომ ზრდის პროცესში უფრო მეტად ხდება საჭირო. ქეროვანი ხელმძღვანელობა გაეწიოს ამ ენის შემდგომ განვითარებას, რომ ქართულმა სალიბერალური ენამ შეძლოს კიდევ უფრო კარგად მოემსახუროს ქართულ სოციალისტურ კულტურას.

1. თანამედროვე სალიბერალური ქართულის ნორმათა მოწესრიგება გულისხმობს პირველ რიგში ძირითადი სადავო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების გადაჭრას.

ორთოგრაფიულ საკითხებად ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით მიიჩნევა ფონეტიკური პროცესებით გამოწვეული სადავო საკითხები; ამავე რიგისაა

აგრეთვე სასენისა თუ სხვა ნიშნების ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები; მაგალითად: ერთგული თუ ერდგული, საშუალება თუ საშვალება, მრგვალი თუ რგვალი, რევოლუცია თუ რევოლიუცია, რედაქტორი თუ რედაქტორი, აპერტაფტა თუ აპერტაქტა... აგრეთვე: რკინის გზა, რკინისგზა თუ რკინის-გზა; ამიხდა მიუხედავად, ამისდამიუხედავად თუ ამის და მიუხედავად; ხმალ-ამოწვდილი თუ ხმალამოწვდილი... გაზ. „კომუნისტის“ თუ გაზ. „კომუნისტ“-ის; დავითი ამბობდა: „მოვაო“, „მოვა“-ო თუ მოვაო და სხვ.

მორფოლოგიური საკითხები ეხება ან სახელთა ბრუნებას, ან ზმნათა უღვლოებას, ანდა სიტყვაწარმოებას. მაგალითად: მაგრად თუ მაგრათ; გრებს თუ გრისავს; რამეს, რასმე თუ რასმეს; ორივეს, ორსავე, ორთავე თუ ორთავეს; იცვამს თუ იცვავს; გაუტეხია თუ გაუტეხნია; გაიტეხა თუ გაიტეხნა; ჰყავდა თუ ყავდა; გაერთიანდნენ თუ გაერთიანდენ; აქვსთ თუ აქვთ; დიალექტიკური თუ დიალექტიკური და მისთ.

სინტაქსის ხაზით პირველ ყოვლისა მოსაგვარებელია სიტყვათა შეხამების ისეთი საკითხები, როგორცაა: ცენტრალური კომიტეტის თუ ცენტრალურ კომიტეტის; სახლები შენდება თუ სახლები შენდებიან; ქალაქისა და სოფლის შორის თუ ქალაქსა და სოფელს შორის; მოქალაქეები დაინტერესებული არიან თუ მოქალაქეები დაინტერესებულნი არიან და სხვ.

საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხები ჩვეულებრივ ცალკე სიტყვათა დაწერილობას, თქმულის ბგერითს გამოხატულებას ეხება, მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები ერთისა და იმავე გრამატიკული კატეგორიის მრავალ ფაქტს გულისხმობენ. საკუთრივ ორთოგრაფიულ საკითხთა ხვედრითი წონა ქართულში შედარებით მცირეა. ზოგიერთი მიზეზის გამო მათი მოგვარება ადვილია. შეუდარებელივ რთულია და მრავალრიცხოვანი მორფოლოგიურ-სინტაქსური საკითხები, რომელთა მოუგვარებლად გამოკეთილი სახის მქონე ახალი სალიტერატურო ქართულის შესახებ ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა.

2. სალიტერატურო ენის სადავო საკითხთა მოწესრიგებისას ერთმანეთს უპირისპირდება ორი თვალსაზრისი: სუბიექტური და ობიექტური.

პირველ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ეკისრება კეთილზმოვანების პრინციპს: მისაღებია ის, რაც კეთილზმოვანია, უარსაყოფია ის, რაც არ არის კეთილზმოვანი.

პოეტის თვალსაზრისით კეთილზმოვანება საესებით გამართლებულია: ერთისა და იმავე სახის გადმოსაცემად ხელოვანს არ გამოადგება ყოველი სიტყვა, რომელიც ერთისა და იმავე მნიშვნელობისაა. ზოგს მეტი ექსპრესიული ძალა ახლავს, უკეთ ბგერს, ზოგს ნაკლები. „ცხენს მიაჭენებს“ და „ცხენს მიაქროლებს“ შინაარსეულად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ მათი ექსპრესიული ღირებულება ერთი და იგივე არ არის.

„ქარვის კალთა ჩახლათული, ჩაქერ, ჩაქარაბაკე,
ყმასა ფერხთა მოვეკიდე, თავი სვეტსა შევუტაკე“.

(„ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 558-ე, 1957 წლის გამოცემა).

„ჩავაკარაბაკე“-ს ნაცულად რომ „გზა გავიკაფე“, „ჩავგლიჯე“ ან სხვა რამ ეხმარა შოთას, ცხადია, იმ ფეჟეტს ვერ მივიღებდით, რასაც ეს სტრიქონი იძლევა.

„კეთილზმოვანება“, უკეთ ვთქვათ, სიტყვის ბგერითი სახე უაღრესად ანგარიშგასაწევეია პოეტური სტილის თვალსაზრისით, მაგრამ მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას შეუძლებელია მით ვიხელმძღვანელოთ: ყოველ პირს

კეთილშობილად ის ფორმა მიიჩნია, რომლის ხმარებასაც თვითონ არის მიჩვეული. ყოფილა შემთხვევა, როცა ერთი იძახდა: „მოვიდენ“ არის კეთილშობიანი, სხვები, პირიქით, „მოვიდენენ“-ს თვლიდენ კეთილშობიანად. ასევე, ერთი გრამატიკოსის მტკიცებით ნ არ არის კეთილშობიანი ფორმებში—„მაწერიანებს, დამაწერიანა, მაწუენიანა, მემწირა, შემეხედნია, გამიხედნია“, მაშინ როდესაც მეორე მხარე სწორედ ამ წარმოდგენას აცხადებდა ლიტერატურულ ფორმად.

3. ერთადერთი გზა მორფოლოგიურ-სინტაქსურ ნორმათა დადგენისას უნდა იყოს გზა ობიექტური ანალიზისა. რა თქმა უნდა, საცილობელ ფორმათა შეფასებისას სუბიექტურ მომენტს საესებით თავს ვერ დავაღწევთ, მაგრამ ეს შეფასება დაფუძნებული იქნება მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე, რამდენადაც ამოსავლად გვაქვს ანალიზი იმ სინამდვილისა, რომლისთვისაც ნორმას ვეძებთ, ანალიზი ენისა, საერთოდ, და სალიტერატურო ენისა, კერძოდ.

4. ენა წარმოადგენს სისტემის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური თვალსაზრისით.

ფონეტიკაში ყველაზე ნათლად ეს ჩანს ბუნებრივი კომპლექსების არსებობაში: ქართულში, მაგალითად, ჩვეულებრივია წყ და ჰყ (წყალი, წყრომა, წყივლა... ჰყვილი, ჰყევა...), მაგრამ შეუძლებელია ყწ, უჰ კომპლექსები. სამაგიეროდ, საესებით შესაძლებელია როგორც სხ, ისე ხს კომპლექსები (სხვა, ხხი. ვი... ხსნა, ხხენება...), ოღონდ ძველ ქართულში ხს ყოველთვის ჯს-ს სახეს იღებდა, ესე იგი სხ კომპლექსი შეიძლებოდა, მაგრამ შეუძლებელი იყო ხს.

რაც შეეხება მორფოლოგიას, ცნობილია, რომ სიტყვაწარმოებაც, სახელთა ბრუნებაცა და ზმნათა უღვლილებაც იმ ფორმულების წყებას წარმოადგენენ, რომელთა მეოხებითაც სახელისა და ზმნის ცვლილებანი სისტემის სახით წარმოგვიდგება.

ასე, მაგალითად, სიმრავლის აღსანიშნავად ქართულში გამოყენებულია აფიქსები -ებ, -ნ/-თ, -ენ, -ან, -ეს.

-ებ გვაქვს სახელებში: სახელმწიფო—სახელმწიფო-ებ-ი, ძველებურად: სახელმწიფო-ნ-ი. -ებ ყველა ბრუნვაში რჩება: სახელმწიფოებმა, სახელმწიფოებს, სახელმწიფოებად და სხვ., -ნ კი სხვა ბრუნებში (წოდებითის გარდა) არსად რჩება, მის მაგიერად ჩნდება -თ: სახელმწიფოთა (მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი).

-ებ აღნიშნავს მრავლობით რიცხვს სახელებში, ზმნაში კი არა, ხოლო -თ ზმნაშიც იხმარება: ვაკეთებ მე—ვაკეთებთ ჩვენ; აკეთებ შენ—აკეთებთ თქვენ... გაუკეთებია მას—გაუკეთებიათ მათ.

-ან, -ენ, -ეს მრავლობითის აღნიშნავენ აგრეთვე ზმნებში, მაგრამ ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს:

-ან აღნიშნავს მესამე პირის მრავლობითობას მხოლოდ აწმყოში, როცა ფუძის საწარმოებელია -ი: ვიზრდები მე—იზრდებიან ისინი.

-ეს იხმარება აგრეთვე მრავლობითის მესამე პირში, მაგრამ მხოლოდ ნამყო ძირითადში (ნამყო წყვეტილში) და ისიც გარდამავალ ზმნებთან (როცა სუბიექტი მოთხრობითის ბრუნვაშია):

მან დაწერა, მოიტანა, განმარტა

მათ დაწერეს, მოიტანეს, განმარტეს და სხვ.

-ენ სუფიქსიც სუბიექტის მესამე პირის სიმრავლეს აღნიშნავს, ოღონდ მისი გამოყენების არე გაცილებით უფრო ფართოა; სახელობრ, ის იხმარება: ა) ნამ-

ყო ძირითადსა (წყვეტილსა) და მეორე კავშირებითში გარდაუვალ ზმნებთან: ისინი მოვიდნენ, დაესწრნენ... ბ) აწმყოში თითქმის ყველა ზმნასთან, რომელთაც ფუძის ბოლოს არ უზის -ი: ისინი წერენ, აკეთებენ; გ) ნამყო უსრულსა (უწყვეტლსა) და პირველ კავშირებითში ყველა ზმნაში: ისინი წერდნენ, აკეთებდნენ, ზატავდნენ და სხვ.

ამგვარად, სიმრავლის აღმნიშვნელ -ებ, -ნ, -თ, -ან, -ენ, -ეს სუფიქსებს ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში ყველას თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ერთი მეორის ადგილას არ გამოდგება.

უფრო რთულია დროის, კილოს, პირის, გვარის, ქცევის წარმოება, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში მორფოლოგიური სისტემა გარკვეულ პრინციპებს ემყარება: ყოველ აფიქსს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი და ყოველ წარმოებას სათანადო ფორმულა მოეპოვება.

სინტაქსური ფორმულებიც, ისევე, როგორც მორფოლოგიური, გარკვეულ სისტემას ქნის.

ასე მაგალითად:

ა) ნამყო ძირითადში (წყვეტილში) ზოგი ზმნა სუბიექტს მოთხოვითში იგუებს, ზოგიც სახელობითში, იმისდა მიხედვით, გარდამავალია იგი (აქვს ობიექტი სახელობითში), თუ გარდაუვალი (არა აქვს ობიექტი სახელობითში): დავითი ხახლს აშენებს—დავითმა ხახლი ააშენა; მაგრამ: დავითი არჩილს ეცთხება, დავითი არჩილს შეეციოთხა...

ბ) -გან თანდებული ნათესაობითსა და მოქმედების ბრუნვებს მოითხოვს: ნათესაობითს—კითხვაზე: ვი ს გან? რის გან? (წერილი ამხანაგისგან მივიღე, ჭარხლისგან შაქარი ეთღება), მოქმედების კითხვაზე: საიდან? (სოფლიდან ჩამოვიდა, თბილისიდან გაგზავნა და სხვ.).

სიტყვაწარმოებაც ანალოგიურ სურათს წარმოადგენს. სადაურობის აღსანიშნავად სალიტერატურო ქართულში იხმარება -ელ და -ურ: -ელ იხმარება, თუ აღმაინს ეხება საქმე (სოფელ-ელ-ი, მოხკოვ-ელ-ი), ხოლო -ურ—თუ საგანს უკავშირდება (სოფელ-ურ-ი, მოხკოვ-ურ-ი და მისთ.).

შეიძლება ენას დაწერილობა არ გააჩნდეს: მხოლოდ ზეპარი მეტყველების ენა იყოს. პირველ, შეიძლება ენას მღიღარი ლიტერატურა მოეპოვებოდეს. როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენენ სისტემას, სისტემას, როგორც ითქვას, ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ფორმულებისას. ეს ფორმულები ცხადყოფენ: რა არის კანონიერი ამ ენის სისტემის თვალსაზრისით და რა არ ევება, ეწინააღმდეგება ამ ენის სისტემას.

5. ენობრივი სასიტემა უცვლელი როდია: დროთა ვითარებაში ამ სისტემის ყოველი რგოლი მეტ-ნაკლებად იცვლება. იცვლება არა მხოლოდ სიტყვათა მარაგი და მნიშვნელობა, არამედ მორფოლოგიაც, სინტაქსიც, ფონეტიკური წესები, თვით ბგერითი შედგენილობაც კი.

ძველ ქართულში გარჩეული იყო ჯ და ზ: ჯერჯი (მოხერხება) და ზერჯი (იარალი) სხვადასხვაგვარად იწერებოდა (ახლაც მთიული, ფშაველი, ხევსური განასხვავებენ მათ გამოთქმაში), მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთნაირად იწერება ეს სიტყვები.

ჩვენ ახლა ვამბობთ: ისინი წერდნენ, მოვიდნენ, დაესწრნენ, გაემართნენ და მისთ. ძველად იყო: იგინი წერდეს, მოვიდეს, დაესწრნეს, გაემართნეს და მისთ. (-ეს დაბოლოება ახლაც არის დაცული მთაში ასეთ შემთხვევებში).

ძველი ქართულის სინტაქსი მოითხოვდა, რომ ნარაინი მრავლობითის სახელობითს ზმნა შესთანხმებოდა რიცხვში იმისდა მიუხედავად, სუბიექტი იქნებოდა ეს სახელობითი, თუ ობიექტი: მან წერილი დაწერა—მან წერილი დაწერა; მან წერილი დაწერა—მან წერილი დაწერა.

„ველარ გავზაუნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი, მაგრა დაყარენ არენი მე კაცრიელთა თემთანი; სახლად სამყოფნი მიმანდეს თხათა და მათ ირემთანი, გაეიქურ, სრულად დაეტყებნენ ქვე მინდორანი და ზე მთანი“.
(„გუფხისტყაოსანი“, სტროფი 653-ე, 1957 წლის გამოცემა).

ამჟამად სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა ამგვარი კონსტრუქცია: „გაეიქურ, სრულად დაეტყებნენ ქვე მინდორანი და ზე მთანი“.

მას გაუკეთებია—მათ გაუკეთებიათ: ესაა ჩვეულებრივი ფორმა თანამედროვე ქართულისათვის, ძველ ქართულში კი იყო: მათ გაუკეთებინ (ისევე, როგორც მას გაუკეთებინ). მაშასადამე, ძველი ქართულის სისტემისათვის კანონიერი ფორმა ხშირად უცხოა ახალი ქართულის მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემისათვის.

6. ენის სისტემის ცვლა სათანადო საზოგადოების განვითარებასთან არის დაკავშირებული. ეს ბუნებრივია იმიტომ, რომ ენა არის გაგებინების საშუალება, ურთიერთობის იარაღი გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის.

შენიშვნა. ენობრივ კოლექტივს ქმნიან ერთ ენაზე მოლაპარაკენი.

ცნება ენობრივი კოლექტივისა მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს ცნებას ეროვნებისას: 1) ეროვნებით ქართველი, მაგრამ ქართულის არმცოდნე არ ეკუთვნის ქართულ ენობრივ კოლექტივს; პირუტყუ, ქართულად მოლაპარაკე არაქართველი შედის ქართულს ენობრივ კოლექტივში; 2) ყოველი ადამიანი შეიძლება ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთს ეროვნებას; მაგრამ ის იქნება იმდენი ენობრივი კოლექტივის წევრი, რამდენი ენაც იცის.

ლაპარაკის პროცესი ინდივიდში მიმდინარეობს, მაგრამ ენა არ არის ინდივიდუალურ-ბიოლოგიური მოვლენა: ლაპარაკი მოლაპარაკის გარდა მსმენელსაც გულისხმობს. იმიტომ მოლაპარაკე არ არის თავისუფალი: იგი ვერ იხმარს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებიც სათანადო ენობრივი კოლექტივისათვის უცხოა. „ეს სახლი მაღალია“—ამის ნაცვლად ქართულად მოლაპარაკე ვერ იტყვის: „ეს შეწონი ალტია“, რადგანაც ეს ისევე არ გამოდგებოდა გაგებინების საშუალებად, როგორც ამავე სიტყვების ბევრათა გადასმით მიღებული უაზრო კომპლექსები („ხე ილხახ აილაღამ“).

ყოველი ენობრივი მოვლენა, რომელიც მიღებულია გაგებინების საშუალებად, რომელსაც აქვს სოციალური სანქცია, უკვე გამართლებულია; ხმარებული ცოცხალია, ხმარებიდან გასული—მკვდარი; ხმარება, უზუსტი ყველაფერია.

სახლი, ტუნ, ღომ, შაუს, შეწონი—ერთისა და იმავე საგნის სახელია სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში. საგნის არსს არც ერთი მათგანი არ გამოხატავს, საგნის ნიშნად კი ყველა გამოდგება, რამდენადაც ქართველი ხმარობს „სახლ“-ს, სომეხი „ტუნ“-ს, რუსი „ღომ“-ს, გერმანელი „შაუს“-ს, ფრანგი „შეწონი“-ს, რამდენადაც ამ სახელებს სოციალური სანქცია მოეპოვებათ.

ეგვევ ითქმის ყოველი სხვა ენობრივი მოვლენის, კერძოდ, მორფოლოგიური და სინტაქსური მოვლენების შესახებ.

ამიტომ, როცა ენაში რაიმე ცვლილება იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენადაა იგი გავრცელებული, როგორია მისი გამოყენების არე, რამდენად ვგუება იგი განვითარების ტენდენციას, რა პერსპექტივები აქვს, რომ სოციალური სანქცია მოიპოვოს.

7. რა დამოკიდებულებაშია გრამატიკულად სწორი სოციალურად გაბატონებულთან? ჩვეულებრივ გრამატიკულად სწორს სოციალური სანქცია აქვს, მაგრამ არა ყოველთვის: ყოველს ენაში ბლომად მოიპოვება ისეთი მოვლენა, რომელიც ენის სისტემის თვალსაზრისით კანონიერად ვერ მიიჩნევა, მაგრამ სოციალური სანქცია უკვე აქვს და ერთდერით კანონიერ მოვლენადაა მიჩნეული. ქართულში ამის ნიმუშს წარმოადგენს: დაღმა, ხადაური, აქაური, იქაური (კაცი), გზივარ, ვდგავარ, ვწევარ და მისთ.

„დაღმა“-ს „ღ“ „აღმა“-ს მიმსგავსებით გაუჩნდა (ძველ ქართულში „დაღართ“-ია და არა „დაღმართ“-ი). მაშასადამე, „დაღმართ“-ში „ღ“ ისევე უკანონოა ისტორიულად, როგორც „უმფროს“-ში „მ“.

„ხადაური“, „აქაური“, „იქაური“ ამჟამად ადამიანის მიმართაც იხმარება და საგნის მიმართაც: აქაური მცხოვრები, იქაური მოქალაქე, იქაური ღვინო... „აქაური მცხოვრები“ ისევეა ნაწარმოები, როგორც „კახური მევენახე“, „გორკული მებძლე“ და, თუ ეს უკანასკნელი უკანონოა, ისიც უკანონო უნდა იყოს.

„გზივარ“, „ვდგავარ“, „ვწევარ“ ფორმებში „ვარ“ ისევე უცნაური იყო ერთ დროს, როგორც ჩვენთვის ღღეს „ვფიქრივარ“. „ვფიქრავარ“-ში, მაგრამ ყველა ამ ზემოდასახელებულმა „უკანონო“ მოვლენამ (ვზივარ, ვდგავარ) მოიპოვა სოციალური სანქცია და ღღეს ერთდერით ლიტერატურულ ფორმას წარმოადგენს.

პირველ, არის მოვლენები, რომლებიც საცხებით კანონიერია ქართული ენის სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ არალიტერატურულად მიგვაჩნია. „იგი კაცი“, „იგი ხაქმე“ თავისთავად ისევე კანონიერია, როგორც „იხ კაცი“, „იხ ხაქმე“. ძველ ქართულში სწორედ პირველი იყო მიჩნეული ლიტერატურულ ფორმად; მაგალითად: „რას დაგეჟადა იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?“ („ვეფხისტყაოსანი“, სტროფი 1104-ე, 1957 წლის გამოცემა).

ამჟამად „იგი ყმა“, „იგი კაცი“ თითქმის დიალექტიზმია.

ასევე გრამატიკულად უნაკლო „მოხუღარიან“, „დაწოლიღარიან“, ერთდერთი ლიტერატურული ფორმა ძველი ქართულისა, ამჟამად მკვეთრად დიალექტიური ჩანს, ლიტერატურულად კი „მოხუღან“, „დაწოლიღან“ მიგვაჩნია.

მაშასადამე, სოციალურ სანქციას შეუძლია ისტორიულად უკანონო აღქმურვოს კანონიერი მოვლენის უფლებით და, პირველ, ისტორიულად კანონიერს აპყაროს უფლება, რაც ცხადყოფს სოციალური მომენტის სიძლიერეს.

8. ზემოთქმული ეხება როგორც ცოცხალ ხალხურ მეტყველებას, ისე სალიტერატურო ენას: ორივე სისტემა, ორივე სოციალური მოვლენა—ეს საერთოა მათთვის; განსხვავდებიან კი ისინი შემდეგი ნიშნების მიხედვით:

ა) სალიტერატურო ენა, როგორც წიგნის ენა, ერთია გარკვეული ენობრივი კოლექტივისათვის, კუთხური მეტყველება (დიალექტი) კი ერთზე მეტია.

ბ) კუთხურ მეტყველებას კონტროლი არ ეწევა, სალიტერატურო ენა კონტროლს ექვემდებარება, მასზე შეგნებულ ზემოქმედებას ახდენენ იმ მიზნით, რომ კულტურის ეს პროდუქტი მაქსიმალურად შეეფერებოდეს თავის დანიშნულ.

ლებას: იყოს კულტურული წინსვლის მარჯვე და მკეთრი იარაღი. განსაკუთრებული მნიშვნელობა ამას ჩვენში აქვს ამჟამად.

სალიტერატურო ენა იქმნება გარკვეული კილოს ნიადაგზე, მაგრამ ის იახლოვებს და უახლოვდება სხვა კილოებსაც. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მან შეასრულოს საერთო სალიტერატურო ენის როლი. სალიტერატურო ენას კილოები ასაზრდოებენ, მაგრამ სალიტერატურო ენის გზა არც ერთი კილოს განვითარებას არ ხედება მთლიანად.

სალიტერატურო ქართული ყოველ შემთხვევაში მე-5 საუკუნედან მკეთრად ჩამოყალიბებული სახის მქონე სალიტერატურო ენაა. ახალი სალიტერატურო ქართული მისი გაგრძელებაა, სახეცვლილი ქართულურ-კახური ცოცხალი მეტყველების საფუძველზე.

ამ ენის ნიმუშები ყოველ შემთხვევაში მე-18 საუკუნის დასაწყისიდან გვაქვს, თუმცა მხოლოდ მე-19 საუკუნის მესამეოცე წლებიდან იკაფავს საბოლოოდ გზას და ერთადერთ სალიტერატურო ენად გვევლინება.

გასული საუკუნის მესამეოცე წლებიდან მოყოლებული ამ სალიტერატურო ენაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური დიალექტები, თუმცა ეს მონაწილეობა ძირითადად ლექსიკის ხაზით ხორციელდება, მორფოლოგიურ-სინტაქსურ სისტემას კი საფუძვლად ედო და ამჟამად უძვეეს ქართულურ-კახური.

ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ მორფოლოგია-სინტაქსში სხვა კილოებიდან არაფერი შემოსულა და არ შემოიღის; ან, რაც ქართულსა და კახურში გვხვდება, ყველაფერი ლიტერატურულია.

არავის არ მოუვა აზრად ლიტერატურულად მიიჩნეოს ქართული „დაწყობა“ (დაწყების მნიშვნელობით), კახური „უსათოოდ“, ქართლსა და კახეთში ხმარებული „ვწერავ“, „შაიტანს“, „მამწონს“, „აქვ“, „დგა“, „იცვავს“, „იფარაშს“... ლიტერატურაში ხმარებულ ქართულურ-კახურ „კახეთიღაშ“, „ქართლიღაშ“, „ხოფლიღაშ“ ფორმათა ნაცვლად საბოლოოდ დამკვიდრდა „კახეთიდან“, „ქართლიდან“, „სოფლიდან“. აგრეთვე „ჩემთვის“, „ამჟამდინს“, „მამლი ყივილი“ და მრავალი სხვა ამგვარი უდავოდ არალიტერატურულია.

უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნა, სოფელსა და ქალაქს შორის წინააღმდეგობის მოშლა, სოციალისტური კულტურის ძლევა მოსილი წინსვლა შინაგანი აუცილებლობით იწვევს ქართულ სალიტერატურო ენაში ქართული დიალექტების საგანძურის კრიტიკულად გადამუშავება-ათვისებასთან ერთად უჩვეულო ზრდას სალიტერატურო ქართულის გავლენისას დიალექტებზე, რაც საბოლოო პერსპექტივაში მოგვცემს დიალექტების მოხსნასა და სალიტერატურო ქართულის ერთიანი სახის განმტკიცებას.

ყოველივე იმის საფუძველზე, რაც ზემოთ არის ნათქვამი, სურთოდ, ენისა და, კერძოდ, სალიტერატურო ენის შესახებ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დადგენისას დასაყრდენი უნდა იყოს შემდეგი დებულებები:

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შემუშავების დროს მაქსიმალურად გამოყენებული უნდა იქნეს დამკვიდრებული ენა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებისა, არ უნდა შეიქმნეს ხელოვნური ნორმები, ცოცხალი ენისაგან დაშორებული.

2. გადასინჯვას არ მოითხოვს და უცვლელად უნდა დარჩეს ისეთი ლექსიკური, მორფოლოგიური თუ სინტაქსური მონაცემი, რომელიც სალიტერატურო

ქართულში მხოლოდ ერთი სახით გვხვდება, მაშინაც კი, როცა ის სავსებით უმართებულოა ქართული ენის გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით (ღაღმა, აჭაჭრი (კაცი), იჭაჭრი (კაცი), ვღვავარ, ვწიფარ). რასაც უყოყმანო სოციალური სანქცია აქვს, ის საკითხად ვერ იქცევა.

3. როცა სალიტერატურო ქართულში ორი ან მეტი მოცილე მორფოლოგიურ-სინტაქსური მოვლენა იჩენს თავს, საკითხი უნდა გადაწყდეს იმის სასარგებლოდ, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია კლასიკოსთა ენაში და ეგუება ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციას;

ბ) გამართლებულია ქართული ენის დღევანდელი გრამატიკული სისტემით, ესე იგი, გრამატიკულად კანონიერია და არ არღვევს ამ სისტემით ნაგულისხმევ თანამიმდევრობას;

გ) სხვა თანაბარ პირობებში წარმოების პრინციპის მიხედვით უფრო მარტივია და

დ) სხვა თანაბარ პირობებში მნიშვნელობის მიხედვით უფრო ნათელია.

შენიშვნა. იშვიათ შემთხვევაში, როცა ერთმანეთის მოცილედ გამოდის ორი ან მეტი პარალელური ფორმა, რომლებიც თანაბრად კანონიერია გრამატიკული სისტემის თვალსაზრისით, მაგრამ ხმარების მიხედვით კლასიკოსების ენაში გადაჭრით არც ერთს არა აქვს უპირატესობა, შესაძლებელია ისინი დარჩნენ პარალელურად.

4. ორთოგრაფიული საკითხების მოგვარებისას სავალდებულოა დარჩეს ერთი ფორმა. ამ შემთხვევაში მოცილე მოვლენათაგან უპირატესობა უნდა მიეცეს იმას, რომელიც:

ა) უფრო გავრცელებულია სალიტერატურო ქართულში;

ბ) გამართლებულია ეტიმოლოგიურად და მორფოლოგიურად;

გ) მისაღებია ქართული ენის ბუნებრივ კომპლექსთან თვალსაზრისით..

3 ბგერის შემონახვის, ჩართვისა და დაკარგვის წესები

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან სიტყვაში ვ ბგერის ჩართვისა და ფუძისეული ვ-ს დაკარგვის შემთხვევები იმთავითვე ცნობილია. მაგალითად, ვ ჩართული იყო სიტყვებში: ხარწმუნოვნება, უფარი—უფარიხყოფა, შუვა..., მაგრამ ვ ამოღებული იყო სიტყვებში: ცხოარი, შოა, ითხოო და სხვა.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ფუძისეული თუ ფორმანტისეული ვ ბგერის შენარჩუნებას სიტყვაში ან მის ამოღებას, ან კიდევ ვ ბგერის ჩართვას შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მაგრამ მინც მყარი წესები ყოველთვის არ არსებობს. თუ, ერთი მხრით, შეიმჩნევა მიდრეკილება—წერა წარმოთქმას მისდევდეს, მეორე მხრით, თავს იჩენს ტენდენცია ეტიმოლოგიური და მორფოლოგიური პრინციპის დაცვისა. ამის გამოა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება შემთხვევები როგორც ვინანი, ისე უვინო ფორმების ხმარებისა (დაჯილდოვება და დაჯილდოება, სადავო და სადაო, მოხვეური და მოხეური, აქტივობა და აქტიობა, მიზეზობრივობა და მიზეზობრიობა და ა. შ.).

ვ ბგერა სიტყვაში ან ფუძისეულია, ან აფიქსისეულია, ან კიდევ ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული. ფუძისეული ვ არის შენარჩუნებული სიტყვაში მიჯაჭვულ-ი (ამოსავალი ფუძეა ჯაჭვ- და აქედან გვაქვს მიჯაჭვულ-ი); აფიქსია ვ ზმნის ფორმაში ვ-ვარჯიშობ მე; ფონეტიკურ ნიადაგზეა განვითარებული ვ სიტყვაში მტყვევ (ამოსავალი ფუძეა ტყე, აფიქსებია მტ- --მ, ვ ფონეტიკურადაა განვითარებული ხმოვნებს შორის). ვ ბგერა როგორც ვითარდება ფონეტიკურ ნიადაგზე (მაგალითად: დაუთოვება, გაქვავება, გახვეება...), ასევე იკარგვის ფონეტიკურ ნიადაგზევე განსაკუთრებით წვეულბაგისმიერ ბგერათა წინ (მაგალითად: ხევ-ი, მაგრამ: ხეობა; მოხევ-ი, მაგრამ: მოხეური; აქტივ-ი, მაგრამ: აქტიური და სხვ.).

სიტყვაში ვ ბგერის შემონახვისა და ამოღების ან მისი ჩართვის წესების დასადგენად ამჟამად ერთი რომელიმე პრინციპის თანმიმდევრულად გატარება ძნელი ხდება. ძირითადი და მთავარია მინც ამა თუ იმ ფორმის ხმარებულობა, მისი გავრცელებულობა, მაგრამ შეძლებისდაგვარად ანგარიში უნდა გაეწიოს სიტყვის მორფოლოგიურ აღნაგობასაც და ეტიმოლოგიურ მხარესაც.

თუ გავითვალისწინებთ სიტყვაში ვ ბგერის შემონახვისა და ამოღების, აგრეთვე მისი ჩართვის ყველა შემთხვევას, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. ფუძისეული ვ უნდა დაცულ იქნას

1. იმ ბოლოთანხმოვნიან სახელთა მიმართის ფორმაში, რომელთა ფუძე ვ ბგერით ბოლოვდება.

თავი-თავ-ო: „ჩემო თავო, ბელი არ გიწერია“ (აკაკი).

ერისთავი-ერისთავ-ო

ვარსკვლავი-ვარსკვლავ-ო

ნიავე-ნიავე-ო: „ნიავეო, ჩემო ნიავეო, ნუ სჩაგრავ ტყეში
ობოლსა“ (ილია); „საპანებაში ნიავეო ტრიალის მინდვრებისაო“ (ბაჩ.); „გიგო
ნიავეო, დააკევე ერთ ადგილას!“ (ია ეკ.).

შავი-შავ-ო

ბავშვი-ბავშვი-ო

ვეფხვი-ვეფხვი-ო

ღათვი-ღათვი-ო

ღივკი-ღივკი-ო

არაგვი-არაგვი-ო: „ჩენო არაგვიო! რარივ მიყვარხარ!“ (ილია).

გარდა მარტივი აგებულების ფუძეებისა, აქ შემოვა ნაზმნარი სახელები
(მიმლობები), ნაწარმოებნი მ- პრეფიქსით -ავ და -ევ სუფიქსიან ზმნათა ფუძე-
ებისაგან: დამბაღავი (დამბატავ-ო), დამბარავი (დამბარავ-ო), მბეკლავი
(მბეკლავ-ო), მშვერავი (მშვერავ-ო), მფრინავი (მფრინავ-ო), მხარჯავი
(მხარჯავ-ო), მსტინავი (მსტინავ-ო: „მსტეინავო ჩიტო, მსტეინავო,
შენ უაღურსე კაკოსა!“—ილია), მომქნევი (მომქნევი-ო), გამჩრევი (გამჩრევი-ო),
გამქცივი (გამქცივი-ო), გამწევი (გამწევი-ო), მხილავი: გულთამხილავი (გულ-
თამხილავ-ო: „გულთამხილავო, შენ უწყო, რაც დღეს საქართველოსა კირნი
მოადგეს!“—ნ. ბაჩ.).

აქვე შემოვა ხა- პრეფიქსიანი მყოფადის მიმლობები ამავე ზმნებისა: საბეჭ-
დავი (საბეჭდავი-ო), სახატავი (სახატავ-ო), სახაზავი (სახაზავ-ო), საბარავი
(საბარავ-ო), საკლავი (საკლავ-ო), საჩრევი (საჩრევი-ო), საკვლავი (საკვლავ-
ვი-ო), სამტრევი (სამტრევი-ო), დახაძლავი (დახაძლავ-ო).

ამათვე მიეკუთვნება აგრეთვე: მცურავი, მხოზავი, მგმინავი, მერწევი,
მერყევი, მერხევი, მოძრავი, მოკვდავი და ა. შ.

სხვა მიმლობათაგან—ამავე სუფიქსიანი ზმნებისგან ნაწარმოები უარყოფი-
თი მიმლობები: დაუხატავი, დაუარგავი, მოუკლავი... უღივი...

აქვე შემოვა სახელთა ფუძეებისაგან ნა-—ევი აფიქსებით ნაწარმოები სახელე-
ბი: ნაქმრევი (ნაქმრევი-ო), ნაყმევი (ნაყმევი-ო), ნაძლევი (ნაძლევი-ო), ნა-
რძლევი (ნარძლევი-ო), ნადეღამთილევი (ნადეღამთილევი-ო), ნავენახევი (ნა-
ვენახევი-ო); გეოგრაფიულ სახელთაგან: ნადარბაზევი, ნაჭარმაგევი...

ევ- სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები: ბოსლევი, ბელღევი, ვაშღე-
ვი... ავ- სუფიქსიანები: თიღავი, მანავი...

2. იმ შემთხვევაში, როდესაც შემასმენლად წინადადებაში ავ- და ევ: სუ-
ფიქსიანი ზმნების I და II პირის ფორმებზე აწყო ღროისა ან მყოფადისა და
მათ დეურთავს სხვათა სიტყუას -ო ნაწილაკი.

ვბარავო, ვთხავო, ხედავო, დავბარავო, დავთხავო, შეხედავო...
აძლევო, შეურევო, გვლანძღავო, ავკრძალავო, დავშალავო, ვნახავო,
დავკარგავო, შევირთავო, დავფქავო, მოვრწყავო, როშავო, დავჩეჩქავო,
გავწირავო, მოვხარშავო, მოვხნავო, დავხურავო, ვგორავო, ვტოკავო,
ვბრუნავო, დავწურავო, შევეკრავო, გვათუევო, გამოვიკვლევო, დავღივო,
დავაშხვრევო, დავამტრევო, შევამჩნევო, დავარბევო, დავარღვევო, შე-
ვარხევო, შევარჩევო, შევამჩნევო, შევახვევო, მივაღწევო...

ფეჩარმან უთხრა: ჩქარი მკსოველი ვარო, დღე ირს მოეკსიეო (ხაბა).
მან მხენელმან უთხრა: ასლსა ეთესავო (ხაბა).

ფერო ადრე კი სალიტერატურო ქართულში სუფიქსისეული ვ შეიძლებო-
და დაკარგულიყო: „გიოთხრა ჩემი სამიზეზო, მე თუ ლხინთა რად დავლეო“
(„ვეფხ.“, 105).

3. თანხმოვნებს შორის, თუნდაც ფუძეს წყვილბაგისმიერი ბგერით დაწყე-
ბული სუფიქსი მოსდევდეს: მიწვდომა, მოკვდომა, შეხვდომა... გვხვდება, და-
მხვდური, დალახვროს, მხატვრული... ამოაძვრე, დააძვრე, გააძვრება... (მაგ-
რამ: ამოძრომა, ამოხაძრობი... ამოძრომა, შეძრომა, საძრომი)... წვრთნიხ...

ამ საყდრის კედლები ძველ მხატვრობით იყო აქრალბული (გ. წერ.).

მხატვრობა შიკ უძვეს წილი, ფანქარს კობრად აძრებებს (შ. მღვ.).

კიოსკებსა და მალაზიებში დიდი რაოდენობითა... მხატვრული

ლოტერატურა („კომ“).

იგი გატაცებულია პოლიტიური, მეცნიერული, მხატვრული იდეებით (ნ. ლორთქ.).
წყალში გადაყრი და მხვდომეხს (გ. ხარნ.).

(მაგრამ მასთანვე გვხვდება: „დახოცილ ნადირთ... სიმრავლე იმდენი იყო, რომ
ყველა შემხდომს და დამხდომს უწილადეთ...“).

ყველა დამხვდური გალდა უყბ („ხ. კომ“).

მოსულეები დამხვდურებს მიყვალბუთ (დ. ბაქრ.).

თბილისის ვაჭლის ბაქანზე მრავალ დამხვდურს მოყვარა თუი („ლელო“).

ქიშობა იყო მოსულთა და დამხვდურთა შორის (ნ. ლომ.).

მოყვება მომავალსა, თავს უჩვენებს აწ დამხვდურად (აკაკი).

რადგანაც ევროპული Ia და Iu ჯგუფებიანი სიტყვების განხილვისას მარტო ა და უ არის საინტერესო, უნდა ითქვას, რომ ამ ხმომავანთა გადმოსაცემად რუსულს ორ-ორი ნიშანი მოეპოვება: ა-სთვის а და я, უ-სთვის у და ю. ამათგან я და ю ნიშნების შესახებ არასწორი წარმოდგენა არსებობს: ვარაუდობენ, თითქოს ისინი ყოველთვის ъа და ъу ჯგუფებს გადმოგაცემენ. მართალია, ასეთი გამოთქმაც აქვთ მათ ზოგიერთ შემთხვევაში, მაგ., ცალკე აღებისას (ეთქვათ, я „მე“), ან სიტყვის თავში (მაგ., ясно; Яков, юный, Юрий და მისთ.), ან კიდევ „მაგარი ნიშნის“ (ъ) ან „რბილი ნიშნის“ (ь) შემდეგ (ეთქვათ, объявление, съезд..., ладья და მისთ.), მაგრამ სხვა შემთხვევაში ისინი იმავე ბგერებს გადმოგვცემენ, როგორსაც а და у. ამ განსხვავებით მხოლოდ, რომ а და у ნიშნების დაწერა წინა თანხმომავანთა სიმაგრეს მოასწავებს, я და ю ნიშნებისა კი იმავე წინა თანხმომავანთა სილბოს; მაგალითად: мать и мАТЬ სიტყვებში ხმოვნები გამოთქმით ერთი და იგივეა, ორგანვე а ისმის, მაგრამ განსხვავებულია წინა თანხმომავანი м: პირველ შემთხვევაში იგი მაგარია (мАТЬ), მეორეში კი რბილი (мАТЬ). ასეთივე შეფარდებაა ამ მაგალითებშიც: рад და рАд, вал და вАл და მისთ. აქ განსხვავებულად გამოითქმის თანხმომავანი р და в და არა მათი მომდევნო ხმოვნები.

რაც ითქვა а-სა და я-ს ურთიერთობის შესახებ, იგივე ითქმის у-სა და ю-ს ურთიერთობისა და შეფარდების შესახებაც; მაგალითად: тук და тЮК რუსულ სალიტერატურო გამოთქმაში არა ხმოვნების მიხედვითაა განსხვავებული, არამედ თანხმომავანთა: т ერთ შემთხვევაში მაგარია (тук), მეორეში კი რბილი (тЮК).

6. მაგრად და რბილად გამოთქმის წესები რუსულში თანხმომავანთა უმეტესობას ეხება¹ და მათ შორის л-საც. მისი დარბილება მარცხლის ბოლოში წერის დროს იმით გამოიხატება, რომ „х“ („რბილი ნიშანი“) უნდა მიეწეროს, სიმაგრე კი არაფრით აღინიშნება (ეთქვათ, пыхь და пых); ხოლო მომდევნო ა და უ-ს შემთხვევაში ზოგადი წესის მიხედვით, მისი სიმაგრე а და у ნიშნების მოწერით გამოიხატება, დარბილება კი я და ю ნიშნების საშუალებით; მაგ., глядь და глАдь, лух და лЮК ერთმეორისაგან л ასოს მიერ აღნიშნული ბგერით განსხვავდებიან, თორემ ხმოვანი პირველ შემთხვევაში იქაც ა არის და აქაც ა, მეორე შემთხვევაში იქაც უ და აქაც უ; რაც შეეხება л-ს, იგი а და у-ს წინ მაგარია (глядь, лух), я და ю-ს წინ კი რბილი (глядь, лЮК).

7. ქართულში არ მოგვეპოვება რუსულის მსგავსად თანხმომავანთა გააალა-

¹ გამონაკლისს შეადგენენ: ж, ш, ч, ц.

ტალემა (დარბილება). ამიტომ ქართველი, რომელმაც რუსული წერა-კითხვა არ იცის და რომელსაც რუსული სიტყვები მხოლოდ სმენის საშუალებით აქვს შეთვისებული, უყურადღებოდ ტოვებს თანხმოვნების დარბილებას. ამის მაგალითებია:

რუსული

ქართულში გადმოღებულია

кухня (кухня)	კუხნა ან ქუხნა
тѣтя (тьотья)	ტოტა
Оля (Ольа)	ოლა
Лѣля (Льольа)	ლოლა
Коля (Кольа)	კოლა
Соня (Сонья)	სონა
подряд (подрыат)	ფოდრათი
Рюмка (рюмка)	რუმკა
Любовь (Льубовь)	ლუბა და მისთ.

ქართველი ინტელიგენტი კი, რომელმაც რუსული წერაც იცის და კითხვაც და რომელსაც я-ს დანახვაზე ჩა ჯგუფის წარმოდგენა გაუჩნდება ხოლმე, ხოლო ю-ს დანახვაზე ჩუ ჯგუფისა, ვარაუდობს, რომ რუსული ля და лю ჯგუფები ჩა და ლუ ჯგუფებს ეფარდება და ამის გამო სათანადო სიტყვების ქართულად დაწერის დროს მას ვადმოაქვს ლია და ლიუ. მაშასადამე, ქართველ ინტელიგენტს я და ю ნიშნების ხმარება я-ს შემდეგ გათანაბრებული აქვს იმ შემთხვევებთან, როდესაც ეს я და ю ნიშნები სიტყვის წინ გვხვდება (როგორიცაა, მაგ., Яков, Юрий და სხვ.).

8. ეს გათანაბრება я და ю ნიშნებით გამოხატული სხვადასხვა ბგერისა არ არის სწორი, რუსული გამოთქმის თვალსაზრისით სწორი რომ იყოს, მაშინ შეგვეძლო გადმოგვედო я და лю ასე: ლაა, ლაუ (მაგალითები რომ დავასახელოთ, ასე: იზოლააცია და რეზოლაუცია).

ამაზე უნდა ითქვას, რომ აა და აუ კომპლექსები, რომლებიც დიფთონგებია, არ გვექონია არც ძველად; ძველად გვექონდა დამავალი დიფთონგები, რომლებიც კარგა ხანია გაქრა სალიტერატურო ქართულში და ქართულის თითქმის ყველა ცოცხალ თაობაში ა ნიშნით გამოხატული ბგერის გაქრობასთან ერთად. ასე რომ, კიდევაც რომ დაწერილიყო ლაა და ლაუ, გამოთქმაში მინც ორ-ორი მარცვლი გამოგვივიდოდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოდ დიფთონგების გამოთქმაზე ქართულმა ენამ დიდი ხანია ხელი აიღო და იმის გამოცოცხლება ამჟამად აღარაა შესაძლებელი.

9. როცა აღნიშნული კატეგორიის სიტყვებში ქართულად იწერება ლია და ლიუ, ინტელიგენტთა გამოთქმაში ჩვეულებრივ მოისმის არა ორი მარცვლი, არამედ ერთი, თანაც ისე, რომ ხმოვანი ა და უ გამოთქმულია, ი კი არა. სამაგიეროდ, წინა თანხმოვანია დარბილებული მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ. ეს იმას ნიშნავს, რომ სიტყვა იწერება ქართული ასოებით, მაგრამ გამოთქმა (ლია და ლიუ-ს მიმართ) რუსულია შემონახული. მაგალითად, იწერება ტრანსლიაცია და ეგოლიუცია, გამოითქმის კ ტრანსლაცია და ეგოლ უცია. ასეთი შეუფარდებლობა, რომელიც ორენოვან ინტელიგენტთა საუბარს ახასიათებს, ქართულს სხვა შემთხვევაში არა აქვს; აქ კი დარღვეულია ის კარგი წესი, რომელიც (ზო-

ვიერთ გამოწვევას თუ არ მივიღებთ (შხედველობაში) ახასიათებს შეფარდებას ქართულ წერასა და კითხვას შორის: იწერება ისე, როგორც გამოითქმის, და გამოითქმის ისე, როგორც იწერება.

10. ქართული ღ არც მგარ რუსულ არს უდრის და არც რბილს, მაგრამ იგი უფრო ახლოს დგას რბილთან, ვიდრე მაგართან. ევროპის ენათგან ქართული ღ თავის სილბოთი ძალიან ახლოს დგას გერმანულთან და იტალიურთან. ამიტომ უფრო ბუნებრივია ქართული გამოთქმისათვის, რომ არა და არა ჩვეულებები და-სა და ღუ-ს სახით იქნეს წარმოდგენილი.

11. ევროპის ენებიდან რუსულის გზით შემოსულ სიტყვებში Ia და Ia ჩვეულებ ქართულში არ შეეფარდება ღა და ღიუ, რომლებიც ორმარცვლიანებია და ძალიან დაშორებულია რუსულისა და ევროპის ენების გამოთქმას; მაგრამ იმავე Ia და Ia ჩვეულებს არ შეეფარდება არც ღაა და ღაუ, რომელთა ერთმარცვლიანი (დიფთონგური) გამოთქმაც დღევანდელი ქართულისათვის სრულიად უცხოა.

ნათქვამის მიხედვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დაკანონდეს შემდეგი წესი:

ევროპული ენებიდან მომდინარე Ia და Ia ჩვეულებიანი სიტყვები, რომლებიც რუსულ ენაში გამოვლით არა და არა კომპლექსიან ფორმებს იძლევა, ქართულში უნდა გადმოიქცეს მხოლოდ და მხოლოდ ღა და ღიუ ჩვეულებით. ეს არის ერთადერთი სწორი გადმოღება Ia და Ia ჩვეულების შემცველი ევროპული სიტყვებისა ქართულში.

მაშასადამე, უნდა ეწეროს

ღა-ს შემცველი სიტყვები.

აკუმულაცია, აკუმულატორი, ახიმიდაცია, იზოლაცია, იზოლატორი, კანცელარია, კომპილაცია, კომპილატორი, მალარია, პლაგი, პოლარული, პოლარიზაცია, პოპულარული, რეგულარული, ტრანსლაცია და მისთ.

ღი-ს შემცველი სიტყვები:

ალუმინი, გლუკოზა, ევოლუცია, ილუზია, ილუმინაცია, ღიუთერი, ღიუ-მანიტი, მოლუხი, პლუხ, პოლუხი, რეგულაცია, რეზოლუცია, ჰალუცინაცია და მისთ.

შენიშვნა. ეს წესი ამაჰამდ სალიტერატურო ქართულში არსებითად გატარებულია და მომავალშიც მტკიცედ უნდა იქნეს დაცული.

ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა დანაწილება ქართულში

საკითხი ეხება ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვათა ქართულად გადმოცემის დროს ბერძნული მხარის მოგვარების საქმეს. ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა და იშვიათად ახლაც გვხვდება პარალელური ფორმები:

ლოგია—ლოღია
ტრაგიკული—ტრაღიკული
ესთეტიკა—ესტეტიკა
ტერმინი—თერმინი
ფსიქოლოგია—ფსიხოლოგია
ტექნიკა—ტეხნიკა
ჰეგემონია—გეგემონია
ჰიპნოზი—ფიპნოზი
გენიოსი—შენიოსი
ლექსიკონები—ლექსიკონები
ექვივალენტი—ექვივალენტი და სხვ.

იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ ამ პარალელური ფორმებისაგან რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, ანგარიში უნდა გაეწიოს შემდეგ სამ გარემოებას:

- 1) რომელი ფორმა უფრო სწორია იმ ენის მიხედვით, საიდანაც ესა თუ ის სიტყვა მომდინარეობს;
- 2) რომელი ფორმა არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ნორმებს;
- 3) რომელი ფორმა დღევანდელ სამწერლობო ენაში გაბატონებული.

1. ქ თუ ხ?

იმ სიტყვებში, რომლებიც ამჟამად იპყრობს ყურადღებას, გვხვდება ერთი ბგერა, რომელსაც დეალებული აქვს გადმოგვცეს ბერძნული χ, ლათინური ch, რუსული х. ასეთ სიტყვებში ბერძნული და (მასთან ერთად) ლათინურიც თავიანთი სალიტერატურო ენის განვითარების ძველ პერიოდში და უფრო გვიან სასაუბრო შეტყვევებაშიც ხმარობდა ქ-ს და არა ხ-ს. ძველმა ქართულმა სალიტერატურო ძეგლებმა შემოგვინახეს აუარებელი ნიმუში χ-ს ასეთი გადმოცემისა; შიქაედი, ანტიოქედი, აქილიანი, ქრისტე, ქორონაქონი და სხვ. ქართულმა სასაუბრო შეტყვევებამაც კარგად შეითვისა ასეთი გამოთქმა; ეს ჩანს იქიდან, რომ

დღესაც ვხმარობთ რამდენსამე ისეთ სიტყვას, რომლებშიც ქ მიჯვანა სრულიად ბუნებრივად და არა ხ. ასეთი სიტყვებია: შალაქია (და არა შალახია), ქრისტინე (და არა ხრისტინე), ქარაგმა, ხტომაქი, ხტიქიონი, ზოქლოში.

ვინაიდან ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში ჯ-ს გადმოსაცემად ძველმა ქართულმა სალიტერატურო ენამ ბუნებრივად გამოიყენა ქ და ახალმა ქართულმა სალიტერატურო ენამ და სასაუბრო მეტყველებამაც შეინარჩუნა ეს ქ, ყველგან ასეთ შემთხვევაში უნდა დარჩეს ქ-ს წერა. ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

არქაიზმი	ტიქნიკუმი
არქაული	ტიქნიკური
არქეოლოგია	ტიქნოლოგია
არქიმედე	ტიქინა
არქიტექტურა	ფხიქიკა
ბრაქიტეფალური	ფხიქიკური
ბრონქები	ფხიქოლოგია
ბრონქიალური	ქლორი
ექინოკოკი	ქოლერა
იქთიოზაფრი	ქოლერიკული (ტიპი)
იქთიოლოგია	ქორდა
პოლიტიქნიზაცია	ქრესტომათია
პოლიტიქნიკური	ქრიზანთემა
ხპიროქეტა	ქრონიკა
ხტიქური.	ქრონოლოგია...
ტიქნიკა	

მაგრამ ხ დარჩება საკუთარ სახელში. ხრისტონი.

2. თ თუ ტ?

თ-სა და ტ-ს წერისას მეტი შეცდომაა მოსალოდნელი, ვიდრე ქ-ს წერისას. მაშინ, როდესაც ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში ჩვენ მხოლოდ ქ გვხვდება, რადგანაც ძველ ბერძნულსა და ლათინურს ხ არა ჰქონიათ, ქართულში ამ ენებიდან შემოსულ სიტყვებში თ და ტ ორივეა მოსალოდნელი, რადგანაც ამ ენებს ერთივე ჰქონდათ და მეორეც (ზ და რ). რუსულ ენაში (ისევე, როგორც გერმანულსა და ფრანგულშიც) ეს ორივე ბგერა ბერძნულ-ლათინურისა ერთნაირად გამოითქმის; წერისას გერმანულსა და ფრანგულში თ-ს წერენ th-ით, ტ-ს t-ით, ხოლო რუსულს ორივე ბგერის გადმოსაცემად მხოლოდ ერთი ტ მოეპოვება. მარტო ძველი რუსული განასხვავებდა წერისას მათ: მ-სათვის ჰქონდა მ, ხოლო რ-ისათვის რ. როგორც ძველს, ისე ახალ ქართულში ორივე ამ ბერძნულ-ლათინური ბგერის გადმოსაცემად ორი განსხვავებული ნიშანი მოიპოვებოდა და მოიპოვება: თ და ტ.

ვინაიდან ქართულინათვის ბუნებრივია თ-სა და ტ-ს გარჩევა, ყველა ის ბერძნული და ლათინური სიტყვა, სადაც თ არის, თ-ით უნდა გადმოიცეს ქართულში და არა ტ-ით, ხოლო, როცა ბერძნულ-ლათინურში ტ არის, ასეთი სიტყვა ქართულშიც ტ-ით უნდა იწერებოდეს და არა თ-ით.

ამის მიხედვით ქართულში თ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ათეისტო	თეორემა
ანთოლოგია	თეორია
ანთროპოლოგია	თერაპია
ანთროპომეტრია	თერმოსი
ანთროპომორფიზმი	თერმოდინამიკა
ანტითეზისი	თერმომეტრი
აპათია	კათეტი
არითმეტიკა	კათოლი
ბიბლიოთეკა	ლითონი
დითირამბი	ლოგარითმი
ეთერფ	მათემატიკა
ენტოზიასტი	მათოლოგია
ეპითელიუმი	ხიმპათია
ეპითეტი	ხიმპათიკური
ერიტროციტები	ხინთეზი
ესთეტიკა	ფიზიოთერაპია
ეთატრი	ფილანთროპია
თეზისი	ფიტომათოლოგია
თემა	ფიქოპათი
თეოლოგია	ფიქოპათოლოგია...
თეოფილე	

ბ იწერება და უნდა დარჩეს სიტყვებში:

ატომი	ოლოტოლოგია
ატროფია	ონტოლოგია
ეტიოლოგია	ტავტოლოგია
კატალოგი	ტილოლოგია
კატალიზი	ტილიგრაფი
კატამლექსია	ტილეფონი
კატასტროფა	ტირმინი
კატეგორია	ტირორა
კლიმატური	ტიფი
მეტაფიზიკა	ფოტოგრაფია...

ქართულში უნდა გაირჩეს ორი სიტყვა: რითმა და რიტმი. ეს გარჩევა ქართულში დამკვიდრდა და გაბატონდა რუსული ენის მიხედვით (ритма და ритм).

ამგვარადვე უნდა მოგვარდეს თ-სა და ტ-ს წერის საკითხი იმ სიტყვებშიც, რომლებიც ბერძნულიდან და ლათინურიდან კი არ მომდინარეობენ, არამედ გერმანულიდან და ფრანგულიდან. დღეს გერმანული და ფრანგული თითქმის აღარ განასხვავებენ გამოთქმაში თ-სა და ტ-ს, ძველად კი ასეთი განსხვავება არსებობდა. ამჟამად ფრანგულში ორსავე შემთხვევაში გამოითქმის დაახლოებით ტ, ხოლო გერმანულში თ. დაწერილობაში კი ორივემ შეინარჩუნა განსხვავება: th და t. ვინაიდან ან მხოლოდ ქართული თ, ან მხოლოდ ტ ზედმიწევნით არ ვად-

მოგვეცემს გერმანულსა და ფრანგულ ბგერებს, ამიტომ ლოგიკურია დამყარება გერმანულსა და ფრანგულ დაწერილობაზე და *th* თ-თი უნდა გადმოიციეს, ხოლო *t* ტ-თი.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: **ხატალიონი, ხატარია, ხეტონი, ერფურტი, ეტაპი, ეტიკეტი, ვირტუოზი, ვიტრინა, კაბინეტი, მაგრამ: გოთა, დოროთეა და სხვა.**

3. მ (h)

ბერძნულში *h* იყო ხორხისმიერი ბგერა, რომლის გადმოსაცემად საგანგებო ასო არ მოიპოვებოდა, რომელი გრამატიკოსები *h*-ს გამომხატველ ასოს არც კი უწოდებდნენ ასოს (*littera*), არამედ მხოლოდ ნიშანს ეძახოდნენ: *nota aspirationis*. სიტყვის დასაწყისში, ანლაუტში, ის სუსტად მოისმოდა, ხოლო ინლაუტში იმდენად დასუსტდა, რომ სულ დაიკარგა.

საშუალო ბერძნულში *h* გაქრა და ამის შედეგია უთუოდ, რომ ძველ, ქართული მეტწილად არც კი გადმოგვეცემს სათანადო შემთხვევებში *h*-ს.

ამის გამოა, რომ გვხვდება

ელადა (და არა ჰელადა)
ელისპონტო (და არა ჰელისპონტო)
ერში (და არა ჰერში)
ეფესტოს (და არა ჰეფესტოს).

მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც *h* გვაქვს: **ჰეროდე, ჰროში.**

პირველი შეიძლება ბერძნულიდან გადმოსული ერთი უძველესი სიტყვა იყოს ქართულში, ხოლო მეორის *h* მწიგნობრული გზითაა ალბათ შემოსული.

რუსულს *h* ბგერა და, მაშასადამე, არც შესაბამისი ნიშანი არ მოეპოვებოდა. ამიტომ ბერძნულ-ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში *h* *r*-თი გადაიღო (გამოითქმის კი ზოგჯერ როგორც *ლ*).

• ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში *h* ბგერის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს და დარჩება *h*. მაშასადამე, იქნება:

ახმეხი	ჰიდრაულიკა
ზახმეხი	ჰიდროდოგია
კონტრაჰენტი ¹	ჰიმნი
რიონჰეხი	ჰიპნოზი
ჰალუცინაცია	ჰიპოთეზა
ჰეგემონია	ჰიპოტენუზა
ჰიბრიდი	ჰონორარი
ჰიგიენა	ჰუმანიზმი...

ეგვევ წესი დარჩება ძალაში ინგლისური და გერმანული სიტყვების გადმოცემისას, სადაც ინგლისურ და გერმანულ სიტყვას *h* აქვს, ქართულშიც *h* უნდა იხმარებოდეს და არა *გ*. მაშასადამე, იქნება:

¹ ლათინურისაგან *contra*ho, ხოლო აგენტისაგან *ago* (agens).

ახდერაშალდენი
 მანჭაიში
 რაინშარტი
 შალხტუხი
 შამხურგი

შანოვერი
 შამილტონი
 შანწა
 შილწები
 შოფმარშალი და მისთ.

მაგრამ გვექნება გერცენი და არა ჰერცენი. მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარს გერმანული ეტიმოლოგია აქვს, მისთვის ამოსავალია რუსული ფორმა Герцен.

4. გ თუ ლ?

გ-ს გადმოცემისას ქართულში წინათ (მაგ., XIX საუკუნეში) დიდი არევ-დარევა იყო; წერდნენ „ორამბატია“-ს, „კატილორია“-ს, „ლოლიკა“-ს, „ტრაღე-ლია“-ს და სხვ. დღეს გ-ს გადმოცემის საქმე მოწესრიგებულია. ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ო-ს ან ე-ს შემცველი ყველა სიტყვა იწერება უკვე გ-თი, მაგრამ აქა-იქ მაინც აქვს ადგილი ერთგვარ რეციდევს; მაგ., ზოგიერთები მაინც წერენ ისეთ ფორმებს, როგორიცაა: ლოლიკა, ტრადიკული და ა. შ.

ბერძნული ო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად გამოითქმოდა. ერთ ბგერას გადმოსცემდა იგი **o** და **u** ხმოვანთა წინ, ხოლო სულ სხვას დანარჩენ შემთხვევებში. **o** და **u** ხმოვანთა წინ ის ისეთი ბგერა იყო, რომ ქართულმა ყველაზე მიზანშეწონილად დინახა მისი გადმოცემა გ-თი (და ძველთაგანვე ცნობილი ასეთი სიტყვები: გიორგი, გერონტი, მაგისტროსი...). სხვა შემთხვევებში ქართულმა ბერძნული ო ბევრგან ლ-თი გადმოსცა: პითალორა, ლიკურლოსი, მაღნისია. მაგრამ მეორე შემთხვევაშიც ლ არ გამოხატავდა ზედმიწევნით პირველი ო-საგან განსხვავებულ მეორე ო-ს და ამიტომ შემდეგ ხანებში ორივე ო-ს გადმოცემა ერთმანეთში აირია.

კარგა ხანია ქართულ ენაში განიანი ფორმებია გაბატონებული და ეს გ გამართლებულია ისტორიულადაც. ამიტომ უნდა დადასტურდეს ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე ო-ს შემცველ სიტყვების გ-თი გადმოცემა.

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

აგიტაცია
 აგრონომია
 ალტეგორია
 ანაგრაზა
 გენეალოგია
 გენერალი
 გინეტრია
 გენიოხი
 გეოგრაფია
 გეოლოგია
 გეომეტრია
 გრამატიკა
 გუბერნატორი

დემოგრაფია
 დიავტაზა
 დიალოგი
 ლოგარითმი
 ლოგია
 მეგალითები
 მეგალომანია
 პედაგოგი
 პრაგმატიზმი
 ტრაგედია
 ტრაგიკული
 ფსიქოლოგია
 ფრაგმენტი და სხვ.

5. ზ თუ ძ?

ქართულში (სამეცნიერო ტერმინოლოგიაში) გვხვდებოდა ორნათრი უორ-შები:

ზოოლოგია და (იშვიათად)	ძოოლოგია
ზოოტექნიკა " "	ძოოტექნიკა
პროტოზოა " "	პროტოძოა და სხვ.

აქ ზ-თი და ძ-თი გადმოცემული იყო ბერძნული ζ (ლათ. z: zoologia). ძველ ბერძნულში ζ-ს გამოთქმა მართლაც უახლოვდებოდა ქართული ძ-ს გამოთქმას, ხოლო შემდეგ ხანებში როგორც ბერძნულში, ისე ლათინურში, მისი გამოთქმა დაემთხვა ზ-ს გამოთქმას. ეს უკანასკნელი გამოთქმა დაედო საფუძვლად z-ს გადმოცემას ჭერ კიდევ ძველ ქართულში (ზაქარია, ზევხი, ზენონი, ზოდიაკო, მონაზონი, ტრაპეზი და სხვ.). იგივე გამოთქმა და შესაბამისი დაწერილობა გაბატონდა ევროპულ ენებში (რუსულში, ფრანგულში, ინგლისურში).

ამის გამო ბერძნულიდან და ლათინურიდან მომდინარე სიტყვებში z-ს გადმოსაცემად უნდა იხმარებოდეს ზ (და არა ძ).

მაშასადამე, იხმარება და უნდა დარჩეს:

ზევგიტები	ზოოგეოგრაფია
ზეფირი	ზოოლოგია
ზიგოტები	ზოოტექნიკა
ზილოტები	ზოოქიმია
ზონა	პროტოზოა და სხვ.

6. ჯ და ი

უშუალოდ ან ევროპული ენების მეშვეობით ქართულში შემოსულია არაერთი ბერძნული და ლათინური სიტყვა, რომლებშიც გვხვდება ბერძნულში α ლათინურში γ. ძველი ქართული ამ ბგერის გადმოსაცემად იყენებდა ჯ-ს (ჯმატოსი, ჯრკანია და სხვ.). უფრო გვიან ხანებში, როდესაც თვით ბერძნულში α-ს გამოთქმა ი-სას დაემთხვა, ქართულიც გადმოსცემდა მას ინით, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, რომლებშიც ბერძნულის ძველი α-ს გადმოსაცემად ქართულში უკვე ვი დამკვიდრდა (კვიპაროსი, კვიპროსი, კვირიკე და სხვ.).

ვინაიდან თვით ბერძნულში საკმაოდ ადრე მოხდა α-ს ი-დ ქცევა და ქართულმაც ი-ს გამოთქმა შეითვისა მეტწილად, გარდა ამისა თანამედროვე ქართულს α-ს შესატყვისი არ მოეპოვება, ხოლო ამას ყველაზე უფრო უახლოვდება ი, ამიტომ ბერძნული α-სა და ლათინური γ-ს შემცველი სიტყვები უნდა გადმოიცეს ინით.

მაშასადამე, იქნება:

დიონისე	დიკურგოსი
ესქილე	ოღინევსი
თეოფილაქტე	პოლიკარპე
იპოლიტე	ჰიპოთეზა
კიროსი	ჰიპერბოლა და სხვ.
სინდისი	

გამონაკლისის სახით დარჩება უკვე დამკვიდრებული ვი სიტყვებში: კვიპროსი, კვიპროსი, კვირაიე.

7. η

ბერძნული η (ე) ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებშივე ინად იქცა და ძველმა ქართულმაყ η-ს შემცველი სიტყვები მერწილად ინით გაღმოგვეცა (გარდა უძველეს პერიოდში შეთვისებული სიტყვებისა, როგორცაა: ეკლესია, მონასტერი, კერეონი, ეპისტოლე).

მაგრამ იმ უცხო სიტყვებში, რომლებიც გავრცელებულია ლათინურის წყალობით და რომელთაც შერჩა ძველი გამოთქმა ე, ყველა ენაში მიღებულ იქნა ბერძნული η-ს გაღმოცემა ე-თი. ასეთი სიტყვები ქართულშიც ე-თი არის გაღმოსული და ასევე უნდა დარჩეს.

მაშასადამე, დარჩება:

ალეგორია	კატეგორია
არქიმედე	პრობლემა
დემოკრიტი	ხქემა
დემოსთენე	ჰერაკლე
ემბლემა	ჰეროდოტე
ზენონი	ჰომეროსი
თეზევსი	ჰეგემონია...

გამონაკლისის წარმოადგენს სიტყვა χημεία, სადაც უკვე დამკვიდრებულია ი (ქიშია), აგრეთვე რიტორიკა და რამდენიმე საკუთარი სახელი, რომლებშიც შენარჩუნებულია ი: დიმიტრი, შიტროფანე.

8. დიფთონგები αι, ει

დიფთონგები აი და ეი საშუალ ბერძნულში, რომლის ფორმების გავლენით შემოდოდა ქართულში ბერძნული და ლათინური სიტყვები, მონოფთონგებად იქცნენ (აი=ე, ეი=ო). გარდა ამისა, ლათინურმაყ ისინი მიახლოებით ე-თი (აე) და ი-თი (ი, ზოგჯერ ე) გაღმოსცა.

ქართულში უნდა დადასტურდეს აი და ეი დიფთონგების შემცველ სიტყვათა ე-თი და ი-თი გაღმოცემა; მაშასადამე, დარჩება:

აი: ესოპე	ეი: არისტიდე
ენეასი	ემპირია
ესქილე	ევკლიდე
ეტოლია	თერაპია
ესთეტოკა...	იჩინე...

9. ეგ—ეი—ეუ, აგ—აუ

1. არე-დარევა დიფთონგ ეა-ს გაღმოცემის საკითხში: ინბარება დევკოციტები და დეიკოციტები, დევტეროგამია და დეიტეროგამია...

დიფთონგი ეა იმ ენების გამოთქმაში, საიდანაც მომდინარეობს ეა-ს შემცველი სიტყვები, უდრიდა ეუ-ს, სადაც უ უმარცვლო ბგერას წარმოადგენს. ახალ ქართულში უმარცვლო უ შეცვალა ვ-მ.

ამტომ, ბუნებრივია, ქართულში ყველა eu დიფთონგის შემცველი სიტყვა დაიწეროს eg-ით და არა eo-თ ან eu-თი.

მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს: დევტროგაშია, ეგრობა, ზევგიტები, დევ-კეშია, დევკოციტები, ნევრალგია.

შენიშვნა: eg-ის ნაცულად eo დარჩება სიტყვაში ნეიტრალური, სა-
დაც eo გამოთქმა გაბატონებული.

2. eu დიფთონგის ანალოგიურია au დიფთონგი, რომელიც უნდა დაიწეროს აგ-ით (და არა აუ-თი).

მაშასადამე, დარჩება: ავტოგაშია, ავტონოშია, ტავტოლოგია და არა: აუტონოშია, ტაუტოლოგია და სხვ.), მაგრამ: აუდიტორია.

10. კგ—ქგ

კგ გვხვდება ლათინურიდან (გერმანულ-რუსული გზით) მომდინარე სიტყვებში და უდრის qu-ს ხმოვნის წინ. ასეთი სიტყვები ქართულ სალიტერატურო ენაში ასე იწერებოდა: კვადრადი, კვალიფიკაცია, ლიკვიდაცია და სხვ., მიუხედავად ამისა, ერთხანს გავრცელდა ფორმები: აქვარელი, ქვალტიტი, ლიქვიდაცია და სხვ. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში (qu) ისეთ კ ბგერასთან გვაქვს საქმე, რომლის ქ-თი გადმოცემას არავითარი საფუძველი არა აქვს.

ძველ ლათინურს მოეპოვებოდა სამი ხორხისმიერი ბგერა: q, k, c. პირველი (q) გვხვდება o-სა და u-ს წინ და უფრო ღრმა ხორხისმიერი იყო; მეორე k-სა და თანხმოვნების წინ იხმარებოდა, ხოლო მესამე c-სა და i-ს წინ იხმარებოდა (ეს შეიძლება უფრო ქ-ს შესატყვისი ყოფილიყო). კლასიკურმა ლათინურმა დამწერლობაში გააერთიანა სამივე კ და წერდნენ ყველა სამივე სახის კ-სთვის ასო c-ს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კუ კომპლექსს ხმოვნის წინ, სადაც უ თანხმოვნური (q) გამხდარიყო, დაუტოვა დაწერილობა qu. აქ q ყოველთვის იყო ღრმა ხორხისმიერი ბგერა და ქ-ს გამოთქმას ის დიდად არის დაშორებული.

ამის გამო qu კომპლექსი უნდა გადმოიცეს კგ (და არა ქგ) კომპლექსით.

მაშასადამე, უნდა იხმარებოდეს:

ადეკვატი	კვალიფიკაცია
ადეკვატური	კვანტიტიტი
აკვარელი	კვარტალი
აკვარიუმი	კვეტორი
ანტიკვარული,	კვიტიზმი
ეკვატორი	კვინტა
ეკვივალენტი	კვორუმი
ეკვილიბრისტიკა	ლიკვიდაცია
კვადრადი	რეკვიზიცია და სხვ.
კვალტიტი	

შენიშვნა. კგ გამოთქმა და დაწერილობა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ შემთხვევაში, რომ კგ კომპლექსი ქართულისათვის უჩვეულო ყოფილიყო, მაგრამ ქართულისათვის სრულიად ბუნებრივია კგ (კვალი, კვლივა, ხიკვდილი და სხვ.).

11. კხ (cs, x)—პს (ps) თუ ქს—ფს?

კხ (cs, x) და პს (ps) კომპლექსების შემცველ ბერძნულიდან მომდინარე სიტყვებში ეს კომპლექსები ძველ ქართულში ქს და ფს კომპლექსებით გადმოიკცმოდა და ასეთი გადმოცემა გაბატონებულია დღესაც.

ძველ ქართულში გვქონდა:

ექსორია

პელიფსი

შაქსიშიე

ხამფსონი .

ოქსია

ფსალმუნნი...

ქსიხტი

ამის მიხედვით გვაქვს და დარჩება:

ელიფსი: ელიფსურა

კაფსული

ფხეგდონიში

ფსიქოლოგია და სხვ.

ცალკე უნდა გამოიყოს რამდენიმე სიტყვა, როგორიცაა: ეგზამენი, ეგზემ-მლარი, ეგზოტიკა, ეგზოგამია, შეგზამეტრი.

ეგზამენი და ეგზემმლარი უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, მაგრამ პირველი უნდა შეცვალოს გამოცდა-მ, ხოლო მეორის ნაცულად უფრო უნდა გავრცელდეს მისი ბადალი სიტყვა ცალი.

ეგზოტიკა და ეგზოგამია უნდა დარჩეს ამ დაწერილობით, ხოლო შეგზამეტრის პარალელურად შეიძლება იხმარებოდეს შექსამეტრი-ც.

12. ქტ თუ კტ?

ct კომპლექსის დაწერილობაში ძველი ქართული მერყეობს: ლიტერატურული გზით მომდინარე სიტყვებში კტ კომპლექსი ხშირად დაკუთვნილია (ნექტარი, ოქტაგონი...), მაგრამ ზეპირი გზით შემოსული და ქართულში დამკვიდრებული კტ კომპლექსიანი სიტყვები გადმოცემულია სხვადასხვანაირად (დიქტატორი, „დიქტატორი“, ოქტონგერი...), უფრო ხშირად კი ამ კომპლექსის კ ბგერას ცვლიან ქ-თი (ინდიქტიონი, მენექტარება...).

კტ (ct) კომპლექსის შემცველი სიტყვები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გადმოცემულია და უნდა დარჩეს კტ-თი:

დიქტატორი

ინდიქტიონი

ოქტომგერი...

13. პტ თუ ფტ?

პტ (pt) კომპლექსშიც მოსალოდნელი იყო იგივე სურათი, როგორც ct-სთან გვაქვს. მართლაც, ძველმა ქართულმა pt-ს თავიდან ასაცილებლად შეცვალა იგი ქტ-თი („ხეტემგერი“→ხექტემგერი). მაგრამ, რადგანაც არც ძველსა და არც ახალ ქართულს არ ახასიათებს პ-ს გაფშვნიერება პტ კომპლექსში (ხექტარა, პტოლემიონი, ტრამპტოლემიონი...), ამიტომ უნდა დარჩეს pt კომპლექსის გადმოცემა პტ-თივე.

შენიშვნა. ზემოთ გათვალისწინებული წესები უნდა გავრცელდეს კხ, კტ, ფხ, პტ კომპლექსების შემცველ იმ სიტყვებზედაც, რომლებიც შემოსულია ან შემოდის ქართულში ევროპული ენებიდან რუსული ენის მეშვეობით. მაშასადამე, უნდა იწერებოდეს:

აქტი	აქსიომა...	ხკიპტრა...
რელაქტორი	ფსამეტიზი	
ფაქტი...	ფსიქოლოგია...	

14. კც—ქც

ევროპული ენებიდან შემოსულია რუსული ენის მეშვეობით კა კომპლექსის შემცველი სიტყვები. ეს კომპლექსი წარმომდგარია ცტ კომპლექსისაგან მეორე მკვეთრის პალატალიზაციით i-ს წინ. რამდენადაც კომპლექსის პირველი ელემენტი (c) იგივე რჩება, ამდენად კომპლექსი გადმოიცემა ქც-თი (აქცია, კონსტრუქცია, რელაქცია).

რუსულის ბზით შემოსულ ეა-ზე დაბოლოებულ სიგყვათა გადმოსამა ქაქთულში

რუსულიდან მომდინარე ეა-ზე დაბოლოებული უცხოური სიტყვები ქართულში სამგვარი დაბოლოებით გადმოიქვმა: -ეა, -ეია და -ია დაბოლოებებით.

ბატარეა—ბატარეია—ბატარია
ბაკალეა—ბაკალეია—ბაკალია
გალანტერეა—გალანტერეია—გალანტერია
გალერეა—გალერეია—გალერია

ზოგიერთი ამ ტიპის სიტყვა მხოლოდ ორგვარი—ეა და -ეია დაბოლოებითაა წარმოდგენილი: ეპოპეა—ეპოპეია, იდეა—იდეია. -ია დაბოლოებით ეს სიტყვები არ გვხვდება.

მაგალითები:

ახამბლეა:

... ასამბლეა მხოლოდ ზომები იმისათვის, რომ ესნა მსჯავრდადებულთა სიკოცხლე (აკომ.).

გენერალურმა ასამბლეამ მიღოს... გადაწყვეტალებანი (გამარჩევა).
ასამბლეა მხოლოდ სამეურეუ კომიტეტის რეზოლუციები (აკომ.).

განახლა გენერალური ასამბლეის საყოალურ პოლიტიკური კომიტეტის სხდომები (აკომ.).

... უადგილო არ იქნება, ეს საკითხი დასევს გენერალური ასამბლეის წინაშე (აკომ.).

გენერალური ასამბლეა მუშაობას იწყებს... საერთო დისკუსიით (აკომ.).

ბატარეა, ბატარეია, ბატარია:

ზღვის პირზე ამართული იყო ორი დიდი ბატარეა... (დ. კლდ.).

მაგრამ: გაუარდა ბატარეია (იქვე).

... ეარუბის გუნდის დაკომლეტება მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს ინკუბატორში გამოყვანულ და ბატარეებში გამოზრდილ წიწილების ხარჩხე (ამეფრინველ.).

მაგრამ: ბატარეია (იქვე).

იგი... მოძრაობს კონტაქტურ გაცვანილობათა ვარეშე, საყუთარი აქუმულატორული ბატარეების ხარჩხე (ახ. კომ.).

რამდენიმე შპარლი ბატარეიის მუდმივ დენს მიწაში ატარებენ ლითონის ელექტროდებით (ახ. კომ.).

ელემენტებისაგან ბატარეიის შედგენა და მის ბოლოებზე ძაბვის გაზომვა (ახ. განათლ.).

[გალეები] შეერთებული არიან ევრთ წოდებულ ბატარეიაში (ამეფრინველ.).

რუსთაყის მოქმედ საწარმოთა მფლობრში ჩადგნენ მე-2 საკოქსე ბატარა..., ტურბინ-
გენერატორი (ა.კოშ.).

მიულოცე მიხაკის ბედნიერება... ბატარიის კამანდრობა (ლ. არღაშ.).

ბატარიების წარმოება მოეწყო კოპერირების საფუძველზე (ა.კოშ.).

მიზეზად ბატარიების უქონლობას ასახელებენ (ა.კოშ.).

ცდლობენ სამშენობლო პაქტზე უარის თქმით აშკარა აზრი დაუარონ არგუმენტების
მთელი ბატარიით (ა.კოშ.).

ქარხნის საკოქსე ბატარიები წელიწადში მოიხმარენ 900 ათას ტონა ქვანახშირს
(ლ.იბ. და ხელ.).

კომბინატში შენდება კოქსის ბატარიები (ა.კოშ.).

გალერეა, გაღერეია, გაღერეია:

მოსე მწერალი ყველაზე უარყოფითი სახეა ეგნატე ნინოშვილის მიერ შექმნილ გაღე-
რეიაში (გ. ჭიჭ.).

მის უფლება აქვს სიამაყის გრძნობით ჩაუფაროს... სამხატვრო გაღერეას (გ. ჭიჭ.).

ზუსტად გაღერეიაში გამოჩნდება გლოსტერი... (ე. შახაბ., თარგმ.).

ნამუშევრების დიდი ნაწილი გამოყენებულ იქნა სამხატვრო გაღერეიასა და მხატ-
ვისათა კლუბში (ლ.იბ. და ხელ.).

სამხატვრო გაღერეიაში იხსნება გ. ვაბაშვილის ნაწარმოებთა გამოფენა
(ლ.იბ. და ხელ.).

მის მიერ გამოყვანილი ტიპური სახეები... საბოლოოდ შერჩებთან ქართული ლიტე-
რატურის გაღერეიის (შ. დად.).

ფრანკალური წყალშიღლები ნატანდამკერი
გაღერეიით სრულზეთ არ ატარებს
ნატანს (ა.ბ. კოშ.).

ერთი ავტობუსი დედაქალაქის ცენტრში მიღოდა, მეორე—ზოლოგირ ბაღში... მე-
ოთხე—ტრეტაკოვის გაღერეიაში (ა.კოშ.).

ხელმწიფემ ბრძანა..., სურათი სასახლის გაღერეიაში ჩამოკიდეთი (ა.კოშ.).

ესაა ერთ-ერთი მომხიბლავი ტიპი გიორგი წერეთლის მიერ შექმნილ ქალთა პორტრე-
ტების გაღერეიაში (გ. ჭიჭ.).

მიუნხენში, გაღერეიაში... ერთი უმაწეილი ჩემენ შემობრუნდა და აღუცხებთ
მართა (ნ. ლორთქ.).

ჩუბოსლოვაკის მწერლის გაღერეიაში გაიხსნა გამოფენა ა.ე. მაიაკოვსკის ცხოვრება
და შემოქმედება (ა.კოშ.).

დღევგაციის-წყვერმა... ინახულა საქართველოს სსრ შეცნირებათა აკადემია, სურა-
თების გაღერეია (ა.კოშ.).

შ. აფხაძის უცლება ამდღერებს მსახიობის მიერ შექმნილ სახეთა გაღერეიას
(ა.კოშ.).

ეპოპეა, ეპოპეია:

ეს ნამდვილად გასაოცარი ეპოპეიაა (ა.კოშ.).

მარჩინაშვილის სახელობის თეატრის კოლექტივმა დამსწრეთ უჩვენა ისტორიულ-რე-
ვოლუციური ეპოპეა—„1917 წელი“ (ა.კოშ.).

საბჭოთა მეთხველებისათვის ფართოდ ცნობილია და საყვარელია თქვენი პოეტური
ეპოპეა (ა.კოშ.).

ლაკომენტალურ პიესაში „დადი მომავლისათვის“... ასახულა სამამულო იმში
საბჭოთა ხალხის ისტორიული ბრძოლის დადი ეპოპეა (ა.კოშ.).

ეს მთელი ეპოპეა აირს (ა. ჭუთათ.).

თავის სურათებში ქართველმა მხატვრებმა ასახეს ამირ-კაჯიასის ბოლშევიკების შე-
სანიშნავე ეპოპეია (ა.კოშ.).

იდეა, იდეია:

პირველად ამ წრებში დაიბადა... ქართული თეატრის დაარსების იდეა (გ. ჭიჭ.).

ამ დიდ ფრთხვს პლატონს იდეათა მოძღვრება აძლევდა (გ. ჭიჭ.).

არა გაკეთ აზრი? იდეა? გრძნობა? (ვაჟა).

საკა უმ მოუხევენარ იღეა არ არის. იქ ლონეა და ძლიერება (ილია).
 ფრანკ-გაზეთმა უაღრესი და უპირველესი მნიშვნელობა-უნდა მისცეს იმ იღეას.
 იმ დღეა-აზრს, რომლითაც თითონ სულდგმულობს (ილია).
 ეს იღეა საკუთრად მე შეუთუნის (ლ. აჩაღაშ.).
 მას იღეა ქვეიან სახელად (მ. იაღოშ.).

ლატარია, ლატარია:

კილაწლი ამ „პერანგის“ გათამაშება ლატარიაში (ქ. ბაქარ. თარგმ.).
 გათამაშდება... ნივთებისა და ფულის ახალი ლატარია („ახ. კომ.“).
 მოწვეულზე ხაქაქურეში მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპუტად
 (კაპი).
 მორეუკერ სახელწოდო ლატარიაში ორასი ათასი მოიგო (შ. დაღ.).

ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
 გაბატონებულია ეა დაბოლოებიანი ფორმები: ახამბღეა, იღეა, აღეა და მისთ.
 ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოური წარმოშობის ამ სიტყვებს ეა დაბოლოება
 რუსულში აქვთ შეძენილი.

ნათქვამის მიხედვით უცხოური წარმოშობის სიტყვები, რომელთაც რუსულ-
 ში ეა დაბოლოება აქვთ, ქართულში ეა დაბოლოებით უნდა გადმოიცეს.

ამის მიხედვით გვექნება:

- აღეა (რუს. аллея, ფრ. allée)
- ახამბღეა (რუს. ассамблея, ფრ. assemblée)
- ბაკაღეა (რუს. бакалея, არაბულიდან)
- ბატარეა (რუს. батарея, ფრ. batterie)
- გაღანტერეა (რუს. галантерея, ფრ. galanterie)
- გაღერეა (რუს. галерея, იტალ. galleria)
- გინეა (ინგლისური ოჭროს მონეტა)
- იღეა (რუს. идея, ბერძ. ἰδέα)
- ეპოძეა (რუს. эпопея, ბერძ. ἔποποια)
- ორანტერეა (რუს. оранжерея, ფრ. orangerie)
- პანაცეა (რუს. панацея, ბერძნ. πανακεια)
- პიორეა (რუს. пюорея, ბერძნ. πύοροια)
- ტრაქეა (რუს. трахея, ბერძნ. τραχεια)
- ფარმაკოძეა (რუს. фармакопея, ბერძნ. φαρμακοποια)
- ქორეა (მედიც. რუს. хоря, ბერძნ. χορηα)
- ლივრეა (რუს. ливрея, ფრ. livrée)
- მინეა (რუს. минея, ბერძნ. μινια)
- ორქიდეა (რუს. орхидея, ფრ. orchidée)
- პორტუძეა (რუს. портупея, ფრ. porte-érpée)
- ტრანშეა (რუს. траншея, ფრ. tranchée)
- გონორეა (რუს. гонорея, ბერძნ. γονορροια)
- კისეა (რუს. кисея)
- ფეა (რუს. фея, ფრ. fée)

საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთაგან:

დულცინეა	გვინეა
მეღეა	ეგზეა

ფხიჭეა
ერითრეა
ვანღეა

კორეა
იუღეა

შენიშვნა 1. ორი სიტყვა—ბამბაჯია და ლატარია—ქართულში ზეპირი გზითაა შემოსული (შღრ. რუს. лотерея, ფრანგ. loterie და რუს. бумажая, ფრანგ. bomba sin); ამათი დაწერილობა უცვლელი დარჩება.

შენიშვნა 2. საკუთარი სახელები Pelageя და Salomeя ქართულში უკვე დამკვიდრებული ფორმით დარჩება: პელაგია და ხალომე.

რუსულის გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოებულ სიტყვათა
გაფორმება ქართულში

უცხოური სიტყვები, რომელთაც რუსულში -ა დაბოლოება აქვთ (газа, фазы, лампа... газета, цукра, пудра... шитата, кабина...), ქართულში ორგანიზაციის სახით გვხვდება:

ა) ასეთ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა უცვლელად გადმოვიდა ქართულში -ა დაბოლოებით და ა-ზე დაბოლოებული ფუძევეცადი სახელების წყებას მიეკუთვნა: ბაზა — ბაზისა, ფაზა — ფაზისა, ლამპა — ლამპისა (მაგ., ლამპის შუშა).

ბ) ზოგიერთ ასეთ სახელს ქართულში ბოლოკიდური ა ხმოვანი მოეკვეცა და ბოლოთანხმოვანან სახელებს გაუთანაბრდა. ასეთებია, მაგალითად: გაზეთი, მაშინოხი, კატეტი, ციფრი, პუდრა...

მაგრამ ა-ზე დაბოლოებულ რუსულა გზათ შემოსული უცხოურა სიტყვები ქართულში პარალელური ფორმებითაც გვხვდება: ბომბა და ბომბი, გრანატა და გრანატი, კაბინა და კაბინი, ფანერა და ფანერი, ციხტერნა და ციხტერნი, ციტატა და ციტატი, დემეშა და დემეში, პირამიდა და პირამიდი, ამპლიტუდა და ამპლიტუდი, ბინექტრისა და ბინექტრისი, ორბიტა და ორბიტი, ჰიპოთეზა და ჰიპოთეზი, ჰიპერბოლა და ჰიპერბოლი.

მაგალითები:

გრანატა:

მეუახლოდით, გრანატა მოეამზადე, როგორც ვი ვისროლე... (გ. ნატრ.).

გრანატი:

ერთკერძებმა შუაგულ ქალაქში რამდენიმე გრანატი ისროლეს („კომ.“).

პარაშუტისტები ტრინუნისაკენ გაექანენ და ორი გრანატი გადააგდეს („კომ.“).

კაბინა:

...კაბინას აღვამს ავტომობლს (ან. კომ.).

... კაბინაში დაქდებოდა და სკის ბურკეტებს გადასწევა-გადმოსწევდა (ილიტ. გაზ.).

კაბინი:

[მანქანის] მურტუქების სისტემა საიშელოა, მძღოლის კაბინი—მოხდენილი („კომ.“).

... ლფტის კაბინის თერთმეტი გასაჩერებელი აქვს („კომ.“).

ფანერა:

საბჭოთა მურტრებობამ სკოლას მისცა... თუნუქი, ფანერა და მასალები („კომ.“).

... შექენილია 12 ათასი ყუთისათვის საკმარისი ფანერა („კომ.“).

ფანერი:

ქისრს დაფარებული ჰქონდა ფანერი („კომ.“).

საწოლები მხატვრულად არის გაფორმებული. გადაკრული აქვთ კაკლის ფანერი („კომ.“).

ცისტერნა:

გუმბინენ ორი ცისტერნა ბენზონი ნაეთხაზის შავი სოფელში ამოიტანეს
(დ. შენგ.).

მარტაბლოს გადაგდების შედეგად განადგურდა: 24 აეტრმანქანა, 45 მორტოკლები,
ოთხი ცისტერნა ნაეთით... (დ. ბაქრ.).

ცისტერნი:

დაეტკროთ... 150 ათასი ცისტერნი ნეთის პროდუქტებით („კომ.“).

პიპოთეზა:

ნებას მიეცემ ჩემს თავს პიპოთეზა გამოეთქვა (ნ. ლორთქ.).

პიპოთეზი:

ყველა ზემოაღნიშნული თეთი ნ. მარის პიპოთეზია. რომელსაც კრიტიკული გან-
ხილვა და შემოწმებას სჭირდება (ივ. ჭავჭავ.).
ის უარყოფს ე. კველიძის პიპოთეზის... (ივ. ჭავჭავ.).

რაკეტა:

საირო სანახაობის ბრწყინვალე ამოთოზს წარმოადგენს მსახიობების... რთული
ვარჯიში ცირკის თალის ქვეშ მფრინავ საპაერო რაკეტაზე („ლელო“).
რაპონამ რაკეტა გოშუვა („კომ.“).

რაკეტი:

ამერიკის რაკეტულმა თვითმფრინავებმა სატრანსპორტო ყოღონა რომ შეამჩნიეს...,
ტყვიამფრქვევი და რაკეტი დაუშინეს („კომ.“).

პლანეტა:

როცა ვარჯ გუნებაზე ვარ, ყოველთვის ეუსტარ ამ პლანეტას (პ. ლომთ.).
მიწაც პლანეტაა... („ახ. კომ.“).

პლანეტი:

ისევე საკვირველი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლა-
ნეტთა (ილია).

ორბიტა:

თვალს კაცალი ყველა თავისი ნაწილით მოთავსებულა თვალბუდეში—ორბიტაში
(„პლასტიკური ანატომია“).

ორბიტე:

... იმპერიალიზმის ორბიტს გამოგლიჯა დედამიწის მეექვსედი ნაწილი („კომ.“).
... ქართული ხელოვნების დეკადა ზაქარა ფალოშელის ორბიტში მოექცა
(„კომ.“).
... აეტრის წიგნის მფრინავი ნახევრიდან უკვე შეეყვართ მაშინდელი უცხოეთის საინტე-
რესო ამბებს ორბიტში („ლიტ. და ხელ“).

პირამიდა:

ფარაონის პირამიდაზე ენახე ერთი ბარელეთი შარშან (ე. გამხ.).
... თბილისელთა ოთხეულმა ზუსტად შეასრულა ურთულესი პირამიდა
(„ახ. კომ.“).

პირამიდი:

თუნდ პირამიდნი და სასახლენი დაიყვანეთ მათ საძირკელამდე...
(ი. შაჩაბ., თარგმ.).
და ზოგიერთმა მწიგნობარმა მეცნიერების სახელთა გაწეალის თვალ და გონება
იმის ვამოძიებაში, რომ ამა და ამ ეგვიპტის პირამიდზე დეს იეროგლიფი ისე არ
უნდა იყოს (ილია).

ამპლიტუდა:

... თბილისის „ზღვის“ წარმომქნა... დედაქალაქში ტემპერატურულ ამპლიტუდას
2—3 გრადუსით შეანდუნეს... („კომ.“).
ტემპერატურის ამპლიტუდა (ინვარი-უელის) 24°-დან 28°-მდეა (ნ. კობ.).
ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა და აბსოლუტური მინიმუმი მტრია ზღვიდან
დაბლაღებულ ადგილებში, ეიღრე სანაპიროზე (ნ. კვარაცხ.).

ამპლიტუდი:

... პნევმოგრაფი იწერს სუნთქვის ამპლიტუდას და სიბჰარეს („ახ. კომ.“).

ამგვარი სიტყვები სხვადასხვა ლექსიკონშიაც კი სხვადასხვა თორმით-გეხვდება:

მაგალითად, „მათემატიკურ ტერმინოლოგიაში“ ამგვარი ტიპის უცხოური სიტყვები უმთავრესად -ა მოკვეცილი სახითაა შეტანილი: აბსცისი, ამპლიტუდი, ბიხექტრისი, მანტისი, მედიანი, ორბიტი, პარაბოლი, პრიზმი, პლანეტი, შიპერბოლი, შიპოთეზი და სხვ.

შდრ.: აბსცისა, ამპლიტუდა, ბიხექტრისა, ორბიტა, პარაბოლა, პლანეტა.. პრიზმა, შიპოთეზა... (რუსულ-ქართული ლექსიკონი).

ამრიგად, ერთი გარკვეული წესი ა-ზე დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხოური სიტყვების გადმოცემისას ქართულ სალიტერატურო ენაში გატარებული არაა.

მაინც შესაძლებელია ზოგიერთ გარკვეულ ტენდენციაზე მითითება.

1. -тыра-ზე დაბოლოებული სახელები ქართულში ყოველთვის უცვლელად. -ა დაბოლოებით, გადმოცემა: აგენტურა, ადვოკატურა, აპარატურა, კანდიდატურა, კლავიატურა, კორექტურა, კვადრატურა და სხვ.

ასევე უცვლელადაა გადმოცემული მა-ზე დამთავრებული სიტყვები: თეორემა, ღრამა, დიორამა, პროგრამა, ფერმა, ფირმა, ტელეგრამა და მისთ.

-იზა დაბოლოებიანი: ექსპერტიზა, ანტრეპრიზა...

-იკა-ზე და კა-ზე: ფიზიკა, ენერგეტიკა, ტონიკა...

2. საერთოდ, ა-ზე დასრულებულ უცხო სიტყვათა დიდი უმრავლესობა რუსულიდან ქართულში უცვლელად, -ა დაბოლოებითაა შემოსული. ამ სახით დამკვიდრდა ქართულში უცხოურ სიტყვათა მთელი წყება:

ბაზა, ბრიგადა, პროპაგანდა, დეკადა, ლამპა, სცენა, ლოჟა, აფიშა, მასკა, მოლა, მანერა, ფიგურა, ფაზა, ანკეტა, კანტორა, კატორღა, პაუზა, ნორმა, დოზა, დიეტა, არენა, ბირჟა, სიგარა, სქემა, ფლორა, ფაუნა, ანგინა, აორტა, ვენა, განგრენა, შიგიენა, კავერნა, პლევრა, გლუკოზა, ეგზეზა...

შენიშვნა. ატმოსფერო-ს და იქედნე-ს ტიპის სიტყვები, რომლებიც რუსულში ა-ზე ბოლოვდება, ქართულში თავისებურადაა გადმოცემული: ატმოსფერო და იქედნე. მაგრამ ეს ფორმები ქართულში ძველი დროიდან დამკვიდრდა და რუსულთან არაა დაკავშირებული.

უკვე აღინიშნა, რომ ა-ზე დასრულებული უცხო სიტყვები ქართულში უმთავრესად რუსულ ენის მეშვეობით შემოვიდა. ეს ა ხმოვანი სიტყვის ბოლოს უცხო სიტყვათა გარკვეულმა ნაწილმა რუსულ ენაში შეიძინა, ხოლო შემდგომ რუსული ენის გზით ქართულშიც გადმოვიდა.

შდრ.:

бацилла — ლათ. bacillum
цитата — გერმ. das Zitat
вахта — გერმ. die Wache, die Wacht
ракета — გერმ. die Rakete
гипотеза — ბერძ. ἡπὸθεσις
кабина — ფრანგ. la cabine

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ა ხმოვანი გადმოიცემოდა რუსულში უმთავრესად მდებარებითი სქესის უცხო სიტყვები („В первом ряду-

ვინე XIX საუკუნის ქალიშვილი ენის მხრივ უფრო მეტად გავლენას ახდენს ქართულ ენაზე, ვიდრე მამაკაცი. ეს იმის გამოა, რომ ქალიშვილები უფრო მეტად იყენებენ ფრანგულ სიტყვებს, ვიდრე მამაკაცი. —*Л. А. Булаховский, Русский литературный язык. первой половины XIX века, 1954, გვ. 92.*

როგორც ცნობილია, უცხო სიტყვათა დიდი ნაწილი რუსულში ფრანგული ენის მეშვეობით შევიდა. ამ შემთხვევაში -ა დაბოლოებით გადმოიცა რუსულში ფრანგულიდან შესული მდებარებითი სქესის სახელები, რომლებიც ქართულში, თავის მხრივ, ხან ა-თი გვხვდება და ხან უანოდ.

ბომბა	—la bombe (ბომბა, ბომბი)
ბარიკადა	—la barricade (ბარიკადა, ბარიკადი)
ნიშა	--la niche (ნიშა, ნიში)
კაბინა	—la cabine (კაბინა, კაბინი)
გალეტა	—la galette (—, გალეთი)
მანჯეტა	—la manchette (—, მანჯეტი)

ამგვარადვე გადმოვიდა რუსულში ქართულში შემდგომ ა დაბოლოებით დამკვიდრებული სახელები:

лампа	—la lampe (ლამპა)
сцена	—la scène (სცენა)
ложка	—la loge (ლოჯა)
афиша	—la affiche (აფიშა)
мода	—la mode (მოდა)
манера	—la manière (მანერა)
доза	—la dose (დოზა)
анкета	—la enquête (ანკეტა)
ферма	—la ferme (ფერმა)
помада	—la pomade (პომადა)

შედარებით იშვიათია ქართულში ისეთი სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ა ხმოვანმოკვეცილი ფორმით იხმარება, ე. ი. თანხმოვანფუძიანი გამხდარა.

ასეთი სიტყვებია:

გაზეთი	(газета)	მაუტავახტი (гауптвахта)
ციფრი	(цифра)	გეკატომბი (гекатомба)
კანფეტი	(конфета)	გილზი (гильза)
კატლეთი	(котлета)	დუჟინი (дюжина)
პაპიროსი	(папироса)	დიუნი (дюна)
პუდრი	(пудра)	ზამში (замша)
კარტი	(карта)	დომინანტი (доминанта)
კალოში	(калоша, галоша)	ნოტი (нота), მაგრამ ნოტა (დიპლომატი)
გალეთი	(галета)	პალატი—სასახლე (палата), მაგრამ პალატა (палата): სააჯადმყოფოს
პლომბი	(пломба)	პალატა, თემთა პალატა
გამაში	(гамаша)	პაპი (папа)
ბლონდი	(блонда)	

ზოგი მათგანი ზეპირი გზით ჩანს შემოსული (გაზითი, გაღვითი, კანფეთი, კატლეტი, პულარი, გაშაში, კალოში, კარტი. შღრ., სასაუბრო ენის „ბჟულკი“— რუს. рыбка, „კალბასი“— колбаса). მაგრამ მ-ს მოკვეცა ნასესხებ სიტყვა? ან სიტყვების ზეპირი გზით შემოსულას არ უნდა მიეწეროს.

არის სიტყვები, რომლებიც ქართულში მხოლოდ ზოგიერთი სათანადო განათლების არმქონე პირის მეტყველებაში თუ გვხვდება, მაგრამ რომლებშიც მ სიტყვის ბოლოს მაინც დაცულია:

მაგ.:ლათად:

„პარტა“ (парта)	„მაშინა“ (машинна)
„პლიტა“ (плита)	„ატაკა“ (атака)
„ტრუბა“ (труба)	„აბლავა“ (облава)

კლდე მეთი, ქართულში, ამგვარსავე მეტყველებაში ზოგჯერ ა ანალოგიით დაერთვის რუსულიდან შემოსულ სიტყვებს, თუმცა რუსულში სიტყვის ბოლოში ა არ არის.

ватуи—ვატინი ვატინა	паган—ნაგანი ნაგანა
сатуи—ხატინი ხატინა	георгиин—გეორგინი გეორგინა
ратии—რატინი რატინა	гопак—გომპაკი გომპაკა

ხშირად ა ხმოვანმოკვეცილი ზოგიერთი ფორმის წყარო რუსული მრავლობითი რიცხვის ფორმა (მაგ., მრავლ. калoши, галеты, котлеты, карты...).

ანალოგიური ჰარალელური ფორმები საკუთრივ ქართულ სიტყვებსაც ან აღმოსავლურ ენებიდან შემოსულ სახელებსაც მოეპოვებათ: ქართულში ა ბოლო-ხმოვანი სახელების გვერდით ა- მოკვეცილი, თანხმოვანფუძიანი ვარიანტებიც გვხვდება. ჩვეულებრივ, უფრო გავრცელებულია ა ბოლოხმოვანი ფორმები. ბევრ შემთხვევაში ეს ა წარმოშობით კინოზობითის მაწარმოებელია.

ძალი—ძალა:

კვე, ზღი სისხლი არ ზეპრეს, ძალი შემწეედეს ქაღალსა („ვეფხისტყ.“, 608).
 კაცი, ძალსა ნუ იქალი, ნუცა მოკვეცხ ვითა მთრვალი,
 არას გარკვებს ძლოურება, თუ არ შეგწვეს ღმრთიასა ძალი („ვეფხისტყ.“, 1046).

მელი—მელა—მელია:

ერთ მელი დაცანკარბდა... ერთი მამალი შემოეყარა, კითხა მელსა (საბა).

წიწილა—წიწილი:

ქორმა წიწილა წაილა,
 იძახდა წიყ-წიყსა (ვაჟა).

ტომარა—ტომარი:

ატნი ტომარა, მატნი ტომარა,
 სახელს რომ გეტყვი, გუარს მიტომ არა (გამოყანა).
 საჩქაროდ მოარბენნა ნაცნობის ბინაზე დატოვებული დღი ტომარი (წ. ლორთქ.).

კალათა—კალათი:

დიდემად ხილთ საესე კარგა დღი კალათი ბეშუებს გადიჟმალა თითქმის ძალის-ძალათა (შ. მღვ.).

ალათასა, მალათასა, ხელი ჩაყე კალათისა (ხალხ.).

მიღის ურმისაყენ ყურმნით საესე კალათი კალათაზე და იესება გოდორი-გოდორზე (ხ. შანუ.).

წიფელა—წიფელი:

„ხმელი წიფელი“ (ვაჟა).

ბეპელა—პეპელი:

მაშ რად შინდა პეპელი
უენურო, თაის შველელ? (აჰაჰი).

ოფოფი—ოფოფა:

წუროთაჲ ვადაიარეს,
მერცხალიჲ მოფრენილაო,
ოფოფა საეარცხლიანი
იმათ მოუძლეა წინაო (ვაჟა).

და ასე: წურხელა და წურხელი, ჭიანჭველა, ჭინჭველა და ჭინჭველი, პრახი და პრახა, პილპილი და პილპილა, შიშველი და შიშველა, ტიტველი და ტიტველა და სხე.

აღნიშნულ პარალელურ ფორმათაგან ა მოუყვეციელი ფორმები უფრო სი-
ცოცხლისუნარიანი ჩანს.

რუსულიდან მომდინარე ა-ზე დასრულებულ უცხო სიტყვათა ქართულში გადმოსაცემად უცხო ენის დაწერილობას ან წარმოთქმაზე დაყრდნობა გაუმართ-
ლებელი იქნებოდა. ამით საკმე გართულდებოდა და ფორმათა სიტყვლეს ვერ
ავიცდენდით. ამოსავალი უნდა იყოს შუამავალი (ამ შემთხვევაში რუსული) ენა.

ა-ზე დასრულებულ რუსულიდან მომდინარე უცხო სიტყვათა გადმოცემა
ქართულში ა ხმოვანმოუყვეცილად (ხმოვანფუძიანად) საესებით ბუნებრივი ჩანს.
ასეთ ფორმებს უპირატესობა აქვთ ხმოვანმოყვეცილებთან (თანხმოვანფუძიანებთან)
შედარებით.

რამდენადაც ასეთი სახელები ფუძეყვეცილები არიან, წარმოებრისას, კერძოდ
ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას, არ იქმნება არავითარი უხერხულობა,
ხოლო თანხმოვანზე დაწყებული სუფიქსების (ეთქვით, მრავლობითის ნათესაო-
ბითში თ-ს) დართვისას, რაც ძალიან ხშირია, ამით დიდი უპირატესობა აქვთ
თანხმოვანფუძიანებთან შედარებით: მიუხედავად იმისა, რომ დემეშა-ს გვერდით
საკმაოდ ხშირად დემეში იხმარება, გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ დემეშათა საა-
გენტო (დემეშთა შეუძლებელია). ასევე უფრო მოსახერხებელია თანდებულების
დართვა ამ ფორმებზე: შდრ. პრიზმზე და პრიზმაზე, პრიზმში და პრიზმაში.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ ქართულში ასეთი უცხო სიტყვები
ხმოვანმოუყვეციელი ფორმითაა გაბატონებული, თანხმოვანფუძიანი ფორმები უფრო
იშვიათია. პარალელურ ფორმათა ხმარების შემთხვევაშიც (ჰიპოთეზა—ჰიპოთეზი.
ციტატა—ციტატი, კაბინა—კაბინი...) ა ხმოვნიანი ვარიანტების ხმარება სპარ-
ბობს.

ნათქვამის საფუძველზე:

1. ა-ზე დასრულებული რუსულის გზით შემოსული უცხო
სიტყვები ქართულში უნდა გადმოიციეს ა დაბოლოებით, ხმო-
ვანფუძიანად.

მაშასადამე, უნდა იყოს:

აბსციხა, ალტერნატივა, ამპლიტუდა, ამპულა, ამბრაზურა,
ანკეტა, ანტენა, ანტიოფეა, ანტრეპრიზა, ანფილადა, აორტა,
ბალერიანა, ბარკადა, ბაცილა, ბისექტრისა, ბლოკადა,
ბუფონადა, გირლანდა, გლუკოზა, ვრიმასა, დრეზინა,
კაბინა, კავატინა, კამერა, კანტატა, კარტა, კოლონადა,
კომეტა, კომორტა, კუპიურა, ლაიკა, ლაქტოზა, მაკაკა,
მანდოლინა, მანტისა, მატრიცა, მედიანა, მემბრანა, პარაბოლა,

პარადიგმა, ტურბინა, პასტა, პერსპექტივა, პირამიდა, პლატინა, პრიზმა, რეტორიკა, ფისტულა, ციტატა, ჰიპერბოლა...

შენიშვნა. დავას არ იწვევს ის სიტყვები, რომლებიც რუსულში ბოლოვდება -тыра, -ма, -ица, -ика და -ка-ზე; მათ ქართულში პარალელური ვარიანტები არ აქვთ. ყველა ა-ზე ბოლოვდება (აპარატურა, კანდიდატურა, კლავიატურა... თეორემა, რეკლამა, პროგრამა... ექსპერტიზა, ანტეპრიზა... ფიზიკა, ენერგეტიკა...).

2. გამონაკლისის სახით თანხმობენ ფუძიანებად უნდა და დასტურდეს ქართულში ასე დამკვიდრებული სიტყვები:

გაზეთი	ჯამში
ცოფრი	დომინანტი
კატლერი	ნოტი (მუს.), მეგრამ ნოტა (დიპლ.)
პაპიროსი	ფანერი
მანუეტი	ბოშბი
პლომბი	კოორდინატო
პაპი (რელიგ.)	ორდინატი
გახტი	კალოში
შახტი	იოტი
ხაუპტვახტი	კალკი
რეზინი	კულისი
პილზი	გლანდი
დიუნი	როზვი

შენიშვნა 1. ორივე მუხლით ნაგარაუდევო ყველა სიტყვა ორთოგრაფიულ ლექსიკონშია სრულად წარმოდგენილი.

შენიშვნა 2. ხფერო და რთულფუძიანი სიტყვები, რომლებშიც ეს სიტყვა შედის (ატრატოსფერო, სუბსტრატოსფერო. ატმოსფერო, ბიოსფერო და მისთ.) ქართულში მ დაბოლოებით უნდა დარჩეს.

მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება

1. მიმართულებით ბრუნვაში სადავოა — დონი იწერებოდეს ბოლოს თუ თანი. მაგ.: ამხანაგად თუ ამხანაგათ, მიწად თუ მიწათ, დიდად თუ დიდათ და სხვ.

2. სალიტერატურო ქართულში უძველესი დროიდან მოყოლებული მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება ხმოვანფუძიან სახელებში -დ იყო და არის დღესაც, ხოლო თანხმოვანფუძიანებში -ად. დ-ს მოცილებ თ ჩნდება სპორადულად გვიანდელ (XVII—XVIII სს.) ძეგლებში.

3. ცოცხალ კილოებში მიმართულებითის დაბოლოებად დღეს ბევრგან -თ და -ათ არის და კილოების გავლენით იგი სალიტერატურო ენაშიც იჩენს ხოლმე თავს.

4. დ-ს თ-დ ქცევა, რასაც ადგილი აქვს მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოებაში, განცალკევებით მდგომი მოვლენა არ არის. ამგვარივე ხასიათისაა მ-ს დაყრუება და ფ-დ ქცევა -ებ და -ობ სუფიქსებიან ზმნებში (განსაკუთრებით დასავლურ კილოებში): ვაკეთებ, ვამზოფ და სხვ.

5. ბოლოკიდური მელერის დაყრუების ფაქტიდან არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ აუცილებლად ყრუ უნდა ეწერათ. ამის საუკეთესო მაგალითია ზმნების -ეფ და -ოფ სუფიქსებიანი ფორმები, რომლებიც დიალექტურ მოვლენად არის მიჩნეული. აქ ბანის დატოვებას გვიკარნახებს ისეთი ფორმების არსებობა, სადაც მ უცვლელად რჩება: აკეთებ—აკეთებდა, ეთება, გაკეთებული; ამ-ზობს—მზობა, ნამზობი და სხვ.

6. ზემოხსენებული -ეფ, -ოფ სუფიქსების მსგავსად დიალექტურ მოვლენას წარმოადგენს მიმართულებითის თ-ც, რომლის პირვანდელი სახე დ მკვიდრად და დაცილი მიმართულებითისაგან ნაწარმოებ ფორმებში, როგორცაა:

ა. წილადთა სახელები: მესამედ—მესამედი, მესუთედ—მესუთედი, მეთედ—მეთედი, მესხედ—მესხედი და სხვ.

ბ. სახელები, რომელთა ფუძედ მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული: ტანად—ტანადი—ტანადობა, თვლად—თვლადი—თვლადობა, ძირად—ძირადი—ძირადობა და ახალი ნაწარმოები: ფულად—ფულადი, ქედად—ქედადი, ზრადად—ზრადადი და სხვა.

ამის მიხედვით შემდეგი დასკვნები უნდა იქნეს გაკეთებული:

1. მიმართულებითი ბრუნვის ნიშნად დარჩეს -დ, -ად და არა -თ, -ათ.

მაშასადამე, სახელები მიმართულებით ბრუნვაში (კითხვებზე: რად? როგორ? რამდენად? სად?) უნდა იწერებოდეს მხოლოდ -დ (ხმოვანფუძიან სახელებთან) და -ად (თანხმოვანფუძიან სახელებთან) დაბოლოებით: მაგ.: კაცად (და არა კაცათ), ამხანაგად (და არა ამხანაგათ), ზედ, ყრუდ... დიდად, კარგად, ხმაად, ზუთად, ხოფლად და ქალაქად და სხვა.

2. ერთი ჩვეუთი სიტყვებისა, რომლებიც ზმნისართებია და მოქმედებითი ბრუნვისაგან არიან მიღებული, ან რომლებიც ფუძეში თ-ს შეიცავენ, დიწერება თ-თი (და არა დ-თი); ასეთებია: გარეთ, ზემოთ, ქვემოთ, უნებლიეთ, წინათ, უკეთ, აღმათ (ისევე, როგორც ზევით, ქვევით, შიგნით და სხვა.).

წოდებითი ზოგის დაბოლოება

წოდებითის დაბოლოება უძველესი დროიდან მოყოლებული ზოგად სახელებთან -ო იყო. იგი დღევანდლამდის შერჩა ბოლოთანხმოვნიან სახელებს: ამხანაგ-ო, მეზობელ-ო და სხვა; ხმოვნით გათავებულ ფუძეებთან კი წოდებითის -ო იქცა ვ-დ ან სულ დაიკარგა და ამიტომ მივიღეთ ასეთი პარალელური ფორმები: დედა-ვ და დედა, მებაღე-ვ და მებაღე, წყარო-ვ და წყარო და სხვა.

ადამიანთა საკუთარ სახელებს დაბოლოება თავიდანვე არა ჰქონია: პეტრე! დავით! ვახტანგ! ეთერ!

ხმოვანფუძიანი ადამიანთა საკუთარი სახელების -ვ დაბოლოებიანი ფორმები წოდებითისა, რაც არაიშვითად გვხვდება მწერლობაში (პეტრე-ვ, შახბატე-ვ და მისთანანი), დილექტურია ისევე, როგორც ბოლოთანხმოვნიან ადამიანის საკუთარ სახელთა -ო დაბოლოებიანი ფორმები (დარეჯან-ო, ქეთევან-ო, ბეჟან-ო...).

უცნაურად ხანებში სასაუბრო მეტყველებაში ფართოდ გაერცელა და (იშვითად, მაგრამ მაინც) წიგნის ენაშიც გვხვდება ბოლოთანხმოვნიან ადამიანის საკუთარ სახელთა წოდებითის ფორმები. რომლებიც სახელობითის ფორმებს იმეორებს (ნოღარი გურამი! თენგიზი! ეთერი!). ასეთი ფორმები უკუსაგდება, როგორც ლიტერატურული ენის თვალსაზრისით საუკლებით უმარაბებულა.

წოდებითში სახელები ასე უნდა გაფორმდეს:

ა) ბოლოთანხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს -ო დაბოლოებით: მაგ.: კაც-ო, ამხანაგ-ო, მეგობარ-ო, თავ-ო, წყალ-ო, ხალხარ-ო და სხვ.

ბ) ბოლოხმოვნიანი ორ- და მეტმარცვლიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს პარალელური ფორმებით: -ვ დაბოლოებით ან უდაბოლოებოდ (ე. ი. ფუძის სახით); მაგ.: ქვეყანა-ვ და ქვეყანა, მიწა-ვ და მიწა, მებაღე-ვ და მებაღე, წყარო-ვ და წყარო, სამშობლო-ვ და სამშობლო და სხვ.

დაბოლოების გარეშე იხმარებოდეს უ ბოლოხმოვნიანი ორმარცვლიანი სახელები: ძუძუ და სხვა.

გ) ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში გადმოიციეს -ო დაბოლოებით: მშა-ო („ძმაო, რა ტუბილად, რა უდარდელად ჩემი დღეები იქ მილიოდნენ...“ — ილია), და-ო, მთა-ო („მთაო, გადმიშვი, გადმიშვი!...“ — ხალხური), მზე-ო („მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ — ხალხური), ხბო-ო, ურუ-ო და სხვ.

შენიშვნა: ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ლექსებში, დასაშვებია ერთმარცვლიანი ბოლოხმოვნიანი ზოგადი სახელები წოდებითში იხმარებოდეს -ვ დაბოლოებით: მაგ.: მშა-ვ („მარჯალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი...“ — ილია), და-ვ, მზე-ვ („მზევ, შინ შემოდიო!“ — ხალხური), მთა-ვ და სხვ.

დ) ადამიანის საკუთარი სახელები წოდებითში წარმოითქვას და დაიწეროს დაბოლოების გარეშე: გუჩაშ, ნოდარ, თენგიზ, ეთერ, დავით, ლუკა, პეტრე, ელენე, შაქრო, დუტო და სხვა.

ე) -ძე, -ვა, -უა და -ია-ზე გათავებული გვარები წოდებითში ადამიანს საკუთარ სახელებს გაუთანაბრდეს და იხმარებოდეს უდაბოლოებოდ: მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: ბაქრაძე, ჭავჭავაძე, ჭონჭაძე... გუგუნავა, კუპრავა, ჯაბუა, ნოდია, ზოშტარია და სხე.

ვ) ბოლოთანხმოვნიანი გვარები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და -ო დაბოლოებით გაფორმდეს: მაშასადამე, იქნება: ბურდულო, წერეთლო, ცხვედიანო, გომართლო, ბარათაშვილო და სხვა.

გ) ცხოველთა საკუთარი სახელები და გეოგრაფიული სახელები წოდებითში ზოგად სახელებს გაუთანაბრდეს და შესაბამისად გაფორმდეს; სახელობრ:

ბოლოთანხმოვნიანებს დაერთოს -ო; მაგ. გორ-ო („გორო, ქართლის შუა-გულო...“ —აკაკი), თბილის-ო, მოსკოვ-ო, ქუთაის-ო („მშვენიერო ქუთაისო, სავარდო და სამაისო...“ —აკაკი), თერგ-ო („ნეტაეი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ.“ —ილია), მტკვარ-ო („იონ იცის, მტკვარო, რას მბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი...“ —ნ. ბარათ.), რიონ-ო, დნეპრ-ო და სხვა.

ბოლოსმოვნიანებს დაერთოს -ვ ბოლოსართი ან იხმარებოდეს უდაბოლოებოდ. მაგ.: აბაშა-ვ და აბაშა, ხაშტრედია-ვ და ხაშტრედია, ოდესხა-ვ და ოდესხა, ვოლგა-ვ და ვოლგა და სხვა; ლაბა-ვ („ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ...“ —ილია) და ლაბა, ნიშა-ვ („ნიშავ, ნიკორას გაუწი, მაგას მობი მხარია...“ —რ. ერისთ.) და ნიშა, ნიკორა-ვ და ნიკორა, შვინდა-ვ („ჩემო შეინდაეი“ —შ. არაგვ.) და შვინდა, ყურშა-ვ და ყურშა და სხვა.

თ) ქვემოჩამოთვლილ ადამიანთა საკუთარ სახელებში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია და, მაშასადამე, შეჩრება სახელს ყველა ბრუნვაში.

ავქსენტი, აკაკი, ალექსი, ამბერკი, ამბროსი, ანატოლი, არკადი, ბიკენტი, გენადი, გერვასი, გერონტი, გვადი, გივი, გიორგი (გოგი), დევი, დიმიტრი, დომენტი, ივგენი, ივგარფი, ივლამპი, ივსევი, ივტაზი, ცრასტი, ვალერი, ვახუშტი, ინოკენტი, ირაკლი, იური, კლიმენტი, კორნელი, კუკური, ლავრენტი, ლავროსი, ლევარსი, ლეონტი, მელენტი, პროკოფი, რატი, სერგი, ტარახი, ტერენტი, ქიშვარდი, ქუჯი, ხარლამპი.

ალათი, გუგული, ედუკი, ვახახი, ლილი, ლალი, ლილოსი. მერი, ნანული, ნინელი, პუპი, ფატი და სხე.

ქვემოთ ჩამოთვლილი ადამიანთა საკუთარი სახელები თანხმოვან ბგერებზე ბოლოვდება და, მაშასადამე, წოდებითში ასე უნდა იხმარებოდეს: უშანგ, ეთერ, ივლით, ბესიკ...

ი) იი, -ხი და -იი-ზე დამთავრებული რუსული გვარების გადმოცემისას ქართულში ბოლოკიდური -ი ფუძისეულია. მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს: გორკი—გორკიმ, წოდ. გორკი! ჩერნიშევსკი—ჩერნიშევსკიმ, წოდ. ჩერნიშევსკი! ბუდიონი—ბუდიონიმ, წოდ. ბუდიონი! ტოლსტოი—ტოლსტოიმ, წოდ. ტოლსტოი! პოლევოი—პოლევოიმ, წოდ. პოლევოი!

უცხო გვარებში, რომელთაც რუსულში ბოლოკიდურად ი აქვთ, ქართულად გადმოცემისას ბოლოკიდური -ი ფუძის განეკუთვნება: მაშასადამე, იქნება: ტორიჩელი — ტორიჩელიმ, წოდ. ტორიჩელი! ბოტიჩელი—ბოტიჩელიმ, წოდ.

ბოტიჩელი ვარიზალი—ვარიზალიმ, წოდ. ვარიზალი მარინეტი—მარინეტიმ, წოდ. მარინეტი მადინი—მადინიმ, წოდ. მადინი და ასე: პავანინი, პუჩინი, პანინი და სხე.

ვევე წესი ვრცელდება გეოგრაფიულ სახელებზედაც: ტრიპოლი—ტრიპოლიმ, წოდ. ტრიპოლი დელი—დელიმ, წოდ. დელი!

კ) თანხმოვანზე დაბოლოებული რუსული გვარები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს: ლებედევ-ი—ლებედევო! გრიბოდოვ-ი—გრიბოდოვო! და ასე: ამხანაგო ივანოვო! ამხანაგო პეტროვო!

ლ) უცხოურიდან მომდინარე ტიტულები წოდებითში ქართულად უნდა გაფორმდეს მაშინაც, როცა დამოუკიდებლადაა ნახმარი და მაშინაც, როცა მსაზღვრელადაა გამოყენებული. ბარონო! გრაფო! ვიკონტო! მარკიზო! ჰერცოგო! ლორდო! მილორდო! ჰერცოგო ველინგტონო! გრაფო გლოსტერო!

უცხოური „მადამ“, „მიხტერ“, „მიხ“, „მიხის“, „სერ“, „ლედი“ ქართულში გაუფორმებლად დარჩება.

მ) სკოლაში მასწავლებლის მიერ მოსწავლის გამოძახებისას სავალდებულოდ იქნეს მიჩნეული გვარების წოდებითში ხმარება ამჟამად უმართებულოდ ხმარებულ სახელობითის ნაცვლად (ახათიან-ო, გომართელი-ო, დავითაშვილ-ო...), ხოლო სიაში ან ეურნალში ამოკითხვისას—სახელობითში (ახათიან-ი, გომართელი, დავითაშვილ-ი და სხე.).

რიცხვითი სახელების მართლწერის საკითხები

რიცხვითი სახელები შეიძლება იყოს რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი.

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძე ქართულში არის მარტივი შედგენილობისა და რთული შედგენილობისა.

მარტივია ერთეულების გამომხატველი სახელები: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა; შემდეგ: ათი, ოცი, ასი და (ქართული სიტყვაწარმოების თვალსაზრისით) რიცხვთა უმაღლესი კლასის გამომხატველი ნასესხები სახელები: მილიონი, მილიარდი (ბილიონი), ტრაილიონი, კვადრალიონი და ა. შ.

 ორბელ-ი (მოთხრ. — ორბელ-მა, მიცემ. — ორბელ-ს; მიმართვისას — ორბელი)
 ოქროპირ-ი (მოთხრ. — ოქროპირ-მა, მიცემ. — ოქროპირ-ს; მიმართვისას — ოქროპირი)
 პანტელეიმონ-ი (მოთხრ. — პანტელეიმონ-მა, მიცემ. — პანტელეიმონ-ს; მიმართვისას — პანტელეიმონი)
 პართენ-ი (მოთხრ. — პართენ-მა, მიცემ. — პართენ-ს; მიმართვისას — პართენი)
 პარმენ-ი (მოთხრ. — პარმენ-მა, მიცემ. — პარმენ-ს; მიმართვისას — პარმენი)
 პიმენ-ი (მოთხრ. — პიმენ-მა, მიცემ. — პიმენ-ს; მიმართვისას — პიმენი)
 პლატონ-ი (მოთხრ. — პლატონ-მა, მიცემ. — პლატონ-ს; მიმართვისას — პლატონი)
 რაიბულ-ი (მოთხრ. — რაიბულ-მა, მიცემ. — რაიბულ-ს; მიმართვისას — რაიბული)
 რამაზ-ი (მოთხრ. — რამაზ-მა, მიცემ. — რამაზ-ს; მიმართვისას — რამაზი)
 რაქედნ-ი (მოთხრ. — რაქედნ-მა, მიცემ. — რაქედნ-ს; მიმართვისას — რაქედნი)
 რაფიელ-ი (მოთხრ. — რაფიელ-მა, მიცემ. — რაფიელ-ს; მიმართვისას — რაფიელი)
 რევაზ-ი (მოთხრ. — რევაზ-მა, მიცემ. — რევაზ-ს; მიმართვისას — რევაზი)
 როინ-ი (მოთხრ. — როინ-მა, მიცემ. — როინ-ს; მიმართვისას — როინი)
 რომანოზ-ი (მოთხრ. — რომანოზ-მა, მიცემ. — რომანოზ-ს; მიმართვისას — რომანოზი)
 რომან-ი (მოთხრ. — რომან-მა, მიცემ. — რომან-ს; მიმართვისას — რომანი)
 როსტევან-ი (მოთხრ. — როსტევან-მა, მიცემ. — როსტევან-ს; მიმართვისას — როსტევანი)

როსტომ-ი (მოთხრ. — როსტომ-მა, მიცემ. — როსტომ-ს; მიმართვისას—როსტომი)
 სამოელ-ი (მოთხრ.—სამოელ-მა, მიცემ.—სამოელ-ს; მიმართვისას—სამოელი)
 სამსონ-ი (მოთხრ. —სამსონ-მა, მიცემ.—სამსონ-ს; მიმართვისას—სამსონი)
 სარდიონ-ი (მოთხრ. —სარდიონ-მა, მიცემ.—სარდიონ-ს; მიმართვისას—სარდიონი)
 სარიდან-ი (მოთხრ.—სარიდან-მა, მიცემ.—სარიდან-ს; მიმართვისას—სარიდანი)
 საურმაგ-ი (მოთხრ.—საურმაგ-მა, მიცემ.—საურმაგ-ს; მიმართვისას—საურმაგი)
 სეით-ი (მოთხრ.—სეით-მა, მიცემ.—სეით-ს; მიმართვისას—სეითი)
 სერაპიონ-ი (მოთხრ.—სერაპიონ-მა, მიცემ.—სერაპიონ-ს; მიმართვისას —
 სერაპიონი)
 სილოვან-ი (მოთხრ.—სილოვან-მა, მიცემ.—სილოვან-ს; მიმართვისას —სილოვანი)
 სიმონ-ი (მოთხრ.—სიმონ-მა, მიცემ.—სიმონ-ს; მიმართვისას —სიმონი)
 სოკრატ-ი (მოთხრ.—სოკრატ-მა, მიცემ.—სოკრატ-ს; მიმართვისას —სოკრატი)
 სოლომონ-ი (მოთხრ.—სოლომონ-მა, მიცემ.—სოლომონ-ს; მიმართვისას —
 სოლომონი)
 სოსლან-ი (მოთხრ.—სოსლან-მა, მიცემ.—სოსლან-ს; მიმართვისას —სოსლანი)
 სოფრომ-ი (მოთხრ.—სოფრომ-მა, მიცემ.—სოფრომ-ს; მიმართვისას —სოფრომი)
 სპირიდონ-ი (მოთხრ.—სპირიდონ-მა, მიცემ.—სპერიდონ-ს; მიმართვისას —
 სპირიდონი)
 სულხან-ი (მოთხრ.—სულხან-მა, მიცემ.—სულხან-ს; მიმართვისას —სულხანი)
 ტაჩიელ-ი (მოთხრ.—ტაჩიელ-მა, მიცემ.—ტაჩიელ-ს; მიმართვისას —ტაჩიელი)
 ტრიფონ-ი (მოთხრ.—ტრიფონ-მა, მიცემ.—ტრიფონ-ს; მიმართვისას —ტრიფონი)
 უშანგ-ი (მოთხრ.—უშანგ-მა, მიცემ.—უშანგ-ს; მიმართვისას —უშანგი)
 ფარნაოზ-ი (მოთხრ.—ფარნაოზ-მა, მიცემ.—ფარნაოზ-ს; მიმართვისას —
 ფარნაოზი)
 ფარსადან-ი (მოთხრ.—ფარსადან-მა, მიცემ.—ფარსადან-ს; მიმართვისას —
 ფარსადანი)
 ფარსმან-ი (მოთხრ.—ფარსმან-მა, მიცემ.—ფარსმან-ს; მიმართვისას —ფარსმანი)
 ფილიმონ-ი (მოთხრ.—ფილიმონ-მა, მიცემ.—ფილიმონ-ს; მიმართვისას—
 ფილიმონი)
 ფირან-ი (მოთხრ.—ფირან-მა, მიცემ.—ფირან-ს; მიმართვისას—ფირანი)
 ფრიდონ-ი (მოთხრ.—ფრიდონ-მა, მიცემ.—ფრიდონ-ს; მიმართვისას —ფრიდონი)
 ქავთარ-ი (მოთხრ.—ქავთარ-მა, მიცემ.—ქავთარ-ს; მიმართვისას —ქავთარი)
 ქართლოს-ი (მოთხრ.—ქართლოს-მა, მიცემ.—ქართლოს-ს; მიმართვისას—
 ქართლოსი)
 ლენტორ-ი (მოთხრ.—ლენტორ-მა, მიცემ.—ლენტორ-ს; მიმართვისას —ლენტორი)
 ყარამან-ი (მოთხრ.—ყარამან-მა, მიცემ.—ყარამან-ს; მიმართვისას—ყარამანი)
 ყაფლან-ი (მოთხრ.—ყაფლან-მა, მიცემ.—ყაფლან-ს; მიმართვისას—ყაფლანი)
 შავლეგ-ი (მოთხრ.—შავლეგ-მა, მიცემ.—შავლეგ-ს; მიმართვისას —შავლეგი)
 შერგილ-ი (მოთხრ.—შერგილ-მა, მიცემ.—შერგილ-ს; მიმართვისას—შერგილი)
 შერვალინ-ი (მოთხრ.—შერვალინ-მა, მიცემ.—შერვალინ-ს; მიმართვისას —
 შერვალინი)
 ჰიბერ-ი (მოთხრ.—ჰიბერ-მა, მიცემ.—ჰიბერ-ს; მიმართვისას—ჰიბერი)
 ხარიტონ-ი (მოთხრ.—ხარიტონ-მა, მიცემ.—ხარიტონ-ს; მიმართვისას—ხარიტონი)
 ჯიმშელი (მოთხრ.—ჯიმშელ-მა, მიცემ.—ჯიმშელ-ს; მიმართვისას —ჯიმშელი)
 ჯიმშერ-ი (მოთხრ.—ჯიმშერ-მა, მიცემ.—ჯიმშერ-ს; მიმართვისას—ჯიმშერი)
 ჯუნშერ-ი (მოთხრ.—ჯუნშერ-მა, მიცემ.—ჯუნშერ-ს; მიმართვისას—ჯუნშერი)
 ჯუმბერ-ი (მოთხრ.—ჯუმბერ-მა, მიცემ.—ჯუმბერ-ს; მიმართვისას—ჯუმბერი)

•მე. -ჰე. -ღა. -ღას(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება

1. -მე, -ვე, -ლა, -ღაც(ა) ნაწილაკები დაერთვის როგორც სახელებს, ისე ზმნისართებს და შესაბამისად ცვლის მათს მნიშვნელობას; იწერება სიტყვასთან ერთად (ვინმე, ვინღა, ვიღაც(ა)... ხაღმე, ხაღღაც და სხვ.).

2. ხსენებულ ნაწილაკებიან სახელთა ბრუნებისას სადავო საკითხები წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა ნაწილაკები დაერთვის ნაცვალსახელებსა და რიცხვით სახელებს. ამ ნაწილაკიან სახელთა ბრუნების სამგვარი სახეობა გვხვდება თანამედროვე ქართულში: შეუხორცებელი (ძველი), შეხორცებული (ახალი) და ნარევი.

ა) შეუხორცებელი ბრუნებისას იცვლება სახელი და ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას (სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი+ნაწილაკი). ბრუნების ეს სახეობა ძველი ქართულიდან მომდინარეობს და არაიშვითად იხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც. იგი დეფექტურია: არ შეუძლია აწარმოოს ყველა ბრუნვა.

ბ) შეხორცებული ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგ მოდის, ნაწილაკი ფუძესაა შეხორცებული და სახელი ნაწილაკთან ერთად იბრუნვის როგორც ბლოხზმოვნისანი სახელი (სახელის ფუძე+ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი). იგი არაა დეფექტური: მას შეუძლია აწარმოოს ყველა ბრუნვა. ამდენად ეს სახეობა გაბატონებულია დღევანდელ ქართულში.

გ) ნარევი სახეობა მიღებულია შეუხორცებელი სახეობის ხელახლა გაფორმებით, ე. ი. ბრუნვის ნიშანი დაერთვის სახელს ნაწილაკის წინაც და ნაწილაკის შემდეგაც (სახელის ფუძე+ბრუნვის ნიშანი+ნაწილაკი+ბრუნვის ნიშანი). ნარევი სახეობა გარდამავალია: იგი გაჩენილია ძველიდან ახალზე გადმოსვლისას; იგი მეტად დეფექტურია.

ყველაფერი ამის შედეგად დღევანდელ ქართულში გვაქვს პარალელური ფორმები, როგორცაა: ვისმე — ვინმეს — ვისმეს; რასმე — რამეს — რასმეს; რითღა — რაღათი — რიღით; ორსავე — ორივეს — ორთავე; ვიღაც — ვიღაცას — ვიღაცაც და სხვ.

3. -მე ნაწილაკი დაერთვის ნაცვალსახელებს ვინ, რა, რამდენი, რომელი. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ბრუნების სამივე სახეობა გვხვდება.

ამათგან სალიტერატურო ენაში ძირითად ფორმად უნდა დარჩეს შეხორცებული სახეობა, როგორც წარმოების მიხედვით სწორი, სრული (ყველა ბრუნვის მქონე), გავრცელებული და გაბატონებული. ადვილად მოსახმარისი (მაგალითად, მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში) და ენის განვითარების ტენდენციის ამსახველი.

შეუხორცებელი წარმოება დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული. რამდენადაც იგი სწორია წარმოების მიხედვით და გვხვდება XIX

საუკუნის სალიტერატურო ქართულში და დღესაც (კერძოდ, დღემდე გავრცელებულია ნათესაობითი ბრუნვის ფორმა თანდებულის დართვისას: ვისთვისმე, ვიხგანმე, რისთვისმე, რიხგანმე; ასევე მოქმედებითისა: რითმე; მიმართულებითისა: რადმე; მიცემითისა: რახმე, ვიხმე, რომელსამე, რამდენსამე; ხოლო რამდენადმე ფორმა ზნისაერთული მნიშვნელობით გაბატონებულიცაა).

ნარევი სახეობა უნდა უარყოფილ იქნეს, როგორც წარმოების მიხედვით არასწორი.

შენიშვნა 1. სახელობით ბრუნვაში რამე ნაცვალსახელის პარალელურად დასაშვებ ფორმად შეიძლება მიჩნეულ იქნეს რაიმე და რამ. მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში რაიმე დასაშვებია ყველა ბრუნვაში.

შენიშვნა 2. ნათესაობითისა და მოქმედებითში რამე შეიძლება იხმარებოდეს ბოლოკიდური ე ხმოვნის მოუკვეცელადაც და მოკვეცილად (რამეს ან რაიხს, რამეთი ან რამით).

შენიშვნა 3. ვინმე და რაჲ მრავლობითი რიცხვის ფორმებს -ებ სუფიქსით აწარმოებენ მხოლოდ: ვინმეებში, რამეები. რამდენდაც მრავლობითის ფორმების ხმარების აუცილებლობა სალიტერატურო ენაში არ იგრძნობა, ეს ფორმები შეიძლება არც ვიხმაროთ.

4. -ვე ნაწილადართულ სახელთაგან დავას იწვევს ისეთი შემთხვევები, როდესაც -ვი ნაწილად ნაცვალსახელებს ან რიცხვით სახელებს დაერთვის. რიცხვით სახელებთან გვხვდება ორივე — შეუხორცებელი და შეხორცებული — სახით (მაგ. მიცემ.: ორხავე და ორივეს). გაბატონებულია შეხორცებული სახეობა და იგი უნდა დარჩეს სალიტერატურო ენაში ძირითად ფორმად, ხოლო შეუხორცებელი სახეობა დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული.

მხოლოდობით რიცხვის სახელობით ბრუნვაში შეცდომით იხმარება -თა სუფიქსიანი ფორმა ორთავე, რომელიც საფუძვლად ედება ნარევი წარმოებას: მოთხრ. ორთავემ, მიცემ. ორთავეს, ნათეს. ორთავეს. გვხვდება აგრეთვე მრავლობითი რიცხვის სახელობითი ფორმა ორთავენი. ეს ფორმები, როგორც წარმოების მიხედვით არასწორი, უარსაყოფია. ორთავე შეიძლება მხოლოდ შეუხორცებელი წარმოების მრავლობითი რიცხვის მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში იყოს.

ნაცვალსახელებში -ვე ნაწილად ჩვენებით ნაცვალსახელებთანაა გამოყენებული. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეუხორცებელი (ძველი) სახეობაა გაბატონებული (იმავემ, იმახვე...), ცოცხალ მეტყველებაში ჩნდება შეხორცებული ფორმები (იგივემ, იგივეს...). მაგრამ ამ სახეობას სალიტერატურო ენაში ფეხი არა აქვს მოკლებული. ამდენად, ძველი წარმოება უნდა დარჩეს ერთადერთ ფორმად. შეხორცებული ფორმები უარსაყოფია.

რაც შეეხება ერთი და იგივე სახელთა ბრუნვას, აქ ახალმა ქართულმა გამოაუღინა თავისი უძველები — იხმარება შეხორცებული ფორმები (ოღონდ ფუძის შეცვლით); მოთხრ. ერთმა და იმავემ, მიც. ერთხა და იმავეს და ა. შ.

შენიშვნა 1. ორივე-ს შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმები ჰქონდეს -ს | -თ სუფიქსებით ნაწარმოები: სახ. ორნივე || ორივენი, მოთხრ., მიცემ., ნათეს. ორთავე. ეს ფორმები სალიტერატურო ენაში უნდა დარჩეს როგორც დასაშვები.

შენიშვნა 2. იგივე-ს მრავლობით რიცხვში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმა: იგივენი და იგინივე. ეს ფორმებიც დასაშვებია.

შენიშვნა 3. ერთი და იგივე სიტყვათა ბრუნებისას სავალდებულოა იბრუნებოდეს ორივე სიტყვა ცალ-ცალკე ბრუნვის სრული დაბოლოებით, ოღონდ ამ სიტყვათა მსაზღვრელად გამოყენებისას შეიძლება დასაშვებად იქნეს მიჩნეული ზოგიერთ ბრუნვაში ბრუნვის ნიშნების ნაწილობრივი ჩამოკვეცა ერთი სიტყვისათვის სხვა თანხმობიან ფუძიანი მსაზღვრელების შესავსად.

5. -ა ნაწილაკი დაერთვის ვინ, ჩა ნაცვლსახელებს. აქაც ორი ფორმაა: შეუხორცებელი და შეხორცებული. გაბატონებულია შეხორცებული ფორმები: ვილამ, ვილახ, ჩალამ, ჩალახ; შეუხორცებელი ფორმები (ვისლა...) იშვიათია. ამდენად ძირითად ფორმად უნდა დარჩეს შეხორცებული სახეობა, შეუხორცებელი სახეობა კი მხოლოდ დასაშვებად იქნეს მიჩნეული. ნარევი სახეობა (ჩილასი, ჩილათი, ჩილით), რომელიც იშვიათად გვხვდება, როგორც არასწორი წარმოება, უარსაყოფია.

6. -ლაც(ა) ნაწილაკიანია ვილაც(ა) და ჩალაც(ა). იყო აგრეთვე ვინცალა და ჩაცალა. ესენი შემონახულია დიალექტებში (გურულსა და ქვემოიმერულში) ვინცხა და ჩაცხა-ს სახით, სალიტერატურო ქართულში კი არ იხმარება. ვილაცა და ჩალაც-ს ბრუნებისას აგრეთვე სამგვარი სახეობა გვხვდება: შეუხორცებელი, შეხორცებული და გარდამავალი. გარდამავალი სახეობა ხასიათდება ბრუნვის ნიშნების ჩართვით ნაწილაკებს შორის: ვილამაც, ვილახაც. ამ სამი სახეობიდან ამჟამად გაბატონებულია შეხორცებული წარმოება. იგი სრულია და ადვილად საწარმოებელი. ამიტომ ბუნებრივია, რომ შეხორცებული წარმოება დარჩეს ძირითად ფორმად სალიტერატურო ენაში. შეუხორცებელი წარმოება დეფექტურია: მხოლოდ ზოგიერთი ბრუნვის ფორმა აქვს. ამ ბრუნვათა ფორმები შეიძლება დარჩეს როგორც დასაშვები. გარდამავალი წარმოებაც დასაშვებია.

შენიშვნა 1. ვილაცა და ჩალაცა ნაცვლსახელებს შეიძლება მრავლობითი რიცხვის ფორმები ჰქონდეს: ვილაცები || ვილაცეები, ჩალაცები || ჩალაცეები (ვილაც-ვილაცეები || ვილაც-ვილაცეები, ჩალაც-ჩალაცეები || ჩალაც-ჩალაცეები). აღნიშნული პარალელური ფორმებიდან უნდა დარჩეს მხოლოდ ერთი: ვილაცები (ვილაც-ვილაცეები) და ჩალაცები (ჩალაც-ჩალაცეები).

შენიშვნა: 2. ვილაცა და ჩალაცა ნათესაობითსა და მოქმედებითში შეიძლება ბოლომოუწყველად იხმარებოდეს და ბოლომოკეცილადაც (ნათეს. ვილაცახ და ვილაციხ, ჩალაცახ და ჩალაციხ, მოქმედ. ვილაცათი და ვილაცითი, ჩალაცათი და ჩალაცითი).

7. ნაწილაკდართული სახელები მსაზღვრელადაც არის გამოყენებული. აქაც გვაქვს ძველი და ახალი ფორმები. ახალი გულისხმობს მსაზღვრელის უცვლელად დატოვებას. ასეთი ფორმები გაბატონებულია თანამედროვე ქართულში, მაგრამ გვაქვს შეუხორცებელი მსაზღვრელიც: ჩამდენსაჲე კაცს, ჩამდენისაჲე კაციხ... ეს სწორი წარმოებაა, მაგრამ დეფექტურია (უველა ბრუნვა არა აქვს) და მისი გამოყენება ჰირს. ამის გამო ნაწილაკდართული სახელის მსაზღვრელად გამოყენების შემთხვევაში ძირითადად ახალი (შეხორცებული) წარმოება უნდა დარჩეს, ხოლო ძველი (შეუხორცებელი) წარმოება დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

მ. იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად გამოყენებულია იგივე და აგრეთვე ერთი და იგივე, ეს ფორმები მხოლოდ სახელობით ბრუნვაში გვექნება. სხვა ბრუნვებში კი მსაზღვრელი იგივე ფუძეს შეიცვლის, თუმცა ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს. მაგალითად: იშავე კაცს, იშავე კაცმა; ერთხა და იშავე კაცს, ერთმა და იშავე კაცმა... ცოცხალ მეტყველებაში ხმარებული ერთი და იგივე კაცმა და მისთანანი უკუსაგდებაია. დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ერთ მსაზღვრელისათვის ზოგიერთ ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივ ჩამოკვეცა თანხმოვნულძიანი მსაზღვრელის მსგავსად: მიცემ. ერთ და იშავე წიგნს, ნათეს. ერთი და იშავე წიგნის.

ზემოაღნიშნულის თანახმად

ძირითადად დასაშვებია: უარსაყოფია

მხოლოდობით რიცხვში:

სახ.	ვინმე		
მოთხრ.	ვინმემ		
მიცემ.	ვინმეს	ვისმე	ვისმეს
მიმართ.	ვინმელ		
ნათეს.	ვინმეს(ი)	ვის... მე (ვისგანმე)	ვისმეს
მოქმედ.	ვინმეთი		

სახ.	- რამე რამ, რაიმე		
მოთხრ.	რამემ		რაიმემ
მიცემ.	რამეს	რასმე	რაიმეს, რასმეს
მიმართ.	რამელ	რადმე	რაიმედ
ნათეს.	რამეს(ი) რამის	რის...მე (რისგანმე), რისამე	რაიმეს, რისიმე
მოქმედ.	რამეთი რამით	რითმე, რითიმე	რაიმეთი

მრავლობით რიცხვში:

სახ.	ვინმეები
მოთხრ.	ვინმეებმა
მიცემ.	ვინმეებს
მიმართ.	ვინმეებად
ნათეს.	ვინმეების
მოქმ.	ვინმეებით

სახ.	რამეები
მოთხრ.	რამეებმა
მიცემ.	რამეებს
მიმართ.	რამეებად
ნათეს.	რამეების
მოქმ.	რამეებით

სახ.	რამდენიმე	
მოთხრ.	რამდენიმე	
მიცემ.	რამდენიმეს	რამდენსამე
მიმართ.	რამდენიმედ	რამდენადმე
ნათეს.	რამდენიმეს(ი)	რამდენისამე
მოკმედ.	რამდენიმეთი	

სახ.	რომელიმე	
მოთხრ.	რომელიმე	
მიცემ.	რომელიმეს	რომელსამე
მიმართ.	რომელიმედ	
ნათეს.	რომელიმეს(ი)	რომლისამე
მოკმედ.	რომელიმეთი	

სახ.	ორივე		ორთავე
მოთხრ.	ორივემ	ორამავე	ორთავემ
მიცემ.	ორივეს	ორსავე	ორთავეს, ორსავეს
მიმართ.	ორივედ	ორადვე	ორთავედ
ნათეს.	ორივეს(ი)	ორისავე	ორთავეს(ი)
მოკმედ.	ორივეთი	ორითვე	ორთავეთი

შრავლობით რიცხვში:

სახ.		ორნივე, ორივენი	ორთავენი
მოთხრ.		ორთავე	
მიცემ.		ორთავე	
მიმართ.			
ნათეს.		ორთავე	
მოკმედ.			

მხოლოდობით რიცხვში:

სახ.	იგივე	
მოთხრ.	იბანვე მანვე	იგივემ
მიცემ.	იბასვე მასვე	იგივეს
მიმართ.	იბადვე მადვე	იგივედ
ნათეს.	იბისვე მისვე	იგივეს(ი)
მოკმედ.	იბითვე მითვე	იგივეთა

შრავლობით რიცხვში:

სახ.	იგივენი იგინივე
------	--------------------

ძირითადია:

დახაშვებია:

უარხაყოფია:

სახ.	ერთი და იგივე		
მოთხრ.	ერთმა და იმავემ	ერთმა და იმანვე	ერთი და იგივემ
მიცემ.	ერთსა და იმავეს ო	ერთსა და იმასვე	ერთი და იგივეს
	ერთ და იმავეს		
მიმართ.	ერთსა და იმავედ ო	ერთსა და იმაღვე	ერთი და იგივედ
	ერთ და იმავედ		
ნათეს.	ერთისა და იმავეს(ი) ო	ერთისა და იმისვე	ერთი და იგივეს(ი)
	ერთი და იმავეს(ი)		
მოქმედ.	ერთითა და იმავეთი ო	ერთითა და იმითვე	ერთი და იგივეთი
	ერთი და იმავეთი		

სახ.	ვილა ო ვინლა		
მოთხრ.	ვილამ	ვინლა	
მიცემ.	ვილას	ვისლა	
მიმართ.	ვილად		
ნათეს.	ვილას(ი)	ვის...ლა. (ვისთვისლა)	
მოქმედ.	ვილათი		

სახ.	რალა		
მოთხრ.	რალამ	რამლა	
მიცემ.	რალას	რასლა	
მიმართ.	რალად	რადლა	
ნათეს.	რალას(ი)	რის...ლა	(რისთვისლა) რილას
მოქმედ.	რალათი	რითლა	რილათი, რილით

სახ.	ვილაცა ო ვილაც		
მოთხრ.	ვილაცამ	ვილაშაც	
მიცემ.	ვილაცას	ვისლაც, ვილასაც	
მიმართ.	ვილაცად	ვილადაც	
ნათეს.	ვილაცას(ი) ო ვილაცის	ვის...ლაც (ვისგანლაც)	
		ო ვილას(გან)აც	
მოქმედ.	ვილაცათი ო ვილაციით	ვილათიც	

სახ.	რალაცა ო რალაც		
მოთხრ.	რალაცამ	რალაშაც	
მიცემ.	რალაცას	რასლაც, რალასაც	
მიმართ.	რალაცად	რადლაც, რალადაც	
ნათეს.	რალაცას(ი) ო რალაცის	რის...ლაც (რისგანლაც) ო	რილაცის
		რალას(თვის)აც	რილას(თვის)აც
მოქმედ.	რალაცათი ო რალაციით	რითლაც, რალათიც	რილაციით

შრავლობით რიცხვში:

სახ.	ვილაცები	ვილაცეები
მოთხრ.	ვილაცებმა	ვილაცეებმა

ძიჩითაღია:**ღახაშეგებია:****უარხაყოფია:**

მიცემ. ვილაცებს
 მიმართ. ვილაცებად
 ნათეს. ვილაცების
 მოქმედ. ვილაცებით

ვილაცებს
 ვილაცებად
 ვილაცების
 ვილაცებით

სახ. ვილაც-ვილაცები
 მოთხრ. ვილაც-ვილაცებმა
 მიცემ. ვილაც-ვილაცებს
 მიმართ. ვილაც-ვილაცებად
 ნათეს. ვილაც-ვილაცების
 მოქმედ. ვილაც-ვილაცებით

ვილაც-ვილაცები
 ვილაც-ვილაცებმა
 ვილაც-ვილაცებს
 ვილაც-ვილაცებად
 ვილაც-ვილაცების
 ვილაც-ვილაცებით

სახ. რალაცები
 მოთხრ. რალაცებმა
 მიცემ. რალაცებს
 მიმართ. რალაცებად
 ნათეს. რალაცების
 მოქმედ. რალაცებით

რალაცები
 რალაცებმა
 რალაცებს
 რალაცებად
 რალაცების
 რალაცებით

სახ. რალაც-რალაცები
 მოთხრ. რალაც-რალაცებმა
 მიცემ. რალაც-რალაცებს
 მიმართ. რალაც-რალაცებად
 ნათეს. რალაც-რალაცების
 მოქმედ. რალაც-რალაცებით

რალაც-რალაცები
 რალაც-რალაცებმა
 რალაც-რალაცებს
 რალაც-რალაცებად
 რალაც-რალაცების
 რალაც-რალაცებით

მხაზღერღლად გამოყენების შემთხვევაში:

სახ. ვინმე კაცი
 მოთხრ. ვინმე კაცმა
 მიცემ. ვინმე კაცს
 მიმართ. ვინმე კაცად
 ნათეს. ვინმე კაცის
 მოქმედ. ვინმე კაცით

სახ. რამე საქმე
 მოთხრ. რამე საქმემ
 მიცემ. რამე საქმეს
 მიმართ. რამე საქმედ
 ნათეს. რამე საქმის
 მოქმედ. რამე საქმით

რაიმე საქმე
 რაიმე საქმემ
 რაიმე საქმეს
 რაიმე საქმედ
 რაიმე საქმის
 რაიმე საქმით

სახ. რამღენიმე სიტყვა
 მოთხ. რამღენიმე სიტყვამ
 მიცემ. რამღენიმე სიტყვას

რამღენისამე სიტყვას

ძირითადია:

დახაშვებია:

უარსაყოფია:

მიმართ.	რამდენიმე სიტყვად		
ნათეს.	რამდენიმე სიტყვის	რამდენისამე სიტყვის	
მოქმედ.	რამდენიმე სიტყვით	რამდენისამე სიტყვით	
სახ.	რომელიმე მოწაფე		
მოთხრ.	რომელიმე მოწაფემ		
მიცემ.	რომელიმე მოწაფეს	რომელსამე მოწაფეს	
მიმართ.	რომელიმე მოწაფედ		
ნათეს.	რომელიმე მოწაფის	რომლისამე მოწაფის	
მოქმედ.	რომელიმე მოწაფით	რომლისამე მოწაფით	
სახ.	ორივე სკოლა		ორთავე სკოლა
მოთხრ.	ორივე სკოლამ		ორთავე სკოლამ
მიცემ.	ორივე სკოლას	ორსავე სკოლას	ორთავე სკოლას
მიმართ.	ორივე სკოლად		ორთავე სკოლად
ნათეს.	ორივე სკოლის	ორისავე სკოლის	ორთავე სკოლის
მოქმედ.	ორივე სკოლით	ორისავე სკოლით	ორთავე სკოლით
სახ.	იგივე წიგნი		
მოთხრ.	იმავე წიგნმა		იგივე წიგნმა
მიცემ.	იმავე წიგნს		იგივე წიგნს
მიმართ.	იმავე წიგნად		იგივე წიგნად
ნათეს.	იმავე წიგნის		იგივე წიგნის
მოქმედ.	იმავე წიგნით		იგივე წიგნით
სახ.	ერთი და იგივე წიგნი		
მოთხრ.	ერთმა და იმავე წიგნმა		ერთი და იგივე წიგნმა
მიცემ.	ერთსა და იმავე წიგნს		ერთმა და იგივე წიგნს
	ერთ და იმავე წიგნს		ერთი და იგივე წიგნს
მიმართ.	ერთსა და იმავე წიგნად		ერთ და იგივე წიგნს
	ერთ და იმავე წიგნად		ერთი და იგივე წიგნად
ნათეს.	ერთისა და იმავე წიგნის		ერთ და იგივე წიგნად
	ერთი და იმავე წიგნის		ერთი და იგივე წიგნის
მოქმედ.	ერთითა და იმავე წიგნით		ერთი და იგივე წიგნის
	ერთი და იმავე წიგნით		ერთი და იგივე წიგნით.
სახ.	ვილაც(ა) კაცი		
მოთხრ.	ვილაც(ა) კაცმა		
მიცემ.	ვილაც(ა) კაცს		
მიმართ.	ვილაც(ა) კაცად		
ნათეს.	ვილაც(ა) კაცის		
მოქმედ.	ვილაც(ა) კაცით		
სახ.	რალაც(ა) საქმე		
მოთხრ.	რალაც(ა) საქმემ		
მიცემ.	რალაც(ა) საქმეს		
მიმართ.	რალაც(ა) საქმედ		
ნათეს.	რალაც(ა) საქმის		
მოქმედ.	რალაც(ა) საქმით		

თანდებულთა და თანდებულთან სახელთა მართლმართა

თანდებული დაერთვის მიცემითს, ნათესაობითს, მოქმედებითსა და მიმართულებითს ბრუნვებს. თანამედროვე ქართულში ზოგი თანდებული თითო ბრუნვას ერთვის, ზოგიც — ორ ბრუნვას. თითო ბრუნვას ერთვის: ზე, ში, თან (მიცემითს); კენ, თვის (ნათესაობითს); მღე || მღის (მიმართულებითს); ურთ (მოქმედებითს). ორ ბრუნვას ერთვის გან (მოქმედებითსა და ნათესაობითს). ყველა ეს თანდებული დღევანდელ ქართულში ერთმარცვლიანია და შერწყმულია სახელის ბრუნვის ფორმას, მაშინ რაცა ძველ ქართულში მათი უმრავლესობა ორმარცვლიანი იყო და არ იყო შერწყმული სახელის ბრუნვის ფორმას. შერწყმის პროცესში ბევრ შემთხვევაში შედეგად ის მივიღეთ, რომ ცვლილებები მოხდა როგორც ბრუნვის ფორმაში, ისე თანდებულებშიც. ამის გამოა, რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში ზოგ შემთხვევაში პარალელური ფორმები გვხვდება და ზოგი საკითხი მოსაგვარებელია.

პარალელურ ფორმათა არსებობას სალიტერატურო ენაში ის ფაქტიც იწვევს, რომ ზოგი თანდებული კლოებში სხვადასხვა სახით არის წარმოდგენილი, თანაც ბრუნვის ფორმასთან შერწყმისას სალიტერატურო ენისაგან განსხვავებული პროცესებია მომხდარი. კლოებიდან, განსაკუთრებით მწერლობის გზით, ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენაშიც იჭრება, რაც ფორმათა ნაირგვარობის წყაროა.

1. ზე თანდებული მიცემით ბრუნვას დაერთვის და სამი სახით გვხვდება: ზედა, ზედ და ზე. ზედა სახეობა იხმარებოდა ძველ ქართულში, ცალკე იღვა და მიცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ძველ ქართულში იგი ნათესაობით ბრუნვასაც დაერთოდა. ზედ და ზე სახეობები ზედა-ს გამარტივებისა და გაერთმარცვლევანების შედეგია და შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან. შერწყმისას მიცემითი ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია ყველგან: თანხმოვანფუძიან სახელებთანაც და ხმოვანფუძიანებთანაც. მიცემითის -ხ დატულია მხოლოდ III პირის ნაცვალსახელში: შა-ხ-ზე, მაგრამ ჩვენებითი ნაწილაკების დართვისას აქაც იკარგება: აშა-ზე, იშა-ზე...

ქართული მწერლობის კლასიკოსებთან ზედ და ზე სახეობები ორივე თანაბრად გვხვდება.

ველი მწიანე შამს იქავე ქვ ა ზ ე წამოანთხეს (აჟაჟი).

რამდენიმე ზოვი კ არ ე ბ ზ ე დააენეს ქობით (აჟაჟი).

ჩემ სიტყვა-პ ის უ ბ ზ ე დედას ეცნებოდა და თავზე მისვამდა ხელს (აჟაჟი).

შე იმ დ ე დ ე ზ ე სიტყვი ძალიან გაოგრძელე (ილია, ავტორადი).

იმის ნასროლმა საფინტმა ზუზუნით თ ა ე ზ ე გადამიარა (ილია).

გორაკიმ ამის თ ქ შ ა ზ ე ფეხი კიდევ წაქრა (ილია).

დედაჩემი დაწებოდა გ ო რ ა ე ზ ე (აფთა).

წინდის ქ ო ბ ზ ე ჩამოცმული ვროდა მქართველსაგან გაყოთლებული ტყაის ქელი (აფთა).

ს ა ბ ძ ე ზ ე ყარტი დამაალა და დახლა დაფენილა (აფთა).

მამაჩემი თავის დ რ ო ბ ზ ე განთქმულ მოქალაქე იყო (აჟაჟი).

შუა სარო სათივისა ორ ადგილზე-ლა ჩანდა და სათივე ეწეროზე ადიოდა
თავის მოსაბმულად (ილია).

მაგრამ:

არჩილმა თავის ოთახში აატანა გიორგი და თავის ლოგინზე დააწესა (ილია).
იმ გუდიან ვარკელაზე და გველეშაქზედ სომხების ტერორებს თავიანთი
ქარაბადნი ვაუშლიათ (ილია).

ვიორგი ცოცხალ-მკვდარი ნახეს დედაშიწაზედ პირქვე დაბზობილი (ილია).

კისომ აღარ აცალა, წაელო ხელი სახელოზედ და გამოსწია (ილია).

სამშუშაოზედ არსად წახვლედ. კისოს შერთან სავშე აქვს (ილია).

მე იმ მდებელზედ სიტყვა ძლიან გავივრძედი (ილია).

ლუარსაბი ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლდა (ილია).

ნასწადელი ვატი არის, ტანზედ ფრთხილად აუთო (აქაქო).

მის ცხენზედ მის მებრძოლს ქაზობდა (აქაქო).

თუ არ მოვქვედი, ფუქად არ გაივლის ჩემზედ ხარჯი (აქაქო).

ჩემს აგლახის ნაამბობზედ შენი აზრი მალე მაინებ (ილია, ავტოგრაფი).

სოფლიდამ გზის პირებზედ გამოქუჩა ხალხი (ვაფა).

მაგრამ შეხედა მალა გორაზედ (ვაფა).

ტანზედ მაცია... თხელი ქათობი (ვაფა).

ამეამდ ვაბატონებულია ზე სახეობა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევებში იხმა-
რება ზედ და ზედა სახეობებიც.

ზედ სახეობა იხმარება ვე ნაწილაკის დართვისას: თავზედვე, მთაზედვე...
თქვენზედვე.

ხანალო ტანზედვე გაისწორა (აქაქო).

ზედა სახეობა იხმარება ც(ა) ნაწილაკის დართვისას: თავზედაც, მთაზე-
დაც, თქვენზედაც, ჩემზედაც....

ვეი არ არის, რომ ჩემს ვაჩქედა ეხედაც შემდეგი წარსულა (აქაქო).

იქნებ... როგორც თავისი შერი გულზედაც მიმიყრას (ილია, ავტოგრაფი).

ზედა სახეობა იხმარებოდა ზოგ მწერალთან იმ შემთხვევაშიც, როცა ამ
თანდებულიანი სიტყვა ფრახის შემეკრულად გვევლინება (უთანდებულო სახელი
ამ შემთხვევაში ემფატიკური ხმოვინთაა წარმოდგენილი).

უკეთესა კახლის თარგმანზედა (ილია).

დასვენეს ტახტზედა (ილია).

რალა ნალექმა გადაურბანა გაფორებულ სახეზედა (ილია, ავტოგრაფი).

ზედა სახეობა ჩვეულებრივად აგრეთვე პოეზიის ენაში:

ვაიბედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო,
შინ მუქარები მიუძღოს, დაგმილი ჩემზედაო... (ხალხური).

ამოდ სიტყვებს ხხარაქადა

ძობა-ფრთხილის ქანგზედა, —

ბოლო ეღუბა ყოდასა,

ჩამოკიდებულს ხაესზედა,

წუელს კი თვისი ტოტები

გაუფარჩხა განზედა (ვაფა).

2. ში თანდებულიც მიცემით ბრუნვის დაერთვის. ძველ ქართულში გვექონდა
შინა, შემდგომ აგრეთვე შიგან. ესენი ცალკე მდგომი თანდებულები იყო და მი-
ცემითი ბრუნვის ფორმა სახელისა უცვლელად იყო წარმოდგენილი. ახლანდელი
ში შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან და ბრუნვის ფორმანტი დაკარგულია.
ბრუნვის ნიშანი დაკულია მხოლოდ მესამე პირის ნაცვალსახელთან: მასში
(მაგრამ: ამაში, იმაში...).

დიალექტებში არის შიდ, ჩი, ჩიგ, ჩიგა სახეობები, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ეს სახეობები არ გვხვდება.

ც(ა) ნაწილაკის დართვისას გვხვდება შიი სახეობაც, რაც ძველი სახეობებიდან მომდინარეობს.

ზოგი ჩემს გულშია ჩაიხლევ (ილია).

კარზე გამოვილოდი კი არა, ოთახშია ცერ ვრჩებოდი (აკაკი).

შეტი მოინდომა და სიძნელეშია ჩაივლო თავი (აკაკი).

მიუხედავად ამისა, ც(ა) ნაწილაკის დართვისასაც ში სახეობაა დღევანდელ ქართულში გაბატონებული.

3. მიცემით ბრუნვას დაერთვის თან თანდებულაც. იგი ძველი ქართულის ცალკე მდგომ თანა თანდებულისაგან მომდინარეობს, რომელიც ძველ ქართულში მიცემითსაც დაერთოდა და ნათესაობითსაც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი -ს დაკარგულია (ე. ი. სთ კომპლექსი გამარტივებულია) თანხმოვანფუძიან სახელებთან, მაგრამ შემონახულია ხმოვანფუძიანებთან (ხახლ-თან, ბად-თან, მაგრამ ეზო-ხ-თან, შამა-ხ-თან). მთის კილოებში მიცემითის ფორმანტი თანხმოვანფუძიანებთანაცა შემონახული (ხახლ-ხ-თან, ქალ-ხ-თან). სხვა აღმოსავლურ კილოებში ხ ხმოვანფუძიანებთანაც იკარგება ზოგჯერ (შამათან) ან უფრო ხშირად სესტდება და მას ა ცულის (შამა-ა-თან), ზოგ დასავლურ კილოში კი ხმოვანფუძიან სახელებში მიცემითის ხ შემონახულია, მაგრამ სამაგიეროდ თანდებულის თ ელემენტი დაკარგული და სთ კომპლექსი ამ გზითაა გამარტივებული (ეზო-ხ-ან, შამა-ხ-ან).

ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ქართულზე ზეგავლენას ვერ ახდენს.

ც(ზ) და ვე ნაწილაკების დართვისას ძველი თანა სახეობაც იხმარება (ამხანაგთანც და ამხანაგთანაც, დედასთანც და დედასთანაც, ამხანაგთანვე და ამხანაგთანვე, ამასთანავე...).

4. ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის -თვის თანდებული. ამ თანდებულის დართვისას ბრუნვის ფორმაში ცულობები არ ხდება. ბრუნვის ფორმა გაუფრცობლადაც შეიძლება იყოს წარპოდგენილი და გაუფრცობილადაც (ამხანაგისთვის და ამხანაგისათვის, შამისთვის და შამისათვის). აღმოსავლურ დიალექტებში გვხვდება თვინ, თვინა, თვი სახეობები, რომელთაგან თვინ ზოგ დასავლურ დიალექტში ნაშთის სახითაა შემორჩენილი. ამ სახეობებმა ადრევე იჩინა თავი მხატვრულ ლიტერატურაში და საკმაოდ ხშირად გვხვდება XIX საუკუნის კლასიკოსთა ენაშიც (თვინ — ილიასთან, ა. ყაზბეგთან, თვი — ვაჟა-ფშაველასთან). ამჟამად ეს კილოური მოვლენები სალიტერატურო ენაზე გავლენას ვეღარ ახდენს და თვის სახეობაა გაბატონებული.

5. კენ თანდებული ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის. ბრუნვის ფორმაში ცულობები არც ამ თანდებულის დართვისას ხდება. ბრუნვის ფორმა ამ შემთხვევაშიც შეიძლება გაუფრცობილიც იყოს და გაუფრცობელიც (სახლისკენ და სახლისაკენ, ეზოსკენ და ეზოსაკენ). მთის კილოებში (მაგ., ფშაურში) გვხვდება კე, კ სახეობაც, რომელიც ფართოდაა წარპოდგენილი ვაჟა-ფშაველას ნაწერებში. კე სახეობა ჯერ კიდევ „ვეუბისტყაოსანში“ გვხვდება. დღევანდელ სალიტერატურო ენაში მხოლოდ კენ სახეობა გვაქვს.

6. მდე || მდის თანდებული დაერთვის მიმართულებითი ბრუნვის ფორმას. ძველ ქართულში მიმართულებითი ბრუნვის დ მდე || მდის თანდებულას წინ მეტ-
7. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები

წილად დატული იყო (დღე-დ-მდე II დღე-დ-მდის, სახლ-ად-მდე...). მაინც მიმარ-
თულებითს ღ ამ თანდებულს წინ ადრევე დაიკარგა. ასევეა დღევანდელ ქარა-
თულშიც. მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებშია შემონახული მიმარათულებითი
ბრუნვის ნიშნის ა ელემენტი (სახლ-ა-მდე). ძველ ქართულ სალიტერატურო
ენაში გვხვდებოდა ამ თანდებულს ორი ვარიანტი: მდე და მდის, რომელთაგან
უფრო გავრცელებული იყო მდე. XVI—XVIII საუკუნეების სალიტერატურო ენაში
ამათ დაემატა მდენ, მდენა, მდი, მდინ, მდინა, მდისინ, მდისინა ვარიანტები.
ეს ვარიანტები ამჟამადც დატულია კოლოებში და ზოგი მათგანი გვხვდება XIX
საუკ. II ნახევრის მწერალთა ენაშიც. მაგალითად:

სილომონა ქი შერამდი შიაცლა (დ. კლდ.).
თუ გაქრდა... ხელმწიფე მდი ევლიო (ილია).
ხორიდან დაწვეული სულამდინ გამცლა (გ. წერ.).
თაუდან ფეხებამდინ ურულამ გამარა (ილია).
შემოდგომამდინ გაუძლო (ილია).
ანუგეშებს საფლავს კარამდინა (ილია).
აქვეებოდა რეს თაქამდინა (ილია).
აქამდისინ მთელ რუსეთი ფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვა
(ილია, ავტოგრაფი).

ტყუამ აქამდისინ ვერ მოჰოვა (ილია).
მანამდისინ ტყული არ მეთო (დ. არაღ.).

არც ერთი ეს სახეობა XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დამდე-
გის სალიტერატურო ენისათვის აქტუალური აღარ იყო, გარდა მდი და მდინ
სახეობებისა. მდი სახეობა გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოდან გა-
მოსულ მწერალთა ნაწერებში (აკაკი, დ. კლდიაშვილი, ნ. ლორთქიფანიძე...),
დაეინებოთ იცავდა ამ სახეობას ცნობილი გრამატიკოსი სილ. ხუნდაძე. მდინ
სახეობა ფართოდ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერლებთან,
მაგ., ილიასთან.

მდი: შირი ნიყო მე სხვა და სხვა შემთხვევის გამო ხუთ შაბათამდინ ვერ მოვლევარ (აკაკი)-
სკოლაში იმას თუ გასწავლიან, შუადღემდინ ოძირეო? (ვაფა).

მდინ: ლუარსაბა სოხარ თაუდან ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო (ილია),
დაღესტანამდინ იმის სახელი გუარდნოლი იყო (ილია).

იმათ ფეხი საღ მოუწყდებათ თქვენამდინ (ილია).

ჩემი სახელი დათიკომდინ მისულყო (ილია).

აქამდინ მე სულელ კოდვე რაღაცას ევლიო (ილია).

თაუდან ბოლომდინ გაუქსოლა (ილია).

მოდელმა არ მუშა მუხლებამდინ (ილია).

შეიღის წილგან ოც წლამდინ ჩემი განთადის დღეი ბატონის სახლში
დამოამებია (ილია).

ავადმყოფობამ ამ დღემდინ მიმოყვანა (ილია).

ჩვენ იქამდინ ხელი არ მოგვიწყდება (ილია).

არა გვიქრს, შენი ჰირიბე, დღესნამდინ კოცლები ერთ (ვაფა).

ძირითადი სახეობები ამ დროს მაინც მდე და მდის იყო.

მდე: ფოთამდე ორ დღეს მოეუნდი სთარულს (აკაკი).

კარგი, გაჩაღდი მაგრე კლასის გამოსულამდე (აკაკი).

წაიყოზე თაუდან ბოლომდე (აკაკი).

მე აწერე, წლიდან წლამდე რას ვაქუთბლო (აკაკი).

თვალის დახამხამებამდე გამოეწყენე (აკაკი).

იმ დამეს ოთარანთ ჭერეს დილამდე ძლი არ მოქარებია (ილია).

ვლემ ტყინდამ გულამდე უძალად გამიბინა (ილია).

ფეხი ძლეს მაწყენდა სამე ურმის ქალებამდე ფეხის მოსკიდებლად (ილია).

სახლდამ ეკლესია: მღვდელ და მკურნალსა და სხვათა და მღვდელსა და მკურნალსა
არჩილს (ილია).

[დღეისა და კონდას] ბრძოლა დღოდამ საღამომღვდელ გავრძელდა (ვაჟა).

... ჩამოვიარდნა შედლი... რომელმაც ბევრი-ბევრა დიდმარხევა მღვდელსა და მკურნალს
(ვაჟა).

მზეს ერთი შუბის ტარი-ლა ჩადიოდა ჩასვლამღვდელს (ვაჟა).

მღის: მთელ დღე საღამომღვდელს, სანამ ლოცვა არ გამოვიდოდა, წყლის მუცს არაფერს
მ-გუჯარბლან (ავაჟი).

ლოლდან საღამომღვდელს ვლელ ხან ერთს და ხან მუორეს (ავაჟი).

იმ დღეს რაღა მოსწარებოდა, მავრამ სწორამღვდელს კი მომტანეს ახალი (ავაჟი).

კლასის გათავებამღვდელს ოთხჯერ კიდევ დამკრა (ავაჟი).

ოთხარანთ ქეროვისა ეზონდათ, გუბერნატორამღვდელს ივლისო (ილია).

ფერის ცეცხლმღვდელს არ მოიცილეს ზოლმე (ილია).

აქამღვდელსა მკურნალს (ილია).

ამოღრუბრნა წიფელი გულამღვდელს (ვაჟა).

შენ ბევრს მშველი, თორემ აქამღვდელს ჩუპის ქათობის ბეწვიც არ იქნებოდა (ვაჟა).

შხაუნდა წუბას არ უშეებენ ჩემამღვდელს (ვაჟა).

ყელამღვდელს სიხარულით მოყარნენ (ვაჟა).

კაცი სულით ხორცამღვდელს დაიარგებოდა (ა. უაზბ.).

საქმე სოფელს სასამართლომღვდელს მივიდა (დ. კლდ.).

შთანი... ცათამღვდელს აუღებულნი, სხედან, ერთ დღე (ზ. ორბ.).

ც ნაწილათს დართვისას ა ხმოვანი გაჩნდება: აქამღვდელს—აქამღვდელსა.

დღეებანდელს სალიტერატურო ენაშიც ანალოგიური მდგომარეობა გვაქვს:

მღვ და **მღის** სახეობები თითქმის თანაბრად გავრცელებულია. ამასთან, **მღის** სახეობა გამოყენებული ზოგიერთ გაქვევებულ გამოთქმაში, როგორცაა, მაგალითად, გამოთხოვების ფორმულები; ნახვამღის, ხვალამღის; ენობრივად ორივე ვარიანტი სწორია, ფუნქციური განსხვავება მათ შორის არ არის

მაინტლამანც, უფრო გავრცელებული **მღვ** სახეობაა.

7. გან თანდებული ორ ბრუნვას დართვის: ნათესაობითსა და მოქმედებითს. ნათესაობითს დართვისას ბრუნვის ფორმა გაუვრცობლადაც შეიძლება იქნეს წარმოდგენილი და გავრცობილადაც (შვილისგან და შვილისაგან, გოგოსგან და გოგოსაგან, ძმისგან და ძმისაგან), მოქმედებითს დართვისას კი—მხოლოდ გაუვრცობლად.

როდესაც გან თანდებული ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელსა დართული, მაშინ თანდებულდართული ფორმა სახელისა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე აშხანაგისგან... შეპირს ჭარხლისგან ამზადებენ...). როცა გან თანდებული მოქმედებით ბრუნვასაა დართული, თანდებულაანი ფორმა აღნიშნავს მოქმედების დაწყების ადგილს ან მოქმედების დაწყების დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან?, ე. ი. ასრულებს ე. წ. დაწყებითი ბრუნვის ფუნქციას.

ამ უკანასკნელი ფუნქციით ძველ ქართულში იხმარებოდა უთანდებულა ფორმა (ქალაქით; იგინი წარვიდეს ადრე მიერ საფლავით.—**მ.** 28.8; გარდამოტდა იგი მიერ მითით.—**მ.** 8.1; მე ოდეს აღმალდე ქუეყანით.—**ი.** 12.32). შემდგომ ამ ფორმას გან თანდებული დართო (ქალაქითგან; პირველითგან იყო სიტყვა.—**ი.** 1.1; რომლისა თანა იყო სული უძღვრებისა ათრვამეტი წლითგან.—**ლ.** 13.11; დასდვა იობს წყლულება ბოროტი ფერკითგან ვიდრე თავამდე.—**იობ.** 2.7; მოვიდეს ქართლით.—**ხანძო.**). ამას მოჰყვა ფონეტიკური პროცესები: ჭერ თანდებულის ჰელერი გ-ს ზეგავლენით ბრუნვის ნიშანი თ

გამედერდა და დ-დ იქცა (ქალაქ-იდ-გან), შეძღვომ კი თანდებულის გ-ც და-
იკარგა და დაგერჩა ქალაქ-იდ-ან.

უთანდებულო ფორმები დაწყებითი ბრუნვის ფუნქციით ძველი ქართულის
მსგავსად ამჟამადცაა დაცული მთის კილოებში:

სანამ იოცხლე, გოგოთურ,
სანამ ცასა სდის ნამა,
სანამ მზე ათბობს ქვეყანას,
დღა-სალამოს ეამია;
სანამ ტყეს ესხმის ფოთლო,
მიწა ამცენებს მწვანოსა,
სანამ ჭინჭელა ქაღალქით
ზურგით მაიტანს მართლს... (ვაჟა).
ქერ მფის სიტყვა არა სჩანს:
„შეშვესთა მტერო,
ფშავით მოიღეს ლაშქარი,
ჩემი ერთგული ვრო“ (ვაჟა).
მე კვირა ვარ, მიტრებ,
თუ შევით მოსულ მზორია (ვაჟა).

ქალაქით = ქალაქიდან; ფშავით = ფშავიდან; თუ შევით = თუ შევითიდან.

იდ-გან ფორმა საკმარის ბშირად გვხვდებოდა XIX საუკუნის მწერალთა
ენაში. ამჟამად დაცულია ზოგ კილოში (მაგალითად, იმერულში).

მორიდგან ვუმზერდე სასურველ მხარეს (გრ. ორბ.).
ცისა ფერს... სიყრმიდგან ვპრთოლი (ნ. ბარათ.).
შოდის წლიდგან მოკვებულო... ბატონის სახლში დამიღამებია (ილია).
გაჩენის დღითგან კაცის ხელი არ მოხვედრია (ილია).
იმ უბედურის წამიღგან აღარ მოპირებია გიორგას (ილია).
შინიღგან ეყბო არ გამოუღვამს (ილია).
ცხერიდგან რაისთი მოსულხარ? (ა. ყაზბ.).
თვალეზიღგან ცეცხლსა ჰყრიდა (ა. ყაზბ.).

ქერ კიდევ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოკლებულია გან თანდებულაან მოქმედ-
ბითს დაღმა || დაღმედან მომდინარე დამ თანდებულაანი ფორმები შეენაცვლა
ბევრ შემთხვევაში. ვანსაკუთრებით ფართოდ მოიქცა დამ თანდებულაანმა ფორ-
მებმა ფეხი XVII—XVIII საუკუნეებსა სლატერატურო ენაში და კიდევ უფრო
ფართოდ გავრცელდა XIX საუკუნეში აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ
მწერალთა ნაწერებში (ილიასთან, ვაჟასთან...).

ვლადიკავკასილამ ტოლისამდე (ილია).
ქალაქილამ ერთი თუმანი გამოგვუზაენა (ილია).
გვედრებო, გზილამ ჩამოგუკალე (ილია).
დაუთქალ წყელილამ ჩირქი სლიოდა (ილია).
ჩუნის ძელის სახლილამ ბოქსმა გამოგვიარეს (ილია).
მამაქემს პირველი ცოლილამ მარტო მე დაერჩი (ილია).
მთილამ მამლის ყოილამდის ვერ ჩამოხვალ (ა. ყაზბ.).
იასარი ანგელოზი იყო და ანგელოზად ჩამოვიდა ცილამ (ვაჟა).
ხალხმა ღმერთის შესთხოვა, ესწავლებინა მას ხალხისათვის საშუალება იასარას
ტბილამ განთავისუფლებისა (ვაჟა).
ტრღები ხშირი ბალახილამ გავოგუნე, მხარებილამ ნამო გაიპურტყეს (ვაჟა).
თქვენი ლაპარაკილამა სჩანა, ის დითო ვუღვანე უნდა იყო (ვაჟა).

დამ თანდებულის საკითხი სლატერატურო ქართულში ამჟამად აქტიუ-
ლურად აღარაა; მოქმედების დართულმა გან თანდებულაანმა ფორმებმა (იდ-ან ||

დ-ან) გაიმარჯვა. დამ თანდებულ ფართოდაა გავრცელებული აღმოსავლურ კი-
ლოებში, დასავლური კილოებიდან გადმონაშთის სახით გურულშია გვხვდება.

გასული საუკუნის სალიტერატურო ენაში გვხვდებოდა და დღევანდელ სალი-
ტერატურო ენაშიც გვხვდება გან თანდებულდართული ნათესაობითისა და მოქ-
მელებითის აღრევის შემთხვევები.

1) ნათესაობითის ნაცვლად მოქმედებითია ნახმარი:

ყ მ ბ ი დ ა ნ გაგანთავისუფლება (ღ. არდაზ.).

გულდამწვარი ვარ ზოგოერთებიდან (გ. ნინოშვი.).

მაგას მამულის გამყოფელიდან უნდა თუი დეფაროს (ღ. კლდ.).

2) მოქმედებითის ნაცვლად ნათესაობითია ნახმარი:

სინათლე... შემოდოდა თანქრებისაგან (გ. ნინოშვი.).

ძველ ქართულში გან თანდებულნი ნათესაობითის გამოყენებ; იმ შემთხ-
ვევაში, როცა დღევანდელ ქართულში გან თანდებულნი მოქმედებითი იხმარება,
ჩვეულებრივი იყო:

გამოველ ქუეყანისაგან შენისა და ნათესაისაგან შენისა და სახლისაგან
მამისა შენისა (ანო).

ვითარცა ზღვსაგან წუთი წყალი ვინმე აღმოიღო (ხანძთ.).

აღმოიღე... ღირშ იგი თუალისაგან შენისა (ხანძმეც).

-ც(ა) ნაწილაკის დართვისას ორი ფორმა გვაქვს: ძმისაგან-ც და ძმისა-
გან-ა-ც, ხოლო -ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ ერთი: ძმისაგან-ვე.

8. ვით თანდებულად ქცევის გზაზე დამდგარი ნაწილაკთა და თანამედროვე
ქართულში ორ ბრუნვას დაერთვის: მიცემითსა და სახელობითს. XIX საუკუნის
ზოგი მწერლის (ილია, ნ. ლომოური) ენაში ვით ნათესაობით ბრუნვას დართუ-
ლიც გვხვდება.

თანამედროვე ქართულმა სალიტერატურო ენამ ასეთი ფორმები აღარ იცის.

1) მიცემით ბრუნვაში ვით დაერთვის:

ა) ბოლოთანხმოენიანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოდობითსა და
მრავლობით რიცხვში).

იმას თურმე დარეჟან ბატონიშვილი აგონდებოდა, რომელიც შეიღსავეით ზრღოდა
(აქაქი).

მაშინ გამოუტყვრა განწირულსავეით უცნაურა ბედი და თალსა და ხელ მუა
დაგვემარგა (აქაქი).

იმავე კრებამ საყვედურსავეით მოთხრა (აქაქი).

შენ უნამუსობაზედ ქათამსავეით ზედ წაგაქავე (ილია, ავტოგრაფი).

ლხინსაც კირსავეით ძლის გაფრთხობა მსკოდია (ილია, ავტოგრაფი).

ზოგიერთ კაცსავეით ხაცა მისულხარ, იქაური ქული დავიხურავს (ილია).

დღამიწას მწვანე ხავერდსავეით ჩქვილის ყდა გადაეკერება (ილია).

პეტრეც შორახლო მივდლო და მკედარსავეით აღიძინა (ილია).

ბ) ბოლოხმოენიანი სახელების -ებ სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის გა-
ვრცობილ ფორმას (ასეთი ფორმები ბოლოთანხმოენიანთა რიცხვში ექცევა).

ყონულად ტყელი ნაწური ჩურჩხელბსავეით ყიდა ხის ტოტებს (ილია).

არა თუ გადამბტერება სხეებსავეით, პირქით, დღე პარტიკისმკელი იყო ჩემი
(აქაქი).

ისინი არ მიყურებდნენ სხეებსავეით (აქაქი).

გ) ბოლოხმოენიანი სახელების გავრცობილ ფორმას (მხოლოდობით რიცხვში).

ზოგი კოდოს იყიდებს ზურგზედ და ტყეიასავეით შიძმეს (ილია).

გლახასავეით თქვენ შემოგყურებთ და გაწუხებთ (ილია).

მოქირა ვერა ზედ მერსხლს ბუდესავეით ერთ მსორელა თუერულ (ილია)..
უცაბედად თუებზე დადგა კატასავეით (აჟაი).
ხედაუნეხი... კალიასავეით მომთენოდნენ ქალეს (აჟაი).
ხელში ჩქერენ ირუეს რა-ტაფელასავეით (აჟაი).
სასახლ... მხესავეით ლალაზდა (ვაფა).
დახლდას... ლოქოსავეით პირ დაელა (ვაფა).
მეუღლურულ ბაღეზი, ტიკქორასავეით დახელოზი, მირბი-მორბიან (ვაფა).

დ) ნაცვალსახელების გავრცობილ ფორმას (პირას ნაცვალსახელები შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმებს იყენებენ).

მატო რამ არ წაესულევე ჩემს, ჩემსავეითვე გამაუღელ, მსახურას ანაპარად,
თანამგზავრეო მიშევა (აჟაი).
[დაბუ ჩატს] ჩემსავეით თაი მოსწინდა (ვაფა).

2) სახელობით ბრუნვაში ვით დაერთვის:
ბოლოთანხმოვნიან სახელებს (მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში).

ატალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით (ილია).
პატარა ბიჭი ციბრუტივით მოტრალდა (ილია).
ჩაო, ბატონო, კნუნა თელს გააჟე:ტლა, შევეარდენივით გადმოფრანდებულა
ტახტილამ (ილია).

ის შოლოდ წამხედრობით ბლავის ცხეარვიით (აჟაი)
წინ მე ვაერალო კურდღელივით (აჟაი).
ამ სტყევზე გივივით გამაუარდა (ა. უაზბ.)
ნათლამ ამ სამ წულწადს შილტივით აიგლო ტანი (გ. წერ.).
[დეს] წელს ზევით ლორივით ჯაგარ ასხი: (ვაფა).
კლდე-კ ხავეარდივით მწანე ხავსო გადაქერა (ვაფა).
[ხელი წიფლა] ქიხივით ეხურებოდა თავს მთელს ტუეს (ვაფა).
მტრეო ქორბივით ესოდნენ (აჟაი).
ეს დევებივით ქორაფეზი როგორ აწვდლან ზეად (ვაფა).
სქელ გველებივით დაქაყნილი თესვები (ვაფა).

ამრიგად, ვით დაერთვის ბოლომხოვნიანი სახელებისა და ნაცვალსახელებს მხოლოდ მიცემითი ბრუნვის ფორმებს (გავრცობილს), ხოლო ბოლოთანხმოვნიანი სახელების მიცემითისა (გავრცობილს) და სახელობითის ფორმებს.

ამ შემთხვევაშიც, როცა ვით ბოლოთანხმოვნიანი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას დაერთვის, ასეთ სახელს ჩვენებითი ნაცვალსახელა სახელობითის ფორმით კი არ ეწყობა, არამედ მიცემითის ფორმით (ამ კაცივით, მაგ კაცივით და არა: ეს კაცივით, ეგ კაცივით, ის კაცივით).

ამ წარმოდგენილა მსაღის გათვალისწინებით ბრუნვის ფორმასთან შერწყმული თანდებულნიანი სახელების მართლწერის საკითხები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ამგვარად უნდა მოწესრავდეს:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც თანდებულიანი სახელს ნაწილაკი არ დაერთვის, ზედა, ზედ, ზე სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ სახეობად დარჩეს ზე (თაგზე, ხელზე, მიწაზე და არა: თაგზედ, ხელზედ, მიწაზედ...). ზედა სახეობა ამ შემთხვევაში აღარ გეხებება.

ც) ნაწილაკის დართვისას ძველი (ზედა) სახეობა უნდა დარჩეს უცვლელად (მთაზედაც, მიწაზედაც... და არა: მთაზეც, მიწაზეც...). ისტორიულად, ამ ფორმის ბუნებრივი განვითარების თვალსაზრისითაც ეს ფორმა ერთადერთი მართებული ფორმა.

ვე ნაწილაკის დართვისას იხმარებოდეს ძველი სახეობის ხმოვანმოკვეცილი ვარიანტი ზედ (მთაზედვე, მიწაზედვე... და არა: მთაზევე, მიწაზევე...)

ძველი ზედა სახეობა, რა თქმა უნდა, შეიძლება დარჩეს პოეზიის ენაში, სტილისტიკური საპირობისათვის: „თოვლა დამდნარა მთაზედა, ხვეებზე მოკუფეს ლვარია“. — (ვაჟა).

2. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთი სახეობაა ში. ც(ა) ნაწილაკის დართვისას შეიძლება იხმარებოდეს შია სახეობაც: ამაშიც და ამაშიაც; მთაშიც და მთაშიაც; ბარშიც და ბარშიაც. ამათგან უპირატესობა უნდა მიეცეს პირველს: ამაშიც, მთაშიც, ბარშიც.

3. ც(ა) და ვე ნაწილაკების დართვისას დარჩეს თან და თანა სახეობები თანდებულისა, მაგრამ ც(ა) ნაწილაკის დართვის შემთხვევაში თან სახეობის წინაშე უპირატესობა შეიძლება თანა სახეობას მიენიჭოს (უპირატესია: დედასთანაც, ამხანაგთანაც...), ხოლო ვე ნაწილაკის დართვის შემთხვევაში თან სახეობას (უპირატესია: დედასთანვე, ძმასთანვე, ამხანაგთანვე, თქვენთანვე, ჩემთანვე, მაგრამ: ამასთანვე, ამის მიღებისთანვე).

4. გან თანდებულიან სახელებზე ც(ა) ნაწილაკის დართვისას მიღებულ გან-ც და გან-ა-ც ფორმებისაგან ორივე ლიტერატურულია: ძმისაგანც და ძმისაგანაც. ვე ნაწილაკის დართვისას მხოლოდ უანო ფორმაა შესაძლებელი: ძმისაგან-ვე.

5. მდე, მდის, მდი, მდინ და სხვა სახეობათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შეიძლება დარჩეს მხოლოდ ორი: მდე და მდის (ქალაქამდე და ქალაქამდის, აქამდე და აქამდის). მდის სახეობას ზურგს უმაგრებს ამ თანდებულიანი ზოგი სიტყვა, რომელიც გაქვევებულ ფორმას წარმოადგენს: ნახვამდის, მაგალითად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგ გამონათქვამში მდის იხმარება, უპირატესობა მდე სახეობას უნდა მიეცეს და მას გაეკაფოს გზა, როგორც ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულშიც უფრო გაერკველებულს. ამ სახეობის გაბატონება ხელს შეუშლის -მდი, -მდინ სახეობების გამოყენებასაც.

6. მტყიედ უნდა იქნეს დაცული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული წესი, რომ

ა) გან თანდებული ნათესაობითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა აღნიშნავს ან მასალას, ან მოქმედების წყაროს, ან მოქმედების მიზეზს და მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? (წერილი მივიღე ამხანაგისგან (ამხანაგისაგან); შაქარს ამზადებენ ჭარხლისგან (ჭარხლისაგან); მიწვევა მიიღეს უნივერსიტეტისგან (უნივერსიტეტისაგან)...

ბ) გან თანდებული მოქმედებითს დაერთვის მაშინ, როცა თანდებულდართული ფორმა გამოხატავს მოქმედების დაწყების ადგილს ან დროს და მიუგებს კითხვებზე: საიდან? რა დროიდან? (ქალაქიდან ჩამოვიდა... ახლახან დაბრუნდა უნივერსიტეტიდან... დილიდან წვიმა...).

ამ უკანასკნელ შემთხვევაში ერთადერთი ფორმა იქნება ფონეტიკური პროცესების შედეგად მიღებული იდ-ან, დ-ან ფორმები: ქალაქი-დ-ან, წყარო-დ-ან. დადასტურდეს ქალაქი-დ-გან, წყარო-დ-გან ფორმების საბოლოოდ გაქრობა თანა-

მედროვე სალიტერატურო ქართულში, ისევე როგორც დამ თანდებულებანი ფორმებისა (ქალაქი-დამ, სოფლი-დამ... ფორმების საკითხი თანამედროვე ქართულში აღარ დგას).

7. ბოლო თანხმონიანი სახელებში უპირატესობა მიეცეს ვით ნაწილაკის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან (ლომსავით, კაცსავით) და ამ ფორმებს გაეყაფოს გზა. გათანდებულების გზაზე დამდგარი ამ ნაწილაკის ხმარება სახელობითთან დასაშვებად იქნეს მიჩნეული (ლოშივით, კაცივით).

პირის ნაცვლსახელებს დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი ნაცვლსახელების ფორმა იქნება გამოყენებული და თანხმონიანი ფუძიანობის მიუხედავად ერთადერთ შესაძლებლობას მიცემითს დართვა წარმოადგენს (ჩემსავით, შენსავით, ჩვენსავით, თქვენსავით. შეუძლებელია: ჩემივით, შენივით, ჩვენივით, თქვენივით).

8. თვის, კენ და გან თანდებულის დართვისას ნათესაობითი ბრუნვის ფორმებზე ორივე ფორმა იქნეს მიჩნეული დასაშვებად: გაერცობილიც და გაუერცობელიც (ძმისათვის და ძმისთვის, სახლისაკენ და სახლისკენ, ძმისაკენ და ძმისკენ), რამდენადაც ორივე ლიტერატურული ფორმა და რომელიმე მათგანის უსწორობის საკითხი არ დგას. მათი ხმარება უმთავრესად სტილისტიკურ საჭიროებას არის შეფარდებული. ერთგვარი უპირატესობა მაინც გაუერცობელ ფორმებს (ძმისთვის, სახლისკენ, ძმისგან) აქვს. ე. ი. იმათ, რომელთაგანაც ჩანს მიღებული დღევანდელი ბრუნვის ფორმას შერწყმული სახეობები თანდებულდართული სახელებისა.

სახელის შეწყობა საღია მდგომ თანდებულებთან და ზნისსაერთაგან ნათესაობითა და მიყვებით ბანაშკარს

გარდა იმ თანდებულებისა, რომლებიც ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში სახელის ბრუნვის ფორმას შეუერთდნენ, და, ჩვეულებრივ, ერთმარცვლიანები არიან, მოიპოვებიან კიდევ თანდებულები, რომლებიც ორმარცვლიანები არიან და არ არიან შეერთებული ბრუნვის ფორმას. ასეთ თანდებულებს ცალკე მდგომ თანდებულებს უწოდებენ. გარდა ამისა, სახელს დაერთვის აგრეთვე ზოგი ზნისსართი, ჩვეულებრივ ადგილის ან დროის გამოხატველი, და ამ სახელისაგან გარკვეული ბრუნვის ფორმას მოითხოვს, გარკვეული ბრუნვის ფორმას მართავს ამ სახელისას. სახელის ბრუნვის ფორმას შეერთებული ერთმარცვლიანი თანდებულებისაგან დასახელებული თანდებულები და ზნისსართები ერთგვარად განსხვავდებიან. მიუხედავად იმისა, რომ პირველები შედარებით ცოტაა, რამდენიმე ბრუნვაზე არიან განაწილებულნი. დაერთვიან მიცემითს, მიმართულებითს, ნათესაობითს, მოქმედებითს ბრუნვებს. ცალკე მდგომი თანდებულები და განსაკუთრებით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ზნისსართები კი—ყველაანი ერთსა და იმავე ბრუნვას დაერთვიან: ნათესაობითსა და მიცემითს ერთდროულად ან მხოლოდ ნათესაობითს. იმის გამო, რომ ცალკე მდგომ თანდებულთა, აგრეთვე სახელს დართულ ზნისსართთა დიდი ნაწილი ერთდროულად ორ ბრუნვას—ნათესაობითსა და მიცემითს—შეიძლება დაერთოს, სალიტერატურო ენაში ჩნდება პარალელური ფორმები, ზოგჯერ უმართებულად ფორმებიც.

ასეთი ცალკე მდგომი თანდებულები და ზნისსართებია: მიერ, მიმართ (მომართ), გამო, გარდა, მაგიერ, ნაცვლად, შეხახებ, მიხედვით, შუა, შორის, ქვეშ, ქვევით, ქვემოთ (ქვემოდან), ზევით, ზემოთ (ზემოდან), წინ, წინათ, წინაშე, უკან, შემდეგ (შემდგომ), მერმე (მერე), ვალმა, გამოვლა, ვალვალა, გარეთ, გარეშე, გარეშემო, ირგვლივ, ახლოს, შორიახლოს, მახლობლად, გვერდით, წინააღმდეგ, პირდაპირ, დასწვრივ, გასწვრივ, ხისწვრივ, ბოლოს (ბოლოზე), მხრივ || მხრით, მარცხნივ, მარჯვნივ, აქეთ (აქედან), იქით (იქიდან) მტკი, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, პირახ (პირად), პირზე, განაპირას, წინააღმდეგ, უმალ, ძირს (ძირახ) და სხვ.

• გარდა დაერთვის ნათესაობითსა და მიცემითს. როცა ნათესაობითს დაერთვის, მაშინ შეიძლება პრეპოზიციურადაც იყოს დასმული და პოსტპოზიციურადაც. პოსტპოზიციურად, რა თქმა უნდა, მხოლოდ გაუკერცობელ ფორმას დაერთვის ნათესაობითისას, პრეპოზიციურად კი მხოლოდ გაკერცობილს.

პოსტპოზიციურად:

ამისთანა დამის დამწერს წინ უნდა უძღოდეს დღე ცოდნა ისტორიისა... დღევანდელ მომადლებულ ნიჭის გარდა (ილია).

პრემოზიციურად:

მისი მშენებრი „სული ბოროტი“ სხვა არა არის რა, გარდა ყოველ იმ ადამიანს ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახურალი“ (ილია).
ეს ბავშვური სენები... სუყველას მოწონა, გარდა მოურავისა (აჟაი).

III პირის ნაცვალსახელმთან მოხტპოზიციურად:

ამის გარდა სხვა ნუგეზო შეჰპარა გულში... თათქაძეძესა (ილია).
მის გარდა ყველა მასწავლებელს ეუყუარდი (აჟაი).
არაუც შევიყუარებდი მის გარდა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

პრემოზიციურად:

გარდა ამისა ღარიბისათვის ესე მტვერი სწობა ტალახსა (ილია).
შეაჟ არა მესმის-რა, გარდა იმისა, რომ გაეპართლო ვერუთი გონიერი ქსევა (ილია).

მიცემითს დაერთვის მხოლოდ პოსტპოზიციურად (და, მაშასადამე, გაუერყო-ბელს).

ჩენი პოეზია, თითო-ორილა მაგალითებს გარდა, დაჟუფუნებდა ჩენის ღღ-კაციობის გულის-თქმას (ილია).

ჩენ, ეერძს გარდა, მოსაკითხი მოგვდიოდა (აჟაი).
არაყს გარდა, ჭორწილში პურყცი იყო საჭირო (ვაჟა).

თითო-ორილა შემთხვევაში შეიძლება მიცემითის ს დაიკარგოს:

წყონს კოხვა... უწინდელ ხალხსა არა გუყარებოთ აგრე როგათა, რასაკვირველია, საღმრთო წერილ გარდა (ილია).

III პირის ნაცვალსახელმთან:

ამას გარდა ღელ-მამა ძალიან უერთხილდებოდა გოგოსა... (ილია).

რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა გარდა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს დაერთვის, მაშინ ასეთი ფორმები გვაქვს: ჩემ გარდა და ჩემს გარდა, ჩვენ გარდა და ჩვენს გარდა, შენ გარდა და შენს გარდა, თქვენ გარდა და თქვენს გარდა:

ჩემ გარდა სხვასაც ვუღაუბრობო (ილია).
ყველანს დაითხოვა ჩემ გარდა (ილია).
ჩემს გარდა ნიყო და ტატოც დაესწრნენ ამ სადილს (ი. იკალ.).
ჩემს გარდა აბა ვინ მოგითმენდა! (გ. შაჟ.).
ჩემს გარდა სხვებსაც გაუჯონათ (აჟაი).
ყველა იყო ბუნდური ჩვენ გარშემო ჩვენ გარდა (ილია).
ჩვენ გარდა კიდევ ბევრი იყვნენ და ამ ბევრში ჩენი ბატონი დათიოცა (ილია).
შენს გარდა შეცხო არკონ მინდა (ა. უაზხ.).
შენს გარდა იცოდა ვინმემ? (აჟაი).
თქვენს გარდა პატრონი და ჭირისუფალი ვინდა ვყოლებათ? (აჟაი).
თქვენს გარდა არც ნათესავი მყავდა, არც მეგობარი (გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამეამდ გაქვევებული გამოთქმა ამას გარდა.

2. იქით, აქეთ, იქიდან, აქედან

ესენი მხოლოდ პოსტპოზიციურად შეიძლება იყენენ დასმულნი. არსებით სახელებს, ჩეულებრივ, ნათესაობითში მოითხოვენ (რა თქმა უნდა, გაუერყობელ ფორმას ღაერთვიან).

გადავიხედო ღობის იქით (ილია).
კოჭი ნაესად გურის იქით იყო ამართული (გ. ჭიჭ., თარგმ.).
იმ დღის აქეთ, ვინც იჭირაუა, სუყველა გამოქყარა ეშმაქმა (აჟაი).
კაკოც, იმ დღის აქეთ... ჩაეარდა ნაღველში (ილია).

ლუარსაჲს ამ დღის აქეთ სულ ის... ქალი აგონდებოდა (ილია).
ბერძემ უღუღტებლის მიადნია და გადიხვდა მთის იქით (ვაჟა).
ორმოც-ღა-ათი როზვი დავრას იმასო, ვინც თაის ნაბატონარს დღეის იქით
ბატონს დაუძახებსო (ილია).

შენს ხელში ვარ დღეის იქით (ილია).
მინამ მთის იქიდან მზე ამოალაპლახდა თაის სხოვას... ესო ჩაქმულდა-
ხურული ბაღში იყო ხელში (ილია).

მთის იქით სურათი სრულიად გამოიკვალა (ვაჟა).
ხნ უღლის იქით გვერდზე პატარა ნაკალი ჩამოედოდა (ვაჟა).
მზე დაღესტნის იქით მოსს უკან იმალება (ვაჟა).
ზღვის იქიდან დაღალულ-დაქანცული ორი ტრადო მოვირინდა (ვაჟა).

მაგრამ მიცემითთანაც გეხვდება:

გიორგობის რევას 1864 წ. აქეთ არა მებატონეს ნება არა აქვს გლეს ჩამოართოს
რამე (ილია).

ჩვეულებრივია გამოთქმა: ცხრა მთახ იქით... ცხრა მთახ, ცხრა ზღვახ
იქით...

III პირის ნაცვალსახელთან ნათესაობითში:

მთელი ქვეყანა ამ შეილში მოუქცევით და იმის იქით არა სწამთ-რა (ილია).

მაგრამ ჩვეულებრივია გამოთქმა: მას აქეთ (მას აქეთ, რაკო შენდამი
ვცან მე სიყვარული, პოი მამული, გამიერთა მე ძილი და შეება.—ილია), ამას
იქით...

ნათესაობითსა და მიცემითს შორის მერყეობა ჩანს ამ ტიპის მაგალითში:

ჩემს ქერიეობის აქეთ სოსანი კაბა არ ჩამიცივას (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან ასე გვაქვს:

ჩემს იქით:

ჩემს იქით თოფი გინდა ეუნძს მოხვედრო და გინდა კაცსაო (ანღაზა).
[სოსია] ჩემს იქით არსად წაუა (მელანია).

შენს იქით:

შენს იქით კაცსა ვერ ეპოუვ (ვაჟა).
შენს იქით გზა არც ერძს არა გვაქვს (აკაი).

ასევე: ჩვენს იქით და თქვენს იქით.

სანმოკვეცილა ფორპები არ გეხვდება.

ეს გამოთქმები იმავე რიგისაა, როგორიც ამას იქით, ცხრა მთახ იქით,
მას აქეთ გაქვევებული გამოთქმებია ამჟამად.

3. უკან ნათესაობითსაც დაერთვის და მიცემითსაც თანაბრად. დაისმის
ქოსტოპოზიციურად. დაერთვის მხოლოდ გაუვრცელებელ ფორმებს. აღნიშნავს ან
ადგილს, ან დროს.

ნათესაობითთან:

რომ გაათავა ლოცვა, აშლო და მკეხატის უკან დაგდა შესაწირავად (აკაი).
მკე თურმე ჩანგაზულდ გამობმული ნაცტიკის უკან აუთრული (ილია).
სახლის უკან კალო-საბქელია (ილია).
[ღამაშეგს აქვს] ფეხები შორაუნაღნი უუროსის წინ და ნამეტნავად მდიდრის უკან
(ილია).

ყვარ... მიჩაქავდა თაის პატარა ბატონის უკან (ილია).

ბერძი ათხრეუნეს თაეღის უკან (ილია).

სახლის უკან ჩამოსდგამს გვერდა (ვაჟა).

თამარხ ხალხის უკან იღვა (ვაჟა).

მზე დაღესტნის იქით მთის უკან იმალება (ვაჟა).
უკანის უკან კარაქტა მიაგვამანება თაყის ლურჯას (ვაჟა).

მიცემითთან:

ქაგს-უკან თოფიანი კაცია მიმალული (ვაჟა).
ჩვენ კიდევ ზურგს უკან შექარა მთეაულოთ (ვაჟა).
თავლას უკან ორზოა (ილია).
[ლუარსაშმა] პატარა ხანს უკან ხერხეა ამოუშვა (ილია).
დალაგეს ცხენები და პატარა ხანს უკან შორეეს ჩრდილოშია (ილია).
ორღეს უკან ჩვენი სოფლის ბოლოში მიველით (ილია).
დარჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თეეს უკან შეილო უნდა
ეულოს (ილია).
სადილს უკან ლახითანად გამოჩინებდნენ ცოლ-ქმარნი (ილია).
ხელთორა იზოლდამ თეთველი სიტყვა გაიგონა კედელს უკან მდგარმა
(გ. ჭიჭ., თარგმ.)

III პირის ნაცვალსახელთან ჩვეულებრივ მხოლოდ დროს აღნიშნავს და მეტ-
წილად მიცემითს დაერთვის.

ნათესაობითთან:

მისს უკან კი ბოდაშის მოთხოვნა შარლა გასაოცარია (ილია).

მიცემითთან:

მას უკან ხშირად იტყოდა ხოლმე: ჩემი დაუფიქრებლობით კონდამ ცოდვაში
ჩავეარდიო (აკაკი).
მას უკან, ხშირად საღამო-საღამოობით ბოსტნის ბოლოზე ვიციდდა ხოლმე (აკაკი).
რა ილაპარაკეს მას უკან, არ ვიცი (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან: ჩემს უკან, ჩვენს უკან, შენს უკან,
თქვენს უკან და პარალელურად: ჩემ უკან, ჩვენ უკან, შენ უკან, თქვენ
უკან:

ვიწყე სიბილი და ჩემმა ქმარმა ჩემს უკან ქედმოგლეჯალმა კინილი (ბახინა).
ჩვენ უკან კი... ჩვენი წარბები... სჩებდნენ ტყუებს (ივ. მაჭ., თარგმ.).
მე დავტოვე პატარა კოპერფოლი ჩემს უკან ცხოვრების შარა-გზაზე
(ქ. ბაქრ., თარგმ.).

მას უკან, შატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან („მოყვარეს პირში
უზრახე, მტერს—პირს უკანაო!“—ანდაჴა) გაქვევებულ გამოთქმებს წარმო-
ადგენენ.

4. შორის ორ სახელს ახლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი
მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსი აქვს. დაერთვის ორ
ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს.

ამჟამად პოსტპოზიციურადაა დასმული.

შორის ნათესაობითთან:

გორგი უხილავად დაქროდა ამ ნანგრევთა მუხა-იფნების შორის (ვაჟა).
გამოჩნდა საქორება იმგვარ ლიტერატურისა, რომელიც... იდილად უნდა ვს-
რულედეს... შუამელოპისა შეცნობერების და ცხოვრების შორის (ილია).
ლდი ზღვა ბატონის და კაცის შორის მგავარ საქმეებში (ილია).

შორის მიცემითთან:

ჩემოდანში შირად ნივთებს შორის იღვა პატარა ამანათი („ლიტ. ზაქ.“).
წაშლილა ზღვარი მიცეალებულსა და ცოცხალს შორის („ლიტ. ზაქ.“).
დაცუტუნება ქაშებსა და ტაბაკებს შორის (ილია).
მუჭნა ღლი თქვლობა შეფესა, უახირსა და რუქას შორის (ხაბა).
რა გინსხეაუბა ცოცხალ კაცის პირის-სახესა და მიცეილებულს პირის-სახეს
შორის? (ილია).

შთელი დღე დაგოგაედა ფერად ყვაეილებს და მწიანე მდელიოებს შორის
(ილია).

მთარგმნელი უნდა იმასა სცდლობდეს, რომ გადმოილოს სხვისი აზრი ისე, რომა
ნამდელისა და თარგმანის აზრს შორის არ იყოს რა იოტის ოდენა განსხუ-
ვება (ილია).

III პირის ნაცუალსახელთან უმეტეს წილად -თ სუფიქსიან მრავლობითშია
და არ გაირჩევა ნათესაობითი და მიცემითი: ამათ შორის.

I და II პირის ნაცუალსახელებთან ხშირად იხმარება და ორგვარი ფორმა
გვაქვს:

ჩვენ შორის და ჩვენს შორის:

მივირს, საიდან ამოხედა ჩვენს შორის ლეარძლად (ვაფა).
ვილაც მესამე, ვილაც მახინცი ჩადგა ჩვენს შორის (გ. ტაბ.).
ჩვენ შორის ბრწყინავს შენა სახელი (აღ. ამაშ.).
შენ კი ჩვენს შორის უფსკრული კათხარე (ხ. შანშ.).
ჩვენ შორის რაღაცას ეხვდაეთ? ხშირად სრულიად წინააღმდეგსა (ო. გოგებ.).

თქვენ შორის და თქვენს შორის:

ოში თქვენ შორის ეგვანება ქვეუნი განაობას (იგ. შაჩაბ., თარგმ.).
გეობარის ფრიად, რომ ვართ თქვენ შორის (ქ. შაყ.).
რამდენიმე საათია, რაც თქვენ შორის ეიშოფება (შ. დად.).
მეუ მადლევარძელის თქვენ შორის, უმეროსი მძა ვარ თქვენო (ვაფა).
მეუ... ეღგეარ თქვენს შორის (ა. შაშ.).

როდესაც შორის მიცემითს დაერთვის, მიცემითის ხ შეიძლება მოეკვეცოს.
ასეთი შემთხვევები საკმაოდ ხშირია.

თვითუღ მათგანს ღლად სწამს, ამ ნანგრევებში, ამ დახანებულ ღოდებ შორის
ძლიერა, ყოვლად შემძლებელა ღვითურა სულა განისვენებს (ვაფა).
ჩვენ თუალებდაქვეტილი ა მათებ-შორის დაეჭერბოლით (ილია).
სხვათა სიტყვის ნაწილებ შორის მარტო ხმნა არას აზრის გამოშხატელი
(ილია).

გლებების სახლებ შორის მოჩანდნენ შერლოდ თუადის-შეილის თერთი სახლები
(ილია).

ყვაეილებ-შორის მოჩანდა თაუი ახალგაზრდა ქალისა (ილია).
ერთ ფანჯარაში ვარდებ-შორის მოჩანდა ერთი ცოცხალი ვარდ (ილია).
კოლა ძალიან მორცხობდა უენობ ყმაწვილებ შორის (ილია).
ეხვდაე ჩემს თავს ჩემს პატარა სოფელში, ჩემს პატარა ფენჩულა და-მძებ შორის
(ილია).

5. შუა ცორო სახელს ახლავს ან, თუ ერთ სახელს დაერთო, ეს სახელი
მრავლობით რიცხვშია დასმული ან კრებითი შინაარსის მქონეა. დაერთვის ორ
ბრუნვას: ნათესაობითსა და მიცემითს, უპირატესად მიცემითს. ამჟამად მოსტაო-
შიციურადაა დასმული.

შუა ნათესაობითთან:

რა ეიცოდი, რომ ბატონ-ყმობის შუა სიფეარელის ზღო არ გაიღება (ილია).
იქვე ხალხის შუაში საესე ტყეები ვყარა (ვაფა).
ჩემის ფიქრებისა და თურგის ჩივილის შუა არის რაღაც იღუმალი კაეშორი
(ილია).

ვგოთხი წელიწადი... ბეწვის ხიდა, სიბნელისა და სინათლის შუა პედისა-
გან გაღებულ (ილია).

შუა მიცემითან:

თვალსა და ხელს შუა გაეპარე (აჟაჟი).

ტყესა და ტყეს შუა ეღუბე იყო (ვაჟი).

სოფელში გაზარდი და ქალაქში მყოფ ბაეშეებს შუა ისეთი განსხვავებაა, რომ-

გორკ ნაშდელი ს და მის აჩრდილს შუა (აჟაჟი).

გზებსა და გზებს შუა აი ისეთი ეკლები უნდა დაიკვლიოს (ილია).

მაშინ ჩაინის გზა მოსკოვისა და პეტერბურგის შუა იყო (აჟაჟი).

აქვან წიქვილის რუს და ლდრონ ტრაფის ფესვებს შუა ჩაწვა (ვაჟი).

ტროლენ ყავილი კლასანი, ქეებსა და ქეებს შუა ნახე ამობრუნებულნი

(ვაჟი).

მაშალ ჭარის ტრანხი არ ესმოდა, გმირულად დასეირნობდა ეზოში დედებს

შუა (ვაჟი).

სამოციან წლებში გამოსულთ მწერალთა ჩაუღვს ქაეუთხელი იმ ხდის, რომელიც

ჩატყდა წარსულსა და აწმყოს შუა (ილია).

გული მაღლა და მაღლი მარტო ორს შუა მსაქმობს (ილია).

ბაგრატ ხახარის ხელებსა და ბაე: ნბარდებს შუა ორი ვარდი უწევია (ვაჟი)

III პირის ნაცვალსახელთან უმეტეს წილად თ- სუფიქსიან მრავლობითშია დასმული და არ განიჩრჩევა ნათესაობითი და მიცემითი:

მათ შუა ჩაღვა ნიავი (გ. ლეონ.).

ღელამ მოიყვანა ვანო ამ დაშალ ვაშლებთან და მათ შუა საეუთარი ხელით ჩაად-

ბინა სალი ეაშო (ო. გოგ.);

I და II პირის ნაცვალსახელებთან ორგვარი ფორმა გვაქვს:

ჩვენ შუა და ჩვენს შუა:

ჩვენ შუა ხილა ჩატეხილი (ილია).

ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხილი (ილია).

ჩვენს შუა დღე ღრუ (შ. არაგვი.).

თქვენ შუა და თქვენს შუა:

აბა ერთი მოთხარ, რა დაღის ეხლა ჩვენ-შუა (ილია).

იბადებოდა უფსკრული თქვენს შუა (შ. დაღ.).

როდესაც შუა ორ ნაცვალსახელთან ან ნაცვალსახელთან და არსებით სახელთან იხმარება, მაშინ ზოგჯერ ასეთი ფორმები გვაქვს:

ჩემ და ღმერთ შუა ერთი აღარა არის რაო (ღ. გონი.).

ჩამინო... ჩემსა და დანეთის შუა გაჩნდა (წ. ლორთქ.).

ჩემ და ქვეყნის შუა ხომ ეხლა ხილი ჩატეხილია (ილია).

ღვანეი ძლიერა, იგი ჩვენსა და იმერთის შუა დგას (წ. ლორთქ.).

თქვენსა და ჩემს შუა დადებულს პრობის ახლა მარტო თქვენზე აქვს ძალა

(გ. წერ.).

უფრო კი ასეთი:

აჟად თუ კარგად გადაქრა მე და ქმარის შუა დაუსა (მაქანა).

ევრძნობდი, რა საშინელი ზღვარი იღვა მე და იმის შუა (ივ. ლაგვი., თარგმ.).

აჟამდისაც არ თავდება [მტრმოყვარუბა]მე და იმას შუა (აჟაჟი).

როდესაც შუა მიცემითს დაერთვის, მიცემითის ხ შეიძლება მოეკეცოს: ასეთი შემთხვევები ხშირია.

ფოთლებ და ბუჩქებს შუა გამოჩნდა (ილია).

ჩვენ-შუა საბოლოოდ ჩატეხე ხილი (ილია).

წარბეზ-შუა შებლა... ჩანაოქვობა (ილია).
 ბეჭკერ უტრინია სერუენიას, სოროში მოქნეტულს, თუ სადმე ჩავის ძირას—გო-
 ხეში ლოდებს-შუა გატრუნულს (ვაჟა).
 ექვია საოცრად გახდა... ლუები ყბებ-შუა ჩაეყუა (ილია).
 ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა... ბუხარო (ილია).
 ვისხედო... ამ ოთხ კედელ-შუა (ილია).
 დავრჩით მე და სთფო ორ წყალ-შუა (ვაჟა).

6. შემდეგ, შემდგომ დაერთვის როგორც ნათესაობითს, ისე მიცემითს..

ნათესაობითთან:

ორმოცი წლის ხეტილის შემდეგ იპონეს აღქმული ქვეყანა (აჟაი).
 ამა ბიის შემდეგ არ გაუღია დღე ხანს, რომ შალვა, ელიზბარ და ზინია
 აღმოსავლეთის გზას ადგენ (აჟაი).
 კილობის შემდეგ აღდუშალო თავის ქერქში ელარ იყო (აჟაი).
 დათიკის მოკვლის შემდეგ მე იმ არუ-მარეში ყოფნა ძალიან გამძინელდა (ილია).
 ოროდღე ვინიერ ბაასის შემდეგ... სადღობაც მოვიდიოდა (ილია).
 ცოლ-ქმარსა ქვარის წყარის შემდეგ სდევდა უკან ერთი უბედურება (ილია).
 [შემაჩმემა] დედოხემის შემდეგ დღეხანს ელარ იცოცხდა (ილია).
 აჩივის შემდეგ გადმოაფლამუნებს სეაი (ვაჟა).
 მაინც ამ შემდეგერის შემდეგ წრუწუნა კაცად აღარ ეარგოდა (ვაჟა).
 ორმოცი დღის შემდეგ ოქროსთიანმანმა იზოლამ ავადმყოფი თოქმის სრუ-
 ლად განკურნა (გ. ქაქ., თარგმ.).
 დღეგდებ ყურსა და ელი, რა მომხდარა ამ და ამ საქმის შემდგომ (ილია).
 წყაროს წაქითხვის შემდგომ სულ ერთსა და იმავეს ფუჭობდა
 დავითი (დ. ქაჩა.).

მიცემითთან:

ნახევარ საათს შემდეგ დაბრუნდა (ვაჟა).
 სადილის შემდეგ ძლი, მერე ისევ გალიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ისევ ეახშამი
 (ილია).
 ხანგრძლივ უფოთებს შემდეგ სვენება უკრანია (ილია).
 ეს მოვუხდებოდა ორმოცდა-შვიდს წელიწადს შემდეგ (ილია).
 პატარა ხანს შემდეგ ხელახლა მოუტრიალდა (ილია).
 წუთს შემდეგ... გულში იყრავდა (ა. ყაზბ.).
 ამ ფიქრებს შემდეგ უცებ ჩაუძინა (გ. წერ.).
 ამ სიტყვებს შემდეგ სალომე სამყურ გამოისახა პირყვარი (გ. წერ.).
 ერთ ხანს შემდეგ მან იგრნო, რომ მარცხენა ხელს შეუსუსტდა (ა. ლიტ. ხაქ.-).
 ცოტა ხანს შემდეგ დემეტრე ზღურბლადმ თვის დედაკაცს თავმოკრილო
 დედლა გადმოუგდო (ვაჟა).
 ახლა-კი თავს იტყუნს სიკვდილს შემდეგ (აჟაი).

მიცემითის ს მოკვეცილია ზოგჯერ:

ამ სიტყვებ შემდეგ... კოლა შექდა სხენზე (ილია).
 ყველას მიუცათ გულს გლუხებსა ამ სიტყვებ შემდეგ (ილია).
 დედაბერმა დაიჩინა სადილ შემდეგ (ილია).

III პირის ნაცვალსახელთან:

მიცემითთან:

ღღამე ხანმა გვიარა ამას შემდეგ (აჟაი):
 პაპა და თამარო, ყარვა ხანია მას შემდეგ, რაც დაიხოცენ (ვაჟა).
 მას შემდეგ... თამამად თვალს გაუქურდებოდა (ილია).
 რაც ეს სალოცაეი დაარსდა. მას შემდეგ მსახურად ხეუბნებზე და დანტურებზე
 იყვნენ (ვაჟა).
 მას შემდეგ აქ არის (ა. ლიტ. ხაქ.-).
 მას შემდეგ ერთხელ კოლეე შევხვდა (აჟაი).

შას შემდეგ, რაც ტრისტანი წავიდა, ქესლანი თავის ბუნავში წევს
(გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამას შემდეგ სალომე თვითონ მიდიოდა პორტში (გ. წერ.).

ნათესაობითთან:

ამის შემდეგ სამმა დღემ გაწვლა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამის შემდეგ აღარაუბრად გაუბრუნდა იმ ტყვეში შესულა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო (ილია).

არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთართან ქვითან (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

შეიძლება ჩემს შემდეგ სხვა ქალი, ხელთორა იზოლდა შუაყვარო (გ. ჭიჭ.,
თარგმ.).

არ ვიცი, რა მოგვლით ჩემს შემდეგ (გ. ჭიჭ., თარგმ.).

უნდა ჩემ შემდეგ ადგილი დაიჭიროს (იქვ. ცაგ.).

ჩემ შემდეგ ვინც უნდა წავიდეს, ცოცხალი ვეღარ გამობრუნდება (შ. არაგვ.).

შენს შემდეგ შენმა შეიძლება მიიღოს (გ. ჭიჭ., თარგმ.).

შენს შემდეგ სხვა კუბი ვეღარა ვნახე (პ. ლომთ.).

თქვენს შემდეგ გაეშურება არ წავადგებათ არა (რ. ერ.).

საქმენი თქვნი აქ ღარბიანი... რომელნი თქვენ შემდგომ აქ ბევრს გააშწა.
რებს და აატრებს (ი. გულბ.).

იშვიათად პრემიონიციურადაც გვხვდებოდა, რა თქმა უნდა, ნათესაობითთან:
ღვ-მამამ, შემდეგ ღრმა განსჯისა, გადასწყვიტეს, რომ კოლასათვის ჟერ აღრვა
სწავლა (ილია).

პირველად ამან აიღო ფეხი ჩვენში შემდეგ კარგა ხნის დუმილისა (ილია).

დათო... შემდეგ მერტანოს მოყრისა უმთხვეოდა [საუდრის] კედლებსა (ილია).

ამის სწავალი ქალაქი, შემდეგ რამდენიმე ხნის ციებისა... ჩაბარდა პატრონსა
(ილია).

შემდეგ ამ შუბარს ცენისა... მიუბრუნდა კაცის (ილია).

7. ქვეშ დაერთვის ნათესაობითსა და მიცემითს

ქვეშ ნათესაობითთან:

იფრის ქვეშ ისხდნენ (ვაჟა).

მე კი სუ შიშის ქვეშა ვარ (ვაჟა).

დაუწყეს სუფრის ქვეშ ძალღმეს ცემა (იკაი).

ბათურას ხმა ხატმა მთლი თავის მფარველობის ქვეშ (ვაჟა).

არაუხანა ცის ქვეშ ჩემი მადლობელი (ვაჟა).

ღამბეგი ამ დროს გაუხაროდა ხეივანის ქვეშ დასიერობდა (ვაჟა).

ვინ დღი წიფლის ქვეშ მობუნაგებულყო თავის ცოლშეილოთ, ვინ მუწის
ქვეშ (ვაჟა).

ნატვრა ცარიულ ნატვრად არა რჩება ცის ქვეშ (ილია).

შენის კალთის ქვეშა... რამდენი გაბოროტებული მტერი აღმოჩანისა თავს იმი-
ლავს (ილია).

დახეულებიამ გამოჩანდა რაღაც დამპალის სახნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარ-
შემო ჩამოკიდებული (ილია).

ამათ გარდა რამდენი სხვა პაწაწინებულა პოეტები იყვნენ ბაირონის გავლენის
ქვეშ (ილია).

თვლი შეისწრა გორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში შოლარეს (ილია).

ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათეუა, ჩამომიტანე (ილია).

ღღი ფიქვის ქვეშ ტრისტანი მარმარლოს მოაქირზე იყო დაყრდნობილი
(გ. ჭიჭ., თარგმ.).

ღალატის შოშო ძონძების ქვეშ ქაუშანი ჩაეყვა (გ. ჭიჭ., თარგმ.).

ამ ხის ქვეშ ტუული არ გაბრუნებოდა (იკაი).

ისე მოეცილა ღვინო, რომ იქვე უგრობობდა სუფრის ქვეშ გაგორდა (აჟაჟი).
რა სკობია იმას, რომ ხის ქვეშ ჩეროში იყვდ და დანასობიას ან კენჭობიას თა-
ვაშობდ (აჟაჟი).

მარტოდ მარტო დახებტება ცის ქვეშ (ილიტ. ხაქ.).

ქვეშ მიცემითან:

შეძრენ სუფრას ქვეშ და წამოწვენ (აჟაჟი).
მინდა გულით იმ ღოდს ქვეშ შეეკურღე (ვჟაჟი).
ქალი... ფრთას ქვეშ უზის დღას (ილია).
ბიჭი მიიყვანეს და სახარხო ბელას ქვეშ დააყენეს (ილია).
ოთარაანთ ჭერით შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიხარა ექსი შოთი (ილია).
ჩემს საკუთარს ქერს ქვეშ ყ.ფნა... დიდად მუფასებოდა (ვჟაჟი).
ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეყანი... ერთს ბედის კალთას ქვეშ
ამოფარებულან (ილია).
რასა ქვერიან, როგორც ღორები ღობეს ქვეშა. (ილია).
განა ეხლა დაივიწყებ შენს კალთას ქვეშ შემოხიზნულსა? (ვჟაჟი).
ლიაკვანს უღეა შებს ქვეშ ჩაეცინა (ვჟაჟი).
თვალგამოკუსული ბაყაყი წამოიუტკებელიყო ქვას ქვეშ (აჟაჟი).
ერთი-ორი ძალი აზნაურების სუფრას ქვეშაჟ შემძვრალიყო (აჟაჟი).

მიცემითს დართვის შემთხვევაში განსაკუთრებით ხში-
რია მიცემითის ხს მოკვეცა. ამ შემთხვევაში ქვეშ უერთდება სახელის
ფუძეს.

მხოლოდით რიცხვში:

დასხა ცა ცხ ქვეშ (აჟაჟი).
კაკალ ქვეშ ჩახსდით (ილია).
ისბნენ დიდ ფურცელ ქვეშ (ილია).
ბატონს ფეხ ქვეშ ჩაეუარღებ (ილია).
ფეხ-ქვეშ სთელაედა ერის უფლებას (ვჟაჟი).
თითქოს ფეხ-ქვეშ ხალები ქონდათ დაფენილი (ვჟაჟი).
საბან ქვეშ ელოცულაბდ (ვჟაჟი).
ბეშეშემა საშობაო საჩუქრები ბალიშ-ქვეშ ამოდეს (ვჟაჟი).
კაკალ-ქვეშ ჩამდენიმე ჩამოუარდნილი კაკალი იხუნა (ვჟაჟი).
ცალი თითი თავ-ქვეშ ამოიღო (ვჟაჟი).
აქვე ისაღოლებდა და აქვე წაიძინებდა ჩრდილ-ქვეშ (ვჟაჟი).
[ლურსაბს] სამკეცად ქონდა ნიკაჟ ქვეშ ჩამოსული დაბაბი (ილია).
უკადრისობად მივაჩნია კუა უწიგნო ტყაჟ უქ-ქვეშაჟ ვიგულვით (ილია).
სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელ-ქვეშ გომური (ილია).
ლევანსაჟ, ნიკოლოზსაჟ წიხლ ქვეშ გაეოგდებ (ილია).
ამ ჩარდახ-ქვეშ შეეფარე თავი (ილია).
ისე დადუმებულა [თერგი], თითქო... როგორ-ქვეშ არის გატარებული (ილია).
[გიორგი] წამოწებოდა ეზოში მწვანეზუნდ. თავ-ქვეშ ორსვე ხელბს ამო-
იღებდა (ილია).
გულშეწებებული დასეა ცა ცხ ქვეშ, ბრტყელ ქვაზე (აჟაჟი).
შკერდ ქვეშ თითქო გული გაყინა (გ. ჭიქ. თარგმ.)
რავიცი, — თუხრა ცოლმა —, ტახტ ქვეშ თუ შეძვრაო (აჟაჟი).
ჩემი და ტალავერ ქვეშ იღგა და უკრძენს ჰკრეულა (აჟაჟი).

მრავლობით რიცხვში:

დალაშებისას ბნელ ხეებ ქვეშ ჩამოქდა (გ. ჭიქ. თარგმ.).
[ყმაწვილები] სადილად წიგნებით იღლიებ-ქვეშ მივიღოდნენ შინ (ილია).

ბურბუნი... გამოტოლუენენ... ურბუბუკეშ (ილია).
ზის სხივებ-ქეშა... დაბალი შუები ქუთქუენენ... განახლების სოცხოვლია
(ილია).
დაწერიე აკვლებ ქეშ (ილია).
ზის თუხებ ქეშ რამდენამე უეაელმა დაიენესა და გაჩუმა (ვაჟა).

ასეთი მაგ-ლითები XIX საუკუნის ბოლოსა და ჩენი საუკუნის დასაწყისში
სამგვარად დაწერილი გვხვდებოდა: ცალ-ცალკე (პერ-ქეშ), დეფისით (პერ-ქეშ)
და ერთად (პერქეშ). უფრო ხშირად მაინც და მაინც დეფისით წერდნენ. ამჟა-
მად თითქმის გაბატონებულია ერთად წერა.

იშვითად ქვეშ I და II პირის ნაცვალსახელებთანაც გვხვდება:

[შუბან]. ვკლავ პოინარდლებს შენს ქეშა ღალი ირები ჩიხანი (შ. მღვ.).
ღლეს ჩემს სხეზე ხაჩეო ჩემქეშ წაუერხლა (ფ. შაჩ. თარგმ.).

მ. გამო ნათესაობითს დაერთვის:

ღრომა ს-ძველის გამო იყო წინაა. როგორც თვით სალოცავი (ვაჟა).
პუკი ქალი საზრებულა შინ ამისთანა სიყვარულის გამო (ვაჟა).
იქნებ ამ ცოლის გარე ვისქენი? (ვაჟა).
ვექის სიამუსტის გამო უერძის ქვა აკრძალული მქონდა (ვაკაი).
ღვთაული დაღლი იყო გამოვლილი შიშის გამო (გ. ქიქ. თარგმ.).
მუყეს შიშის გამო ამ დენდუეარო (გ. ქიქ. თარგმ.).
ფრიდონი... არ ვუახლეს რა მიზეზით და რის გამო-ზღვისპირის ქართველა
(ილია).
არის სხვა მიზეზიც. არის გამოც უერხნაო არ მოეწონება ხოლმე ხალხსა (ილია).
ვე ჩემი ზრალია და აი რის გამო (ილია).
ზოგი შევდევდობისა გამო, ზოგი სიშორისა გამო, ზოგი შოღ
ღვთობისა გამო... (ილია).
სარდონ მესხივეს ყარტიკის გამო (ილია).
შენ ჩემს მუჯობრობისა გამო... გულმოდრესდ შეხმარები (ილია).
სურკსეხამ თავის ანგარიშების გამო საქმე ცოტად გააგრძელა (ილია).
ღუარსაში ვრე წესდა ეხლანდღ დროუბს ქირისა გამო (ილია).

III პირის ნაცვალსახელებთან:

ამის გამო ჩვენ აკვ-და-კვალ მიყოლას თავს ვანებებთ (ილია).
არ გვიგონოთ. მიოხვეულთ. რომ ეს სახლი ეუთუნოდეს ერთს ვისმეს ღარის და მის-
გამო იყოს ვგრ... თემბრებულე (ილია).
ამის გამო აღიუფლო-ხანი შიშის ქარმა აიტანა (ვაკაი).
ჩაის დაღუვა მიღლია და ამის გამო სამოურის დაღმა შეუეკეთე (ილია).
ჩემი პატარაჟი კი გოჩინდნენ თავიანთ საწყლობას, საყვარული ხხოსადაში ამის
გამო უარა-ღობოთ (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გვხვდება: ჩემ გამო დ.
ჩემს გამო, ჩვენ გამო და ჩვენს გამო, შენ გამო და შენს გამო, თქვენ გამო და
თქვენს გამო:

შე ღლეს რად უნდა ვიტანო. თქვენ გამო ჩისთვის ვენესია? (ვაჟა).
ღვანაჟიუ ჩემს გამო არ წასულიყო წირვაზე (ვაჟა).
თუ რამე მიქნია. სულ შენ გამო, სულ შენის საარგებლობისათვის (სოფ. მგაღ.).
შე მოვლოდი ჩანარეუიზე ოსტად, ობლად შენს გამო (გ. ტახ.).

9. წინაშე

ნათესაობითიდან

წარსდგა ორივე მეთის წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
როგორ გამოჩენილიყო მტრების წინაშე (გერ. ქიქ., თარგმ.).
ღეთის წინაშე, ქურდიცა ვარ, ვერ დავძლავ (ვაჟა).
წარმოიდგინეთ ნაპოლუნი თავის სახელუან მხედრობის წინაშე (ვაჟა).
მაჩუები დარჯალეები იღენენ დათეის წინაშე (ვაჟა).
მოიყვამ მასწავლებლების ბეზლიბას მშობლების წინაშე (ვაჟა).
სახელუესილები წარესდგეით ციხელის წინაშე (ვაჟა).
ეს ჩუენი ვალდებულეა გახლავსთ ჩუენი შთამომავლობის წინაშე (ილია).
მეტად კადნიერად კუბრეუშობს [ქერული ბუქა] საზოგადოების წინაშე (ილია).
აბა, ნახეთ რუსთაველი, ყუველთვის უტყუარი და მართალი ბუნების წინაშე (ილია).
იგი... სწერება დმანისის დიდებულ ნანგრევეების წინაშე (ილია).
შენი ქუეყნის შუილი... ქუეყნის წინაშე თამამად თავს მოიწინებს (ილია).

მესამე პირის ნაცვალსახელთან ჩუეულებრივად ნათესაობითს დაერთვის:

მის წინაშე ბუერი ღეწლი მიმიძღვის (გერ. ქიქ., თარგმ.).
ძალაუნებურად მის წინაშე უნდა თავი მოკუბარა (ვაჟა).

I და II პირის ნაცვალსახელებთან გეხედება: ჩემ წინაშე და ჩემს წინაშე, ჩუენ წინაშე და ჩუენს წინაშე, შუენ წინაშე და შუენს წინაშე, თქვენ წინაშე და თქვენს წინაშე.

გაუიგეთ... თქვენ მიერ სამაგალითოდ დასწა ურჩთა დარგულთა სოფელთა, რომელთაუ გაბედეს და გამოიჩინეს სობრიუე და სიჭუტე თქვენს წინაშე (ვაჟა).
გაგონილა, გინდა თუ არა, ჩემ წინაშე თავი მოიხარეთ (ილია).
ვაჟაკი... მუხლს მოიდრეკს ჩემს წინაშე (გ. ბარ.).
თუთრი ტუეების მიმუეება გენდი და კელე მარტუვარ მე ჩემს წინაშე (გ. ტაბ.).
ესა, ესდგეუართ შუნს წინაშე, დილა მსაქულო (გ. ბარ.).
ღეღოღალი დგას შუნს წინაშე (გ. შარ., თარგმ.).
მე იმას შუნ წინაშე სუ დამუხლისთაუებულს მიუიყვან (გ. წურ.).
თი, მეღუე, თუ რათ ვებუდავ თქვენს წინაშე ღღეს ურჩობას (ვაჟა).
მართალი განუცხადეთ თქვენს წინაშე (თ. ვოგუბ.).
ქალაქის საბუოს წარსული შუმაღგენლია... თქვენ წინაშე ღღდალ დამნაშაუეა (ნ. ღორთქ.).
მავრამ, რასაც ვგრძნობ, სქობს ალუიარო აწ თქვენ წინაშე გულის სიწრფელით (ვაჟა).

წინაშე თითო-ორჯოლუ შუმათხუევაში პრეპოზიციურადაც შუიძლება შუეგებუდეს: დამუხობილუენენ წინაშე დიდი ბატონისა (ვაჟა).
ასეთი წყობა სტილისტიკური მიზნებით აიხსნება.

10. წინ

ნათესაობითიდან:

სოსია მწიწკილეს ჭლა ორივე მუხლი მოუყარა უსულო ოთხრანთ ქერცივის წინ (ილია).
სახლის წინ რამ ვუყავლუების ბაღს იკეთებ, მოდი, გიორგისაც დუეითებ ხოლმე (ილია).
დიამბუგის წინ დგას მოჩივარი ღამაზი ქეროვი (ილია).

აჩრდილ მაშინვე მუხლის კვერბზე დაკა ვიორგის წინ (ილია).
 ბუხრის წინ კვაბებს დასტრიალებდა (ილია).
 ბუხრის წინ გავიპლიდებ შულის ტყავს და დაგვსამდენ ზელ (აკაკი).
 ჩუენში, როგორც შობის წინ აღილოზე, ისე სააღდგომოდ კონაზე დადიოდენ
 ხოლმე მომღერლები (აკაკი).
 ერთის სახლის წინ იღვა, ჩანგურით ხელში, თავდახრლი გოგია მჭონგურე
 (აკაკი).
 გამაზრდა საარკის წინ (აკაკი).
 ისინენ ახალგაზრდა ბიჭუბი ცეცხლის წინ (აკაკი).
 ხინელანი ხონხები სტუმრების წინ ჯაგა (ვაჟა).
 მფუელდლოფლის წინ მაშხალა იყო გამართული (ვაჟა).
 დედის წინ შორბინალს ეყოს მუელი შესკამს (ვაჟა).
 სასახლის წინ თვალს ვერ გადაწყვიდედა კაცი (ვაჟა).
 ბუხრის წინ მხოლოდ ღნავლა სთვლენდა (ვაჟა).
 გადაუყო, რომ სიკვდილის წინ საღამსა და სიყვარულს ეგვზაენა
 (გერ. ჭიჭ., თარგმ.).

მიცემითთან:

აღი გაქრა უბად და ჩუენს ეზოში იქვე ყარებს წინ ენახე ტურფა ბალი (ვაჟა).
 თვალებს წინ საზარულს სურათს დაუეყენებ სიკვდილისას (ვაჟა).
 იგი უყრთადა თვალებს წინ ისეთი, როგორც თავად მოსწონდა (ვაჟა).

ს მიკვეცილი და სახელის ფორმას შერწყმული:

ვირს თვალწინ წარმოუღვა თავისი წარსული (ვაჟა).
 უმაწოდ კოსა... წარსულ ცხოვრებამ გაუარა თვალწინა (ილია).
 ერთი შვენიერი ანგულოზა... თვალწინ გამოშვებდა (ილია).
 ეს იყო მეზაფხულის პანანქებაში, სადილწინ (ილია).
 საქმე ცხვირწინა მაქესო (ილია).
 მიიბამდა კედის წყურზე რამდენსამე მარცვალს და მიუშვარდა მამალს ცხვირ-
 წინ (ვაჟა).
 სიკვდილი თვალწინ მედგა (ვაჟა).
 ყელში კი არ გამოვიდა, იქვე თვალწინ დამიდგა (ვაჟა).
 ყველა ეს იმის ცხვირწინ დაუკა (ვაჟა).
 თვალწინ მიღვას მისი სახე (აკაკი).
 დაგვიტრანენ და ჩემს თვალწინ მოგვლავდენენ (გერ. ჭიჭ., თარგმ.).
 უფრემს ნისკარტით ვკირა გაველი და დედას თვალეწინ უფრიალებდა (ვაჟა).

ამ რთვისაა საყოველთაოდ ცნობილი გამოთქმა: გუშინწინ.

გუშინწინ წვიმიანი დღე იყო (ვაჟა).
 გუშინწინ სოფელში გახლდით (ვაჟა).

მესამე პირის ნაცვალსახელთან მხოლოდ ნათესაობითთან არის:

დადგამის წინ თავდაკიდებული (ვაჟა).
 მის წინ გადიშალა თვალგადეწვიწენული მინდორი (ვაჟა).
 მის წინ იღვა ის, ვისაც ეს იგლოფდა და სტიროდა (აკაკი).
 ამ დროს წადგა მის წინ ვილაც ახალგაზრდა (აკაკი).
 მოდი და ნუ მოიღრევი იმის წინ მუხლსა (ილია).
 [ლუარსაზე] თითქო... არც იყრებსო, რომ იმის წინ დარეყანია (ილია).
 ვიღვე ისე სულელსავით იმის წინ (ილია).

I და II პირის ნაცვალსახელთან:

ჩემ წინ:

სითაც იყო და არ იყო, ჩემ წინ ეზოში უფრდაცხატრული კერძული გაჩნდა
 (ვაჟა).
 მოვიდა და დადგა ჩემ წინ (ვაჟა).

შემოიყარა, ბატონო, ჩემ.წინ დიონი (ილია).
ჩემ წინ ნახევარ-მკვდარი კაცი იყო (ილია).
ამიწია ჩემ თვალ-წინ და დამწია მხარები ჩემ.წინ, ჩემ.წინ. (ილია).
ჩემ წინ ერთი სირცული იღვა (ვაჟა).
ის დაღონებული იღვა ჩემ.წინა (ილია).
ჩემ წინ იღვა ვლიყო (აჟაქი).
ემბაქები ჩემ წინ სულ მაღაყს ვადადიონენ (აჟაქი).
ჩემ წინ ბურთი კოტრალოზდა (აჟაქი).
მერე დაიჩოჭა ჩემ წინ (აჟაქი).

ჩემს წინ:

ქელანმა ხმა გაჰმინდა... ჩემს წინ დაეცა (ვაჟა).
ჩემს წინ მხოლოდ ღიღრონი იუნები და მუხები იღვა (ვაჟა).
ჩემ წინ გაოჩნდა დიდი სასახლე (ვაჟა).
დათვი იღვა ჩემს წინ (ვაჟა).
ჩემს წინ აღი იღვა და იცინოდა (ვაჟა).
დაიხანხა, ჩემს წინ ფრთაპოტუხილი შაშვი მიიხელოვდა (ვაჟა).

ჩვენს წინ:

ქელანი შოვდა და დაქდა ჩვენს წინ თელის ტ-ტზე (ვაჟა).
ჩვენს წინ ერთ ხმელ ხეს გარშემო კოლადა ველაბოდა (ვაჟა).

ჩვენ წინ:

ჩვერ თავი... ცხოველ იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა (ილია).
ჩვენ წინ კაცმა გამოიარა (ვაჟა)

შენ წინ:

შენ წინ დაჩოქილი ტარის (ილია)
ჩემი გული... იწედა, რომ შენ წინ ვადაშლიდაყო (ილია).

თქვენ წინ:

საქვეწროლ თქვენ წინ ზოღიშ ეხდი (ილია).
მწარ წარსულის მოგონებით თქვენ წინ მოქველო ვარ ამისა (აჟაქი).

11. მიერ მხოლოდ ნათესაობითს დაერთვის:

ვისმენდით ციხელის მიერ მოხრობილს ამბებს (ვაჟა).
მოუყვება თაბაბაზის მიერ საქართველოს აქუბას და ქუთუას დღეფლის წამე-
ბის ამბებს (ვაჟა).

ახევეა მესამე პირის ნაცვალსახელთან:

მის მიერ შეიღოთ მამულისათვის განირვას არაფერი თასი არა აქვს (ილია).
მის მიერ სასატრელ სადგურს იგო ეძიებდა სიყვარულში (ილია).
მის მიერ ვახელლი გზა ჩვენში ყურ უჯალი იყო (ილია).

ამ მხრივ მოსაწესროტებელი არც არაფერია. პარალელური ფორმები ჩნდება და, მაშასადამე, მოწესროტების საკითხი დგება I და II პირის ნაცვალსახელების დართვისას.

ჩვეულებრივ, ჩემ მიერ, ჩვენ მიერ, შენ მიერ, თქვენ მიერ ფორმათა გვერ-
დით გვხვდება ჩემს მიერ, ჩვენს მიერ, შენს მიერ, თქვენს მიერ ფორმები.

ეს ახრია... მოსაწონი ახრია და... შალღობის ღირსდა ჩვენ მიერ (ილია).
პირველმან ამან მიღებდა ჩვენ მიერ დაეწეულს წარსულს (ილია).
ჩვენ მიერ უჯროდ დადგმული გარგვინი დიდებუბა... უნდა მოუხადოს თავილამ
(ილია).

შემდრწუნებულნი იქნებან ჩვენ მიერ (ვაჟა).

ეს ჩემ მიერ აღნიშნული ღირსებაჲ მოგანკოს ღმერთმა (ვაჟა).
ბოლოს ჩემს მიერ მიცემული ფიცო მოიგონოს (გ. ქიქ. თარგმ.).

მე დაიწერე თქვენი უბამის სიტყვა, თქვენ მიერ ტრისტანზე თქმული
(გ. ქიქ., თარგმ.).

შენ მიერ ხილული—ჩემთვის უხილავი იყო (ვაჟა).

12. მერმე, მერე ბრუნვის ფორმასთან დაკავშირების თვალსაზრისით რაიმე განსხვავებას არ გვიჩვენებს. გვხვდება ნათესაობითთან:

მერე სასიძო ხომ მოვა ნიშნის მერეთ? (ილია).

ამის მერემედ ბევრი აღარა დასცალდა ჩი (ილია).

იმის მერე ვე შენი სტალინაჩალინიკი შეშვედა (ილია).

I და II პიროს ნაცვალსახელებთანაც ისეთივე ვითარებაა, რაც სხვა შემთხვევებში ვნახეთ: ჩემ მერმე და ჩემს მერმე და ა. შ.

ნემი თონათინ არ დაჩაგროს ჩემს მერე (ლ. ქიაჩ.).

ერთმანეთს ექიშება მერმე, მერე ფორმები. XIX საუკუნეში მერმედ ფორმაც აქტუალური იყო („იმერთმა გილიხინოს, თუ შეილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგჩენია ამ წუთისოფელში“. — ილია; „ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდა-რა. — ილია).

13. გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გაღმოღმა

ნათესაობითთან:

გზის გადაღმა თავ-თავ-ქვე დაეშუთ (ილია).

ქიშქარის გადაღმა... სწორი შუა უვლიდა დაეთის ეზოს (ლ. ქიაჩ.).

ლობის გაღმოღმა... ძალი წვეს (ილია).

არანაკლებ ხშირია მიცემითთანაც:

ნადრვას... საბიუთოდ მოაჩნდა რუსის ქარის გაღმოსულა აქეასოს ქედს

გაღმოღმა (-ლიტ. ხაქ.).

ტრისტანი ზღვას გაღმა გადაიხვეწა (გ. ქიქ., თარგმ.).

რამდენჯერ გუდა, ხეეს გაღმიღამ ჩემამდე მოეწვინა თავისი უღორტები და მომხვეწინდა (ვაჟა).

ს მოკვეცილია და თანდებული შეერთებულია სახელის ბრუნვის ფორმას:

ეს რომ გაათავეს, ბძანა, რომ ხუშეკრული გაეყვანათ წყალგაღმა (აკაკი).

გორგი მთლი წიგნი იყო ხიდგაღმა დაწერალი (ილია).

თამარ... ცხოვრობდა აღაზანგაღმა თავის დედიდანთანს (ილია).

გადაყვანიდა ქიშქარგაღმა (დ. კლდ.).

ხეე გადაღმა ისინია, ხეე გაღმოღმა ჩვენები (ი. ნონ.).

თელწინ ესახება... დღი გორა ტეხურ-გაღმა (შ. დად.).

14. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ, ზემოდან, ქვემოდან

ნათესაობითთან:

ნეტავი თითონეე მაგ გამოჩენილს მწერის არ ესმაროს სიტყვა სწორედ მაგ ფორმაში ჩემ ლექსების ზემოთ (ილია).

პირდაპირ მერე კიდევ გაეუფანა კლდის ზემოთ (აკაკი).

— ვანა სხვაგან სადმე იცხოვრება? — ხალხში, კაცებთან, ნაყოფიერ დედამიწის ზემოთ (ილია).

მიცემითთან:

სწორედ სტატუსი სოვეტნიკის შესაფერი ბაკენარდები გაუზუდ აწვეა ორთითიით გადაქარაღიწებულის ხელებს ზევით (ვაჟა).

იწესიან ღმერთს ქვემოთ და ერთი ხუთშეტილიც ევისტო რომ გაჯელები. ან სა-
ნადირო იდგალები იყო (ილია).

მიცემითის ს-ს მოკვეცის შედეგადაა მიღებული შერწყმული ფორმები:

თავზევით ღონე აღარ არის (აჟაჟი).

გაკომპოზიტებულია: ზვალზევით.

I და II პირის ნაცვალსახელებთან:

მოიტანს ნანადირვეს, დაქდება ჩემს ზემოდან ერთს ამოჩეხულს ღონდზე
(ვაჟა).

ჩვენ ზემოდან ერთი ბეჭერი იყო (შელანია).

მუდლი ჩემს ქვევით არის და არა ჩემს ზევით (ე. გოგ.).

ფრანგურტი იქვე ჩანდა ჩვენს ქვევით მხარ-მარჯვნივ (ფე. შაგ.. თარგმ.).

ცაზე ჩვენს ზევით ამ ადგილას ღრუბული იდგა (გ. ტახ.).

ზევით—ქვევით-ში ვ ბეჭრა განვითარებულია, XIX საუკუნის სალიტერატუ-
რო ქართულში გვხვდება როგორც ზევით, ისე ზევით და როგორც ქვევით, ისე
ქვეით ფორმები.

ახალუხისას, სარტყელს ზევით, ორს ან სამს ღილს თუ შუკრავდა (ვაჟა).

ინიკამ ნურს ააცილა ცული და ნუჭრის ქვევით დაქრა (ვაჟა).

მუხლზე-ქვევით შიშველ-ტიტყულებს სულ აღარა აცუათ რა (აჟაჟი).

წყალქვევით წყალი ჰფარავდა... წყალზევით-ტი შიშველი იყო (აჟაჟი).

ამებამდ ზევით, ქვევით ფორმები დასავლური დიალექტობებია სალიტერატუ-
რული ენის მიმართ და არა არქაიზმები.

15. წინათ (წინად, წინეთ, წინედ)

ნათესაობითთან:

პურის გიტების წინეთ, ქერ პურს ემთხვევა (აჟაჟი).

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ისე ნეტარებით მიქონდა (აჟაჟი).

რაც უნდა შეიღო თვის შემდეგ დაიწეროს, ის შეიღო თვის წინად ვერ დაიხვე-
ლებო (ილია).

ორის ან სამის საათის წინათ გულაპარაკებოდა ისე საამერად (ილია).

ისე ცხადად ეუღარ ვარჩევ ასოსა წიგნში, როგორც ამ ათის წლის წინათა
(ილია).

წუთის წინად რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს (ილია).

ჩინათი-ფურთუბს... ეწეოდა ამ ერთის თვის წინათ (აჟაჟი).

ამ ათის წლის წინეთ... ბანკის დირექტორობა მოხვია ერთხმად კრებას (აჟაჟი).

რამდენიმე წამის წინედ ხესია წაეიდა (გ. ნანოშ.).

წ. ცემითთან:

შეიღ თვის შემდეგ დასაბადებელი შეიღ თვის წინად არ ინათლება (ილია).

გაქვავებულ გამოთქმაში:

რაც ამას წინად მოეპყრებოდა... ქერ ისინი ხალხმა მიიღოსო (ილია).

წინათ ერთადერთი სწორი ფორმაა მოქმედებითი ბრუნვისა. წინად წარმო-
აშვა მიმართულებითი ბრუნვის -დ, -ად დაბოლოების ანალოგიით. წინეთ (წინედ)
დიალექტიზმია.

16. მაგიერ (მაგიერად) არსებით სახელებს დაერთვის მხოლოდ ნათესაობითან:

ხალხი ფლთაქვას ხმარობდა წისქვილის მაგიერად (ვაფა).
ღმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად (ილია).
გომურის მაგიერად ხელში დაგამწყვლდე (ილია).
სიმღერის მაგიერად საუბარი გააპეს (აქაქი).
თვლები ცრემლებს მაგიერად მრისხანებას აფრქვედნენ (შ. დაფ.).
ბატონმა... ღვინის მაგიერ... წყალი... ჩაასხვევინა ჭურში (აქაქი).
მზეთუნახაერის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს (ილია).
ოთარაანთ ქერკეს გულის მაგიერ ქვა უღვესო (ილია).
კარპიჩა... დახმარების მაგიერ ყველას ხელს უშლიდა (მ. ქაფა.).

ასევე შესაძლოა პიროს ნაცვალსახელებთან:

მაგის მაგიერად... ერთი სიკეთე დასთესე (მ. ყაზბ.).
რესუდანს და ხვამაქს დაეჯალა მის მაგიერ ცხენით ჩამოველოთ ყველგან (შ. დაფ.).
მის მაგიერ მე გთხოვთ, ჩემთან მოხვიდეთ საღილად (აქაქი).

I და II პიროს ნაცვალსახელებთან გვხვდება პარალელური ფორმები: ჩემ მაგიერ და ჩემს მაგიერ, შენ მაგიერ და შენს მაგიერ, ჩვენ მაგიერ და ჩვენს მაგიერ, თქვენ მაგიერ და თქვენს მაგიერ.

წინამძღოლად ჩემ მაგიერ ჩემი გიორგი (ვ. ხარნ.).
თქვენ ხშირად რჩებოთ ჩემ მაგიერ (დ. კლდ.).
ჩემ მაგიერ შურებ მიღვო (აქაქი).
ჩემ მაგიერად ღორი პასტინგის მოიკითხე (ფ. შარ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ სთხოვე, ...უხლავე მოვიდეს (ნ. ლორთქ.).
ჩემ მაგიერ ჯუნეს გამოგიგზავნით (აქაქი).
ღანიის მუყეს... ჩემ მაგიერ საღამო უძღვენ (ფ. შარ., თარგმ.).
ჩემ მაგიერ ხელი მოიწერე (ილია).

მაგრამ: ბავშვებს აკოცე ჩემს მაგიერ (მ. ლომთ.).

შენ მაგიერადაც ემთხიე (ილია).
შენ მაგიერად დაუძახე სხვას (აქაქი).
შენ მაგიერ პასუხს აძლევდ ღმერთსაც და კაცსაც (აქაქი).

მაგრამ: ის მიიყვანე შენს მაგიერად (აქაქი). მე მიიყვამ შენს მაგიერად განკარგულუბას (ნ. ლორთქ.). წერილა შენს მაგიერ შეუღვინათ (აღ. ყაზბ.). მე დავეხედებო შენს მაგიერად ჭოქობეთის ცეცხლს და ცხელ მარწყუებს (გ. ლიონ-შენლობას ითხოვენ ჩვენ მაგიერად (აქაქი).

მაგრამ: [ისინი] მიიღეს ჩვენს მაგიერ (შ. დაფ.).

ნებას დამრთათ თქვენ მაგიერ ვილაპარაკო? (ილია).
თქვენ მაგიერ ჩვენ ვაგებთ პასუხს (ლ. ქაჩა.).

მაგრამ: ის გასცემს მაგათ თქვენს მაგიერ პასუხს (აქაქი). თქვენს მაგიერ ათასობით მოვა ხალხი (ნ. ლორთქ.).

17. ახლო, ახლოს, შოთიახლო, შორიახლოს ჩვეულებრივ გვხვდება მხოლოდ ნათესაობითან:

რამდენიმე ხნის შემდეგ ისე დაბრუნდა და დაქდა ვალიის ახლოს (აქაქი).
იპავე, მოზარის ახლოს, შურის ისმის ღვინი (ვაფა).
უნაგირის ახლოს რაღაც მძივი იპოვა (ხ. კლდ.).

ერთი ნატეხი ყმაწვილის ახლოს დაეცა (ხ. შანშ.).
 იმ ტყის ახლოს... ერთი ქალაქი იყო (თ. რაზიკ.).
 ასწლოვანი ვერხვის ახლოს მწვანეზე გულაღმა დაეწაქა (შ. არაგ.).
 იის ახლოს ისევ ის ჩტი იქა (თ. რაზ.).
 მუშა... ღრუბელს ჰგლევს ზღვის ძირში ნაპირის შორი-ახლო (თ. გოგებ.).
 მღვდლის შორი-ახლოს უბედური მუშა თართალ-ბდა (ილია).
 საყდრის შორი-ახლო ცეცხლის ალი ავარდა (ვაჟა).
 [ვავი] ჟორნის შორი-ახლო ერთ ცხარს დააქა (ვაჟა).
 კეცხლის შორი-ახლო ძაღლი იქა (ილია).
 ღებიც მამის შორი-ახლო დაღვნი (რ. გვებ.).

მაგრამ I და II პირის ნაცვალსახელებთან აქაც საკმაოდ ხშირია ს-ანიანი ფორმები:

მტრის ჭარისკაცები ჩემს ახლოს მოცოცადნენ (შ. დად.).
 ჩემს ახლოს ნალმები ეყოლა (გ. ნატრ.).
 სულ ჩემს ახლოს დაფრანეს (თ. რაზიკ.).
 დედა შაშვიც... ჩემს შორი-ახლოს ხეებზე ქდებოდა (ვაჟა)
 იგი ჩემს შორი-ახლოს დაქა (ჭ. ბაქრ., თარგმ.).
 მაქსიმე და დედა გაბტერებული იღვნი ჩვენს ახლოს (ე. გებ.).
 ღამურები ჩვენს ახლო დაბრკოლებლად ცხოვრობდნენ (თ. გოგებ.).
 [გარმანულები] წამოვიდნენ და იქვე ჩვენს ახლოს დაბანჯდნენ
 (ე. შაქა., თარგმ.).

რა როგ მწყურია შენს შორი-ახლო განაბლებსა მოეკლა ენი (გ. ტაბ.).

ანალოგიური საკითხები ჩნდება მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირგვლივ, ვასწვრივ, პირახ (პირად, პირზე), განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მტრი, უშალ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, გარეთ, გარეშე, გარეშეშო, ნაცვალად, გვერდით (გვერდზე) და მისთ. ზმნისართების სახელის ფორმებთან დაკავშირებისას.

გადასაწყვეტია ცალკე მდგომი თანდებულებასა და ზმნისართების სახელებთან შეწყობასთან დაკავშირებული ორი ძირითადი საკითხი:

1. იმ შემთხვევაში, როცა თანდებულ ან ზმნისართი ორ ბრუნვას — ნათესაობითსა და მიცემითს — უკავშირდება, რომელ ფორმას მიეცეს უპირატესობა.

2. უნდა გადაიჭრას I და II პირის ნაცვალსახელებთან დაკავშირებისას პარალელური — სანიანი და უსანი — ფორმების საკითხი.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში აქ დასახელებული თანდებულები ორ ბრუნვას — ნათესაობითსა და მიცემითს — უკავშირდებოდა გარკვეული კანონზომიერების დაცვით. ახალ ქართულში ძველი ქართულის კანონზომიერება მოიშალა, მაგრამ ორ ბრუნვას დართვა თანდებულებისა შემოგვრჩა. კიდევ ბევრი: ანალოგიით ეს წესი სხვა თანდებულ-ზმნისართებზედაც გავრცელდა. ამასთან, შემოგვრჩა ძველიდან მომდინარე გაქვავებული ფორმებიც. მაინც დღევანდელ ქართულში, თუ ამ გაქვავებულ ფორმებს არ მივიღებთ მხედველობაში, გარკვეული უნიფიკაციისადმი მძლავრი ტენდენცია მაინც შეიმჩნევა: ნათესაობით ბატონდება. ამას ხელს უწყობს შეგნებული ცდებიც, სალიტერატურო ენის სადავო საკითხების მოწესრიგების მიზნით მიმართული. გამონაკლის წარმოადგენს შორის და შუა. რომლებიც მიცემითს უკავშირდებიან.

რაც შეეხება I და II პირის ფორმებთან პარალელური წარმოების (სანიანის და უსანი) არსებობას (ჩემ წინაშე და ჩემს წინაშე და მისთანებს), აქ, უმეტეს შემთხვევაში, სხვა (ზოგადი) სახელების ანალოგიით კი არაა მიღებული, არამედ ძველი ქართულის ფორმების ნაშთია. ძველ ქართულში I და II პირის ნაცვალსახელები ამ თანდებულ-ზმნისართების დართვისას შესაბამისი კუთვნილებითი

ნაცვალსახელებას მიეკუთვნება ბრუნვის ფორმების იყენებდნენ (წინაშე ჩემსა). ამის გამარტივებას წარმოადგენს დღევანდელი ჩემს წინაშე და მსგავსი ფორმები.

როცა ცალკე მდგომარეობაში იქნება ბრუნვის — ნათესაობითა და მიცემითს — დაერთვის, პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა ნათესაობითს უნდა მიეცეს. მიცემითი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დარჩეს, როცა გაქვეავებული გამოთქმები გვაქვს.

I და II პირის ფორმებთან უსანო ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული ძირითად ფორმებად. ამით ეს ფორმებიც გაყვება საერთო წესს, დაშორდება მიცემითს, თანდებულ-ზმნისართები საბოლოოდ ნათესაობითთან იქნება დაკავშირებული, რამდენადაც უსანო ფორმები ნათესაობითის ბადალა.

ამის მიხედვით უნდა დამკვიდრდეს შემდეგი წესები:

1. გარდა შეიძლება წინ უსწრებდეს სახელს და შეიძლება მოსდევდეს მას; ორივე შემთხვევაში ის უნდა იხმარებოდეს ნათესაობითთან: ამხანაგის გარდა და გარდა ამხანაგისა, ამის გარდა და გარდა ამისა. როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩება მიცემითთან ამას გარდა. ამ გამოთქმას ზმნისართული შინაარსი აქვს.
2. იქით, აქეთ და მისთ. იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: ცხრა მთას იქით; ამას იქით; მას იქით; ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქით. I და II პირის ნაცვალსახელებზე ამ ზმნისართის დართვისას, აგრეთვე როგორც ჩვეულებრივი გაქვეავებული გამოთქმები, დარჩება: ჩემს იქით, შენს იქით, ჩვენს იქით, თქვენს იქით. გავრცელებული აქეთ და აქით სახეობათაგან ლიტერატურულად აქეთ სახეობა იქნეს მიჩნეული, აქით უკუსაგებია.
3. უკან იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩება მიცემითთან: მას უკან, პატარა ხანს უკან, ზურგს უკან, პირს უკან.
4. შორის იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
5. შუა იხმარებოდეს მხოლოდ მიცემითთან.
6. შემდეგ, შემდგომ იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან მას შემდეგ.
7. ქვეშ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
8. გამო იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
9. წინაშე იხმარებოდეს ნათესაობითთან
10. წინ იხმარებოდეს ნათესაობითთან.
11. მიერ იხმარება და იხმარებოდეს ნათესაობითთან.
12. მერმე იხმარებოდეს ნათესაობითთან. მერმე, მერე, მერმედ სახეობათაგან ლიტერატურულად მიჩნეულ იქნეს მხოლოდ მერმე.
13. გაღმა, გამოღმა, გადაღმა, გაღმა იხმარებოდეს ნათესაობითთან. როგორც ჩვეულებრივი თქმა, დარჩეს მიცემითთან ცხრა მთას გადაღმა, ზღვას გაღმა, წუალს გაღმა, წუალს გამოღმა.
14. წინათ იხმარებოდეს ნათესაობითთან. აღინიშნოს, რომ წინათ წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმა და ამდენად, სრულიად გაუმართლებელია მისი დღეობით იხმარება (წინად), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ იქნეს წინეთ სახეობა, როგორც დიალექტური.

როგორც ჩვეულებრივი გამოთქმა, დარჩეს მიცემითან: ამას წინათ.

15. ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ იხმარებოდეს ნათესაობითან, აღინაშნოს, რომ ზემოთ, ქვემოთ წარმოშობით მოქმედებითი ბრუნვის ფორმებია და, ამდენად, გაუშართლებელია მათი დ დაბოლოებით ხმარება (ზემოდ, ქვემოდ), რაც ზოგჯერ გვხვდება სალიტერატურო ენაში მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოების ანალოგიით. ასევე უარყოფილ უნდა იქნეს ზეით, ქვეით ფორმები. თუმცა ისტორიულად ეს ფორმები გამართლებულია, დღევანდელი სალიტერატურო ენის მიმართ დიალექტობებს წარმოადგენს. ერთადერთ ფორმებად მიჩნეულ იქნეს ფორმები, რომლებშიც ვ ბგერაა ჩართული: ზევით, ქვევით.
16. მავიერ (მავიერად) იხმარება და იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითან.
17. ახლო, ახლოს, შორიახლო, შორიახლოს იხმარებოდეს მხოლოდ ნათესაობითან.
18. ანალოგიურად უნდა დაუკავშირდეს სახელს ნათესაობით ბრუნვაში: მახლობლად, მსგავსად, მოშორებით, ირავლივ, გასწვრივ, პირას (პირად, პირზე), ნაპირას, განაპირას, პირდაპირ, წინააღმდეგ, მეტი, უმაღლ, ბოლოს, ძირს (ძირას), შესახებ, გარეთ, გარეშე, გარეშე, ნაცვლად, გვერდით (გვერდზე) და სხვა ზმნისართ-თანდებულეები.
19. ზემო პუნქტებში ჩამოთვლილი თანდებულ-ზმნისართები (ძირითადად) პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ხანმოკვეცილ ფორმებს უნდა დაუკავშირდეს (ე. ი. ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ სახეობებს). რომლებიც ნათესაობითი ბრუნვის ბადალია. ამის მიხედვით გვექნება: ჩემ გარდა, შენ გარდა, ჩვენ გარდა, თქვენ გარდა. ჩემ უკან, შენ უკან, ჩვენ უკან, თქვენ უკან. ჩემ შემდეგ, შენ შემდეგ, ჩვენ შემდეგ, თქვენ შემდეგ და ასევე შემდგომ, ქვეშ, გამო, წინაშე, წინ, მიერ, მერმე, წინათ, ზევით, ზემოთ, ქვევით, ქვემოთ. მავიერ. ახლო, შორიახლო და სხვ. თანდებულ-ზმნისართებთან. ამით დამყარდება ერთგვარობა და გზა აღარ გაეხსნება ისეთ ფორმებს, როგორცაა: ჩემსკენ, შენსკენ, ჩვენსკენ, თქვენსკენ. ჩემს მიერ და სხვ., რომლებშიც ს ანალოგიითაა გაჩენილი.
20. ასევე უნდა იხმარებოდეს ჩვენ შორის, ჩვენ შუა, თქვენ შორის, თქვენ შუა. ამ შემთხვევაში ჩვენ, თქვენ მიცემითის ბადალია და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმის გამოყენება აღარ დაგვიკირდება. შუა და შორის — გაპყვება საერთო წესს.
21. ისეთი შემთხვევები, როცა შორის და შუა ორ ნაცვალსახელთან იხმარება, ზემო მუხლში გათვალისწინებულ წესს უნდა დაუქვემდებარდეს, ე. ი. ყველგან ს მოკვეცილი ფორმები უნდა იხმარებოდეს: ჩვენ და თქვენ შორის, თქვენ და ჩვენ შორის და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ორი ნაცვალსახელისაგან ერთ-ერთი პირველი პირის მე ნაცვალსახელია, იგი ჩვეულებრივ პირველ ადგილას დაისმის და ერთადერთი ლიტერატურული გამოთქმები იქნება: მე და შენ შორის (ან შუა), მე და მას შორის (ან შუა), მე და თქვენ შორის (ან შუა), ჩემ და შენ შორის და მისთ. გამოთქმები უარყოფილ უნდა იქნეს. თუ პირველი პირის ნაცვალსახელი მეორე ადგილზე გადაისმის, მხოლოდ ამ შემთხვევაში მეს-ს შენაცვლება ჩემ: შენ და ჩემ შორის.

22. სახელის მიცემით ბრუნვას შეერთებული (ს მოკვეცილი) ფორმები გაკომპოზიტებულია და ერთ სიტყვად დაიწეროს:
ლოდებზუა, ჰერქვეშ, კაკალქვეშ, ფებქვეშ, კაკლებქვეშ, თავქვეშ, თვალწინ, ცხვირწინ, გუშინწინ, წყალგალმა.
23. ყველა თანდებულ-ზმნისართი პოსტპოზიციურად დაერთოს სახელს. გამო-
ნაკლისს წარმოადგენს გარდა, ამ შემთხვევაში პრეპოზიციული წყობაც დარ-
ჩება: ამის გარდა (ვარდანი: ამას გარდა) და გარდა ამისა.

ზელსაკთავ სახელთა ნარმოება ნასესხებ სიზყვათაგან ურ გოლმსაკითთ

-ურ ბოლოსართი ქართულში სადაურობისა და თვისების აღმნიშვნელი სიტყვების საწარმოებელია¹. ეგვე -ურ ბოლოსართი აწარმოებს ზედსართავეებს იმ შემთხვევაშიც, როცა მათ ფუძედ უცხო სიტყვაა აღებული (ინტერნაციონალ-ურ-ი, ცენტრალ-ურ-ი, ტექნიკ-ურ-ი). ნასესხებ სიტყვებსა და მათს ახალ წარმოებებში -ურ სუფიქსის ხმარებისას არევე-დარევაა. ეს არევე-დარევა უმეტეს წილ შემთხვევაში დამყარებულია იმ გაუგებრობაზე, რომელიც მღვდომარეობდა ამ სიტყვათა რუსული ენიდან გადმოღების დროს ერთ-ერთი რუსული ბოლოსართის მკდარ დანაწევრებაში², სახელდობრ, ისეთ სიტყვათა გადმოღებისას, როგორცაა: диамический, диалектический, фонетический... ბოლოსართად გაგებულ იქნა -ческий, რომელიც ჩამოსცილდა სიტყვას და მის მაგნიერ მიემატა ქართული -ურ-ი: დინამი-ურ-ი, დიალექტი-ურ-ი, ფონეტი-ურ-ი... ნამდვილად კი აქ რუსული დაბოლოებაა -еский, ხოლო ყ უმეტეს წილად კ-ს სახეცელიებაა (შეად. человек — человек-еский, грек — греч-еский). აღნიშნულ არევე-დარევას სხვა მიზეზებიც აქვს, ნაკლებ მნიშვნელოვანი.

მოცემული რიგის სიტყვახმარებაში ერთფეროვნების დასამყარებლად სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს მიღებული შემდეგი დებულებები:

1. საეალდებულაა უცხო ენებიდან ნასესხები ზედსართავეების ქართული გაფორმება:

სოციალური (და არა: სოციალი), რეალური (და არა: რეალი), ცენტრალური (და არა: ცენტრალი), კონკრეტული (და არა: კონკრეტი), პასიური (და არა: პასივი) და სხვ.

2. გაფორმება ზდება შემდეგი თავსართებისა და ბოლოსართების საშუალებით: უმრავლეს შემთხვევაში -ურ სუფიქსით, აგრეთვე -ობრივ სუფიქსით და ხა-ო პრეფიქს-სუფიქსით; მაგ.:

პოლიტიკ-ურ-ი, კლას-ობრივ-ი, ხარვეზოლუცი-ო...

ამათგან არევე-დარევა ჩნდება -ურ ბოლოსართის ხმარებისას.

შენიშვნა. თუ საწარმოებელი სიტყვის ფუძეში რ ბგერა შედის, მაშინ ბოლოსართი -ურ დისიმილაციით -ულ სახით წარმოგვიდგება.

3. აღნიშნული ბოლოსართები და თავსართები ემატება სახელის იმ ნაწილს, რომელსაც მივიღებთ ნათესაობით ბრუნვაში ბრუნვის -ის დაბოლოების ჩამოცილების შემდეგ, ე. ი. შეკუმშულ და ბოლომოკვეცილ ფუძეებს (თუ სახელი კუმშვადი ან კვეცადია).

¹ ათორღ სიტყვაში გვხვდება ბოლოსართი -იურ-ი: შიური, დღიური, წლიური... მაგ. რამ ის სხვა წარმოშობისა და აღებული კატეგორიისათვის დასახსრათებელი არ არის.

² თუმცა აღნიშნული სიტყვები ვეროპულ ენებს ეკუთვნის, მაგრამ ქართულში ისინი ჩვეულებრივ რუსულის გზით შემოდიოდნენ.

ძმა	ძმ-ის	ძმ.ურ-ი
პოლიტიკა	პოლიტიკ-ის	პოლიტიკ-ურ-ი
ისტორია	ისტორი-ის	ისტორი-ულ-ი
პრაქტიკა	პრაქტიკ-ის	პრაქტიკ-ულ-ი
კლას-ი	კლას-ის	კლას-ობრივ-ი
რევოლუცია	რევოლუცი-ის	სა-რევოლუცი-ო...

4. ნასესხები სიტყვებისგან ზედსართავის წარმოებისათვის დასაყრდენია ან არსებითი, ან ზედსართავი სახელის ფუძე.

5. როცა მხოლოდ ზედსართავია ნასესხები (და სათანადო არსებითი სახელი კი — არა), ქართული სუფიქსი ემატება სათანადო უცხო ენის ზედსართავის ფუძეს:

актуаль-ный	აქტუალ-ურ-ი
реаль-ный	რეალ-ურ-ი
социаль-ный	სოციალ-ურ-ი
специаль-ный	სპეციალ-ურ-ი
конкрет-ный	კონკრეტ-ულ-ი
серьез-ный	სერიოზ-ულ-ი

6. როცა სათანადო არსებითი სახელიც არის ნასესხები, ქართული ბოლოსართი ემატება არსებითი სახელის ფუძეს (მესამე მუხლში აღნიშნული გაგებით):

გიგანტ-ი	გიგანტ-ის	გიგანტ-ურ-ი
დინამიკა	დინამიკ-ის	დინამიკ-ურ-ი
ლოგია	ლოგიკ-ის	ლოგიკ-ურ-ი
პერიოდი	პერიოდ-ის	პერიოდ-ულ-ი
სტატია	სტატიკ-ის	სტატიკ-ურ-ი
აღმინისტრაცია	აღმინისტრაცი-ის	აღმინისტრაცი-ულ-ი
ასტრონომია	ასტრონომი-ის	ასტრონომი-ულ-ი
გრამატიკა	გრამატიკ-ის	გრამატიკ-ულ-ი

და ასე: ანალიტიკა: ანალიტიკ-ურ-ი, მაგარამ:

ანალიზ-ი	ანალიზ-ურ-ი
გრაფიკა	გრაფიკ-ულ-ი
ეთიკა	ეთიკ-ურ-ი
ლირიკა	ლირიკ-ულ-ი
მათემატიკა	მათემატიკ-ურ-ი
მექანიკა	მექანიკ-ურ-ი
პოლიტიკა	პოლიტიკ-ურ-ი
სპეციფიკა	სპეციფიკ-ურ-ი
სტატისტიკა	სტატისტიკ-ურ-ი
სქოლასტიკა	სქოლასტიკ-ურ-ი
ტაქტიკა	ტაქტიკ-ურ-ი
ტიქნიკა	ტიქნიკ-ურ-ი
იდეალი	იდეალ-ურ-ი

იდეალისტ-ი: იდეალისტ-ური
ინტერნაციონალ-ი: ინტერნაციონალ-ური
ინტერნაციონალისტ-ი: ინტერნაციონალისტ-ური

შენიშვნა 1. ამ რეგისტრის, გამოწვევის სახით, წარმოებას დასაყრდენად შეიძლება მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია:

მუსიკალ-ური, ფორმალ-ური, თეატრალ-ური, ცენტრალ-ური, მატერიალ-ური.

შენიშვნა 2. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად საესეებით დასაშვებია:

მუსიკალ-ური და მუსიკ-ური, ნორმალ-ური და ნორმ-ული და სხვ.

შენიშვნა 3. -ურ სუფიქსით ზედსართავი სახელის წარმოების პარალელურად ფართოდ უნდა გაეხსნას გზა, ერთი მხრით, -ობრივ სუფიქსით წარმოებას და ხა- პრეფიქსისა და -ო სუფიქსის გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად; მაგალითად, ფაქტიური, ტიპური ზედსართავების ნაკლებად, რომლებიც, როგორც ასე თუ ისე გავრცელებულნი, გამოწვევის სახით დატოვებული იყო სალიტერატურო ენაში, უნდა ვიხმაროთ ფაქტ-ობრივი, ტიპ-ობრივი (ფაქტობრივი მდგომარეობა, ტიპობრივი წესდება); ასევე: ხანსტორიო-საენთნოგრაფიო საზოგადოება, ფილოლოგიის ფაქულტეტი, ენერგეტიკის ინსტიტუტი და სხვ.

7. ზემოთქმულის მიხედვით შეუწყნარებელია წარმოებისათვის დასაყრდენად გამოყენება უცხო ენის ზედსართავის უმართებულად გამოყოფილი ფუძისა. უნდა იყოს: ელასტიკ-ური და არა: ელასტი-ური: ЭЛАСТИЧЕСКИЙ (*ЭЛАСТИКЕСКИЙ)

ტრაგიკ-ული (და არა: ტრაგი-ული)

8. ბერძნულიდან მომდინარე -მა-თი დასრულებული არსებითი სახელისაგან ზედსართავი იწარმოება სახელის ფუძეზე -ურ ბოლოსართის დართვით: ეპიგრაშა— ეპიგრაშ-ული-ი

დრამა— დრამ-ული-ი და აგრეთვე: დრამის, მაგ.; თეატრი. აგრეთვე: დრამატ-ული-ი)

პრობლემა— პრობლემ-ური-ი (აგრეთვე: ხა-პრობლემ-ო)

პროგრამა— პროგრამ-ული-ი (აგრეთვე: ხა-პროგრამ-ო)

სისტემა— სისტემ-ური-ი (აგრეთვე: სისტემატ-ური-ი)

სქემა — სქემ-ური-ი (აგრეთვე: სქემატ-ური-ი)

და ასე: პრიზმა — პრიზმ-ული-ი

ტრავმა — ტრავმ-ული-ი...

შენიშვნა. თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამის-მა დაბოლოებიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ფორმდება რუსულის გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან:

პნევმატ-ური-ი пневмат-ический

პრაგმატ-ული-ი прагмат-ический

სომატ-ური-ი сомат-ический

9. უნდა გაირჩეს სხვადასხვა შინაარსის მქონე ზედსართავი წარმოებანი, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ემსგავსებიან:

პედაგოგია (წერტნა): პედაგოგი-ური-ი, მაგრამ: პედაგოგი-ი: პედაგოგი-ური-ი, პე-
დაგოგია: პედაგოგი-ური-ი.

მასიფი: მასი-ური-ი (массивный), მაგრამ: მასა: მას-ობრიფი-ი, სა-მას-ო, მას-
ური-ი (массовый).

კლასი: კლას-ობრიფი-ი (классовый), მაგრამ: კლასიკ-ური-ი (классический).

ასევე: თუ ამოსავალია ეკონომიკა ფუძე, მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქ-
ნება — ეკონომიკ-ური-ი; თუ ამოსავალია ეკონომია ფუძე, მისგან ნაწარმოები
ზედსართავი იქნება — ეკონომი-ური-ი, ხოლო, თუ ამოსავალია ეკონომ ფუძე —
მისგან ნაწარმოები ზედსართავი იქნება ეკონომ-ური-ი. რუსული экономный-ს
შესატყვისად ქართულში დარჩება ეკონომური-ი.

ზედსარტაჲი სახელაგის ნარმოება ბერძნულიან მომღინარა მა-ზე დანსაქლებელ არსებით სახელთაგან

მა-ზე დასრულებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართათა წარმოქმნისას ჩნდება სადავო საკითხები.

ერთ შემთხვევაში ბერძნულიდან შემოსულ სახელს უშუალოდ ემატება -ურ სუფიქსი და ვილებთ: (პროგრამა + -ურ =) პროგრამული, (ეპოგრამა + -ურ =) ეპოგრამული...

მეორე შემთხვევაში აღებულია ბერძნული სახელის ფუძე ატ ელემენტი და მას ერთვის იგივე -ურ ბოლოსართი, ვილებთ:

პრობლემა — პრობლემატ: პრობლემატ-ურ-ი

სისტემა — სისტემატ: სისტემატ-ურ-ი

შესაძლებელია ამათ პარალელურად, რუსული ენის გავლენით, ი-ურ სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდებოდეს: პრობლემატიური, სისტემატიური, სქემატიური და სხვ.

პირველ ყოვლისა ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფუძისაგან ვაწარმოთ -მა ელემენტიან სიტყვათაგან ზედსართავი სახელი: ვაწარმოთ ის ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძისაგან, თუ თვით ბერძნული არსებითი სახელის ფუძისაგან. თუ საფუძვლად დავუდებთ ქართულში დამკვიდრებულ არსებით სახელებს, მაშინ მივიღებთ: ღრამა — ღრამ-ული, სისტემა — სისტემ-ურ-ი, სქემა — სქემ-ურ-ი...

მეორე მხრივ, თუ ამოსავლად მივიჩნევთ ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს ღრამატ-, სისტემატ- და სხვას, მაშინ კითხვა ისმის: როგორ ვწეროთ: ღრამატული თუ ღრამატიული? სისტემატური თუ სისტემატიური და სხვ.

ამ არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძველ ქართულში არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიტყვას „ღრამატიკოსობა“, რომელიც ყძმამა-სგან კი არ არის ნაწარმოები, არამედ მზა სიტყვისაგან ყძმამა-ჯაჲ, არის კიდევ ერთი სიტყვა, სადაც τ სუფიქსიანი ფორმა შემოსული: „ღრამატურგიაჲ“, მაგრამ აქაც მზა არსებითი სახელია საფუძველი ნძამაჯაჲ და არა ნძამა, ნძამაჯაჲ.

მეორე საკითხი უკვე გადაწყვეტილია (იხ. ზემოთ: „ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით“): მიღებულია გარკვეული წესი, რომ უნდა იწერებოდეს კონკრეტული და არა კონკრეტიული, აბსოლუტური და არა აბსოლუტიური; ცხადია, ეს წესი გავრცელდება აქ წარმოდგენილ შემთხვევებზედაც და ამდენად ყველგან -ურ სუფიქსი იქნება გამოყენებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძე ავიღოთ ამოსავლად, აკრუთვე წყდება თანხმად საერთო წესისა, რომელიც შემდგომი მდგომარეობს: როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის წარმოებისას ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუ-

ძე უნდა იქნეს ალებული. ამდენად, ბერძნული არსებითი სახელის ფუძის გამოყენებაზე ამოსავლად ხელი უნდა ავიღოთ. მაშასადამე, ზედსართავი უნდა ვაწარმოოთ არა დრამატ ფუძისაგან, არამედ დრამა ფუძისაგან. ამის მიხედვით გვექნება: დრამა — დრამული, პრიზმა — პრიზმული, სისტემა — სისტემური, სქემა — სქემური, ეპოგრამა — ეპოგრამული, ტრავმა — ტრავმული და სხვ. მაგრამ, თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მადლობლობანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება რუსული გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან: პნევმატური (пневматический); პრაგმატული (прагматический), სომატური (соматический)...

არ არის ავრეთვე გამორიცხული, რომ წარმოების დასაყრდენად საერთოდ მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც, თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია. გარდა ამისა, ფართოდ უნდა გავხსნას გზა, ერთი მხრით, სხვა აფიქსებით წარმოებას, ხოლო, მეორე მხრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად (პრობლემა — პრობლემური, სპრობლემო, პრობლემატური; დრამა — დრამული, დრამატული და დრამის; დრამის თეატრი).

მსაზღვრელი სახელის შემანახველ საზღვართან ბრუნვაში

(წითელი დროშის თუ წითელ დროშის?)

1. ძველ ქართულში მსაზღვრელი შეიძლება ყოფილიყო დასმული საზღვრულის წინ ა და შემდეგ აც. აღრინდელ ძეგლებში მსაზღვრელი მეტწილად მოსდევდა საზღვრულს. ორივე შემთხვევაში მსაზღვრელი, უსწრებდა იგი საზღვრულს თუ მოსდევდა მას, იღებდა სრულ დაბოლოებას, ე. ი. ერთნაირად იბრუნებოდა მსაზღვრელიცა და საზღვრულიც.

სახ.	დიდი სიხარული	სიხარული დიდი	მთაჲ მაღალი
მოთხრ.	დიდმან სიხარულმან	სიხარულმან დიდმან	მთამან მაღალმან
მიცემ.	დიდსა სიხარულსა	სიხარულსა დიდსა	მთასა მაღალსა
მიმართ.	დიდად სიხარულად	სიხარულად დიდად	მთად მაღლად
ნათეს.	დიდისა სიხარულისა	სიხარულისა დიდისა	მთისა მაღლისა
მოქმედ.	დიდითა სიხარულითა	სიხარულითა დიდითა	მთითა მაღლითა
წოდებ.	დიდო სიხარული	სიხარული დიდო	მთაო მაღალი

2. ახალ ქართულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უსწრებს საზღვრულს და ბრუნებისას ძველ ქართულთან შედარებით მას რიგი თავისებურებები ახასიათებს, სახელდობრ:

ა) თუ მსაზღვრელი ბოლოზმოენიანია (ე. ი. ფუძის ბოლოციდურად მოუღის ხმოვანი ა, ფ, ო, უ) და უსწრებს საზღვრულს, იგი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვისა და რიცხვში (მრავლობით რიცხვში ნაეარაუდღევია - ებ ბოლოსართით ნაწარმოები საზღვრული); მაგ.:

მხოლოდობით რიცხვში:

სახ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცე
მოთხრ.	რკინა კაცმა	გამრჯე ქალმა	ფართო ველმა	ყრუ მოხუცმა
მიცემ.	რკინა კაცს	გამრჯე ქალს	ფართო ველს	ყრუ მოხუცს
მიმართ.	რკინა კაცად	გამრჯე ქალად	ფართო ველად	ყრუ მოხუცად
ნათეს.	რკინა კაცის	გამრჯე ქალის	ფართო ველის	ყრუ მოხუცის
მოქმედ.	რკინა კაცით	გამრჯე ქალით	ფართო ველით	ყრუ მოხუცით
წოდებ.	რკინა კაცი	გამრჯე ქალი	ფართო ველი	ყრუ მოხუცი

მრავლობით რიცხვში:

სახ.	რკინა კაცები	გამრჯე ქალები	ფართო ველები	ყრუ მოხუცები
მოთხრ.	რკინა კაცებმა	გამრჯე ქალებმა	ფართო ველებმა	ყრუ მოხუცებმა
მიცემ.	რკინა კაცებს	გამრჯე ქალებს	ფართო ველებს	ყრუ მოხუცებს
მიმართ.	რკინა კაცებად	გამრჯე ქალებად	ფართო ველებად	ყრუ მოხუცებად
ნათეს.	რკინა კაცების	გამრჯე ქალების	ფართო ველების	ყრუ მოხუცების
მოქმედ.	რკინა კაცებით	გამრჯე ქალებით	ფართო ველებით	ყრუ მოხუცებით
წოდებ.	რკინა კაცებო	გამრჯე ქალებო	ფართო ველებო	ყრუ მოხუცებო

შენიშვნა. ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა საკუთარ სახელებს მოსდევს გვარი, თანამდებობის ან პროფესიის გამომხატველი სიტყვა განურჩევლად იმისა. ბოლოთანხმოვნიათა თუ ბოლოხმოვნიათა ეს სახელები; მაგალითად:

ხაბ. დაეთ დროიძე	გლაზა კრიაშვილი	თამარ მეფე
მოთხრ. დაეთ დროიძემ	გლაზა კრიაშვილმა	თამარ მეფემ
მიცემ. დაეთ დროიძეს	გლაზა კრიაშვილს	თამარ მეფეს და სხვ.

ბ) თუ მსაზღვრელი ბოლოთანხმოვნიათა და წინ უსწრებს საზღვრულს, იგი იცვლება ყველა ბრუნვაში. ამ შემთხვევაში შეიძლება გვექნეს ოთხი სახეობა; სახელდობრ:

I. სრული, როდესაც მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ოღონდ მიმართულებითში იღებს მიცემითის ნიშანს, ხოლო მოკმედებითში — ნათესაობითისას;

II. გარდამავალი, როდესაც მსაზღვრელს სრული დაბოლოება აქვს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში, ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია მიცემითსა და მიმართულებითში, ხოლო ნაწილობრივ (თანხმოვნითი ელემენტი) მოკვეცილია ნათესაობითსა და მოკმედებითში;

III. მოკვეცილი, როდესაც სახელობითის, (ზოგჯერ) მოთხრობითისა და წოდებითის გარდა სხვა ბრუნვებში ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია, და

IV. ვულგარული, როცა ყველა ბრუნვაში სახელობითის ფორმა გვაქვს.

ნ ი მ უ შ ე ბ ი

I. სრული სახეობა

ხაბ.	დიდი საქმე
მოთხრ.	დიდმა საქმემ
მიცემ.	დიდს საქმეს
მიმართ.	დიდს საქმედ
ნათეს.	დიდის საქმის
მოკმედ.	დიდის საქმით
წოდებ.	დიდო საქმევ

II. გარდამავალი სახეობა

დიდი საქმე
დიდმა საქმემ
დიდს საქმეს
დიდს საქმედ
დიდი საქმის
დიდი საქმით
დიდო საქმევ

III. შეკვეცილი სახეობა

ხაბ.	დიდი საქმე
მოთხრ.	დიდ(მა) საქმემ
მიცემ.	დიდს საქმეს
მიმართ.	დიდს საქმედ
ნათეს.	დიდს საქმის
მოკმედ.	დიდს საქმით
წოდებ.	დიდო საქმევ

IV. ვულგარული სახეობა

დიდი საქმე
დიდი საქმემ
დიდი საქმეს
დიდი საქმედ
დიდი საქმის
დიდი საქმით
დიდი საქმევ

შენიშვნა. მრავლობით რიცხვში — ბოლოსართით ნაწარმოებ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდობით რიცხვშია დასმული (საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება) და ბრუნვაში ისე იცვლება, როგორც მხოლოდობითში: დიდი საქმეები, დიდმა საქმეებმა, დიდს საქმეებს და სხვ.

3. ზემონაჩეენები ოთხი სახეობიდან ეულგარული სახეობა მხოლოდ ზოგ დასავლურ კილოში გვხვდება, ლიტერატურულ ენაში არ გავრცელებულა და, ამდენად, როგორც არალიტერატურული ფორმა, სავსებით უკუგდებულ უნდა იქნეს (იგულისხმება დიდი საქმემ, დიდი საქმეს, დიდი საქმედ და მისთ.; ასევე: მიცემითი ბრუნვას, მოქმედებითი ბრუნვაში და მისთ.).

დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა.

ძირითადი სახეობის სასარკებლოდ ლაპარაკობს ის, რომ

ა) გარდამავალი სახეობა ყველა სახეობაზე უფრო გავრცელებულია დღევანდელ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ მეტყველებაში;

ბ) კუთვნილებითი ნაცვალსახელები, როგორც მსაზღვრელები, მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (არ გვხვდება: ჩემ გზით, შენ სიტყვით; ბუნებრივია: ჩემი გზით, შენი სიტყვით და სხვ.);

გ) როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული, აცილებულია მსაზღვრელთა შეეკეცილი სახით ხმარებისას მოსალოდნელო ორპარტონება (მაგ.: დროებითი მთავრობის დადგენილება მოქმედება; შეადარეთ ამას: დროებით მთავრობის დადგენილება მოქმედება).

დ) ერთმარცვლიანი მსაზღვრელები ჩვეულებრივ მხოლოდ გარდამავალი სახეობით იხმარება (ერთი კაცის, ორი ხახლის და სხვ.)

4. ამგვარად, ა) თანხმობიანფუძიანი მსაზღვრელის ბრუნებისას როგორც მხოლოდობით რიცხვში, ისე — ებ ბოლოსართიან მრავლობითში ძირითად ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს გარდამავალი სახეობა:

მხოლოდობითში:

მრავლობითში:

სახ.	წითელი დროშა	წითელი დროშები
მოთხრ.	წითელმა დროშამ	წითელმა დროშებმა
მიცემ.	წითელ დროშას	წითელ დროშება
მიმართ.	წითელ დროშად	წითელ დროშებად
ნათეს.	წითელი დროშის	წითელი დროშების
მოქმედ.	წითელი დროშით	წითელი დროშებით
წოდებ.	წითელო დროშავ	წითელო დროშებო

ბ) ძირითადი სახეობის გვერდით დასაშვებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სრული სახეობა მიცემითსა და ნათესაობითში (დიდს საქმეს, დიდის საქმის), აგრეთვე მოქმედებითსა და მიმართულებითში (მოქმედებითში — ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, ხოლო მიმართულებითში — მიცემითი ბრუნვის ფორმით: დიდის საქმით, დიდს საქმედ). ეს უკანასკნელი ფორმები განსაკუთრებით საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც მსაზღვრელად ისეთი სახელია წარმოდგენილი, რომლის ფუძედ მოქმედებითი ან მიმართულებითი ბრუნვის ფორმებია გამოყენებული (მაგ., მოქმედებითს ბრუნვაში, პირველადს პარტორგანიზაციას და სხვ.).

გ) თუ მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელია, მაშინ ერთადერთ ფორმად სრული სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული მიცემითსა და მიმართულებითში (ჩემს ამხანაგს, შენს ამხანაგს, ჩვენს ამხანაგს, თქვენს ამხანაგს, მათს ამხანაგს; ჩემს ამხანაგად, შენს ამხანაგად, ჩვენს ამხანაგად, თქვენს ამხანაგად, მათს ამხანაგად).

დ) თუ მსაზღვრელად პროფესიის აღმნიშვნელი სახელია, ძირითად ფორმად ბრუნვის ნიშანმოკვეცილი სახეობა უნდა იქნეს მიჩნეული ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში (გენერალ ჩანჩიხაძის, გენერალ ჩანჩიხაძით; პროფესორ მელიქიშვილის, პროფესორ მელიქიშვილით).

ე) თუ გვართან ერთად ბრუნებისას აღმნიშნის თანხმოვანფუძიანი სახელია და იგი წინ უსწრებს გვარს, არც ერთ ბრუნვაში არ შეიცვლება;

სახ.	გრიგოლ ორბელიანი
მოთხრ.	გრიგოლ ორბელიანმა
მიცემ.	გრიგოლ ორბელიანს
მიმართ.	გრიგოლ ორბელიანად
ნათეს.	გრიგოლ ორბელიანის
მოქმედ.	გრიგოლ ორბელიანით
წოდებ.	გრიგოლ ორბელიანო

ვ) თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იშვიათია შემთხვევები, რომ აღმნიშნის საკუთარი სახელი მოსდევდეს გვარს. თუ მოსდევს, ორივეს უნდა ერთოდეს ბრუნვის ნიშნები მთლიანად (ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის სახელს მხოლოდ სახელობითსა და წოდებითში).

სახ.	ორბელიანი გრიგოლ
მოთხრ.	ორბელიანმა გრიგოლმა
მიცემ.	ორბელიანს გრიგოლს
მიმართ.	(არ გვხვდება)
ნათეს.	ორბელიანის გრიგოლის
მოქმედ.	(არ გვხვდება)
წოდებ.	ორბელიანო გრიგოლ

ზ) გათიშულ მსაზღვრელს, მიუხედავად იმისა, ხმოვანფუძიანია იგი თუ თან-ხმოვანფუძიანი; ბრუნვის ნიშნები ყოველთვის სრულად უნდა დაერთოს.

„ქრელს ჩავიცომდი კაბასა“ — (ვაჟა).

„მწვანეს ეწვდება ფოთოლსა ხარი ირემი რქიანი“ — (ვაჟა).

თ) სიების შედგენისას, როცა ჩვეულებრივ ჯერ გვარი იწერება და შემდეგ სახელი, სახელი ფუძის სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი.

აბაშიძე ვახტანგ
ბერიძე ტურამ
გაბუნია თამაზ
დიასამიძე ქეთევან
ერისთავი თენგიზ
ვარდოსანიძე მარიამ
ზვიადაძე ნოდარ
თარგამაძე იოსებ და ა. შ.

ნანათესაობითარი მსაზღვრელი სახელის შეთანხმება

საზღვრელთან ბრუნვაში

(წიგნს ამხანაგისას თუ წიგნს ამხანაგისა?)

1. ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი შეიძლება იყოს საზღვრელის წინაე და შემდეგაე როგორე ძველ ქართულში, ისე ახალში.

ა) როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი წინ უსწრებს საზღვრულს, რაც არაიშვიათი მოვლენა ძველ ქართულში და გაბატონებული წყობა ახალ ქართულში, მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება. ემუატიკური -ა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი საზოგადო სახელისა ძველ ქართულში აუცლებულია. ახალ ქართულში, თი იგი აღარ დაერთვის ამავე ბრუნვაში დასმულ მსაზღვრულს.

მაგალითები

ძველ ქართულში:	ახალ ქართულში:
სახ. ძმისა წიგნი	ძმის წიგნი
მოთხრ. ძმისა წიგნმან	ძმის წიგნმა
მიცემ. ძმისა წიგნსა	ძმის წიგნს(ა)
მიმართ. ძმისა წიგნად	ძმის წიგნად
ნათეს. ძმისა წიგნისა	ძმის წიგნის(ა)
მოქმედ. ძმისა წიგნითა	ძმის წიგნით(ა)
წოდებ. ძმისა წიგნო	ძმის წიგნო

ბ) როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა ძველ ქართულში და იშვიათა ახალში, მსაზღვრელი ეთანხმება საზღვრულს, მიმართულებითის გარდა, ყველა ბრუნვაში, ე. ი. იღებს იმავე დაბოლოებებს, რაც საზღვრულს მოეუბება, ოღონდ ახალ ქართულში გამარტივების შედეგად რიგი თავისებურებები გვაქვს; სახელდობრ: სახელობითსა და ხშირად წოდებითში ბოლოსართები -ი და -ე მოკვეცილია, ნათესაობითი და მოქმედებითი არ გვხვდება, მაგალითები:

ძველ ქართულში:	ახალ ქართულში:
სახ. წიგნი ძმისა	წიგნი ძმისა
მოთხრ. წიგნმან ძმისამან	წიგნმა ძმისამ
მიცემ. წიგნსა ძმისასა	წიგნს ძმისას
მიმართ. წიგნად ძმისა(დ)	წიგნად ძმისა
ნათეს. წიგნისა ძმისაისა	—
მოქმედ. წიგნითა ძმისაითა	—
წოდებ. წიგნო ძმისაო	წიგნო ძმისა(ე)

მაგრამ ბოლოუცვცელ მსაზღვრელებს, ე. ი. ისეთ სახელებს, რომელთაც ნათესაობითი მხოლოდ ბრუნვის ნიშნის თანხმონათი -ს ვლემენტი აქვთ შერჩენილი ბრუნვის ნიშნად, სახელობითსა და წოდებითი -ი და -ო ბოლოსართები ენახებათ ახალ ქართულში; მაგალითად:

სახ.	წიგნი ნიკოსი	თარგმანი სახოკიასი
მოთხრ.	წიგნა ნიკოსამ	თარგმანმა სახოკიასამ
მიცემ.	წიგნს ნიკოსას	თარგმანს სახოკიასას
წოდებ.	წიგნო ნიკოსო	თარგმანო სახოკიასო

2. ზემომოყვანილი სწორი ფორმების პარალელურად თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გვხვდება არასწორი ფორმები, სახელდობრ: ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ე ა შ ი დ ა ს მ უ ლ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი უ ც ვ ლ ე ლ ი რ ჩ ე ბ ა ყ ე ე ლ ა ბ რ უ ნ ე ა შ ი ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს შ ე მ დ ე გ; ამ შემთხვევაში ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმებიც გვხვდება; მაგ.:

სახ.	წიგნი ძმის
მოთხრ.	წიგნმა ძმის ან ძმისა
მიცემ.	წიგნს ძმის ან ძმისა
მიმართ.	წიგნად ძმის
ნათეს.	წიგნის ძმის ან ძმისა
მოქმედ.	წიგნით ძმით ან ძმისა
წოდებ.	წიგნო ძმის

ამის საილუსტრაციო ორიოდ მაგალითი: „სკოდნოდა ე ი ნ ა ო ბ ა ი მ ქ ა ლ ი შ ე ი ლ ი ს“ — (ვ. ბარნოვი); თ ა რ გ მ ა ნ ი ქ ი ქ ო ძ ი ს; და დ გ მ ა ა კ. ე ა ს ა ძ ი ს...

აღსანიშნავია, რომ ნიკ. ბარათაშვილისა, აკაკი წერეთლისა და სხვათა ლექსებშიც ვხვდებით ანალოგიურ ფორმებს: „ნუ დამიტვიროს ს ა ტ რ ფ ო მ გ უ ლ ი ს“ — (ნ. ბარათაშვილი); „...ეამმან მეფობის მოუვლინა აწ გამ ო ხ ა ტ ვ ა ს ა ჩ ე მ ს ყ მ ა წ ვ ი ლ ო ბ ი ს“ — (მისივე); „... შ ე მ ყ უ რ ე ს თქვენის ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ი ს, ნება ჰქონია“ — (აკაკი) და სხვ.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში გვაქვს პარალელური ფორმები:

სახ.	წიგნი ამხანაგისა	წიგნი ამხანაგის
მოთხრ.	წიგნმა ამხანაგისამ	წიგნმა ამხანაგის ან ამხანაგისა
მიცემ.	წიგნს ამხანაგისას	წიგნს ამხანაგის ან ამხანაგისა
მიმართ.	წიგნად ამხანაგისა	წიგნად ამხანაგის
ნათეს.	—	წიგნის ამხანაგის ან ამხანაგისა
მოქმედ.	—	წიგნით ამხანაგის ან ამხანაგისა
წოდებ.	წიგნო ამხანაგისა(ვ)	წიგნო ამხანაგის (იშვიათად)

3. ამ ორი სახეობიდან ე რ თ ა დ ე რ თ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ფ ო რ მ ა ა პ ი რ ე ე ლ ი ს ა ხ ე ო ბ ა, რადგანაც იგი

ა) გრამატიკულად სწორია,

ბ) სალიტერატურო ენაში გაბატონებული ფორმაა,

გ) ეგუება ქართული ენის განვითარების ტენდენციას, რამდენადაც მსაზღვრელი ყოველთვის ეთანხმება ბრუნვაში წინ მდგომ საზღვრულს; მაგ.:

ხახ.	მდინარე	ღრმა	ველი	ფართო
მოთხრ.	მდინარემ	ღრმამ	ველმა	ფართომ
მიცემ.	მდინარეს	ღრმას	ველს	ფართოს და სხე.

დ) აუცილებელია შეთანხმება მაშინ, როცა მსაზღვრელი წარმოდგენილია და საზღვრული იგულისხმება; მაგ.:

მოთხრობითი: დავითის შვილმა ისწავლა, ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ა მ — არა.

მიცემითი: დედის მაგივრობას ბიოლა უწევდა, მ ა მ ი ს ა ს კ ი — ბიძა; „ერ-თი ქ ა ლ ი ს ა ს ა მ ბოზენ, შშენიერება არიო“ — (აკაკი)...

ასეთ შემთხვევაში მიმართულებილი კი შეთანხმება გვაქვს: თავის თავს თვლიდა არა სოფლის მცხოვრებლად, არამედ — ქ ა ლ ა ქ ი ს ა დ...

პოსტპოზიციურად მდგომი მსაზღვრელის ბრუნვაში შეთანხმება საზღვრულ-თან აუცილებელია იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიღებთ ე. წ. ღია კონსტრუქციას და არაა გამორიცხული მსაზღვრელის დაკავშირების შესაძლებლობა ფრაზაში სხვა მომდევნო სიტყვასთან: შდრ. ერთმანეთს: წიგნი ძმისა ამხანაგისთვის მიუცია — წიგნი ძმის ამხანაგისთვის მიუცია.

მ ე ო რ ე ს ა ხ ე ო ბ ა, როცა ნათესაობით ბრუნვაში დასმული მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, ბრუნვებში არ ეთანხმება და არც ემთავსიერება ხმონი აქვს დართული, როგორც გრამატიკულად არასწორი, უ ა რ ყ ო ფ ი ლ უ ნ და იქნეს.

მაშასადამე, უნდა ითქვას და დაიწეროს:

სახელ. ქვეყანა სოციალიზმისა, თარგმანი მაკეარჩიანისა, დადგმა მარჯანიშვილისა...

მოთხრ. ქვეყანამ სოციალიზმისამ, თარგმანმა მაკეარჩიანისამ, დადგამ მარჯანიშვილისამ...

მიცემ. ქვეყანას სოციალიზმისას, თარგმანს მაკეარჩიანისას, დადგმას მარჯანიშვილისას.

მიმართ. ქვეყანად სოციალიზმისა, თარგმანად მაკეარჩიანისა, დადგმად მარჯანიშვილისა.

ნათეს. —

მოქმედ. —

წოდებ. ქვეყანა(ვ) სოციალიზმისა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა.

ბოლო უარყოფილია:

მოთხრ.	წიგნმა	ამხანაგის	ან ამხანაგისა
მიცემ.	წიგნს	ამხანაგის	ან ამხანაგისა
მიმართ.	წიგნად	ამხანაგის	
ნათეს.	წიგნის	ამხანაგის	ან ამხანაგისა
მოქმედ.	წიგნით	ამხანაგის	ან ამხანაგისა

შენიშვნა. მოთხრობით ბრუნვაში ორი პარალელური ფორმისაგან წიგნმა ამხანაგისამ და წიგნმა ამხანაგისმა, თარგმანმა სახოკიასამ და თარგმანმა სახოკიასამ — უნდა დარჩეს მხოლოდ პირველი (წიგნმა ამხანაგისამ, თარგმანმა სახოკიასამ), მეორე უკუგდებულ უნდა იქნეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვრულის შემდეგ ნანათესაობითარი მსაზღვრელის ხმარების შემთხვევები თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია და გამართლებულია მხოლოდ სტილისტიკური და, იშვიათად, სინტაქსური საჭიროებით.

შედარებით აქტუალურია მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმები: დადგმა ა. ვახაძისა, დადგმა ა. ხორავასი, თარგმანი გერონტი კიქოძისა, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა, მუსიკა იონა ტუსკიასი.

შსსაზღვრადი სახელის შეთანხმება საზღვრადთან მრავლობით რიცხვით

ძველ ქართულში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად უპირატესად გამოყენებული იყო -ნ და -თ(ა) სუფიქსები. -ნ სუფიქსი მრავლობითის საწარმოებლად უფრო იშვიათად იხმარებოდა.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითი არა მხოლოდ გამოყენების მხრივ სკარბობდა -ნ სუფიქსიანს, არამედ სინტაქსური ძალითაც; კერძოდ -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმული საზღვრული მსაზღვრელს ითანხმებდა რიცხვში, -ნ სუფიქსიან მრავლობითში დასმული საზღვრული კი — ვერა.

შემდგომ თანდათან -ნ სუფიქსიანი მრავლობითის ხმარების არე იზრდება, -ნ და -თ(ა) სუფიქსიანებისა კი მცირდება, იზღუდება და ახალ ქართულში უკვე გაბატონებულია მრავლობითის წარმოება -ნ სუფიქსით, იშვიათია -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი ფორმები.

ამასთან, შესუსტდა -ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის სინტაქსური ძალაც, სახელდობრ, ამგვარ მრავლობითში დასმული საზღვრული მეტწილად ვეღარ ითანხმებს მსაზღვრელს რიცხვში.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიანი მრავლობითის ფორმათაგან დღესდღეობით პროდუქტიული დარჩა ნათესაობითი ბრუნვის ფორმები, მიცემითისა და მოთხრობითის, აგრეთვე სახელობითისა და წოდებითის ფორმები აქტუალური აღარაა თანამედროვე ქართულისათვის.

-თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმის შემცველი გამოთქმები ზოგჯერ ერთადერთიც კია თანამედროვე სალიტერატურო ენაში: საბჭოთა კავშირი; დედათა და ბავშვთა ოთახი; მოსწავლეთა არდადეგები; კომპოზიტორთა კავშირი; მშრომელთა დეპუტატების საბჭო; ეროვნებათა საბჭო; მეცნიერებათა აკადემია; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.

რიცხვში შეთანხმება ყველგან დარღვეულია, მათ შორის ნათესაობით ბრუნვაშიც.

მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში მრავლობითი რიცხვის ნათესაობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

ლ: აქა ყოფილა უწინ კრებული ღვთისთვის ქვეყნიდამ განდგვილ ძმათა.
გვეცნობებინა ჩვენ მკითხველთათვის.

აკ: ვინ შეამკოს ღირსეულად ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ერთხელ მხოლოდ, ისიც ძილში, ქართველ ქალთა ვნახე კრება.

ვა: საუნჯე ჩემის გულისა, ქართველ დედათა შვილები.
მოინდა ძველი დროების, გარდასრულ გმირთა ხსენება.

მთათგული, დაწვლულნი და ხოცილ შეიღოა ბურთა...
კვლავ ვიყო აღტყინებული, კეთილ ხმათ ხმებზე მწყობელი.

მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი მიცემით ბრუნვაშიც:

ილია: [მთავარ] თვის მკრთალ სხივთა ჰერის ქვეყანაზედ.

ბევრს ვეგდრენ და არ ვაძყა მეფე თავის ერთგულ ყმათა.

ვაჟა: ხელი წიფელი... უნრს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ.

ღირსეულ შვილთა უთელაუთ სამშობლოს მინდორ-მთებია.

აკაკი: დაჩაგრულ მოქმეთ მიხედვ, სიცოცხლე გაიწარგო.

უსულთ საგანთ მაინც შესრიფლე.

მაგრამ მიცემითში მსაზღვრელს იშედათად ბრუნვის ნიშანიც დაერთვის:

კარგს ყმათ საკარგემოს ასმევენ (ვაჟა).

სახელობითში რიცხვში შეთანხმება არაა, მსაზღვრელი მხოლოებით რიცხვნი:
წარმოდგენილი:

პირდაპირი წყობა

ილია: მეწვიენენ იგი უცხო ხილენი.

მაგრამ კი თქვენი მრულე საქმენი ისევე მრულედ დარჩება.

ასეთი შემთხვევები ჭერ კიდევ დ. გურამიშვილთან გვაქვს:

დასაიწყეს მათ მისი ურიცხვი მოწყალე ბანი.

მოიღეთ წმინდა კურკულნი.

შებრუნებული წყობა

აკაკი: ბერკერ ენახო დღენი ტკბილი.

მაგრამ მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწერებში შეთანხმების შემთხვევები ჭერ კიდევ ხშირია.

სახელობითი ბრუნვა

პ რ ე ბ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: მარტო ერთნი სიბინოზნი იმ აქვანს ვარს ებევიან.

მაშ რისთვის გამოზრძანდებან ხოლმე ამ გვარნი პირნი სიყნაზედ?

გამოვედით ორნი ობოლნი იმ ტრალ დედაიწაზედ.

ვაჟა: პო, შენი, ჭირი, რო დავეხედ, ბიჭო — ეუბნებოდენ თავს შეზარხოშებულნი ფრინველნი.

ამს ამახდენ სტუმრად მოწყველნი ფრინველნი

სულდარჩაბულნი მთანი ღვანა.

აკაკი: და მცლებელთა შანი საქმენი ფერს ვერ უცელიან თეთრსა სუდარსა..

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: და მას ფოთოლნიც მომრიღენი ხშირად უფროხობდენ მოსვენებას.

მოედრეცნა მუხლნი ძლიერნი.

ვაჟა: „მთანი შალალნი“.

განს მოშორებთ დამღვარან დიაცნი მანდილიანნი.

ვაჟაკიანი იმედოიანი ჩვენს ბატონს ებედობისა.

აკაკი: სიმნი მკენე სარნი სამარის ხმითა ზედ დასტირიან რაღაც საგანსა.

მოთხოვნითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: აქლავ განილვიძეს ჩეველთა ფიქრთა.

ვაჟა: აგრა მცხეთაჲ... სად პირველ ქართლის შორეულეთა შეიღთა ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: საშობისი ფერი დაიდუნს არე-შარეთა ტყეანთა.

მიცემითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: ტრელთა ენათა ურიდეთ.

პოლისკაში ქებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამბნედა ხოლმე.

ვაჟა: [მთებო], რად აღწოთ ციკთა წყაროთა? რად ზრდოთ ლაღთა ხარჭიხეთა? ჩარად დამსხდართა ხევისურთა თეზედ წაადგა ბაღუბი.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: [მზემ] კაცასის მთების წვერთა შალაღთა ზედ გადაღვინა ოქროს ნათელი.

ვაჟა: [არწიე] დასდევნებო მდევრადა წეროთა გადმომავეალთა.

ნათესაობითი ბრუნვა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ უფო.

ენლა თითოეუ, გუგონია, დარწმუნდნენ, რომ არამც თუ პეშინის და ლერმონტოვის თარგმნა შეუძლოს, არამედ კახლოისაჲ და სხეთა უფრო მდარეთა რით-მის მბეჭეველთა პოეტთა.

ვაჟა: მთოდება კეკელუთ თვალთ ხელთა.

ჩაკე-მუხარაღით მორათული წარსულთა დროთა ქართული.

აკეთ: [სიმბემა] მომეც წარსულთა დროთა მოგონება.

[მღინარეს] ასურს გაგლეჯა აღდოვანთ კიდეთა.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ილია: მეუ ვერე ვარ, როგორც მხედვეთ, ორატოროთა კარგთა სწორა.

ოცურ ზოვია, ერთხელ ქრაო-წესია შეეფეთ ქებულთა.

ვაჟა: [ხევისურებმა] თან გადიოილეს მზის სხეთი მუბისა წვერთა მბრკეინათა.

შიმართვის ფორმა

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: რაც ჩვენ არ ვიცით, ძვირფასნო ყმანო, ის დაწერილებით ცაში იყან.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ვაჟა: მთანო შალაღნო, ბარად იქეკო.

არის შემთხვევები, როდესაც საზღვრულს ორი მსაზღვრელი ახლავს, რომელთაგან ერთი წინ უძღვის, ხოლო მეორე მოსდევს, ან ორივე მოსდევს. ასეთ შემთხვევებში კლასიკოსთა ნაწერებში მსაზღვრელ-საზღვრულა შეთანხმებულია რიტმები.

ილია: შორნი მნათობნი მოკამქამენი იმ მწეხარს ღამეს მზიარობდნენ.

თვალწინ მიყრიან უკეთესნი ყუავეილნი მქკნარნი.

ვაჟა: დასალნი კლდენი, პირქვეშნი, უფსკრულს ჩასულნი ფესიოთა.

მის. ჩავახიშვილი: [აღუქმანდრე] იზრძოდა და ყოველ შემობრუნებზე ასეთივე ცტოღენილი და განდენილი მადიებელი მოქავედა, როგორც თითონ იყო.

გ. ახაშვი: პატარა ტუბები ღვანან უძრავად იმ დიდ ღლეთა მუნი მონქენი. ახლად ფრესკიდან გუყურებს მკაცრად ცეცხლ-მოღვლევი მისი გუგანი, ფეხდაეღგამი და ხელებლები ხრამნი რომ ჩანდნენ, როგორც ქვერბები.

დ. ახაშვი: არც თუ ისეთი მღენი ყოფილან. მოიკრუნ ბარში მთიული მღენი.

მის. მრავლიშვილი: უბნებდა ჩამოქსდა რიკოლმეუნი ნეი აღარ აცლიდნენ ერთ-მანეთს ლანაყას.

შეზარხიშვილი თანამესაუბრენი მორიგ ქმს სვამდნენ.

პოსტპოზიციური წყობა

- ა. მირსულავა: ბალში აღარ შრალდებენ ხენი ფოთლებქვეშა ცილილი.
- ბ. ვარდიშვილი: მონობის დღენი, მკაცრი და ბნელი, ზოლოთ განთება უშიშარს. ბარად.

მოთხრობითი

პრეპოზიციური წყობა

გ. ლეონიძე: ცხრა ძმათ მეთელ მიძლეს.

მიცემითი

პრეპოზიციური წყობა

- ბ. ჩავახიშვილი: ახალიხელ ქართველ კათოლიკეთა შორის თანაყაანთ გვარი ყველაზე განათლებული და შეძლებული იყო.
- გ. ლეონიძე: შენ დამიწოფე სიტყვები, ვით ხეს გასული მტყენები, შენი, შენდამი, შენს მუქთა, შენს ციშის მსაღეულები.
- დ. ახაშვილი: მქენარ ფოთოლივით რად დანებდი გაფრენილ დღეთა? [ვარსკლავი] ცეცხლად იქნა და წინწკლებად ცის თეთრ ყვავილთ დაესხურა.
- ე. ნონეშვილი: ხიდის გადება სამ ძმათა შორის ოცნებად გქონდა.

ნათესაობითი

პრეპოზიციური წყობა

ბ. ჩავახიშვილი: იქვე მახლობლად ახალ ნათარეშევს — ქართველ ტყვეთა ფარას ქედან.

გ. ლეონიძე: შარად ბრწყინავს საშობლო — დიდ შეიღთა შეაკვანე. [შეხარა] ახალ სართულთა წითელ აგურებს. ეს ლექსია, თუ მღერის გავლილ დღეთა კრებულთ? თქვენი ჭრილობის წვეთ-წვეთი ძველ გმირთ სისხლს შეერთობია. გამაღ... ყველა ფურცელი არის ფოლადის ნაყარი, დამსხვრეულ ხმალთა ელრიალი, დეკაცთა ნამამყარი.

დ. ახაშვილი: რკინის ზრალში გამოკრთის ხშირად რეკა ქართულად მოქნეულ ხმალთა. გესმის გუგუნი გარდასულ ქაშთა. ღამე გამოვიღოს ზურგს უკან დარჩა ბნელი მანძილი შორ ქვეყანათა. მფეთქავ სხივთა შადრეუანმა შუა გააპო სივრცე სისა. სიციხლუ ზურ კიდევ მინდა და შრავად დღეთა მოიმედე ვარ.

ე. ახაშვილი: იყავ დღეგრძელი, შენ — ჩვენი მკერდი, ბედნიერ დღეთა გამოძევთელი.

გ. ახაშვილი: უშაგ მდინარეთა ბრუნვა მაქჟარებს. ხმა მესმის ცხენით გათქერილ ყრმათა.

დ. ახათაძე: სუნთქვა მძინარე რაინდთა აბობინება ბალახსა.

ე. კალაძე: მთებს ხეტიალი აჩნათ ზღვისა, ვით მოგონება უსივრცე ქაშთა. თანამედროვე მწერლობაში - ემ სუფიქსიან მრავლობითში დასძულ საზღვრულთან შეთანხმებული მსაზღვრელიც გვხვდება (პოსტპოზიციური წყობისას).

2. ახალზე: მისი შარები დაქარგულები.
ბუბბუბუნ ქეები მწველები.
დროშებს ფრთიანებს მოედანზე წითლად გადაშლის.
მღრ. ვაჟ: შევამე მთები შალღები.
[მღევმა] მომპყრეს ვაშაგებული თვალები შხამიანები.
და გაუწოდეს უწითურ მკლავები ტოტიანები.

ასეთი შემთხვევები მხოლოდ პოეზიის ენაში გვხვდება.

- და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელი მხოლოდ შეუთანხმებელი ფორმით გვხვდება ჩვენს პრესაში:

-კოზნახტი": უძლესი საბჭოს ტრიბუნად გაკეთდა... თელსაჩინო წარმატებათა დიდი და პრინციპული განზოგადებანი.

მეცნიერულ და კულტურულ ფასეულობათა გაცლა.
გაუთავისწინოთ თეთრული რესპუბლიკის ეროვნული თავისებურებანი და სპეციფიკა.
შეიქნა რეალური შესაძლებლობანი მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

-ბ. კოზნახტი": ნორჩ კიეველთა სტუპრები.
ამგვარ გმირთა უყვად პლუდას ეკუთვნან ბაბტრონის სახელოანი სარღლები.

გველისხმობთ ქართველ ეროვნულ გმირთა სახელებს.

-სახალხო ვახტანგა": ჩამორჩენილ მოსწავლეთა შრომები მუშაობენ.
როგორ შეიძლება ორცელან შეცადიწიბასთან დაკავშირებულ სიძნელეთა გადალახვა?
დაუბრუნოთ შენობები ქანონიერ მფლობელთ!

შეთანხმება აღარაა საყოველთაოდ გავრცელებულ შესიტყვეებებში, როგორცაა, მაგალითად: მოწარდ მყოურებელთა თეატრი, საგარეო საქმეთა სამინისტრო, არითმეტიკულ ამოცანათა კრებული, ნორჩ ნატურალისტთა განყოფილება, ნორჩ მათემატიკოსთა საქალაქო ოლიმპიადა.

საგანგებოდ უნდა გამოიყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც ნათესაობითში დასმული ან ნანათესაობითარი მსაზღვრელი გვაქვს.

ასეთი მსაზღვრელი შეიძლება იყოს მხოლოდობით რიცხვში ან მრავლობით რიცხვში (განთადის დღენი, სამშობლოს ჭვიშანი, მთების ასულნი).

როდესაც მართული მსაზღვრელი წინ უძღვის საზღვრულს, შეთანხმება არ შეიძლება გექონდეს.

საზღვრული სახელობითშია:

ილია: ჩემი განთიადის დღენი ბატონის სახში დამიღამება.
აკაჟი: ქვეყნის მკურნალნიც შემოკრბენ, ევარ მარკებენ რაქსა.
ვაჟა: ჩემის სამშობლოს ქეიშანი ხმარ-ხმარად მოვყარადი.
შენი ერისა ქაბუკნი გაშარბენ ხელზედა.
სიყრმისა დღენი წაიღვენ.

საზღვრული მიცემითშია:

ვაჟა: ლაშა მთების ასულთა ხმა ხმისთვის შეუწონია.
ვარსკლავნი მთის წვერთ სწევნიან.
-ბ. კოზნახტი": ნორეკოს. შორლანჯიისა და დანიის სანაპიროების მცხოვრებთ ხმირად უნახეთ ასეთი უეჩა.

საზღვრული ნათესაობითშია:

ვაჟა: მშვიდობა შენს ნეტს, გეოსანო, ქართლისა წყულთა მობარე!
პრესა: იზარღუბა და მტკულღუბა მშვიდობის მოხრუთა მოქრობა... ომის გამჩაღებულთა წინააღმდეგ (-ბ. კომ.).
მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართობა (-კომ.).

რაც შეეხება პოსტპოზიციურ წყობას, დღეს უკვე საზღვრული ჩვეულებ-
რივ არ ითანხმებს ნანათესაობითარ მსაზღვრელს:

ვაჟა: თრთიან ყ ვ ა ე ი ლ ნ ი მ თ ე ბ ი ს ა .

მტირალი ღვდის მოსაღუნადა მოიპატივა მ ნ ა თ ო ბ ნ ი ო ს ა .

ჩვენს, მ ს ხ ე რ კ ლ ნ ი ძ ა ლ მ ო მ რ ე ო ბ ი ს, ცხემლს აღარ ეღვიღეთ მწარესა.

მაგრამ იშვიათად, აქა-იქ ახალ მწერლობაშიც გვხვდება მომდევნო მართული
მსაზღვრელის შეთანხმება:

ვაჟა: ის ლ ა ლ ნ ი ძ ე ნ ი კ ლ დ ე თ ა ნ ი ე ა ე ა ს გ ბ რ ე ა ნ ნ ა ნ ს ა .

ზაფხულში აუვაულებიან მ კ ე რ დ ნ ი ც კ ი ს ა ლ ის კ ლ დ ის ა ნ ი .

უვაილთ პირს ეკონებთან ო ი ე ნ ი ნ ა მ კ ე რ ე ე ნ ი ო ს ა ნ ო .

თუ დამეშავოს შე რ ა მ ა, ძ ა ლ ნ ი მ რ ის ხ ა ე დ ე ნ ლ ე თ ო ს ა ნ ი .

ძ ა ლ ნ ო ო ს ა ნ ო, გვიშველეთ.

ასეთი შემთხვევები ან სტილისტიკურ არქაიზმად, ან კიდევ დიალექტიზმად
უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც კუთვნილებითი ნაცუალსახელი გვაქვს მსაზღვრელად, რიცხვში
შეთანხმება არ არის სახელობითსა და წოდებითში. მსაზღვრელს ბრუნვის ნი-
შანი აქვს ზოგჯერ მიცემითშიც. ნათესაობითში მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარ-
მოდგენილი.

ვაჟა: ჩვენ ვართ, ვრეკლემ, შე ნ ი ხ ე ვ ს უ რ ნ ი .

მოვსდევით შე ნ ი მ ო ძ მ ე ნ ი შე ნ ი ს ა მ ა რ ის კ ა რ ს ა ო .

შ ე ნ ს თ ე ა ლ თ ე ნ ა ც ც ლ ო ს მ ა მ ი ლ ა .

პირნათლად მია ს უ ლ ო ს ა, საღ ი მ ი ს წ ი ნ ა პ ა რ ა ნ ი ა .

აკაკი. საბრალი გულო, დროა გამოთქვა დღეს თაისუფლად შე ნ ი ტ ა ნ ქ ვ ა ნ ი .

შენი სახე მაინც ჩ ე მ თ ე ა ლ თ წ ი ნ არი.

მ. ჭავჭავაძე: დაეინებით იმერებდნენ მისი მიმდევარნიც.

მაგრამ არც თუ იშვიათად (მით უმეტეს XIX ს. მწერლობაში) გვხვდება შე-
თანხმება პირდაპირ წყობაშიც და შებრუნებულშიც:

პ რ ე პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ოლია: შე ნ თ ა შე ი ლ თ გ უ ლ ი შე ნ თ ა მ ტ ე რ თ ა შე ა ე ლ ს ზ ე დ ა .

შ ე ნ თ ა შე ი ლ თ ს ის ხ ლ ი თ გ უ ლ ი ს რ უ ლ დ გ არ დ ა მ ბ ა ნ ა .

ნ გ რ ე უ ლ ა ნ მ ის ნ ი დ ი დ ნ ი პ ა ლ ა ტ რ ი .

და ვ რ ს თ ე ი ს თ ა ც რ ე მ ლ თ ნ ა ლ ნ ი თ ტ ბ ა კ ა რ ვ ა ლ ზ ე დ გ ა ლ უ ბ ე რ ა ე ს .

ვაჟა: ტუღულად აშფოთლებიან ჩ ე მ ნ ი წ ა წ ა ლ ნ ი ი ა ნ ი .

ჩ ე მ თ ძ მ ა თ ც ხ ო ნ ე ბ ა მ .

რ ა ლ მ ა ზ ი ა, წ ე ე ლ ო, შე ნ თ ზ ე ი რ თ თ ა ლ ა ლ ნ ი ჩ ქ ე რ ა ნ ი .

ე გ შე ნ თ ა მ ო ძ მ ე თ ს ის ლ ი ა .

ა. ნონეშვილი: მგონია, ღამე შე ნ თ ა თ ე ა ლ თ ა შე ჯ თ თ ე ნ დ ე ბ ა .

ასეთი შემთხვევებიც ან სტილისტიკური არქაიზმებია, ან კიდევ დიალექტი-
ზმები.

პ ო ს ტ პ ო ზ ი ც ი უ რ ი წ ყ ო ბ ა

ოლია: შენისა ცრემლით თ ვ ა ლ ნ ი ჩ ე მ ნ ი მ ი ტ რ ი ე ბ ა .

ოკ, საღ არიან, სიკვამუაე, ს ი ტ კ ბ ო ნ ი შე ნ ნ ი ?

ვაი, რა მ ბ ი ნ დ ი დ ლ ე თ ა ჩ ე მ თ ა ს ი ე ლ ი ს მ ი ქ ა ლ ის .

წ ა რ ე ლ ი ლ თ ა დ ლ ე თ ა შე ნ თ ა მ ა ბ ს ო ვ ს დ ე ლ ე ბ ე ბ ა .

ვაჟა: ს ხ ი ე თ ა შე ნ თ ა უ უ მ ყ რ ე ლ ო .

ა. ნონეშვილი: არ ექნებოდა სპ ა თ ა შე ნ თ ა მ ტ ე რ თ ა ნ ზ ა ნ ი .

10. თანამედროვე ქართული სილატერატურო ენის ნორმები

შებრუნებული წყობა პოეზიის ენაში გვხვდება უპირატესად.

-ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულთან მსაზღვრელის შეთანხმება რიცხვში. რაც ძველ ქართულში ესოდენ მტკიცე წესს ემორჩილებოდა, თანდათან ირღვეოდა. მე-19 საუკუნის მწერალთა ენაში ეს წესი უკვე დარღვეულია. შეთანხმება შეიძლება იყოს და შეიძლება არც იყოს. შეთანხმების შემთხვევები ქარბობს ლექსში.

ამ დროიდან შეთანხმების მოშლის პროცესი კიდევ უფრო ძლიერდება და თანამედროვე სალიტერატურო ენაში გაბატონებულია ასეთ საზღვრულთან მსაზღვრელის შეუთანხმებლობა რიცხვში.

მოვლენის განვითარების ისტორიაა და თანამედროვე ვითარებაც გვიყარნახებს თანამედროვე სალიტერატურო ენისათვის დადგინდეს შემდეგი წესები:

1. პირდაპირი წყობისას (მსაზღვრელი+საზღვრული) -ნ და -თ(ა) სუფიქსებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი რიცხვში არ შეეთანხმება. სახელობითი და მიმართვის ფორმაში მსაზღვრელი ბრუნვის ნიშნებს დაირთავს, დანარჩენ ბრუნვებში ფუძის სახით იქნება წარმოდგენილი.

სახელობითი	მაღალი მთანი	
წოდებითი (მიმართვის ფორმა)		მაღალ მთანო
მოთხრობითი	}	მაღალ მთათა
მიცემითი		
ნათესაობითი		

2. ამათვე მიეკედლება ის შემთხვევები, როცა მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული. ოღონდ ამ შემთხვევაში მიცემითში დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული ფორმა, სადაც მსაზღვრელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს.

სახელობითი	ჩვენი მოძმენო
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	ჩვენო მოძმენო
მოთხრობითი	ჩვენ მოძმეთ
მიცემითი	ჩვენ მოძმეთ ჩვენს მოძმეთ
ნათესაობითი	ჩვენ მოძმეთ

3. შებრუნებული წყობისას (საზღვრული+მსაზღვრელი) მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში შეეთანხმება. ეგზევე წესი გავრცელდება იმ შემთხვევებზედაც, როდესაც მსაზღვრელად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია გამოყენებული.

სახელობითი	მთანი მაღალნი	მოძმენი ჩვენნი
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	მთანო მაღალნო	მოძმენო ჩვენნო
მოთხრობითი	}	მთათა მაღალთა მოძმეთა ჩვენთა
მიცემითი		
ნათესაობითი		

სახელობითსა და წოდებითში (მიმართვის ფორმაში) პარალელურად შეიძლება შეუთანხმებელი მსაზღვრელი იქნეს დატოვებული: მთანი მაღალი, მთა-ნო მაღალი.

3. ნათესაობით ბრუნვაში დასმული და ნანათესაობითარი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ შეეთანხმება.

სახელობითი	მთის ყვაეილნი	ყვაეილნი მთისა
წოდებითი (მიმართვის ფორმა)	მთის ყვაეილნი	ყვაეილნი მთისა
მოთხრობითი	}	მთის ყვაეილთა ყვაეილთა მთისა
მიცემითი		
ნათესაობითი		

დასახელებული ფორმები უპირატესად მწერლობის (უმთავრესად პოეზიის) ენაში შეიძლება შეგვხვდეს და გამართლებულია სტილისტიკური მიზნებით. სალიტერატურო ენაში ჩვეულებრივ ხმარებული მხოლოდ ნათესაობითი ბრუნვის ფორმებია.

კუთხე სიყვარულის (კომპოზიციების) დანაკრები

ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, ნაწარმოები (წარმოქმნილი) და რთული. მარტივი ფუძე შემადგენელ ნაწილებად არ იშლება, მისგან აფიქსი არ გამოიყოფა. ნაწარმოები ფუძე შედგება მარტივი ფუძისა და მნიშვნელობის მცდეული აფიქსისაგან ან აფიქსებისაგან (კაც-ურ-, ხა-კაც-ე, უ-კაც-ო; ცხენ-ოსან-, მშვილდ-ოსან-, მე-ბაღ-ე, მე-ღორ-ე...) ან ისე ნაწარმოები ფუძისა და მნიშვნელობის მცდეული აფიქსისა ან აფიქსებისაგან (ძღ-იერ-ება, ნა-ყოფ-იერ-ება). რთული ფუძე შედგება ერთზე მეტი (ჩვეულებრივ, ორი, ან იშვიათად—სამი) მარტივი, მარტივი და ნაწარმოები ან ნაწარმოები ფუძისაგან. მაგალითად: ორი მარტივი ფუძისაგან შედგება რთული ფუძე გულ-ქვა, გულ-გატეხილი შედგება მარტივი და ნაწარმოები ფუძისაგან, ხოლო ღალიან-ბარაქიანი (ვავა) — ორი ნაწარმოები ფუძისაგან. რთული ფუძის მქონე სიტყვას კომპოზიტი ეწოდება.

ხშირად კომპოზიტი ორი და მეტი ფუძისაგან კი არ არის შედგენილი, არამედ ორი და მეტი სიტყვისაგან, ე. ი. ერთმანეთსა შერწყმული ორი დამოუკიდებლად გაფორმებული სახელი. კომპოზიტის პირველ ნაწილს დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსები — ბრუნვის ნიშნები ახლავს, რომლებიც კომპოზიტად შერწყმის შემდეგ ფუძის (რთული ფუძის) შემადგენლობაში შედის, როგორც მისი შემადგენელი ორგანული ნაწილი. ამ ტიპისაა, მაგალითად, კომპოზიტები: გულისთქმა, გულისყური, ვერცხლისწყალი, გუთნისდედა, ხელისუფალი, ხელისგული, ჭირისუფალი, ჭინჭისთავი, ცისკარი, ხევისბერი, ჭარისკაცი და სხვ. ამ კომპოზიტების პირველი ნაწილები ნათესაობით ბრუნვამა დასმული და ნათესაობით ბრუნვის აფიქსი -ის რთული ფუძის შემადგენლობაში შედის.

ფუძის მნიშვნელობის მხრივ კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთმნიშვნელობიანი და ორ- და მეტმნიშვნელობიანი. ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტი, რომლის ფუძის (რთული ფუძის) მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, როცა რთული ფუძე სულ სხვა საგნობრივი მნიშვნელობის შემცველია, ვიდრე მისი შემადგენელი ფუძეები თუ სიტყვები, თუნდაც მისი მნიშვნელობა შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათაგან გამომდინარეობდეს, თუნდაც იგრძნობოდეს კავშირი რთული ფუძის მნიშვნელობასა და შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა შორის. ასეთ შემთხვევაში რთული ფუძის შემადგენელ ფუძეებსა და სიტყვებს შორის არ შეიძლება დაისვას და კავშირი, რთული ფუძე არ შეიძლება შეეცვალოს და კავშირიანი (საერთოდ მაერთებელკავშირიანი) სიტყვათწერილობით.

ამის მიხედვით ერთმნიშვნელობიანია კომპოზიტები: ჭვანახშირი, ქალიშვილი, ფურჩრემი, მამაკაცი, ძვირფასი, გულკეთილი, გულგატეხილი, გუთნისდედა, ჭარისკაცი, ხილისთავი, ცხენისწყალი, ორპირიანბ, ხუროთმოძღვარი, თავდადასავალი, თავმჯდომარე, ვერცხლისწყალი, ჭარისკაცი, ჭინჭისთავი და მრავალი სხვა.

მართლაც, რომ ავიღოთ კომპოზიტი ჭვანახშირი, მისი (რთული) აკუძის მნიშ-

ენელობა არ უდრის შემადგენელ (ჭვა- და ნახშირ-) ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს, თუმცა რთული ფუძის მნიშვნელობა გამოძინარეობს ამ მნიშვნელობათაგან, ერთგვარად დაკავშირებულია ამ მნიშვნელობებთან. ასევეა კომპოზიტის გულგატეხილის მნიშვნელობა. გულგატეხილი შეიძლება იყოს კაცი, მაგრამ ეს მნიშვნელობა არ მიიღება გულ- და გატეხილ- ფუძეების მნიშვნელობათა შეკრების გზით. ასევეა ვერცხლისწყალი. ამ რთული ფუძის მნიშვნელობას უკვე აღარაფერი აქვს საერთო არც ვერცხლ- და არც წყალ- ფუძეების მნიშვნელობასთან.

შეუძლებელია ამ რთული ფუძეების შეცვლა და კავშირიანი სიტყვათშეერთებებით. შეუძლებელია მათ ნაცვლად ვიხზართ: ჭვა და ნახშირი, ქალი და შვილი, ფური და ირემი, გული და გატეხილი, გუთნის და დედა, ორი და პირიანი, ვერცხლის და წყალი. ჭარის და კაცი და ა. შ.

ორ- და მეტმნიშვნელობიანია კომპოზიტი, რომლის მნიშვნელობა უდრის შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს. ასეთ შემთხვევაში რთულ ფუძედ გერთიანებისას შემადგენელი ფუძეები იმავე მნიშვნელობას ინარჩუნებენ, რომელსაც მათ ცალკე ჰქონდათ. რთული ფუძე მხოლოდ მექანიკურად აერთიანებს და ერთად თავს უყრის ამ მნიშვნელობებს. ამ შემთხვევაში შემადგენელი ფუძეების და კავშირით ან სხვა მეერთებელი კავშირით გაერთიანებაა შესაძლებელი, რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს.

ორმნიშვნელობიანია კომპოზიტები: და-ძმა (= და და ძმა). დედ-მამა (= დედა და მამა), ცოლ-ქმარი (= ცოლი და ქმარი). რძალ-დედამთილი (= რძალი და დედამთილი), ქართლ-კახეთი (= ქართლი და კახეთი), გურია-სამეგრელო (= გურია და სამეგრელო). ერწო-თიანეთი (= ერწო და თიანეთი). მთა-ბარი (= მთა და ბარი). სიგელ-გუჯარი (= სიგელი და გუჯარი) და სხვ.

სამნიშვნელობიანი კომპოზიტებია: ქართლ-კახეთ-იმერეთი (= ქართლი, კახეთი და იმერეთი), რძალ-მულ-დედამთილი (= რძალი, მული და დედამთილი). ასეთი კომპოზიტები იშვიათია. უფრო მეტმნიშვნელობიანი კომპოზიტები ჩვეულებრივ არ გვხვდება.

შენიშვნა. ერთგვარი შედგენილობის კომპოზიტები ერთ შემთხვევაში ერთმნიშვნელობიანი შეიძლება იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში — ორმნიშვნელობიანი. მაგალითად, ხარკამეჩი ერთმნიშვნელობიანია იმ შემთხვევაში, თუ მამალ კამეჩს აღნიშნავს (უპირისპირდება ფურკამეჩს), მაგრამ ორმნიშვნელობიანია, თუ აღნიშნავს ხარსა და კამეჩს. ასევე, ცოცხალმკვდარი ერთმნიშვნელობიანია, თუ ნახევრად მკვდარ, სიკვდილის პირს მისულ აღნიშნავს აღნიშნავს, მაგრამ ორმნიშვნელობიანად გვეძინს, თუ ცოცხალი და მკვდარი იგულისხმება ამ სიტყვაში.

კომპოზიტი, მიუხედავად მისი ფუძის შედგენილობისა, ერთ სიტყვას წარმოადგენს; როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური თვალსაზრისით იგი ისეთსავე როლს ასრულებს, როგორც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემცველი სიტყვა, კერძოდ, როგორც ამ კომპოზიტის შემადგენლობაში შემავალი ფუძე. ეს ფაქტი გადაწყვეტილ მნიშვნელობისა კომპოზიტების დაწერილობის საკითხის გადაჭრის თვალსაზრისით.

ქართულ ენაში კომპოზიტების მიღების სამი საშუალება არსებობს: ერთი საშუალებაა ფუძის გაორკეცება, მეორე — ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის შეერთება, მესამე — ორი სიტყვის შეერთება.

I. ფუძის გაორკეცება

ა) აქ პირველ რიგში ისეთი შემთხვევები უნდა გამოიყოს, როცა გაორკეცუბისას ფუძეში ცვლილებები არ ხდება. ვარჩევთ ორ შემთხვევას:

1. ცალკე აღებულ ფუძეს (გაორკეცებამდე) დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს. ასეთი შემთხვევები ცოტაა:

თავ-თავი
წამ-წამი

ამ შემთხვევაში გაორკეცებულ ფუძეს შეიძლება ა სუფიქსიც დაერთოს: წყალ-წყალა. მურალა-მურალა (ბალახია).

ამ შემთხვევებში რთული ფუძის მნიშვნელობა განსხვავებულია ცალკე აღებული ფუძის მნიშვნელობისაგან, მაგრამ გაორკეცებისას შეიძლება ფუძის მნიშვნელობამ არსებითი ცვლილება არც განიცადოს: დაფდაფი, ვიშვიში-ი...

აქვე შემოდის ფუძის გაორკეცებით მიღებული ზმნისარებები: უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ნაპირ-ნაპირ, ტყე-ტყე...

2. ცალკე აღებულ ფუძეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელობა მხოლოდ ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული კომპოზიტის ფუძეს მოეპოვება.

ბაჭ-ბაჭი	ბუტ-ბუტი	კაშ-კაში	კაწ-კაწი	კაჭ-კაჭი
ლაჭ-ლაჭი	ლულ-ლული	ნარ-ნარი	ლუკ-ლუკი	რაკ-რაკი
რახ-რახი	ჩაჭ-ჩაჭი	ჩიფ-ჩიფი	ჩუხ-ჩუხი	ციმ-ციმი
ძგ-ძგე	ქახ-ქახი	ჭიკ-ჭიკი	ხარ-ხარი	

ა სუფიქსის დართვით: ბაჭ-ბაჭ-ა, კაშ-კაშ-ა, ლაჭ-ლაჭ-ა. ნარ-ნარ-ა. ჩიფ-ჩიფ-ა.

ბ) ვაორკეცებისას ფუძეში ცვლილება ხდება. ცვლილება იმაში შეიძლება გამოიხატოს, რომ რიგით პირველ ან რიგით მეორე ფუძეში თანხმოვანი ან ხმოვანი შეიცვალოს სხვა თანხმოვნით ან ხმოვნით, ან კიდევ რიგით მეორე ფუძეში შენაცვლება მთელ დასაწყის მარცვალს შეეხოს, ანდა კიდევ რიგით მეორე ფუძეს თანხმოვანი დაემატოს დასაწყისში. გაორკეცებისათვის ამოსავალი ფუძე ბევრ შემთხვევაში რეალურად არსებულ ფუძეს წარმოადგენს.

სათანადო მაგალითები ასეთია:

ახალ-უხალი (ჩვეულებრივ მრავლობითის ფორმით: ახალუხლები). ბალახ-ბულახი. ნაყარ-ნუყარი, ბაჭი-ბუჭი. ბრახა-ბრუხი. ლაწა-ლუწი, მტლაშა-მტლუში. რამე-რუმე. სხაპა-სხუპი (ზმნისართული ფორმა: სხაპასხუპით). დავა-დუვი. კანტიკუნტი (ჩვეულებრივ ესეც ზმნისართულად: კანტიკუნტად), კანწა-კნუწი. ღაპა-ღუპი (ღაპაღუპით), ჩამი-ჩუმი, ჩხარა-ჩხური, ხათქა-ხუთქი (ხათქახუთქით). აბდა-უბდა, ხვე-ხუვი, ერთ-ურთი, ბიჭ-ბუჭი (მრავლობითის ფორმით: ბიჭბუჭები), ბინდ-ბუნდი (ბინდ-ბანდი), ვიპა-ვიპა, გორ-გური, რიფ-რაფი, ქოხ-მახი, გიფ-მაფი, კუჭ-მაჭი, ძონძ-მანძი (ძონძმანძები), არე-მარე. ახლო-მახლო, უსწორ-მასწორი, უზარ-მაზარი. ავან-ჩავანი და მრავალი სხე.

გ) ორკეცდება რიცხვითი სახელების ფუძეებიც: ერთ-ერთი, ორ-ორი. სამ-სამი. ხუთ-ხუთი, ათ-ათი, ას-ასი. მაგრამ ამათი მნიშვნელობა სხვაგვარია (ამათ შესახებ ქვემოთ).

დ) ორკეცდება ზედსართავის ფუძეებიც: დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჳრელ-ჳრელი...

ე) ფუძის გარკვეებისას ფუძეები და კავშირით შეიძლება შეერთდეს. ასეთ შემთხვევაში რთულ ფუძეს უპირატესად ზმნისართული მნიშვნელობა აქვს: პირ-და-პირ, გულ-და-გულ, დრო-და-დრო, თან-და-თან, კარ-და-კარ, კვალ-და-კვალ, ფეხ-და-ფეხ, ცხენ-და-ცხენ, სხვა-და-სხვა, წინ-და-წინ, ზან-და-ზან. თანხმოვნისა და ხმოვნის ცვლილებით: წამ-და-წუწმ.

ამათგან შემდგომ ნაწარმოებია ზედსართაები: პირდაპირი, თანდათან, გულდაგული...

ყველა ფუძეგარკვებული კომპოზიტი, გარდა რიცხვითი სახელების ფუძეთა გარკვეების შემთხვევებისა, ერთმნიშვნელობიანია.

II. სხვადასხვა ფუძის შერთება

სხვადასხვა ფუძის შერთება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. შერთებულია ან ერთი ტიპის ფუძეები, ან სხვადასხვა ტიპისა.

ა) ერთი ტიპის სახელების შერთებისას ჩვეულებრივია

1. სინონიმური ფუძეების გაერთიანება.

ძალ-ღონე, ტოლ-ამხანაგი, სვე-ბედ-ი, ბედ-იღბალ-ი, ღარიბ-ღატაკ-ი, შიშ-ველ-ტიტველ-ი, გზა-კვალ-ი, კვლევა-ძიება...

2. საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ფუძეთა შერთება.

მიწა-წყალ-ი, უფროს-უმცროს-ი, დედალ-მამალ-ი, ქალ-ვაჟ-ი, ტყე-ველი-ი, მთა-ბარი-ი, მტერ-მოყვარე, კითხვა-მეგება, დღე-ღამე.

3. ისეთ ფუძეთა შერთება, რომელთა მნიშვნელობები რაიმე მხრივ ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

ოქრო-ვერცხლ-ი, ბარ-საკვეთ-ი. სახნის-ხაკეთ-ი (ს ა ხ ნ ი ს - ს ა კ ვ ე თ ო, გაუსვი, რომ ეკაპუს ძირი უთხარო". — რ. ერისთავი), გულ-შეკრდ-ი, ხიტყვა-ანსუხ-ი, დაძმა, ცოლ-შვილ-ი, რძალ-მულ-ი, რძალ-დედამთილ-ი, დედამთილ-მამამთილ-ი, ბიძა-ბიცოლა, მამა-ბიძა, ქმარ-შვილ-ი, წვირ-ულვაში ("შეურცხვეს წ ვ ე რ - უ ლ - ვ ა შ ი, ნულარ შერჩეს თავზე თმა, ... ვინც დაიფიცოს ქვეყნად განთ მული წინაპარი". — აკაკი), თვალ-წარბ-ი, ხელ-ფეხ-ი, გულ-ღვიძლ-ი, ქვრივ-ობოლ-ი, პურ-ღვინო, წერა-კითხვა, ქამარ-ხანჭალ-ი, ფარ-ხმალ-ი, ყვაფ-ურონა-ი, მშვილდ-ისარი, სკობ-ტროსან-გვირგვინოსანი ("ს კ ი კ ტ რ ო ს ა ნ - გ ვ ე ი რ გ ვ ი ნ ო ს ა ნ ს ა ჰ შევ-ნოდა ცმა პორფირისა". — "ვეფხისტყა").

აქვე შემოდის გეოგრაფიული სახელები: (ქართლ-კახეთ-ი, სამცხე-საათაბაგო, რაჭა-ლეჩხუმ-ი, გურია-აჭარა, მესხეთ-ქავახეთ-ი, ტაო-კლარჯეთ-ი...) და მასდარეებისა და მიძლეობების შერთება. ეს უკანასკნელები ბევრ შემთხვევაში მხოლოდ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ საპირისპირო მიმართულების აღმნიშვნელი პრევერბები დაერთვით: მიწერ-მოწერა, ამგლეულ-ჩამგლეულ-ი, გამგლეულ-გამომგლეულ-ი, ამრევ-დამრევ-ი, მიღებ-მოღება, შეხლა-შემოხლა...

შენიშვნა. 1. ამ უკანასკნელთ ეკედლება ამგვარივე წესით გაერთიანებული, მხოლოდ პრევერბებით განსხვავებული ზმნები (აიარ-ჩაიარა, აირ-ბინ-ჩაირბინა, გაივლ-გამოვივლის, მიიღებ-მოიღება...) ან ერთად გაერთიანებული სხვადასხვა ფუძის ზმნები (გააცფე-გააცხილა...).

შენიშვნა 2. იშვიათად ასეთ შემთხვევაში და კავშირიანი შერთებაც გვხვდება: დღე-და-ღამე (მღრ. დღე-ღამე).

და კავშირითაა გაერთიანებული რიცხვითი სახელები ოცდაერთიდან მოკიდებული ასამდე ოცუელების აღმნიშვნელ სახელთა გამოკლებით: ოც-და-ერთი, ოც-

და-შვილი, ოც-და-ათი, ორმოც-და-ათი, სამოც-და-ათი, ოთხმოც-და-ათი, ორმოც-და-თერთმეტი, ოთხმოც-და-ჩვიდმეტი.

მნიშვნელობით ამათ ეკიდება ისეთი შემთხვევები, როცა რიცხვითი სახელების ფუძეა გაორკეცებული: ერთ-ერთი (= ერთი და ერთი, ასეუ იხმარება დიალექტებში), სამ-სამი (= სამი და სამი), ხუთ-ხუთი (= ხუთი და ხუთი) და ა. შ.

იმვითად, მაგრამ მინც ორზე მეტი ფუძის შეერთებაც გვხვდება: ქართლ-კახეთ-იმერეთი, რძალ-მულ-დედამთილი.

ასეთი ტიპის კომპოზიტები ორ- და მეტმნიშვნელობიანია. მათი შეცვლა შეიძლება და კავშირანი სიტყვათშეერთებებით. რიცხვითი სახელების გაზოკლებით რთული ფუძის მნიშვნელობა შემადგენელი ფუძეების მნიშვნელობათა ჯამს უდრის: დედ-მამა (= დედა და მამა).

ბ) სხვადასხვა ტიპის ფუძეების შეერთებისას აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა უნდა იქნეს გარჩეული:

1. არსებით სახელს დაერთვის მიძლეობა, ზედსართავი სახელი ან რიცხვითი სახელი. ვიღებთ რთულ ფუძეს, რომელსაც ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

კულამოძუებული, ყურმოჭრილი, ფეხმოტეხილი, თერგდალეული, თავდადებული (დ ი მ ი ტ რ ი თ ა ე დ ა დ ე ბ უ ლ ი), გონებამახვილი, გულჭავრიანი, გულხარბი, თვალჭრელი, თვამდახალი, თვღია, მკერდოფლიანი, რქაბუღიანი, ტანდახალი, ყურმახვილი, გულჩვილი, გულმაგარი, სულგრძელი, გულყეთილი, ოთხფეხი, ორპირი, სამფეხი.

-ა სუფიქსის დართვით: დიდყურა, შავტარა (შ ა ვ ტ ა რ ა დანა), ცისფერთვალება („რა კარგი ხარ, რა კარგი, კობტა, ც ი ს ფ ე რ თ ვ ა ლ ე ბ ა“. — ი. გრიშაშვილი).

მრავალწევრიანები: თავგზააბნეული, თავპირდამტვრეული, თავქუდმოგლეჩილი, წვერულფაშგათეთრებული.

ამ შემთხვევაში პირველი ორი ფუძე არსებითად ერთი ფუძის ფუნქციას ასრულებს.

2. მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივი ატრიბუტული მსაზღვრელის ფუძეა შეზრილი საზღვრულთან და გვაძლევს რთულ ფუძეს. ასეთ რთულ ფუძეს მნიშვნელობა მსაზღვრელ-საზღვრელისა აქვს. მსაზღვრელად შეიძლება გამოყენებული იყოს არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები. მსაზღვრელი ჩვეულებრივ ფუძის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ სახელობითი ბრუნვის ფორმითაც გვხვდება.

ამის მაგალითებია: ქალბატონი, ფურიჩემი, ხარირემი, ვაფიშვილი (ე. ი. შვილი, რომელიც ვაფია), ქალიშვილი (ე. ი. შვილი, რომელიც ქალია. მთის დიალექტებში ქალიშვილი მართულ-მსაზღვრელიანი კომპოზიტია, ნიშნავს შვილიშვილს, მაგრამ ქალიშვილის შვილს. ქალიშვილი შეიძლება ვაფიც იყოს), ვაჟკაცი, გლეხკაცი (პარალელურად: ვაფიკაცი: „ვ ა ჟ ი კ ა ც ი, გულუვანი“... გლეხიკაცი: „გ ლ ე ხ ი კ ა ც ი ს ტორია“. ივ. მაკავარიანის თარგმანიდან), დედაკაცი, მამაკაცი, დედამეწა, ქვანახშირი, ბერკაცი, დედაბერი, ლუქმაპური, დედაწერი, ბადექონი, ავღარი, ძვირფასი, დიდჭაჭარი. გეოგრაფიული სახელებიდან: ახალციხე, ახალდაბა, ახალგორი, ახალქალაქი...

რიცხვითი სახელების შემცველნი: ორღობე, სამითით, სამგორი... და ასეულების აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები: ორასი, სამასი, ხუთასი, შვიდასი, ათასი...

ამასთან დაკავშირებით ცალკე უნდა გამოიყოს ერთი ჯგუფი სხვაგვარი-ში-

ნაარსის მქონე კომპოზიტიური წარმოების სახელებსა, რომელთა პირველი ნაწილი აგრეთვე სახელობით ბრუნვაში ჩანს დასმული: ხარბარია, კაციკამია, ბელტი-ყლაპია, ქარიყლაპია.

ამ მუხლში დასახელებული კომპოზიტები ყველა ერთმნიშვნელობიანია.

III. ორი ფორმის შეერთება

მესამე საშუალება კომპოზიტის მიღებისა ორი სიტყვის, ორი ფორმის შეერთებაა. ყველაზე ხშირია ის შემთხვევები, როდესაც კომპოზიტის პირველი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. ასეთი კომპოზიტები მსახლერელ-სახლერულის ერთად შერწყმის გზითაა მიღებული და მართულმსახლერელნი კომპოზიტების სახელითაა ცნობილი. კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს მხოლოობითი რიცხვის ფორმაში ან -თ(ა) სუფიქსიანი მრავლობითის ფორმაში.

მხოლოობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი და ბრუნვის ნიშანი მთლიანად შემონახულია შემდეგ მაგალითებში: ვერცხლისწყალი, ქინძისთავი, თავისუფალი, გუთნისდედა... ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებში: ძმისწული, ძმისშვილი, დისწული, დისშვილი,... თვეთა ქართულ სახელწოდებებში: ენკენისთვე, ღვინობისთვე, ვარდობისთვე, მწვანობისთვე... გეოგრაფიულ სახელებში: კავთისხევი, კისისხევი, ლამისყანა, ციხისჭვარი, ტინისხიდი, ხიდისთავი, უფლისცბე, ცხენისწყალი, ხანისწყალი...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმონიითი ელემენტი ს მოკვეცილია შემდეგ მაგალითებში: დიდინაცვალი, ნათლიდედა, წუთისოფელი, შამიდა, შვილიშვილი, მაძულიშვილი... აგრეთვე ბევრ გეოგრაფიულ სახელში და ძესა და შვილზე დამთარებულ გეარებში: გურამიშვილი, ბარათაშვილი, ჭავჭავიშვილი, ქავჭავაძე. მიქლაძე...

ხშირად ბრუნვის ნიშანი მთლიანად მოკვეცილია: ხელხაზოცი, ცხვირსაზოცი...

მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი (ემფატიკური ა ხმოვნის შემონახვით) პირველი ნაწილი კომპოზიტისა ამ ტიპის მაგალითებში: სულთამხუთავი, გულთამხილავი („გ უ ლ თ ა მ ხ ი ლ ა ვ ო, შენ უწყვი, რაც დღეს...“ — ნ. ბარ.), მზეთამზე, მკათათვე...

ემფატიკური ა ხმოვნის გარეშე: მზეთუნახავი, ხუროთმოძღვარი, მიწათმოქმედი (მიწათმოქმედება)...

ფორმანტი სრულიად დაკარგულია: წიგნსაცავი, ნავსადგური.

კომპოზიტის პირველი შემადგენელი ნაწილი რომ სხვა ბრუნვაში იყოს, ამის მაგალითები ქართულში იშვიათია:

მოთხრობითში: ერთმანეთი (←ერთმანერთი).

მიცემითში: თავგადასავალი, წყალქვეშა, თავზარი, თავმჯდომარე, თავბრუ, თავდასხმა...

მოქმედებითში: ქვითკირი (ქვიტკირი), კირითხურო...

მიმართულებითში: ავადმყოფი, ყურადღება, ერთადერთი, მძინაფიცი...

ამ წყებაში დასახელებული კომპოზიტები ყველა ერთმნიშვნელობიანია.

IV. ერთს არტულ ისე მცირე ჯგუფს კომპოზიტებისას ქმნის ისეთი სახეობები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნისართი ან თანდებულია წარმოდგენილი.

ზეგავლენა, ზეკაცი, ზედნადები, ზედნაშენი, ზედსართავი, ზედლაგარი, ზედამხედველი, თანამსახური, თანამშრომელი, თანდებული, შინაყმა, წინამორბედი, წინდაუხედავი, წინდებული და სხვ.

ესენიც ერთმნიშვნელობიანია.

დღევანდელ ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტების დაწერილობის საკითხი მოუგვარებელია. როგორც პრესაში, ისე მხატვრულსა და სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი დაწერილობა გვხვდება. ერთი და იგივე კომპოზიტი იწერება ერთადაც, როგორც ერთი სიტყვა, მაგრამ დეფისითაც და ზოგჯერ მისი შემადგენელი ნაწილები ცალ-ცალკეც კი. კომპოზიტების დაწერილობის საკითხი საკუთრივ ორთოგრაფიული საკითხია. სხვა ენობრივი საკითხი კომპოზიტებთან დაკავშირებით სალიტერატურო ენაში არ იმის. ამდენად, საჭიროა ერთგვარი შეთანხმება და ერთგვარობის დამყარება კომპოზიტების დაწერილობაში.

ამ შეთანხმებას მიღებისას ამოსავალი უნდა იყოს ის დებულება, რომ კომპოზიტი, მიუხედავად იმისა, თუ როგორი შედგენილობისაა მისი ფუძე, ერთ სიტყვას წარმოადგენს და შესიტყვებაში ისეთივე ფუნქცია აქვს დაკისრებული, როგორც მარტივი ან ნაწარმოები ფუძის შემკველ სიტყვას. ეს ერთი. მეორე, რაც შეეხება იმის განსაზღვრას, თუ რამდენი მნიშვნელობის შემკველია ესა თუ ის კომპოზიტი, ერთმნიშვნელობიანია იგი, თუ ორ- და მეტმნიშვნელობიანი, — ეს. იმისთვისაა საჭირო, რომ მკვეთრად განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ისეთი შემთხვევები, როცა ორი და მეტი ფუძის შეერთებით სრულიად ახალ ფუძეს ვიღებთ (ე. ი. ვიღებთ სრულიად ახალი მნიშვნელობის მქონე სიტყვას), ისეთი შემთხვევებისაგან, როცა ფუძეთა მხოლოდ მექანიკური შეერთება გვაქვს და შემადგენელი ფუძეები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას ინარჩუნებენ. ამ ორი შემთხვევის ერთმანეთისაგან გამიჯნა სრულიად აუცილებელია.

თუ ჩვენ დაედასტურებთ, რომ საქმე გვაქვს კომპოზიტის ისეთ სახეობასთან, როცა ორი ან მეტი ფუძის ამა თუ იმ საშუალებით შეერთების შედეგად მიღებული რთული ფუძე ახალი ფუძეა, რომ ამ ფუძეს ახალი, განსხვავებული მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ახალი დიქციონერი ერთეულია, — ეს რთული ფუძე უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად. ხოლო ქართულ-კახეთისა და და-ქმის ტიპის კომპოზიტებში შემადგენელი ფუძეები ერთმანეთისაგან დეფისით უნდა გამოიყოს.

სიძნელეები წარმოაშობა იმ შემთხვევაში, როცა კომპოზიტი ორი სიტყვისაგანაა შედგენილი. ბევრ შემთხვევაში ამ ორი სიტყვის შერწყმის პროცესი დამთავრებულია და ორი ფუძე საბოლოოდ ერთ რთულ ფუძედაა ქცეული. მაგრამ არის შემთხვევები, როცა შერწყმის პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა და ძნელა გადაწყვეტა ერთ რთულ ფუძესთან გვაქვს საქმე, თუ შესიტყვებასთან. ამგვარ შემთხვევებში გარკვეულ ეფექტს იძლევა იმ საზომის გამოყენება, რომელიც არს. ჩიქობავას აქვს წარმოდგენილი. ესაა „შ ე მ ა დ გ ე ნ ე ლ ნ ა წ ი ლ თ ა გ ა თ ი შ ე ვ ა (გ ა დ ა ს მ ი თ ა ნ შ ი გ ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ჩ ა რ თ ე ი თ)“. სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება); სადაც გათიშვა და ა უ ბ რ კ ო ლ ე ბ ლ ი ვ მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი; სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, ი ქ ე მ მ ო ზ ი ტ ა დ ქ ე ე ვ ი ს პ რ ო ც ე ს ი დ ა მ თ ა ე რ ე ბ უ ლ ი არაა: გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე“ („ენათმეცნიერების შესავალი“, გვ. 227). თუ კომპოზიტია — ერთად უნდა დაიწეროს; თუ შესიტყვება აღმოჩნდება — ცალკე. ორ სიტყვად; დეფისისათვის ამ შემთხვევაში ადგილი არ რჩება.

ამისდა მიხედვით, ერთმნიშვნელობიანობისა და ორ- და მეტმნიშვნელობიანობის აქ წარმოდგენილი გავების თანახმად, ყ ვ ე ლ ა ე რ თ მ ნ ი შ ვ ნ ე

ლობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ-ღამეტმნიშვნელობიანი — დეფისით.

მაშასადამე:

A. ერთად, ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს შემდეგი ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტები:

1. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილების (შემადგენელი ფუძეების) მნიშვნელობა გასაგებია (მაგალითად: თუთავი, წამწამი).

2. ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ნაწილები მნიშვნელობას მოკლებული მარცვლებია (ბაქ, კაჭ, რახ, ჩიფ, ძაღამისთ.):

ბუტბუტი, კაშკაში, კაქკაქი, ლაქლაქი, ლულული, რაკრაკი, ჩაქჩაქი, ჩიფჩიფი და სხვ.

3. ასუფიქსდართული ეგვეე კომპოზიტები:

ბაქბაქა, კაშკაშა, ჩიფჩიფა, ნარნარა, ლაქლაქა და სხვ.

4. ამტიპისეე კომპოზიტები, როცა ფუძეში ხმოვნის ან თანხმოვნის შეცვლა ხდება.

კანტიკუნტად, ხეგზუვი, ბიჭბუჭები, ბინბუნდი, რიერაუი, ქობხაი, კუჭმაქი, ავანჩავანი, ჩამჩიუმი, ხათქახუთქი, არემარე და სხვ.

5. ფუძეგაორკეცებულ და დაკავშირით შეერთებულ კომპოზიტები, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში ზმინისართული მნიშვნელობა აქვთ:

ხვადახვა, პირდაპირ, ფეხდაფეხ, კვლდაკვალ, ხანდახან, წინდაწინ, კარდაკარ და სხვ. აგრეთვე მათგან ნაწარმოები: გულდაგული, პირდაპირი...

6. დაკავშირით გაერთიანებული რიცხვითი სახელები ოცდაერთადან მოკიდებული ასამდე (ოცდაერთი, ოცდაცხრა, ოცდაათი, ორმოცდაათი, სამოცდაათი, სამოცდაჩვიდმეტი, ოთხმოცდაათი...).

ხვადახვა ფუძეების შეერთების შედეგად მიღებულ კომპოზიტთან:

7. არსებითი სახელების ფუძეზე მიმღობის, ზედსართავი სახელის ან რიცხვითი სახელის ფუძის დართვით მიღებულ კომპოზიტები, რომელთაც ახალი, სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ:

კულამოდებული, ყურმოჭრილი, თერგდალეული, თავდადებული... თავმდაბალი, გულხარბი, გონებაშავილი, პირსისხლიანი, რქაბუღდანი... გულკეთილი, გულჩვილი, გულკავარი... ოთხფეხი, ორპირი...

ასუფიქსის დართვით: შავტარა, ცისფერთვალეზა, შავთვალა... მრავალწევრანები: თავქუდმოგლეჩილი, წვერულვაშვათერთებული...

8. კომპოზიტები, რომლებშიც ატრიბუტული მსახვდერქლის ფუძეა შეზრდილი არსებითი სახელის ფუძეს: ქალბატონი, ფურირემი, ხაირემი, ვაჟკაცი, გლეხკაცი...

ძვირფასი, ავღარი...

ახალვაზა, ახალგორი, ახალქალაქი...

სამგორი, ორთითი...

ქალიშვილი, ვაჟაშვილი, ბერიკაცი, დედაბერი, ლუკმაპური...

აგრეთვე: ხარიპარია, კაციკამია, ქარიყლაპია და მისთ.

9. მსახვდერელ-სახვდერულის შეერთებით მიღებუ-

ლი კომპოზიტები, რომლებშიც მსახვდრელი (კუთვნი-
ლებითი ნაცვალსახელი) მორეადგულასაა დასმული
და რომლებიც ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმი-
ნებს წარმოადგენენ:

დეღაჩემი, მამაჩემი, პაპაჩემი, ბებიაჩემი, მამიდაშენი, დეიდათქვენი და მისთ.

10. ორი სიტყვის შეერთების შედეგად მიღებული კომპო-
ზიტები, მიუხედავად იმისა, თუ რა ბრუნვის ფორმითაა წარ-
მოღვენილი რთული ფუძის პირველი შემადგენელი ნაწილი:

ვერცხლისწყალი, გუთნისდედა, ძმისწული, ღვინობისთვე, კავთისხვევი, ლამის-
ყანა, ხილისთავი, ცხენისწყალი...

დედინაცვალი, ნათლიდედა, მამულიშვილი...

ხელსახოცი, ცხვირსახოცი...

გულთამხილავი, შვეთამზე, მკათათვე...

მზეთუნახავი, ხუროთმოძღვარი...

წიგნსაცავი, ნავსადგური...

თავდასავალი, წულქვეშა, თავდახმა...

ავადმყოფი, ერთადერთი, ძმადნაფიცი...

ქვითყირი...

11. კომპოზიტები, რომლებშიც პირველ წევრად ზმნი-
სართი ან თანდებულია წარმოდგენილი:

ზედნაშენი, ზედამხედველი, თანამშრომელი, შინაყმა, წინდაუხედავი, წინამორ-
ბელი...

12. სხვადასხვა სახელის ფუძეთა შექცეული ზმნისართები:
დღეღამე. წამდაწუმ.

B. დეფისით უნდა დაიწეროს ორმნიშვნელობიანი
კომპოზიტები.

1. კომპოზიტები, რომლებიც მიღებულია მნიშვნე-
ლობის მხრივ ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძე-
ების გაერთიანებით:

ძალ-ღონე, ტოლ-მხანავი, ბედ-იღბალი, ღარიბ-ღატაკი, შიშველ-ტიტველი...

უფროს-უმცროსი, ქალ-ვაფი, ტყე-ველი, მთა-ბარი, მტერ-მოყვარე, დღე-ღამე...

ოქრო-ვერცხლი, ბარ-საკვეთი, სახნის-საკვეთი, სიტყვა-პასუხი, რძალ-მული...

თვალ-წარბი, ფარ-ხმალი, წერა-კითხვა, მშვილდ-ისარი...

ქართლ-კახეთი, მესხეთ-ქაფახეთი, ტაო-კლარჯეთი...

მინერ-მოწერა, ამვლელ-ჩამვლელი, გამვლელ-გამომვლელი.

ასევე: ქართლ-კახეთ-იმერეთი, ლათინურ-რუსულ-ქართული, რძალ-მულ-
დედამთილი...

ამგვარივე წესით შეერთებული, მხოლოდპრევერ-
ბით განსხვავებული ზმნები: აივლ-ჩაივლის, აირბინ-ჩაირბინა...
სხვადასხვა ფუძის მქონე ერთად გაერთიანებუ-
ლი ზმნები:

გააცოფ-გააცხელა...

2. რიცხვითი სახელების ფუძის გაორკეცებით მი-
ღებული კომპოზიტები:

ერთ-ერთი, ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი, ათ-ათი...

3. ფუძეგაორკეცებული ზედსართავები: ცხელ-ცხელი;-
ცივ-ცივი, დიდ-დიდი, პატარ-პატარა, ჭრელ-ჭრელი...

4. სახელის ფუძის გაორკეცების შედეგად მიღებული ბრუნვისნიშნის უქონელი ზმნისათებო: უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ნაპირ-ნაპირ, ტყე-ტყე...

შენიშვნა. თუ ორნიშვნელობიან კომპოზიტს სიტყვის საწარმოებელი აფიქსები დაერთვის და მისგან, მათსადამე, ახალი სიტყვა იქნა ნაწარმოები, ეს ნაწარმოები სიტყვა ერთად, უღედისოდ დაიწერება. ასეთი სიტყვა კომპოზიტი კი არ არის, არამედ კომპოზიტის ფუძისაგან (რთული ფუძისაგან) ნაწარმოები ფუძის მქონე სიტყვაა მხოლოდ.

დედ-მამა, მაგრამ: უღედმამო.

დედა-შვილი, მაგრამ: დედაშვილური, დედაშვილობა (დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო". — აკაკი).

ხახლ-კარი, მაგრამ: უსახლკარო.

დაძმა, მაგრამ: დამძური.

ცოლ-შვილი, მაგრამ: ცოლშვილიანი, უცოლშვილო.

ბატონ-ყმა, მაგრამ: ბატონყმური, ბატონყმობა.

აქ წარმოდგენილია კომპოზიტების დაწერილობის ძირითადი ზოგადი წესები. დაწერილობა ბევრი იმგვარი სიტყვისა, რომლებიც აქ წარმოდგენილ ამა თუ იმ ყალიბში ვერ მოთავსდება, ორთოგრაფიულ ლექსიკონშია შეტანილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტის შემადგენელი ფუძეები მით უფრო მტკიცედლა შეკავშირებული ერთმანეთთან და, მათსადამე, ერთ სიტყვადაა ქცეული, რაც უფრო ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ამ სიტყვის ხმარებას, რაც უფრო ძველია კომპოზიტი. ამის გამოა, რომ ბევრი გეოგრაფიული და ადამიანის სახელი თუმცა წარმოშობით მთელ შესიტყვებას წარმოადგენს, მაგრამ ამჟამად აღარც კი გვევლინა, რომ რთული შედგენილობისაა (ადამიანთა სახელები: ლთისაფარი, მუცეინარი, პირიშხა, ვარდისახარ, მუქალა... გეოგრაფიული სახელები: ხიდისთავი, მუხათვერდი, ნინოწმინდა...).

შენახველი დანართის მართლწერა

(სახლი-მუზეუმი თუ სახლ-მუზეუმი?)

დანართი (ანუ, როგორც ზოგჯერ ეძახიან, მიმატება) განსაზღვრების ერთი სახეობათაგანია. მას ისეთ განსაზღვრებას (მსაზღვრელს) უწოდებენ, რომელიც არსებითი სახელის სახითაა წარმოდგენილი, არსებითი სახელი განსაზღვრავს არსებით სახელს. ასეთ შემთხვევაში მსაზღვრელი არსებითი დანართის (მიმატების) სახელით არის ცნობილი.

გაირჩევა ორგვარი სახეობა ურთიერთობისა. ერთ შემთხვევაში არსებითი სახელი და მსაზღვრელი არსებითი სახელი (დანართი) ისეთსავე დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, როგორშიც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრული, და ცალ-ცალკე არიან წარმოდგენილი: ფოლადი ადამიანი, რკინა კაცი, მასწავლებელი დაეითი, ექიმი გომართელი, გენერალი გედევანიშვილი, ქალაქი ქუთაისი და სხვ. მეორე შემთხვევაშიც ისევ მსაზღვრელ-საზღვრული გვაქვს, მაგრამ ორივე ერთად ერთ სიტყვადაა გააზრიანებული, გაკომპოზიტებულია. ამის ნიმუშებია ვიართხა, ძელქვა, ვაშლატაში, ხირაქლემა, მუხანგსვი და მისთ. მეორე შემთხვევა პირველისაგან იმითაც განსხვავდება, რომ პირველ შემთხვევაში დანართი ფუძის სახით არ შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი იგი სწორედ ფუძის სახითაა მოცემული.

პირველ შემთხვევაში დანართი საზღვრულთან ერთად მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ჩვეულებრივ წესს ექვემდებარება: ისევე იბრუნვის, როგორც საზღვრულის წინ დასმული თანხმოდგენილი ან ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმოდგენილია, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნებებში ბრუნვის ნიშანს მთლიანად იკვეცს.

სახელობითი	—	ქალაქი	ქუთაისი	გენერალი	გედევანიშვილი
მოთხრობითი	—	ქალაქმა	ქუთაისმა	გენერალმა	გედევანიშვილმა
მიცემითი	—	ქალაქ	ქუთაისს	გენერალ	გედევანიშვილს
მიმართულებითი	—	ქალაქ	ქუთაისად	გენერალ	გედევანიშვილად
ნათესაობითი	—	ქალაქ	ქუთაისის	გენერალ	გედევანიშვილის
მოქმედებითი	—	ქალაქ	ქუთაისით	გენერალ	გედევანიშვილით
წოდებითი	—	ქალაქი	ქუთაისი	გენერალი	გედევანიშვილი

შდრ: სახელობითი	—	მოხუცი	კაცი
მოთხრობითი	—	მოხუცმა	კაცმა
მიცემითი	—	მოხუც	კაცს
მიმართულებითი	—	მოხუცად	კაცად
ნათესაობითი	—	მოხუცი	კაცის
მოქმედებითი	—	მოხუცი	კაცით
წოდებითი	—	მოხუცი	კაცი

ამ შემთხვევაში, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში მსაზღვრელ სახელს ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნების ხმოვნითი ა ელემენტი შენარჩუნებული აქვს.

მეორე შემთხვევაში დანართიანი სახელი კომპოზიტია და იბრუნვის როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ძელქვა
მოთხრობითი	—	ძელქვა-მ
მიცემითი	—	ძელქვა-ს
მიმართულებითი	—	ძელქვა-დ
ნათესაობითი	—	ძელქვ -ის
მოქმედებითი	—	ძელქვ -ით
წოდებითი	—	ძელქვა-ე

რუსულ ენაში გავრცელებულია შერწყმული დანართი, რომელიც საზღვრულთან ერთად იბრუნვის და წერაში დეფისით არის მასთან შეერთებული: *изба-читальня, поэт-революционер, писатель-коммунист, телефон-автомат, волшебница-зима, царь-колокол* და სხვ.

ესაა, თუ შეიძლება ასე ითქვას, გარდამავალი საფეხური ზემოთ დასახელებულ ორ შემთხვევას შორის.

რუსულის მსგავსად ქართულშიც იკიდებს ფეხს შერწყმული დანართი. მას ქართულშიაც დეფისით აერთებენ საზღვრულ სიტყვასთან, მაგრამ შერწყმისას პირველი წევრის, ე. ი. თვით დანართის, გადმოცემაში ერთგვარობა არაა დაცული. ზოგჯერ იგი ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ზოგჯერაც სახელობითი ბრუნვის ფორმით. ერთი მხრით, გვაქვს: *სახლ-მუზეუმი, აკადემიკოს-მდივანი, წევრ-კორესპონდენტი, ტელეფონ-ავტომატი* და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, *სახლი-მუზეუმი, აკადემიკოსი-მდივანი, წევრი-კორესპონდენტი, ტელეფონი-ავტომატი* და ა. შ. არის შემთხვევები, როცა პარალელური ფორმები აღარ გვაქვს და პირველი წევრი მხოლოდ ფუძის სახითაა წარმოდგენილი: *ქობ-სამკითხველო*.

როდესაც პირველი წევრი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაშინ ორივე წევრი იბრუნვის: *წევრი-კორესპონდენტი, წევრ-კორესპონდენტმა* და ა. შ. მაგრამ ქართულში არის ტენდენცია, რომ პირველი წევრი გადმოიყვას ფუძის სახით და ორივე წევრი იბრუნვოდეს ერთად, როგორც ერთი სიტყვა.

ამის შესაბამისად წერაში ერთგვარობის დასამყარებლად სალიტერატურო ქართულში უნდა მიღებულ იქნეს შემდეგი წესი:

ა) რუსულის მსგავსად ქართულში გაჩენილი ან რუსულიდან შემოსული შერწყმული დანართის პირველი წევრი გადმოიყვას ფუძის სახით და დაიწეროს საზღვრულთან ერთად დეფისით.

მაშასადამე, გვექნება: *მუზეუმ-ნაკრძალი, წევრ-კორესპონდენტი, პოეტ-აკადემიკოსი, აკადემიკოს-მდივანი, სახლ-მუზეუმი, ტელეფონ-ავტომატი, პოეტ-რევოლუციონერი, იქიმ-კონსულტანტი, მუზეუმ-კარმიდამო, მოგზაურ-ეთნოგრაფი, ქობ-სამკითხველო* და სხვ.

ბ) შერწყმული დანართი იბრუნვოდეს მთლიანად როგორც ერთი სიტყვა.

სახელობითი	—	ქობ-სამკითხველო	წევრ-კორესპონდენტ-ი
მოთხრობითი	—	ქობ-სამკითხველო-მ	წევრ-კორესპონდენტ-მა
მიცემითი	—	ქობ-სამკითხველო-ს	წევრ-კორესპონდენტ-ს
მიმართულებითი	—	ქობ-სამკითხველო-დ	წევრ-კორესპონდენტ-დ

ნათესაობითი	—	ქობ-სამკითხველო-ს	წევრ-კორესპონდენტ-ის
მოქმედებითი	—	ქობ-სამკითხველო-თი	წევრ-კორესპონდენტ-ით
წოდებითი	—	ქობ-სამკითხველო	წევრ-კორესპონდენტ-ო

ამ წესს მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ ამ გზითაა ქართულში მიღებული, როგორც ზემოთაა ნათქვამი, ერთმნიშვნელობიანი კომპოზიციები: ძელქვა, ვაშლატაში, შაქარვაშლა და მისთ.; მეორე მხრით, ქართულში უკვე დამკვიდრებულია დანართიანი კომპოზიციები, რომელთა პირველი წევრი ფუძის სახითაა წარმოდგენილი და რომელთა ორივე წევრი ერთად იბრუნვის, როგორც ერთი სიტყვა. ეწერთ მათ დეფისით. ასეთებია: გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი, ინჟინერ-მშენებელი, ინჟინერ-მეტალურგი, ინჟინერ-მექანიკოსი, ინჟინერ-ტექნოლოგი, ინჟინერ-ქიმიკოსი, პრემიერ-მინისტრი, რევიზორ-ინსპექტორი, სოციალ-დემოკრატი და მრავალი სხვა.

სხვათა სიყვანის მართლწილის საკითხები

ქართულ ენაში არის ნაწილაკები -მეთქი, -თქო || -თქვა და -ო. ეს ნაწილაკები გამოხატავენ პირველი პირის (მოსაუბრის) ან სხვა პირის (არამოსაუბრის) ნათქვამის ან განაზრახვის უცვლელად განმეორებას. ერთ-ერთი ამ ნაწილაკის შემცველი წინადადება სხვათა სიტყვის სახელწოდებითაა ცნობილი.

ა) -მეთქი ნაწილაკი მთელი წინადადება წარმოშობით (მე ვთქვი) და იხმარება პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად.

მაგალითები:

მე ვუთხარი: ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგობამს... ზურგზედ წყალს მანც გადააუღებდი-მეთქი; ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა პაეა იაროეა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი? (ილია).

ხშირად დავეითებოდოდი ხოლმე ძიძას: რა დაეშაეა კრუხმა ჭირს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასვენებს-მეთქი? (აკაკი).

ეითამაშეთ და ჭორმაეც მე გამიტაცა-მეთქი.—უუქასუხე სიცილით (აკაკი).

აკი მოგახსენეთ, აკეკეეს ურმები გავისტუმრე და, რაწამსაც ჩამოვლენ, მაშინვე მოგართმეე-მეთქი? (ილია).

აკი მოგახსენეთ, გაგიადღეულებ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა! (ილია).

მე კიდევ ვუთხარი: ჩემო მახლო, წაეიდეთ-მეთქი... ერთი შეეიტყოთ, რა ამაზი-ბაეია-მეთქი (ილია).

მე სიტყვა მოუეუქერი კიდევ: ნახეერი ჩემის ობლები-მეთქი (ილია).

ბ) თქო || თქვა ნაწილაკი იხმარება მეორე პირის მიმართ, როდესაც პირველი პირი (მოსაუბრე) თავის ნათქვამს მას აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად.

მაგალითები:

უთხარი შენს ჭმარს: მეუ დილაზედ ეინახელებ, ღმერთია მოწყალე-თქო, ყველანი მშვიდობით ეიქნებით-თქო (ილია).

უთხარი, რომ, როეა პემა ექლებოდა-თქო, შენა გლოეად-თქო (ილია).

იმ იმერელს... იცი, რა ვუთხარი?... იმერელსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიცინას წენი გამოეუა, ერთ „ულაად“ არ მეუოეა-თქო და „ულეში“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო (ილია).

წადი, ბიკოლან მოახსენე... ნუ გეშინია, უთხარი, გიორგი გახლავთ-თქო (წ. ღორთქ.). მალაქიასთან გადიარბინე, ვარლამოა, და უთხარი: დედა შემოგეხეევა-თქეა, ჩემო მალაქია, ეს ერთი დოქი ლეინო გამომეგზაენე-თქეა და მე ეიცი შენი პატევის-ეემა-თქეა... ჩემო. მალაქია-თქეა, ძალიან შემოგეხეევა დედა-თქეა (დ. კლდ.).

ეგევე ნაწილაკია გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი (მოსაუბრე) მეორე პირს ავალებს რაიმე უთხარას მასვე, მოსაუბრეს.

მაგალითები:

რას მანქანაზე, შე დალიცილო, აგრე მეტყოდი, რომ შენი არ არის-თქო (ილია).

ბ) -ო ნაწილაკით გადმოიციემა მესამე პირის ნათქვამში.

მაგალითები:

მონამე გეყავსო?—პკითხეს მოქამავიერეს (ილია).

ბრძანება—ოცდახუთი მანეთი წაერთოს და ორმოცდაათი როზვი დაეკრას იმასო, ვინც თავის ნაბატონარს დღეის იქით ბატონს დაუძახებსო (ილია).

ჩაი უნდა მიიროთოო,—მიპასუხა სტანციის გუშაგმა (ილია).

ვინა სთქვა—გლებმა ჩვენზედ გული აიყარაო (ილია).

იტყვოდა: მაგლონი არაფერი ხანიაო ვასული (ილია).

შენ მურობა ვინ მოგკაო,—უთხრა მან არჩენს,—ჩვენ როდის ამოგირჩიეთო? (ვაჟა). ამბობდა ყველა: ეს რა ამბავია, რამ გავწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსაიდან ისმისო? (ვაჟა).

ზაფხულობით კატას არ დააყენებდა სახლში, ბიჭს შორს წააყენებდა, გააშვებინებდა, სხვისასე არ ჯაჰკვანებდა თავის ეზოში: ბულბულებს სკამენ შეჩვენებულუბით (ვაჟა).

შენაო, რადგანც მებატონე ხარო და კეთილშობილო, გლებთან წინ არ უნდა წამოღვიო, გლებთან პირში ბურთი უნდა გდოსო; თუ ხმას ამოიღებო, კრძალითა და შიშით უნდა ამოიღოო. არ უნდა უჩიელო გლებსაო. თქვეითვის ეხლა სამართლის კარი დახშულიაო. რაც არიან ეხლა, გლებები არიანო, მე თქვენს საჩივარს ყურსაც არ ვათხოვებო, ბატონყმობა გადავარდაო და თქვენ ვილა ყრობართო (ილია).

განსაკუთრებით ხშირადაა გამოყენებული -ო ნაწილაკი ანდაზებმა და თითქმის ნაწილაკიან წინადადებებში.

მაგალითები:

ბედაური ცხენი მათრახს აო დაიკრავსო (ანდაზა).

ახალი ცოცხი კარგად გვისო (ანდაზა).

ასწიე ღონესა ჰქვია, დასწიე—უღონობასაო (ანდაზა).

თითყო აღალმა დაქპროლა წიწილებსაო (ილია).

ეგევე -ო ნაწილაკი იხმარება იმ შემთხვევაშიც, როცა მეორე პირის მიერ მესამე ან პირველი პირისათვის წინათ ნათქვამის ან მეორე პირის განაზრახვის განმეორება ხდება.

მაგალითები:

თქვენ კი მიჰმანეთ, გლებთან სიტყვა ფრთხილად იხმარეო (ილია).

შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარო“, შე ასკერ ვეტყვი „ეერასა“ („ვეფხისტყაოსანი“, 235).

ზემოაღნიშნული ნაწილაკები სალიტერატურო ქართულში ზეპირი მეტყველებიდან ჩანს შემოსული. ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ნაწილაკთა ხმარების თითო-ოროლა შემთხვევა მხოლოდ აღნიშნული. საეპოიდ ფართოდაა წარმოდგენილი ეს ნაწილაკები უკვე „ვეფხისტყაოსანში“, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ლიტერატურულ ძეგლებში, განსაკუთრებით „რუსულდანანსა“ და დავით გურამიშვილის ნაწერებში, მეტად ფართო გასაქანი ეძლევა მათ.

მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“:

ღმოსაველთით წადიო, პირსა იარე ზღვისასა (947).

ეხვეწროდა: „შეყო“, აქას ხეყენითა არებდა (894).

ცლა პირზე ეტყვის ვაზირსა: „მე სიტყვა შევაშვირეო,

წა, ესე ჰქადრე მეფესა, შე-ვინ-ვილოდეს ვირეო;

მიიჩე ამოდ გაშვება და თავი გაიგმირეო,

ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო“ (741).

შერმანდისკა ახარებდეს, ფიცხლად თავნი მისვენ არნეს;

„მოვიდაო, აქინამდის კოსთის ღბინნი გავემწარნეს“ (673).

მოვიდა კაცი: „სასიძო მოვაო“, ზოსლე გვახარა (548).

ახლოს მივე, შემომხედეს, „შმაგიაო“, ესე თქუნა (446).“

„მონააო ასმათისი“, საწოლს ეუთხარ შემოყვანა.

მოეწერა: „გობრძანებსო“, ვისი შესეა გულსა დანა (392).

ბრძანა: „შინდორს შეეჭლებიო“, ლაშქარიცა დაურაზმა (170).

კვლავ უბრძანა: „თავსა ჩემსა, რას ოქონი, რად დამგებო?“.

ყმაჩან ჰკადრა: „მოვასხუნებ და ფარმანი მბოძეო,

რაცა გადარო, ირ გეწყინოს, ირ გაპრისხდე, არ გასწყერო,

არ გამხადო კადნიერად, ირ ამიკლო ამაზეო“ (65).

„ნეტარ რა უმძიჱს, რა სკირსო“, შექმნეს ამისი ცილობა (56).

„ქარაგა ჰქმნო“, — დეუმაღლა, წყალობანი უიმედნა (61).

მეუფემან ბრძანა: „ენახეო მიზეზი ღბინთა ლევისა“ (98).

ახარებდეს: „წამოქლაო“, დედოფალი გამორაზოდა (355).

მაშინდა ჰკადრე მეფესა არ საქმე სასურვალია.

იყნობე ჩემი სიკელიძე, იყავ მართ ეთთა მთრეალია,

მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოელათთვის გარღვეალია (158).

განსაკუთრებით უხვ მასლას იძლევა ამ მხრივ „რუსულანბანი“.

მაგალითები:

მან უბრძანა: დღეს ხელმწიფეს ვერ შევეცილებიო. მან დღეათ მეფის ასულმან ვერ მოახსენა: ხელმწიფისა რა შეცილება იქნებაო, თქვენ თქვენსა სახლსა მობრძანდით და მეფე თავისსა მივაო. მე შემედ მიბძანა: ვერ ეს ენახათო, როგორააო; თუ ეს არ მომეწონებაო, ის მის უარესი იქნებაო, ცუდად არ ჯავირებაო.

აგრე ბძანა: ამაღამ არა გავწყობა რაო და სახეალიოდ მე ჰალს მოვამზადებო და თქვენ ეუზირი მოამზადებო და ჰალსაც გაჩვენებო და ქორწილიც უჯავითო.

თურომე დედოფალმან სიზმარი ნახა, რომ ამ ხეს საშყერ შემოუარეო და საშყერ თაყვანი ეყო და კარი გაიღებო. ერთი მნათობი ჰალი გამოვაო, ის შენთვის მწვე საჩუბელიაო.

• დღეათ მეფის ასულმან მოახსენა: არ ხელმწიფის საფერი საქურკლენი და ხაზინანი არიანო, მაგრამ მაშინც თავისთა ღმით ნაშოებსა იგრე არ ზოიძულებსო, რომელ ცუდთა კაცთა დაანებოსო და ანუ ჯასალახავად დავეყაროსო. ნახოს ხელმწიფემან, თვისი ბეჭდენი დასხანსო, რომე სხვათა კაცთა ცნან, პატრონი ყაო.

რა ეს მისგან მოვისმინე, გულსა ჩემსა ვგრე უთხარ: თუ ეს ანბავი მართალია, ამის უკეთესსა რას ენახე-მეთქო და ანუ ამისთანას რას ევაშებ ჩეთა მშობულთა-მეთქო, რომ ასეთის ქრისტიანის ხელმწიფისა თვალთ ნახული ანბავი უინბო-მეთქო.

მოვასხუნე: უწიგნოდ ვერსად წახვალ, თავად მომკლავს და, თუ არ მომკლავს, არ დამიყვარებს-მეთქო.

XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში დაატოვებით ისეთი სხე მიიღო ამ ნაწილაკების ხმარებამ, როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი. -მეთქი, -თქო | თქვა, -ო ნაწილაკები წინადადების ყველა წევრს შეიძლება დაერთოს, მაგრამ ჩვეულებრივ ნაწილაკი შეძსამენელს ერთის; რთულა წინადადების შემადგენლობაში იგი ყოველ შემადგენელ წინადადებაში შეიძლება შეგვხედეს; სტილისტიკური მოთხოვნის შესაბამისად იგი წინადადების სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს და ერთისა და იმავე წინადადების ფარგლებში განმეორდეს კიდევ (იხ. მაგალითები ზემოთ).

ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ წინადადების ბოლოშია (მარტივ წინადადებაში, რთული წინადადების შემადგენლობაში შემავალ მარტივ წინადადებებში...) ან წინადადების ბოლოსაც და შიგნითაც ერთად (ერთგვარშემასმენლებთან წინადადებაში). წინადადების ბოლოს დასმული ნაწილაკიანი წევრი უფრო ხშირად შე-

მასმენელთა, მაგრამ წინადადების ბოლოს ნაწილაკი სხვა წევრებსაც შეიძლება დაერთოს, წინადადების შივნით კი ნაწილაკი ჩვეულებრივ მხოლოდ შემასწავლელს დაერთვის, საერთოდ იმ წევრს, რომელსაც საჩრდილაკით მნიშვნელობა აქვს.

მაგალითები:

გაისარჩე და ირინე თაიო... ვირჩეოდი და უტკიარ ლუქას ექამდო (ილია).
პატრისაცუმი დედაკაცოთა ეს ოთარაანთ ქერი, —ხშირად უაქვამთ დასაყა და ძმა-საყა (ილია).

ამბობდნენ ღლებუკები: ბარს დაქარეს, ასე გვონია, დედამინა უნდა შუაგულამდე ჩანგრიოსო (ილია).

აქო მოვასხნეუ, გაკიადღობუთ-მეთქი საუენიერო სიტყვის ვაკვბასა (ილია).

რა დროს შეიხზევაო სხვისა? (ქ. ვაშხ.).

ჩენს ვადელახათო შენს მაკიერად არავს (ქ. ვაშხ.).

ანდაზებში ნაწილაკიანი წვერი ჩვეულებრივ ბოლოსაა დასმული.

ნაწილაკები ჩვეულებრივ ერთხელაა გამოყენებული წინადადებაში.

მაგალითები:

ხშირად დაკვირვებოდი ხოლმე ძიძას: რა დღეშეა კრებუა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს და არ ასეუენებს-მეთქი? (აკაკი).

შე სიტყვა მოვეუქერი კიდე: ნახეარი ჩემი ობლებსა-მეთქი (ილია).

ამბობდა ყველა. ეს რა ამბავია, რამ გააწყო ჩიტები, რომ ერთის ხმა აღარსაღ იმისო (ვაჟა).

მაგრამ (განსაკუთრებით რთულ და ერთგვარწვერებთან წინადადებებში) იგი შეიძლება რამდენჯერმე იყოს გამოყენებული.

მაგალითები:

ასე რომ შენაო, ჩადგანაღ მებატონე ხარო და კეთილშობილიო, გლებთან წინ არ უნდა წამოღეო (ილია).

ხელ წიფლის ძირს. კლდეში, ეუფხი დახედებულაო. —ხმა იმის სოველში, —ლეკ-ვეები დაურიაო. მონადირეებს ენახათ ხელ წიფლის გარშემო დედა ეუფხის და იმის ლაქების კვალიო (ვაჟა).

რატუ არ დაქვედუთ თავის თავსაო? საღ დაქარგუთ ი კაცი, რატუ არ მოსძებნითაო? (ვაჟა).

მიოტარა: ასეთი ალაგით მოველო, რომ, ქვეყანა დაშივილიაო. არც იმის უკეთესი ქალკი მინახავსო და არც იმისთანა ხელმწიფე ამბად მსმენიაო. ქრისტიანე ხელმწიფე არიო და ხელმწიფისა ქრისტიანობასა გონება კაცისა არ მისწიღებაო. ქალკის უთილის ქალკი ჰქვიანო და ხელმწიფისა სახელი ნუშრეან არისო (რუხუდ.).

დღეაში მუის ასელმა ვერე მიოხარაო: ვინ იყის, ხელმწიფემ აქუთ შესვლა მოინდო-მოს, დაუშალეო, თორემ ხმა დაუარღებაო და სულ გაუდღებდაო ეს ქალკი და ეს სასახლეო, რა ყველა იმის ანხანს სენოსო, რადან ევარგებაო აწ შე აქათუე წავაღ, თქვენ ეკ კარი ისეუ დაკლიტეო, კლიტე თან წაიღეო და სასახლეში მი-დღეო, მეუ იქ მოვალეო. ეუკობ, სულ ამ ქალკად ის ღირდეს, რა კლდე ნახოო (რუხუდ.).

მალაქიასთან გაღირხინე. ვარლამა, და უხარბი: დედა შემოგებეწა-თქვა, ჩემო მა-ლაქია. ეს ერთი ღოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და შე ვიცი შენი პატრისსევა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგებეწევა დედა-თქვა (დ. კლდ.).

უმეტეს შემთხვევაში ნაწილაკის განმეორება გარკვეულ სტილისტიკურ ხერხს წარმოადგენს პერსონაჟის მეტყველების დანახასიათებლად.

სხვათა სიტყვის ნაწილაკთა ხმარებანსა და მართლწერაში ერთგვარობა დაცუ-ლი არაა.

ა) ზოგი მწერალი (აკაკი წერეთელი, დ. კლიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და ზოგიც სხვა) - თქო (II-თქვა) ნაწილას იმერული კლასიკული პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად იყენებს.

მაგალითები:

მასიძელს ეტყევი, მიზეზს გაეიგებინებ—საქვე ევაქეს. უსათუოდ ხვალ ადრინად წამეალი ვარ-თქვა, ძალიან საჭირო საქმეზღ-თქვა... შენი პატივისცემად მინდოდა-თქვა და ამასთან დაშორება არ შეემძლო-თქვა და ამისთანა (დ. კლდ.).

ღმერთს ეუბნებოდ: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვიღეუ-თქო (აკაკი). მე გიმნაზიაში მიწვევარბოდა და დავიბარე შენ: რომ დავტრუნდები, ფოსტიდაც გამოიტან-თქო (აკაკი).

სახლში შექვს დაბარებულო: უსათუოდ მოვალ ამლამ-თქვა (დ. კლდ.). მე მაღლი მოვახსენე და სიცილით ეუთხარი: დღეს კიდევ გადავჩრ-თქო (აკაკი). ნუ მომეშალის ამისთანა მებო-თქო—გაევიღე გულში (აკაკი). ახლა-კი მშვილობით-თქო—ეუთხარი და გახარებული დავტრუნდი პეტრებურგში (აკაკი).

ბიჭო, რო გუებნებოდი, მზუთუნახავს ენახეთ-თქვა, სწორედ იმ გზაზე გაეიღოთ— ეინ მზუთუნახავია, რას ბოდავ? — ა, რო გუებნებოდი, მივეპაროთ-თქვა (ნ. ლორთქ.).

მეონა, მდის-თქვა (დ. კლდ.). ათასჯერ მიიხარბია შენთვის: ნუ ხარ ლენი-თქვა, ნუ ხარ დაგაბახავებულო-თქვა (დ. კლდ.).

ეფიქრე—დამტრევა-თქვა, მარა შენც არ მომიკვდ. წელი არ გაუხრია (ნ. ლორთქ.). [ანას] შეეუბნე: ...ერთი მტრეანი მეუ მომიწყობ-თქო (აკაკი).

ბ) ვაჟა-ფშაველა პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად .ო ნაწილას იყენებს ფშაური კლასიკული ვაგენით.

მაგალითები:

ირემი მოვარდა გიქარბოთ, დაეწაო ჩემს წმინდა წყალს, დალია და გაძლა. მაშინ გულდამშვიდებულმა ვსთქვი: არა ვარ გამშრალი, არაო.

თბილია დაგეაწენა, მაგრამ ყიდევ ჩემი ნახალიც დავტრუნე ლეანს. არ შესციოდესო. დაითხიე აქითაო —ეუთხარი,—განაგრძო დარეანმა.

მეგრე დაეფიქრდ: როგორღა იტირებს ჩემი შვილი, მიწაში ჩაშალაო. შეეუბნე ჩემის მამის სალოკეთაო: დამასვენეთო.

ეფიქრე: ე ჩამოსადნობი, რას უწყევარ ამაში? მე აქა ეწყევარ მშრალად და ეს ამოდენა ნიაღვარი ჩემს შვილს გადასდის თავზეაო.

.ო ნაწილას გამოყენება პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ამჟამად უნდა დაფასებულ იქნას როგორც დიალექტური მოვლენა, მაგრამ ძველად იგი სალიტერატურო ქართულილიათვის იყო დამახასიათებელი „ვეფხისტყაოსანში“ გაქვს ადის მაგალითი:

„მონათო ასმათისი“, შემოყვანა ეუთხარ შინა, გულსა შინა დაეუზრახე: „რა მპოვაო ანუ ვინა?“ (363).

„რუსულდანიანში“:

მე ვგრე მოვახსენე: მე არა და, ძმაო შეყანდეს და ანუ შვილი, იგოცა არა ღირსა ეგოდენს თქვენს სარჯელსა-მუჟი. განა ჩემის ღბინის ვაგრძელებას თქვენთა მშობელთა გახარება სქობსო და თქვენს და იმათი ვრთვან შეყრაო.

მოვახსენე: ამის მეტი არა უნდა რაო, მაგრამ ეს ზღაბანა არიო, რომ ამისმა პატრონმა ამისი ხმარება არ იცოდეს-მუჟი.

გ) -მეთქი და -თქო II-თქვა ნაწილაც იყენება ზოგჯერ წინადადების წევრთან ერთად (შერწყმულად), ზოგჯერ ცალკე, ზოგჯერაც ეს ნაწილაც წინადა-

ღების წევრისაგან დღეისათა გამოყოფილი. -ო ნაწილაკი თითქმის ყოველთვის წინადადების წევრთან ერთად იწერება.

ღ) სხვათა სიტყვას ბრკვეალუშოაკ სვამენ და უბრკვეალუბოდაც წერენ. ბრკვეალუბის ხმარების შემთხვევაში სხვადასხვაგვარა დაწერილობა გვხვდება:

„მოვიდა-მეთქი“,	„მოვიდა“-მეთქი,
„მოვიდა-თქო“,	„მოვიდა“-თქო,
„მოვიდაო“,	„მოვიდა“-ო.

-ო ნაწილაკს წინადადების წევრისაგან დღეისით მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოყოფენ.

ე) -თქო და -თქვა პარალელური ფორმებისაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა.

ე) მრავლობით რიცხვში ჩვეულებრივ იგივე ნაწილაკებია გამოყენებული, რაც მხოლობით რიცხვში გვხვდება. ერთადერთი გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენს -მეთქი ნაწილაკის ხმარება. მისი გამოყენება მრავლობითი რიცხვის ფორმებთან გარკვეულ უბერხულობას ქმნის და ამის გამო არც გვხვდება. ამის საფუძველი არ ფაქტი უნდა იყოს, რომ -მეთქი ნაწილაკის ეტიმოლოგია ნათელია: ზოგიერთ კოლაში „მე ვთქვი“ ფორმაც კი იხმარება. შტრ.: მე აღენიშნე: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის -მეთქი; ჩვენ აღენიშნეთ: ავტორის ეს მოსაზრება შემცდარი არის-მეთქი.

-მეთქი ნაწილაკის გამოყენება უკანასკნელ შემთხვევაში უბერხულია.

ამ შემთხვევაში გამოყენებულია -თქო და -ო ნაწილაკები. -თქო ნაწილაკია გამოყენებული შემდეგ მაგალითებში:

როგორც ეუთხართ—მეუსთან უნდა წამოხვიდე-თქო, იპავ წამს დაგვეანხნა (წ. ლორთქ.).

თანაც დაესწინდით, რომ შესაძლოა მთავრის წყებაში კოლოფანიტის ძარღუები და კონკრეციები სხვაგანაც იქნეს აღმოჩენილი-თქო („საქართვე. მეცნ. აკადემიის ში-აბი“).

სალიტერატურო ენის ტრადიციის უფრო -ო ნაწილაკის გამოყენებას უჭერს მხარს. ჭერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს:

ეთქით. თუ: მზეო ქვეანად, ნუ ეუბნებით ცად ენით“ (205).

„რუსულდანიანში“ ასეთი მაგალითები ჩვეულებრივია:

ხოსროს ეუთხართ: მაგ მონამ დავიწუნაო, ისინი რაღას გაქნევენო.

ესეაჲლით და შეეპეტოლით, ეაჲობლით: აეს კაცს ბუერი კაი შესაქევი ქქონაო.

ზემოთქმულის საფუძველზე სხვათა სიტყვის გამოყენებასა და მართლწერაში ერთგვარობის დამყარების მიზნით უნდა გატარდეს შემდეგი წესები:

1. პარალელური ფორმებისაგან -თქო და -თქვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დატოვებულ იქნეს მხოლოდ ერთი ფორმა-- -თქო.

2. -მეთქი ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს პირველი პირის (მოსაუბრის) წინათ ნათქვამის ან განაზრახის განმეორებით გადმოსაცემად იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მხოლოდითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი.

3. იმ შემთხვევაში, როცა პირველი პირი მრავლობითი რიცხვის ფორმითაა წარმოდგენილი, მის მიერ წინათ ნათქვა-

მის ან განაზრახვის განმეორებით გადმოსაცემად გამოყენებულ იქნეს -ო ნაწილაკი.

-ო ნაწილაკის გამოყენებას ამ შემთხვევისათვის მხარს უჭერს სალიტერატურო ენის ტრადიცია და აგრეთვე ისიც, რომ ხმარებულ ნაწილაკთან -ო ყველაზე უფრო ზოგადია (გამოყენებულია III და II პირის ნათქვამის გადმოსაცემად, კილოებში I პირის ნათქვამის გადმოსაცემად). ამასთან მისი ეტიმოლოგია აღარაა ნათელი, საესებით ნაწილაკადაა ქცეული.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც I პირი თავის ნათქვამს აბარებს II პირს III პირისათვის გადასაცემად, გამოყენებულ იქნეს -თჟო ნაწილაკი. რიცხვს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს. ეგევე ნაწილაკი იქნეს გამოყენებული იმ შემთხვევაშიც, როცა პირველი პირი მეორე პირს ავალებს რაიმე უთხრას მასვე. პირველ პირს.

5. -ო ნაწილაკი გამოყენებულ იქნეს:

ა) III პირის ნათქვამის გადმოსაცემად.

ბ) II პირის ნათქვამის გადმოსაცემად.

რიცხვს არც ამ შემთხვევაში აქვს მნიშვნელობა.

6. -ო ნაწილაკი დაიწეროს წინადადების წევრთან ერთად, შერწყმულად, -მეთჟი და -თჟო ნაწილაკები გამოიყოს წინადადების წევრისაგან დეფისით.

7. მარტივ წინადადებაში ნაწილაკიანი წევრი ჩვეულებრივ ბოლოში დაისვას. სხვა ადგილას ნაწილაკიანი წევრის დასმა შესაძლებლად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზმნაა.

8. არ იქნეს შეზღუდული ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა წინადადებაში (განსაკუთრებით ერთგარწევრიანსა და რთულ წინადადებაში). ნაწილაკიან წევრთა რაოდენობა განისაზღვროს სტილისტიკური საპირობების მიხედვით.

9. -მეთჟი, -თჟო და -ო ნაწილაკებიანი სხვათა სიტყვა ბრკეალებში არ ჩაისვას.

პრეპარატების ხმაკვამლთან დაკავშირებული სპიტონები

ცნობილია, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენასთან შედარებით ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში ზოგი პრეპერები შეცვლილი, გამარტივებული სახითაა წარმოდგენილი.

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვქონდა:

გან- (განაბნია, განავლო, განვიდა, განადიდა, განამართლა, განზარდა, განიპო, განყო, განსცა...).

აღ- (აღვიდა, აღავსო, აღმაღლდა, აღიყვანა, აღილო...).

გარდა- (გარდაგორებული, გარდააქცია, გარდაასხეს, გარდასხმა, გარდავიდა, გარდადგომა, გარდადგა...).

გარდამო- (გარდამოვიდა, გარდამოვიარდა, გარდამომავალი...).

აღმო- (აღმოვიდა, აღმოილო, აღმოიყვანა...).

შთა- (შთავარდა, შთავიდა, შთახელა, შთადება, შთაწევნა, შთასადებელი, შთამავალი...).

შთამო- (შთამოყოფა, შთამომავალი...).

წარ- (წარვიდა, წარავო, წარღება, წარიყვანეს...).

წარმო- (წარმოვიდა, წარმოიღეს, წარმოიყვანა...).

ახალ ქართულ სალიტერატურო ენაში გვაქვს:

გა- (გააბნია, გაავლო, გავიდა, გაადიდა, გაამართლა, გაზარდა, გაიპო, გაყო, გასცა...).

ა- (ავიდა, აავსო, ამაღლდა, აიყვანა, აილო...).

გადა- (გადაგორებული, გადააქცია, გადასხეს, გადასხმა, გადავიდა, გადადგომა, გადადგა...).

გადმო- (გადმოვიდა, გადმოვიარდა, გადმომავალი...).

ამო- (ამოვიდა, ამოილო, ამოიყვანა...).

ჩა- (ჩავარდა, ჩავიდა, ჩახელა, ჩადება, ჩაწევნა, ჩასადებელი, ჩამავალი...).

ჩამო- (ჩამოყოფა, ჩამომავალი...).

წა- (წავიდა, წავავო, წაღება, წაიყვანეს...).

წამო- (წამოვიდა, წამოიღეს, წამოიყვანა...).

მაგრამ პრეპერბთა ძველი სახეობები ახალ ქართულ სალიტერატურო ენაშიც გვხვდება. გვხვდება როგორც ზმნებში, ისე ნაზმნარ სახელებში: მასდარებას და მიმღებობებში.

ზმნებში, ერთი მხრით, გვაქვს შემთხვევები, როცა ძველი და ახალი (გამარტივებული) სახეობა პრეპერბისა პარალელურად იხმარება: განასხვავებს და გაასხვავებს; განასახიერებს და გაასახიერებს; განაწოვადებს და გააწოვადებს; განათავისუფლებს და გაათავისუფლებს; განაცალკევებს და გააცალკევებს; განაცხადებს და გააცხადებს; განაფრცობს და გაფრცობს; აღაჯწენებს და ააჯწენებს; აღიმაღლებს და იმაღლებს.

მეორე მხრით, გვაქვს შემთხვევები, როცა პრევერბის ძველსახეობიანი ფორმა ერთადერთია: განაგებს, განაგრძობს, განკურნავს, განსაზღვრავს, განკვრეტს, განიხილავს, აღმოაჩინდება, აღძრავს, წარმოადგენს, წარმოიშობა, წარმოთქვამს (შეუძლებელია გააგებს, გააგრძობს, გასაზღვრავს, გაკვრეტს და მისთანა ფორმები).

მესამე მხრით, რომხდარა წინშეწელობის დიფერენციალი: თუ პრევერბის ძველი სახეობა დაერთვის ზმნას, პას ერთი წინშეწელობა აქვს, ხოლო, თუ ახალი (გამარტივებული) სახეობა დაერთო იმავე ზმნას, წინშეწელობა განსხვავებულია: განაახლებს (მუშაობას) და გააალებს; განადიდებს და გაადიდებს, აღიზრდება (ბავშვი) და აიზრდება (ბალახი).

პრევერბთა ძველი სახეობების გამოყენება უფრო ხშირია მასდარებასა და მიმღობებში. ბევრ შემთხვევაში პრევერბთა ძველსახეობებიანი ფორმები ერთადერთია და ახალსახეობებიანი ფორმები მათ მეტოქეობას ვერ უწყევს ან ასეთი ფორმები არც არის: განგმირვა, განგმირული, განდგომილი, განდევილი, განდევნილი, განკარგულება, განმარტება, განგრძობა, განრისხება, განსაზღვრა, განსაძვლი, განსჯა, აღდგენა. აღდგენილი, აღნიშვნა, აღნიშნული, აღფრთოვანება, აღმოცენება, აღმოჩენა, შთაბეჭდილება, შთაგონება, შთამომავლობა, წარმოთქმა, წარმოშობა...

მასდარებასა და მიმღობებში პრევერბთა ძველი სახეობების უკეთ დაცვის საფუძველი ისაა, რომ დღევანდელ სალიტერატურო ენაში ძველი წარმოების ფორმებია შემონახული, მასდარებასა და მიმღობაში ძველი პრევერბები ფუძესაა შეზრდილი.

იმ ფაქტმა, რომ ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში გვქონდა გან, წარ, აღ, ხოლო ახალ სალიტერატურო ენაში გვაქვს გა, წა, ა სახეობები პრევერბებისა და ამასთან მასდარებასა და მიმღობებში გაწ, წარ, აღ სახეობები მკვიდრად დატოვდა, შედეგად ის მოგვცა, რომ გან პრევერბის წ, წარ პრევერბის რ და აღ პრევერბის ლ ფუძისეულ ელემენტად იქნა გააზრებული, ხინაში პირის, ქცევისა და გვარის პრეფიქსების შემდეგ მოექცა, ხოლო შემდგომ კიდევ ამგვარი ფორმებისაგან ნაწარმოებ სახელებში მაწარმოებელი პრეფიქსების შემდეგ მოხდა. მაგალითად, გვხვდება ასეთი და ამათი მსგავსი ფორმები: ვა-წ-თავისუფლებ, ა-წ-თავისუფლებ, ა-წ-თავისუფლებს; ვანთავისუფლებდი, ვანთავისუფლებდე, გავანთავისუფლებდი, გავანთავისუფლებდი, გამინთავისუფლებდი, გამენთავისუფლებდინა, გამენთავისუფლებდინოს; ვინთავისუფლებდი, ვინთავისუფლებდი, ვინთავისუფლებდე, ვავინთავისუფლებდი, ვავინთავისუფლებდი; ვუნთავისუფლებდი, ვუნთავისუფლებდი, ვუნთავისუფლებდი, ვავუნთავისუფლებდი, ვავუნთავისუფლებდი; წთავისუფლებდი, წთავისუფლებდი, წთავისუფლებდი; უწთავისუფლებდი, უწთავისუფლებდი, უწთავისუფლებდი.

ორ ზმნაში, რომელთაც აღ პრევერბი ერთვის, პრევერბისეული ლ თანხმოვნის ფუძესთან შეზრდის პროცესი კარგა ხანია დაიწყო და ამჟამად უკვე დამთავრებულია. ესენია: აღიარებს და აღორძინებს.

პირველ მათგანში აღვიარებ, აღვიარებდი, აღვიარებდე, აღვიარე, აღვიარო, აღვიარებია, აღვიარებინა ფორმების ნაცვლად დამკვიდრდა ვაღვიარებ, ვაღვიარებდი, ვაღვიარებდე, ვაღვიარე, ვაღვიარო, მიღვიარებია, მიღვიარებინა ფორმები; მასდარება აღვიარება, ხოლო მიმღობა—აღვიარებული, ნაღვიარებე, მიღვიარებელი...

მეორე მათგანში აღვიორძინებ, აღვიორძინებდი, აღვიორძინებდე, აღვიორძინე, აღვიორძინო და მისთ. ფორმათა ნაცვლად დამკვიდრდა ვაღვიორძინებ, ვაღვიორძინებდი,

ვადლორძინებდი, ვადლორძინებდე, ავადლორძინე, ავადლორძინო, ამილორძინებია, ამელორძინებინა ფორმები. ამის მიხედვით გაკეთდა ენებითა ფორმები: ღორძინდება, ღორძინდებოდა, ღორძინდებოდეს და ა. შ. ამის მიხედვითვე მივიღეთ მიძღობები: ახადლორძინებელი, ახადლორძინებელი...

თუ დღევანდელ სალიტერატურო ჟურნალში ეს ფორმები უკვე დამკვიდრებულია, XIX საუკუნის მეორე ნახევარში აღვიარებ || ვადიარებ ფორმათა საკითხი გასხვავებული პოლემიკის საგანი იყო. ცნობილია, მაგალითად, XIX საუკუნის მიწურულში სილოვან ხუნდაძესა და იაკობ ვოგუბაშვილს შორის გამართული ცხარე კამათი: პირველი მათგანი აღვიარებ ფორმას იცავდა, ხოლო მეორე — ვადიარებ ფორმას. მართლაც, XIX საუკუნის მწერლობაში პარალელური ფორმები გვხვდებოდა.

...საშინაო და საზოგადო ვითარება... უნდა ვ აღ ი ა რ თ... (ილია).

ეს კი უნდა აღე ი ა რ თ (ილია).

შოასენა: რას მიზრძანებ აღე ი ა რ ებ სივართლესო (აკაკი).

მე აღე ი ა რ ებ შენს სჯულსა (აკაკი).

ოქრუამ... გადასწყვიტა—ყოველივე სიძარულით აღე ი ა რ ე ბ ი ნ ა და აღიარა კოღუც (მ. ნინოშვი.).

...დავითი თვითონაც აღე ი ა რ ე ბ და ხანდახან (მ. ნინოშვი.).

ამ უკანასკნელი სახის ფორმების ხელოვნურად დამკვიდრების ცდას თანამედროვე მწერლობაშიც აქვს ადგილი (მაგ., კ. გამსახურდიას ნაწერებში).

აღორძინებს ზმნაში ახალი ფორმები ერთადერთია.

რამ ა უ ღ რ ძ ი ნ ა თვითმოქმედებითი ძალა? (ილია).

მას არ დაუქცობთ სამშობლოს, რაც შრომით ა უ ღ რ ძ ი ნ და (გ. ლეონ.).

ჩენებთ ესაღმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის... ასაღორძინებლად

ვამას შეილი არ შეუწყალებია (ა. უაზ.).

გონების თვლით ის ეხლა მხედველი იმ ქვეყნისთვის ზრდას, რომელიც მომპაღლა იმან ტანჯულ კაცობრიობას და რომლის ასაღორძინებლად ეხლა უნდა დაენთხია წმინდა სისხლი თავისი (ვ. ბარ.).

[ამერიკელი თვისის], როგორც ცნობილია, ხელ-ფეხს უხსნის გერმანულ მილიტარისტებს რევანშისტული არმიის ასაღორძინებლად დასავლეთ გერმანიაში (აკომ.).

მთელ: მსოფლიომ იცის, რომ უკანასკნელ დროს... იღებენ ყოველგვარ ღონისძიებებს დასავლეთ გერმანიის რევულუციური არმიის ასაღორძინებლად („კომ.“).

მტკრამ აქა-იქ უმართებულა ფორმებიც გვხვდება:

თვით უძრავნი ყვაილინი კი თითქოს შეიძრნენ, ვადიშლნენ, იყვალეს მკრალი ფერი და. ღამის ნამით ვადორძინებულნი, მსწრაფელ გასხვავდნენ (ა. უაზ.).

თუ ჩემი მტერი ჩემი გულის ვასახად ჩემს შეილსა და შეილიშვილში ვადორძინებულს ვერ დამინახავს, ქვეყნად ტუილად მივლია ბალახის მამოყარებითა (ბ. ჩხ.).

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, პრევერბისეული ნ; დ, რ თანხმოვნების ფუძესთან შეზორცების მაგალითები მრავლდება. ჩნდება ფორმები: ანვითარებს, ანვითარებდა, ანვითარებდეს, გაანვითარებს, გაანვითარებდეს, გაანვითარა, გაანვითაროს, გაუნვითარებია, გაენვითარებინა, გაენვითარებინოს.

ინვითარებს...

უნვითარებს...

უნვითარდება, უნვითარდებაოდა, უნვითარდებაოდეს, გაუნვითარდება, გაუნვითარდებაოდა, გაუნვითარდა, გაუნვითარდეს.

გასანვითარებელი, გაუნვითარებელი.

ანახიერებს...
ანსხვაებს...
ანციფრებს...
ანხორციელებს...
ანთავისუფლებს...
ანზოგადებს...
ანრისხებს...
ანცალკეებს...
ანცხადებს...
ანმართებს...
ანმტკიცებს...
არღვენს...
აღშფოთებს...
აღფრთოვანებს...
ღწრდის...
ღძრავს...
ღნიშნავს...
წყურნავს...

უფრო იშვიათად:

ღგვის (აღგვის)
ღნუსხავს (აღნუსხავს)
ღმართავს (აღმართავს)
ღჭურავს (აღჭურავს)
ღკეთს (აღკეთს)
ღრიცხავს (აღრიცხავს)
ღსაზღვრავს (აღსაზღვრავს)
ღწირავს (აღწირავს)

შედარებით უფრო ხშირია შებორცების შემთხვევები კაუზატის ფორმებში:

იშვიათად სსაზღვრავს, მაგრამ ხშირია: ვანსაზღვრინებ, მანსაზღვრინებს, გაგანსაზღვრინა.

ასევე, შღრ. იშვიათი წწირავს, მაგრამ: აწწირვინებს, გაწწირვინა, გაუწწირვინებია.

საილუსტრაციო მაგალითები:

გაკეთილების დაწყებისას¹⁾ მონიტორები ამ ნიშნებს ურღვენდნენ მასწავლებელს (გ. თავზ.).

განსაკუთრებული სამშართველო... ურღვენს მას თავისი მუშაობის ახგარიშს (სამოქ. ხამ. კოდექსი, 1938).

...ექსულატი ანთებით უბანში აწწავებს შხამიან ნაწარმებს... (ვლ. ფღენტა, პათ. ანატ). ახალგაზრდა ქალის ფიგურა... მოქანდაკის განზრახვით, ქართველ ერს უნდა აწწორციელებდეს (გ. ქიქ. ებოულ).

კფიქრობ კეშმარიტ ხელოვნებაზე, რომელიც ნამდვილად ჯაღფრთოვანებს და გვაუღლებს („თბილ.“).

შეგვძნება იმისა... შაღფრთოვანებდა („თბილ.“).

...ის დიდი ოსტატობით აწწითარებს სიუჟეტს (გ. ქიქ.).

ის დრამატიულად ანეთარებს თავის სიუჟეტს (გ. ჭიქ.).
ჩა სიჩქარეს ანეთარებს მეორე მანქანა? (ა. ხარაბაძე, არიომ. ამოც. V—VI კლ.).

თვითმფრინავი ანეთარებს 360 კმ-ის სიჩქარეს (იქვე).
ის... აწოგადებს... პრაქტიკას (დარჩინიშვი, IX კლ.).
...არასაკმაოდ აწოგადებენ და აერეულებენ გამოცდილებას („ახ. კომ.“).
„კანონის“ ავტორი აწოგადებს... ექიმთა მთელს გამოცდილებას („ახ. განათლ.“).
რულეტკები სუსტად აწოგადებენ ... შეკალინეობის გამოცდილებას („კომ.“).
...გვიამბო, როგორც აწოგადებდა მისი ბიჭი ყველაფერს, რასაც თითონ ღიღღა
წიგნებში უკითხავდა (გ. ნატრ.).

ოტელოს იგი აწოგადებენ როგორც ღიღღებუბოვან ადამიანს („კომ.“).
პირველი რატოღა აწოგადებდა პატარა ზეჟეის როლს („ლიტ. და ხელ“).
ლეიტენანტს მას აწოგადებენ... ჩანართების არაარსებობა (ა. თვალტ.).
ჩვენ აწოგადებენ თბილ სხეულებს ცივიზაციას (ფიზიკა, VIII კლ.).
აწოგადებენ შექცეული რეჟისორის ორ ტიპს (მეტროგრაფია).
აწოგადებენ ორი სახის მოძრაობას (თბოგადამცემის ხაფუძვ.).
პაელოვი აწოგადებს ოთხ ასეთ ტიპს (დარჩინიშვი, IX კლ.).
პროფესორი კულმუოვი აწოგადებს ორ ძირითად ტიპის ცხენებს (მეცხენ.).
განათვისუფლებ (ვ. ხარ.).
...მშობლებს აწოგადებდნენ ყოველი ხარისხისაგან შეიღის აღზრდაში (დ. კლდ.).
გემუდარები... აწოგადებდნენ შტარკალებს (შ. არაგვ.).
დროგამოშვებით ორიოდე ტყვეს ყიდულობდნენ და აწოგადებდნენ (მ. ქავაძ.).
განათვისუფლებით ჩაგრულ ერებს... (ვ. ვაჟა.).
განათვისუფლებით პროპორციები წილადებისაგან (ა. ხარაბ.).

საინტერესოა, რომ ილიასთან ასეთი ფორმებიც კი გვხვდება:

1549 წელს იფთქა გლეხობის ანდრეულობა.
განუთქობის საქმე ზოგჯერ ანდრეულობაში მიჰყავს ხოლმე.
ინგლისში მუშათა ანდრეუა მოხდა.

რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს ასეთი ფორმები გაბატონებული იყოს. გაბატონებულია ფუძეს შეუხორცებელი, მართებული ფორმები და ამის მრავალი ნიმუში შეიძლება იქნეს დასახლებული. ამჟამად ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ასეთი ფორმები საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა XIX—XX საუკუნის მწერალთა ენაშიც და უფრო იშვიათად, მაგრამ გვხვდება დღესაც.

ფუძესთან პრევერბული თანხმობის შეხორცების შემთხვევები მეტად ხშირია დასავლურ კალოებში, განსაკუთრებით გურულსა და იმერულში. სანიმუშოდ რომ წარვადგინო ზმნა ავილოთ, ასეთი სურათი გვექნებოდა.

ვარდგენ, ვარდგენდი, ვარდგენდე, წავარდგენ, წავარდგენდი, წავარდგენი, წავარდგენიო, წამირდგენია, წამერდგენია, წამერდგენიო.

ვიარდგენ, ვიარდგენდი, ვიარდგენდე, წამევიარდგენ, წამევიარდგენდი, წამევიარდგენი, წამევიარდგენიო, წამომიარდგენია, წამომერდგენია, წამომერდგენიო.

წამორდგენა, წამორდგენილი, წამოსარდგენი, წამონარდგენი, წამომრდგენილი და ა. შ.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ყველა ზმნაში არ ხდება პრევერბული თანხმობის შეხორცება ფუძესთან შეხორცება ერთი შეხედვით თითქოს იმ შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როცა სხვადასხვა პრევერბი ლაერთვის ფუძეს და სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს მას. რადგან აწმყოში პრევერბი ზმნას არა აქვს, ამ მნიშვნელობათა გარჩევა აწმყოში ვერ ხერხდება, ამიტომ თითქოს პრევერბისეული თანხმობის შეხორცება აწმყოში საღიფერენციაციო საშუალებაა და შემდგომ სხვა დრო-კალოებში მიაჩნიათ გადატანილად.

შდრ.: არღვენს (წარადვენს ან წარმოადვენს) და აღვენს (დადვენს, შედვენს); ღვის (ღვეის) და ვვის (დავეის, გავეის); ღვეთს (აღვეთს) და კვეთს (მოკვეთს, გაკვეთს); ღძრავს (აღძრავს) და ძრავს (დაძრავს); ღნიშნავს (აღნიშნავს) და ნიშნავს (შენიშნავს ან დანიშნავს) და სხე.

ზოგჯერ ასეთ ვარაუდს არღვენს და მისთ. ფორმათა სალიტერატურო ქართულში დაკანონების საბუთადაც კი იყენებენ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. ჭერ ერთი, კიდევაც რომ არღვენს ფორმა წარადვენს ზმნის აწმყოდ იქნეს მიჩნეული და ამით განსხვავების დამყარება მოხერხდეს აწმყოში, როგორღა განეასხვავთ აწმყოში მაინც შეადვენს, დაადვენს და მისთ. ფორმები? მეორე, ქართულში არის მრავალი ზმნა, რომლებიც სხვადასხვა პრევერბდართული სხვადასხვა მნიშვნელობისაა და აწმყოში ამ მნიშვნელობათა გარჩევა არ ხერხდება, მაგრამ ამ ზმნებში პრევერბისეული თანხმოვანი ფუძეს არ შეხორცებია (შდრ. აგებს—დააგებს, წააგებს, წამოაგებს, განაგებს, მიაგებს, მოაგებს, ჩააგებს, გადააგებს, ააგებს, გამოაგებს, ჩამოაგებს და სხე.).

მესამე, რაც მთავარია, პრევერბისეული თანხმოვანი სწორედ ისეთ ზმნებშია უფრო ხშირად ფუძესთან შეხორცებულად ნახმარი, რომელთაც მხოლოდ ერთ პრევერბი დაერთვის და, მაშასადამე, აწმყოში მნიშვნელობათა დიფერენციაციის საჭიროება არ არსებობს:

ანსახიერებს

ანსხვავებს

ანციფრებს

ანხორციელებს

ანვითარებს

ანზოგადებს

ანთავისუფლებს

ანცხადებს

ანცალკევებს და მისთ.

ისეთი ფორმების გამართლება, რომელთაც ფუძესთან პრევერბის თანხმოვანი აქვს შეხორცებული, არც იმით შეიძლება, რომ ამ შემთხვევაში თავს იჩინოს თითქოს ის დიფერენციაცია მნიშვნელობებისა, რომლებიც პრევერბების ძველ და ახალ სახეობათა ხპარებით მყარდება (შდრ. აზრდა და აღზრდა; აქედან ზრდის და ღზრდის).

შეხორცება პრევერბისეული თანხმოვანისა ფუძესთან ეხება ზმნების ძალიან მცირე რაოდენობას და, ცხადია, ის არ შეიძლება გამოდგეს იმ გაურჩევლობის აღსაკვეთად, რომელიც ახალ ქართულ ენაში ზმნათა აწმყოფი ფორმებში გვაქვს პრევერბის დაურთველობის გამო. სხვადასხვა პრევერბიანი ზმნა აწმყოში კონტრასტის მიხედვით უნდა გაირჩეს..

მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ფუძესთან შეზრდის ყველაზე მეტ უნარს გან პრევერბისეული 5 თანხმოვანი იჩენს. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ უმართებულო ფორმები ანახლებს, ანახლებდა, ანახლებდეს (6 მხოლოდ ამ სამ ფორმაშია შეხორცებული ფუძესთან) ძალიან გავრცელებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში (შდრ. ანახლებს და აახლებს).

ნათქვამის საფუძველზე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ის ფორმები, რომლებშიც ფუძეს შეხორცებულია პრევერბისეული თანხმოვანი, უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული.

გამონაკლისის წესით პრევერბისეული თანხმოვანი ფუძესთან შეხორცებულად უნდა დარჩეს აღიარებს და აღორძინებს ზმნებში, სადაც პრევერბისეული თანხმოვნის ფუძისეულად გააზრების პროცესი კარგა ხანია დამთავრებულია და სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულია ამის შესაბამისი ფორმები.

იგივეთ შემთხვევაში შესაძლებლად უნდა იქნეს მიჩნეული პრევერბიანი ფორმის გამოყენება აწმყოს მნიშვნელობით: შუამდგომლობას აღძრავს, წარმოვადგენ სათანადო სახუთებს...

ამის მიხედვით თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის

მართებული ფორმებია:

შუპართებული ფორმებია:

ათავისუფლებს, ათავისუფლებდა,
ათავისუფლებდეს

ანთავისუფლებს, ანთავისუფლებდა,
ანთავისუფლებდეს

გათავისუფლებს ო განათავისუფ-
ლებს, გაათავისუფლებდა ო განათავი-
სუფლებდა

გაანთავისუფლებს, გაანთავისუფლებდა

გათავისუფლა ო განათავისუფლა,
გათავისუფლოს ო განათავისუფლოს

გაანთავისუფლა, გაანთავისუფლოს

გაუთავისუფლებია ო განუთავისუფ-
ლებია, გაეთავისუფლებინა ო განე
თავისუფლებინა, გაეთავისუფლებინოს
ო განეთავისუფლებინოს

გაუნთავისუფლებია, გაენთავისუფლე-
ბინა, გაენთავისუფლებინოს

ითავისუფლებს, ითავისუფლებდა,
ითავისუფლებდეს

ინთავისუფლებს ინთავისუფლებდა, ინ-
თავისუფლებდეს

გაითავისუფლებს ო განითავისუფ-
ლებს, გაითავისუფლებდა ო განი-
თავისუფლებდა

გაინთავისუფლებს, გაინთავისუფლებდა

გაითავისუფლა ო განითავისუფლა,
გაითავისუფლოს ო განითავისუფლოს

გაინთავისუფლა, გაინთავისუფლოს

უთავისუფლებს, უთავისუფლებ-
და, უთავისუფლებდეს

უნთავისუფლებს, უნთავისუფლებდა,
უნთავისუფლებდეს

გაუთავისუფლა ო განუთავისუფლა,
გაუთავისუფლოს ო განუთავისუფლოს

გაუნთავისუფლა, გაუნთავისუფლოს

უთავისუფლდება, უთავისუფლ-
დებოდა, უთავისუფლდებოდეს

უნთავისუფლდება, უნთავისუფლდებო-
და, უნთავისუფლდებოდეს

გაუთავისუფლდა ო განუთავისუფლ-
და, გაუთავისუფლდეს ო განუთავი-
სუფლდეს

გაუნთავისუფლდა, გაუნთავისუფლდეს

გასათავისუფლებელი ო განსათავი-
სუფლებელი

გასანთავისუფლებელი

გამათავისუფლებელი ო განმა-
თავისუფლებელი

გამანთავისუფლებელი

ამგვარადვე სხვა ზმნებში

შართებული ფორმებია:

ასხვავებს და ა. შ.
აცვიფრებს და ა. შ.
ასახიერებს და ა. შ.
ახორციელებს და ა. შ.
აზოგადებს და ა. შ.
არისხებს და ა. შ.
აცალკევებს და ა. შ.
აცხადებს და ა. შ.
ამართობს და ა. შ.
ამტკიცებს და ა. შ.
კურნავს და ა. შ.
აღგენს (წარადგენს) და ა. შ.
აშფოთებს (ალაშფოთებს) და ა. შ.
აფრთოვანებს (ალაფრთოვანებს)
და ა. შ.
ზრდის (აღზრდის) და ა. შ.
ძრავს (აღძრავს) და ა. შ.
ნიშნავს (აღნიშნავს) და ა. შ.

უშართებული ფორმებია:

ანსხვავებს და ა. შ.
ანცვიფრებს და ა. შ.
ანსახიერებს და ა. შ.
ანხორციელებს და ა. შ.
ანზოგადებს და ა. შ.
ანარისხებს და ა. შ.
ანაცალკევებს და ა. შ.
ანაცხადებს და ა. შ.
ანამართობს და ა. შ.
ანამტკიცებს და ა. შ.
ანკურნავს და ა. შ.
ანაღგენს და ა. შ.
ანაშფოთებს (ანალაშფოთებს) და ა. შ.
ანაფრთოვანებს (ანალაფრთოვანებს)
და ა. შ.
აზრდის და ა. შ.
აძრავს და ა. შ.
ანიშნავს და ა. შ.

თელმა, ი. გოგებაშვილმა, ს. ხუნდაძემ, გ. წერეთელმა, კ. დოდაშვილმა და სხვებმა. ა. წერეთელს უხვად შეეცდომად მიაჩნდა ი. გოგებაშვილის მოთხრობაში ნახვარი ფორმა ვალთარებ. ი. გოგებაშვილი ამ უკანასკნელ ფორმას იცავდა. მისი მტკიცებით, ახალი ფორმები — ვალთარებ, ვალთარებ, ვალთარებ, რომ პრევერბი ზმნის ფუძეს შეუხორცდა. ი. გოგებაშვილს ეს ფაქტი საკუბით გამართლებულად მიაჩნდა ენის განვითარების თვალსაზრისით. ამასთანავე ი. გოგებაშვილი ამ ფორმებს უპირატესობას აძლევდა მათი გავრცელებულობის გამო. აკაკისთან კამათისას იგი ვახაზავდა, რომ ეს ახალი ფორმები უკვე გავრცელებულია ხალხში: „სრულიად სხეანაირად ფიქრობს მთელი აღმოსავლეთის საქართველო (და იქნება ბევრნი დასავლეთ საქართველოშიაც) ... იგინი ამბობენ და წერენ: ვალიარე, ვალიარებ, ვალიარებ, მალიარებ, მალიარებს, ვალიარო, მალიარო, მალიაროს, მალიარე, ვალიარებდი, მალიარებდა“ („პასუხი ბ-ნს აკაკის“, „ივერია“, 1894, № 170). სხვა წერილში („პასუხი „კეალის“ რაზმსა“, „ივერია“, 1894, № 207, 208) ი. გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ვალთარე, ვალთარო, მალიარო ფორმებს ხმარობენ და იცავენ ანტ. ფურცელაძე, ნიკო ლომოური, მიხ. ყიფიანი და სხვები, რომ ეს ფორმები დასავლეთ საქართველოშიაც (გურიაში, იმერეთშიც) საქმოდ გავრცელებულია, და იმწმებდა იქაურ მკვიდრთ.

ა. წერეთელი და „კეალის“ თანამშრომლები, განსაკუთრებით ს. ხუნდაძე, ალვთარებ ფორმას იცავდნენ.

XIX საუკუნის მწერალთაგან ალვთარებ და მისთ. ფორმები წარმოდგენილია ი. ქაქუცაძისა და ა. წერეთლის ენაში, გვხვდება ე. ნინოშვილისა და ა. ყაზბეგის ნაწერებშიც და ი. მაჩაბლის თარგმანებშიც.

ეს კი უნდა აღვნიშნოთ, რომ საიღამო უნდა იყოს ეგ შიოთხედობა წარმოდგარი. მაინც-ღამინდ იგი ცხოვრების წინ წადგომია... (ილია).

ჩვენს სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ლიტერატურას დღე და დღე საზოგადოება აქლენდა (ილია).

არც იტალიის გავრთებას აღვნიშნებო, არც მის მეფესაო (ილია).

ა. წერეთელი იცავდა ალვთარებ ტიპის წარმოებას და მის ნაწერებში მარტო ასეთი ფორმები გვხვდება:

...მრწამს და აღვნიშნებ, რომ მომავალი ქრისტიანობისა.

ეგება რჯული გიშლიდეს, მე აღვნიშნებ შენს რჯულს.

ამ შემთხვევაში კი მხიარულად მართლის გულით აღვნიშნებ.

მე კი ჩემდა თავად რჯულად მიმაჩნდა და სარწმუნოებად აღვნიშნებდი.

მაინც არ აღვნიშნებ შენს თორად და თეთრს შავად.

მოახსენა: „რას მიზრძანებ? აღვნიშნებ სიამართლესო“.

ალვთარებ ე. ნინოშვილის ნაწერებში:

ამ შემთხვევაში მე ვალად მიღეეს, რაც შემძლია, რასაც მივხვდები, პირუთენელად აღვნიშნო.

მარ.თალია, არის კი ისეთი შემთხვევები, მარა ეს კანონად არ შეიძლება აღვნიშნოთ.

თურმეობითის ფორმებშიაც ამგვარივე წარმოება გვხვდება:

ოქრუამ... გაღასწევითა, — ყოველივე სიამართლით აღვნიშნებინა და აღვნიშნო.

...თავადი... და მისი მეუღლე ქარ ვერ ბედადენენ, რომ გავო ცხადთ თაის მეშვიდრეთ აღვნიშნებინათ.

გვნ. ნინოშვილის ნაწერები, როგორც ცნობილია, სწორედებოდა რედაქტორების მიერ. ამ შემთხვევაშიც „კეალის“ რედაქტორის ხელი ჩანს.

ა. ყაზბეგთან გვხვდება თურმეობითის ფორმით:

გარჩეველით კი, რომ გულწრფელად უკველისფერი აღვნიშნათ...

ი. მაჩაბლის თარგმანებში:

...უნდა აღვიარო, რომ მეც სავსე ვარ იმავე სისუსტით, რააც მთელ ჩემს სქესს სჭირს.
• აღვიარებ, რომ თავახოთა ჩვენვე ხელს ეუწყობთ ღვარძლის შფოთვის და აყანყებისას...

რაც შეეხება ვაღიარებ ფორმას, იგი გვხვდება ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის, რ. ერისთავის, თ. რაზიკაშვილის ნაწერებში.

ღვთის წინაშე ვაღიარებ, საყაჩაღო კაცი არ ვიყავი (ილია).
...ის-კი უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რამდენიმე ძალა ზოგჯერ ერთმანეთს ხელს არ უწყობენ (ილია).
...მკვლევრობა ვაღიარებ და თქვენც დამინახეთ, უჩინარ იქნა დედაკაცი თვალთაგან ჩემთა (ი. გოგებაშვილი).
მეფერი ამპარტყუნება ნებას არ აძლევდა ღმერთს კანონიერ მებრძოლს და საქართველოს დღეოდღად ვაღიარებინა იგი (ი. გოგებაშვილი).
გათამაშებული მამლაყინწა ეხლა სხეას ეძებდა, რომ იმასაც ვაღიარებინა ამისი უპირატესობა და ბატონობა (თ. რაზიკაშვილი).

და ეკლამის, ვ. ბარნოვისა და ჭ. ლომთათიძის ნაწერებშიც ვაღიარებ, ვაღიარებ ფორმები დასტურდება.

აღარ მახსოვს... ვაღიარებ ჩემი თავი მანქანათ თუ არა... (თა. ვაჟა).
ურთიერ არ იქნება ვაღიარო ყველაფერი (თა. ვაჟა).
უნდა ვაღიარო ცოდვები (გ. ბარბ.).
ძელ ღვთისად და მესიად არ ვაღიარებინა თავი (გ. ბარბ.).
ღიახ... დანაშაულია, ვაღიარებ აშკარად და საქვეყნოდ (ჭ. ლომთ.).
ნება მიბრძობთ ვაღიარო საქვეყნოდ... (ჭ. ლომთ.).

ნარევი ვაღიარებ, აღიარებ ფორმები ხშირი იყო გასული საუკუნის პრესის ენაში.

საქართველოს ეკლესია მის სიწმინდეს აღვიარებდა („ავერია“, 1889, № 9).
ეკლესია აღვიარებს იგი სრულებით უიმედოდ („თეატრი“, 1887, № 1).

ქართველ მწერალთაგან ამ ფორმებს ხმარობდნენ ი. ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, რ. ერისთავი; გვხვდება ეს ფორმები ი. გოგებაშვილის ნაწერებშიც; თუქცა ი. გოგებაშვილი, როგორც ზემოთ ითქვა, ვაღიარებ ფორმას იცავდა.

ჩვენ თავმოწონებით ვაღვიარებთ, რომ ღირსებად უნდა ჩაგვეთვალოს ამდენ დაბრკოლებებთან სასოწარკვეთელობა (ილია).
უტორი... უარყოფს შუა წერილში მას, რასაც ჭეშმარიტებად აღვიარებ სწორილის თავში (ი. გოგებაშვილი).
სცხვენოდა, გულის პასუხი ვაღვიარებინა (ვაჟა).
წინაშე აღსარება აღვიარა და წმინდა საიდუმლო მიიღო (რ. ერისთ.).
თუ თქვენ არ აღვიარებთ და უიმისოდ დაგმობთ დაგმობილად დანაშაული, მაშინ კონი უმძიმესი გაგიჩნდებათ (რ. ერისთ.).

აღსანიშნავია, რომ ილიასთან აღიარება მასდარი გვხვდება:

ამის აღვიარება ჩვენ გულს გვიძმარავს (ილია).
ბოროტების აღვიარება ნახევარი გასწორებაა (ილია).

ამაირად, XIX საუკუნის ქართულ სალიტერატურო ენაში სამი ფორმაა წარმოდგენილი: აღვიარებ, ვაღვიარებ და ვაღიარებ.

ი. ჭავჭავაძის ენაში სამივე ფორმა დასტურდება. აღვიარებ ფორმას ხმარობდნენ ა. წერეთელი და ე. წინაშევილი, ამავე ფორმას იცავდნენ ე. წერეთელი „ველის“ თანამშრომლები ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი კ. ლოდაშვილი. იგივე ფორმაა წა-

ზოდგენილი დ. ყიფიანის გრამატიკაშიც. მხოლოდ ვაღიარებ ფორმას ხმარობენ
ი. გოგებაშვილი, თ. რაზიკაშვილი.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გაბატონებული ფორმებია ვა-
ღიარებ, ვაღიარე და ა. შ., ე. ი. ისეთი ფორმები, რომლებშიც პრევერბის თანხ-
მოვანი ფუძესაა შეზრდილი. ასეთი ფორმებია წარმოდგენილი მ. ჭავჭავაძის,
ლ. ქიაჩელის, შ. დადიანის, რ. გვეტაძისა და სხვათა ნაწერებში.

ვ ა ღ ი ა რ ე ბ თ... ეძარცვალით, ეჭურდობლით... ეხოყალით... დავესა, შეგე-
რივე (შ. ჭავჭ.).

სესვენოდა, ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, თუ როგორ ვააბრეყვას ეს უენობა ქალმა (შ. ჭავჭ.).
შე ვ ა ღ ი ა რ ე და ახლაც ვ ა ღ ი ა რ ე ბ, რომ შე მოეკალი ეოლოვი (შ. ადღ.).
აქვე უნდა ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ნამდვილი გვარებით სხენებულ პირთა ცხოვრების
ასე საქვეყნოდ გამოშუებება ჩემი მხრით უთუოდ კანდიერებაა (რ. გვეტ.).

შე ვ ა ღ ი ა რ ე ბ უმინდეს ვალად, შენ სუნეებს რომ ვეზიარე (ვ. გაფრ.).

როგორც ე ვ ა ღ ი ა რ ე დანაშაული, სული გამოწმინდლა (ო. ადგბ.).

შე ხომ ვაღიარე დანაშაული... სხვა რილა გინდათ ჩემგან? (ო. ადგბ.).

ეგვე ფორმებია დამკვიდრებული პრესის ენაში.

უნდა ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ჩენმა რეკლუციონერმა ახლავარდობამ ამ საკვში
განსაკუთრებული როლი შეასრულა („ქომ.“).

იძულებული გახდა ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, რომ ორმოცი დიდი ბომბების აფეთქების შე-
დეგი იყო („ქომ.“).

მამასადამე, მოგვებდება ვ ა ღ ი ა რ თ, რომ ამ მხრივ წერ კიდე ბევრი რამ უნდა გა-
ეთლეს („ქომ.“).

ამას წინათ დღესი იძულებული იყო ე ღ ი ა რ ე ბ ი ნ ა, რომ არაბთა ქვეყნებში
„ეიზენშაუერის დოქტრინისზე“ გამოხმაურება ხელსაყრელი არ არის („ქომ.“).

აღვიარებ და მისთ. ფორმები პრესის ენაში აღარ გვქვდება.

თანამედროვე მწერლებიდან მხოლოდ კ. გამსახურდია ხმარობს აფვიარებს,
აფვიარა, აფვიარე ფორმებს.

...და უნდა ა ღ ე ი ა რ თ მინც („ქობა ვახუ“).

იმ ღამესვე აღსარების ნება სთხოვა შელქისელეს და ა ღ ე ი ა რ თ თავისი და ქიან-
რის თანაზიარობა ფხოველთ ამბობნი („ადიფობტატის მარჯვენა“).

შელქისელევი აფრთხილებდა ყველას... თავად ე ღ ე ი ა რ ე ბ ი ნ ა თ დანაშაული
 („ადიფობტატის მარჯვენა“).

არც ერთ მათგანს არ უნდოდა ეს აშკარად ე ღ ე ი ა რ ე ბ ი ნ ა... („ავსის ყვავილობა“).

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში პრევერბისული ღ თანხმო-
ვანი უკვე შეზრდილია ფუძეს, ვაღიარებ, ვაღიარე ფორმები უკვე დამკვიდრებუ-
ლია და იმდენად ბუნებრივია, რომ გრამატიკულად და ისტორიულად სწორი
წარმოების ფორმები აფვიარებ, აფვიარე დღეს ხელოვნურად გვეჩვენება. ამას
აღსატურებს მასდარისა და მიმღეობის წარმოება: ფორმებმა აფვიარება, მადი-
არებელი, ანაღვიარებელი საბოლოოდ გამოდევნა ძველი აფვიარება, აფვიარებული
და მისთ.

მაგალითად:

იგი ვანუშორებელი თვისებაა რუსის თვითმპერობელი ხელისუფლების მ ა ღ ი ა რ ე
ბ ე ღ ი ა რ ე (დ. კლდ.).

რა უშლის ხელს შორგანისეული გენტიკის მ ა ღ ი ა რ ე ბ ე ღ აფიანებს ვაიგონ
გადაფარდინების სარგებლიანობა და თვითდამტყვრის მანუობა? („ფრობილო-
გია“, თარგმ.).

ამის გამო, ვაღიარებ, ვაღიარეს რიგის ფორმები ერთადერთ ფორმებად უნ-
და იქნეს მიჩნეული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

ამის მიხედვით ამ ზმნის საუღლელებელი ერთეულები ქართულ სალიტერატურო ენაში დღეს ამ სახით წარმოგვიღვება:

ვალღარებ (გალიღარებ), აღღარებ (მალღარებ), აღღარებს (მალღარებს, გაღღარებს);

ვალღარებდა (გალიღარებდა), აღღარებდა (მალღარებდა), აღღარებდა (მალღარებდა, გაღღარებდა);

ვალღარებდე (გალიღარებდე), აღღარებდე (მალღარებდე), აღღარებდე (მალღარებდე, გაღღარებდე);

ვალღარე (გალიღარე), აღღარე (მალღარე), აღღარა (მალღარა, გაღღარა);

ვალღარო (გალიღარო), აღღარო (მალღარო), აღღაროს (მალღაროს, გაღღაროს);

მღღარებია (მღღარებია), გღღარებია (გღღარებია), უღღარებია (უღღარებია, უღღარებია);

მღღარებინა (მღღარებინე), გღღარებინა (გღღარებინე);

ეღღარებინა (ეღღარებინე, ეღღარებინე);

მღღარებინოს (მღღარებინო), გღღარებინოს (გღღარებინო);

ეღღარებინოს (ეღღარებინო, ეღღარებინო).

მასდარი: აღღარება.

მიღვობა: მღღარებელი, აღღარებელი, სღღარებელი, ნღღარები.

სუბიექტის -ს ობიექტის მრავლობითობის თ-ს წინ

(მათ ის აქვს თუ აქვთ? ის თქვენ გიგზავნით თუ გიგზავნი?
ის თქვენ დაგიღვამთ თუ დაგიღვამთ?)

1. ქართული ენის სინტაქსისა და მორფოლოგიის ევოლუცია მეთერთმეტე საუკუნიდან დღემდე არაფერში არ ასახულა ისე მკვეთრად, როგორც რუსულში და სახელობითი ბრუნვის სინტაქსური როლის ცვლაში.

2. თანამედროვე ქართულში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელი რ ე ა ლ უ რ ა დ შეიძლება სხვადასხვაგვარ როლს ასრულებდეს: პეტრეს მოუკლავს დათვი, პეტრეს უყვარს ნადირობა, პეტრეს აქვს თოფი, პეტრეს კლავს დათვი... ოთხსავე ფრაზაში „პეტრეს“ მიცემითი ბრუნვაა: ეს მიცემითი პირველ შემთხვევაში გამოხატავს რ ე ა ლ უ რ ა დ მ ო ქ მ ე დ ს, აქტიურს (სუბიექტს) — პეტრეს მოუკლავს; მეორე ფრაზაში — „პეტრეს უყვარს“ — ეს აქტივობა სუსტია; მესამეში — „პეტრეს აქვს“ — უჩინარია; ხოლო უკანასკნელ ფრაზაში — „პეტრეს კლავს დათვი“ — „პეტრე“ უკვე სხვისი მოქმედების საგანს წარმოადგენს: უკანასკნელი ფრაზის მიცემითი რ ე ა ლ უ რ ო ბ ი ე ქ ტ ს. აღნიშნავს.

3. ძველ ქართულში მიცემითი ბრუნვა ყოველთვის ერთისა და იმავე უფლების მქონე იყო, იმისდა მიუხედავად, აღნიშნავდა იგი რეალურ სუბიექტს თუ რეალურ ობიექტს, ენისთვის ის ყოველთვის ობიექტი იყო. ამისდა კვალობაზე მისი პირი ზმნაში აღინიშნებოდა, მისი მრავლობითობა კი არა:

ა ქ უ ნ დ ა მ ა თ მონაგებთა სიმრავლჳ აურაცხელი... (ცხოვრება საბა ასურისაჲ).

თანა ჰ ყ ვ ა ნ დ ა მ ა თ ერთი მენავეთა მათგანი... (კიმენი, I).

მ ტ ე რ თ ა მ ა თ... უ ნ დ ა დამარხვჳ მისი... (კიმენი, I).

უ ყ უ ა რ დ ა მ ა თ რჩული ... (წამება ცხრათა ძმათა კოლაელთაჲ).

გ ი ყ უ ა რ ს თ ქ უ ე ნ ზემოქლომაჲ... (ხანმეტი ტექსტები).

ამას ხოლო გ კ ი თ ხ ა ე თ ქ უ ე ნ... (კიმენი, I).

ე ი ნ გ ი რ უ ე ნ ა თ ქ უ ე ნ სივლტოლაჲ? (სასულიერო პოეზია).

მ ე უ ფ ლ ა რ უ ე ნ ნათესაეი იგი პილწი სპარსთაჲ და მი ყ ვ ე ს რ უ ე ნ ყოველივე ნებისაებრ მათისა... (წარტყუენაჲ იერუსალწმისაჲ).

როცა „ჩვენ“ არის მიცემითის ბრუნვაში, ხშირად აღინიშნება ხოლმე მისი მრავლობითობა (მაგ.: ჩუენ გურწაჲს და აღვიარებთ... მოგუანიწე ჩუენ ცხოვრებაჲ და სხვ.), მაგრამ არანაკლებ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, სადაც „ჩუენ“ მიცემითის ბრუნვაშია და მისი მრავლობითობა ზმნაში აღუნიშნული რჩება (იხ. მაგალითები ზემოთ).

„თ ქ უ ე ნ“ და „მ ა თ“ მიცემითის ბრუნვაში თ უ ა რ ი ა ნ, ზ მ ნ ა შ ი თ ა ე ი ს მ რ ა ე ლ ო ბ ი თ ო ბ ა ს ა რ ა ღ ნ ი შ ნ ა ვ ე ნ (იხ. მაგალითები ზემოთ).

4. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიცემითს ბრუნვაში დასმული „ჩუენ“ და „თქუენ“ ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში¹, მათი მრავლობითობა ყოველთვის აღინიშნება, მესამე პირის მრავლობითობა კი ხან აღინიშნება და ხან არა. მესამე პირის მრავლობითობა აღინიშნება იმ შემთხვევაში, თუ ეს მიცემითი რეალურად მოქმედს, აქტიურს აღნიშნავს, აღუნიშნელი რჩება, თუ იგი რეალურად უმოქმედოზე. პასიურზე მიუთითებს.

5. იმ შემთხვევაში, როცა ზმნა ბოლოვდება სუბიექტის -ხ სუფიქსით და ზმნის ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი -თ სუფიქსი დაერთვის, ვიღებთ -ხო კომპლექსს.

- | | | | |
|------|------------------|---|---------------------|
| I. | გაქვს ის შენ | — | გაქვსთ ის თქვენ |
| | გყავს ის შენ | — | გყავსთ ის თქვენ |
| | გმართებს ის შენ | — | გმართებთ ის თქვენ |
| | გაქვებს ის შენ | — | გაქვებთ ის თქვენ |
| II. | გქონდეს ის შენ | — | გქონდესთ ის თქვენ |
| | გყავდეს ის შენ | — | გყავდესთ ის თქვენ |
| III. | დაგიდგამს ის შენ | — | დაგიდგამსთ ის თქვენ |
| | ჩაგიცვამს ის შენ | — | ჩაგიცვამსთ ის თქვენ |

სუფიქსების ასეთი თავმოყრა შეიძლება მივიღოთ ყველა იმ დრო-კილოებში, სადაც მხოლოდობით რიცხვში სუბიექტის მესამე პირი -ხ სუფიქსით აღინიშნება; ეს დრო-კილოებია: აწყობა, მყოფადი, კავშირებითი (კონიუნქტივი) I, II და III და თურმობითი პირველი.

ნიმუშები მეთვრამეტე საუკუნის ძეგლებიდან:

თუ კი რამ არის საყაფლანისშვილოსი, ხომ სულ იმათა ჰ ყ ა ვ ს თ... (საქართვე. სიძველენი, ტ. III, გვ. 376).

ამ თათრების საქმეც გავარიგოთ და, რომელსაც ამ ჩხუბში დანაშაული ა ქ ვ ს თ, გარდავახდევინოთ... (იქვე, გვ. 377).

მეტად ავი გზაც არის და სოფელ-სოფელ ტარება წვრილის ყმარწვილები-სა შე გ ა წ უ ხ ე ბ ს თ ... (იქვე, გვ. 245).

სხუას ჩვენს სიტყუას წინამძღვარი ევთიმი და ქაიხოსრო სუფრაჯი მ ო -გ ა ხ ს ე ნ ე ბ ს თ... (იქვე, გვ. 236).

მულამ იკითხედენ და ა ჯ ს ო ვ დ ე ს თ ... (საქართვე. სიძველენი, ტ. I, გვ. 183).

6. თანამედროვე სალიტერატურო ქართულს ახასიათებს მიდრეკილება ამ სთ კომპლექსის გამარტივებისა ხ-ს ამოღებით; გვხვდება, ერთი მხრით: აქვსთ, გაქვსთ, მყავსთ, გყავსთ და მაგვარი ფორმები და, მეორე მხრით: აქვთ, გაქვთ, მყავთ, გყავთ... ერთიცა და მეორეც გვხვდება, მაგ., ეაუ-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, ილია ქავჭავაძის, დ. კლდიაშვილის, აკაკი წერეთლისა და სხვათა თხზულებებში.

ა) ხ-ს დაკარგვა ამ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ფონეტიკური მიზეზით ჩანს გამოწვეული: -ხ ვერ ძლებს წინა თანხმოვანსა და მომდევნო თ-ს შორის: აქვსთ, შვაწუხებსთ, მოგახსენებსთ...

¹ „თქვენ“-ის მრავლობითობა აღუნიშნელი რჩება მხოლოდ ერთ შემთხვევაში, სახელ-დობრ, თუ ზმნის სუბიექტი მრავლობითის მესამე პირია. ისინი გწერენ თქვენ... მათ მოგწერეს თქვენ... თუკი არის მაგალითები „თქვენ“-ის მრავლობითობის აღნიშვნისა ამ შემთხვევაში; მოგარაუესთ მათ თქვენ.

ამ მოვლენის ერთგვარ ანალოგიას წარმოადგენს მიცემითი ბრუნვის ნიშნის დაკარგვა თან თანდებულის წინ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებში: სახლს + თან = სახლთან; კაცს + თან = კაცთან.

მაგრამ ს შენახულია ბოლოხმოვანი სახელებში: დახთან, ხესთან, წყარო-თან და სხვ.; ხმოვნებს შუა მოქცეული -სთ რჩება.

დარჩენისათვის საჭირო ფონეტიკური პირობა — ხმოვანთა შორის მოქცევა — ზმნის დაბოლოებაში არ მოიპოვება: ზმნის ფორმა -თ-თი თავდება.

მიცემითი ბრუნვის -ს-ს ბელი და სთ კომპლექსის -ს-ს ვითარება რომ ერთ-მანეთს ემსგავსება, ამას ცხადყოფს ხეესურული კილო, სადაც მიცემითი ბრუნვის -ს-ს ურყევად დგას თან თანდებულის წინ და ზმნაშიც სთ კომპლექსი მკვიდრად არის. მაგალითად:

მიცემითი ბრუნვის -ს-ს შენახულია თან თანდებულის წინ:

სტუმრადაც მადენილან ამ აღუდაურსთან (ხეესურული მასალები, წელიწდული, ტ. I—II, გვ. 175);

ჩამავიდ თავის ხალხსთან (იქვე, 169);

ნადირაის კმლის ნატეხნი კარავის ბოძთან ხყრიანო (იქვე, 164);

მაშინ ეს ქალ ვერც სხვა ქმარსთან გაიხარებს (იქვე, 133).

ზმნაშიც სთ კომპლექსი დაკლებულია:

იმის წყალობა გქონდათ... დასტურს დასტურობა ნუ შეგანანათ, ჭელოსან დიდხან გაგიყოლათ, სოფელთაც მოგვასთ წყალობა; ბევრ აეს დრო მოგვგარასთ შშვილობისა, გახარებისა... გაბევერნათ, გამრავლნათ, თასიანებს კელთა გაამასთ, მემუკლევებს მუხლებ შეგარჩინათ... (იქვე, გვ. 145 და შემდ.).

ბ) ფონეტიკური ნიადაგზე -ს-ს დაკარგვას ხელს უნდა უწყობდეს შემდეგი არაფონეტიკური გარემოება: სთ კომპლექსი გვხვდება ორ- და სამპირიან ზმნებში. ხშირია შემთხვევა, როდესაც ს-თი წარმოდგენილი სახელის როლი ზმნით აღნიშნულ პროცესში სუსტია, იმ სახელის როლი კი, რომლის მრავლობითობაც ზმნაში -თ-თია წარმოდგენილი, შეუდარებლივ უფრო ძლიერია. ასეთ პირობებში სუსტი სახელის წარმომადგენლის დაჩრდილვა გაადვილებული უნდა ყოფილიყო.

ნიმუშად გამოდგება თურქობითი პირველი. აქ მიცემით ბრუნვაში დაისმის რეალური სუბიექტი, მოქმედი, სახელობითი ბრუნვა კი რეალურად ობიექტს გადმოგვცემს:

მას დაუდგამს, მოუკლავს, უსვამს, უნახავს... ის.

მათ დაუდგამთ, მოუკლავთ, უსვამთ, უნახავთ... ის.

ა) ვნებითის ფორმებში დაკარგა სუფიქსისეული ო ხმოვანი, ხოლო სასუბიექტო ქცევის ფორმებში ეს ო შემოინახეს. ვნებითში დაინგრიო-საგან ო-ს დაკარგვის შედეგად მივიღეთ დაინგრა, ხოლო მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმა დარჩა უცვლელად: დაინგრაო. ამის მსგავსად: ვნებ. დაირღვა, მოქმედ. სასუბიექტო ქცევა — დაირღვაო, ვნებ. დაიმტვრა, მოქმედ. სასუბიექტო ქცევა — დაიმტვრაო და ა. შ. ამასთან, მეორე კავშირებითში კავშირებითის მაწარმოებელი -ი სუფიქსი -ე სუფიქსმა შეცვალა: დაინგრიოს — დაინგრეს, დაირღვიოს — დაირღვეს, დაიმტვრიოს — დაიმტვრეს.

ბ) ვნებითი აღწერილობითადაა ნაწარმოები: მოიწვია — მოწვიულ იქნა, დაიძლია — დაძლეულ იქნა და მისთ.

გ) ზოგჯერ მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმები არ იხმარება. მაგალითად, გვაქვს ნეიტრალური (საარვისო) ქცევის ფორმა დალია (მან იგი), საობიექტო (სასხვისო) დაულია (მან მას იგი), მაგრამ არ იხმარება სასუბიექტო დაილია (მან იგი); ასევე, გვაქვს ნეიტრალური გადარია (მან იგი), საობიექტო გადაურია (მან მას იგი), მაგრამ არ იხმარება სასუბიექტო გადაირია (მან იგი). ასეთ შემთხვევებში სუფიქსისეული (ან სუფიქსისეულად გაგებული ფუძისეული) ო შემონახულია და ვნებითის ფორმებია: დაილია (იგი), გადაირია (იგი)...

დ) ზოგჯერ ო პრეფიქსიანი ვნებითი არა გვაქვს, ორპირიან მოქმედებითს შეესაბამება ე პრეფიქსიანი ვნებითი, რომელსაც მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს (დაიტია მან იგი — დაეტია იგი). ასეთ შემთხვევებშიაც ო ხმოვანი შემონახულია.

ამ პროცესს ალბათ ხელი შეუწყო იმანაც, რომ -ევ აწმყოს ფუძის საწარმოებელ აფიქსად იყო გაგებული და დრო-ცილობა ნაწყო ძირითადის ჭკუფში მისი უქონლობა სრულიად ბუნებრივი ჩანდა (შდრ. ჩააცმევს — ჩააცვა, წაართმევს — წაართვა).

ორპირიანი ვნებითები (ე- პრეფიქსიანები) ერთპირიანებს (ო- პრეფიქსიანებს) მიჰყვება: დაიმტვრა (იგი) — დაემტვრა (მას იგი), დაიბნა (იგი) — დაებნა (მას იგი)...

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აქა-იქ ჯერ კიდევ ვხვდებით ერთპირიანი ვნებითის ისეთ ფორმებს, რომლებიც შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებს ემთხვევა: „... და ჩემს ლექსებში გადაიმტვრიოს (= გადაიმტვრეს) შემოქმედების ახალი სახე“. — ი. გრიშაშვილი, „პეტერპოლის შდრევენები“.

-ივ სუფიქსიანი ფორმები და ზმნის შესაბამისი უღვლილება ამჟამადაცაა დაცული ქართული ენის ზოგ აღმოსავლურ დიალექტში, ვთქვათ, ქიზიყურში, სადაც -ევ სუფიქსიანი ზმნის ო- პრეფიქსიანი ვნებითი ნაწყო ძირითადში ასე იუღვლის: მე დავიმტვრი(ვ)ე, შენ დაიმტვრი(ვ)ე, ის დაიმტვრი(ვ)ა, ჩვენ დავიმტვრი(ვ)ენით, თქვენ დაიმტვრი(ვ)ენით, ისინი დაიმტვრივნენ; სალიტერატურო ქართულში კი ამგვარ ზმნათა უღვლილება სხვა ზმნათა უღვლილებას მიჰყვება და ასეთი ფორმები მოგვცა: მე დავიმტვერ(ი), შენ დაიმტვერ(ი), ის დაიმტვრა, ჩვენ დავიმტვერით, თქვენ დაიმტვერით, ისინი დაიმტვრნენ; მე დავიმტვრე, შენ დაიმტვრე; ის დაიმტვრეს, ჩვენ დავიმტვრეთ, თქვენ დაიმტვრეთ, ისინი დაიმტვრნენ.

ზემოთქმულის მიხედვით სათანადო ფორმები ვნებთ: ნამყო ძირითადად და კავშირებითს მეორეში თანამედროვე სალიტერატურო ქართულში შემდეგი სახით წარმოგვიდგება შესაბამისი მოქმედებითის სასუბიექტო ქცევის ფორმებთან შეფარდებით.

ახნეს (გააბნევს, დააბნევს...): დაბნია, გაბნია (მან იგი), დაბნიოს, გაბნიოს (მან იგი) — დაბნა, გაბნა (იგი), დაბნეს, გაბნეს (იგი): „მტყერიკ მალე გაბნა პაერში“. — (ხ. კლდ.).

ათრევს (შეთრევს, გაათრევს...): შეითრია, გაითრია (მან იგი), შეითრიოს, გაითრიოს (მან იგი) — შეეთრია, გაეთრია (იგი), შეეთრიოს, გაეთრიოს (იგი).

აზღვეს (დააზღვეს): დაიზღვია (მან თავი), დაიზღვიოს (მან თავი) — დაიზღვია (იგი), დაეზღვიოს (იგი).

აკმებს (დააკმებს): დაიკმია (მან იგი), დაიკმიოს (მან იგი) — დაეკმია (იგი), დაეკმიოს (იგი).

ამჩნევს (შეამჩნევს): შეიმჩნია (მან იგი), შეიმჩნიოს (მან იგი) — შეიმჩნა, შემჩნეულ იქნა (იგი), შეიმჩნეს, შემჩნეულ იქნეს (იგი).

ამშვებს (დაამშვებს): დაიშვია (მან თავი), დაიშვიოს (მან თავი) — დაიშვა (იგი), დაიშვის (იგი): „ხალხს ლექსი უნდა, ხალხი დაიშვა“. — (ო. გრიშ.).

ამტვრევს (დაამტვრევს): დაიშტვრია (მან იგი), დაიშტვრიოს (მან იგი) — დაიშტვრა (იგი), დაიშტვრეს (იგი).

ამღვრევს (აამღვრევს): აიშღვრია (მან იგი), აიშღვრიოს (მან იგი) — აიშღვრა (იგი), აიშღვრეს (იგი): „თედემ წყალი მიუგდო, სარუე აღიღდა, აიშღვრა“. — (ფაფა). გული აეშღვრა.

ამსხვრევს (დაამსხვრევს): დაიშხვრია (მან იგი), დაიშხვრიოს (მან იგი) — დაიშხვრა (იგი), დაიშხვრეს (იგი).

ამწყვდევს (მოამწყვდევს): მოიშწყვდია (მან იგი), მოიშწყვდიოს (მან იგი) — მოეშწყვდია || მოემწყვდა (იგი), მოეშწყვდიოს || მოემწყვდეს (იგი).

ანგრევს (დაანგრევს): დაიანგრია (მან იგი), დაიანგრიოს (მან იგი) — დაიანგრა (იგი), დაიანგრეს (იგი).

დაღვეს, გადაღვეს (= გადაჩხეს): დაიღვია, გადაიღვია (მან იგი), დაიღვიოს, გადაიღვიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — დაიღვია, გადაიღვია (იგი), დაიღვიოს, გადაიღვიოს (იგი): „თუ შენ ის გინდა, რომ მომკლა, გადავიღვიო კლდეზედა? — (ფაფა).

ამონთხევს (ამონთხევს): ამონთხია (მან იგი), ამონთხიოს (მან იგი) — ამონთხა (იგი), ამონთხეს (იგი).

გადასოხვეს (- გადაკარგავს): გადაითხია (მან იგი), გადაითხიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — გადაითხია (იგი), გადაითხიოს (იგი): „ერიკ კერაა, ალუდი გადაითხია საღამა“. — (ფაფა).

ანჭლრევს (დაანჭლრევს): დაიანჭლრია (მან იგი), დაიანჭლრიოს (მან იგი) — დაიანჭლრა (იგი), დაიანჭლრეს (იგი).

არბევს (დაარბევს): დაირბია (მან იგი), დაირბიოს (მან იგი) — დაარბეულ იქნა (იგი), დაირბეს, დაარბეულ იქნეს (იგი).

არევის: აირია (მან იგი), აირიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — აირია (იგი) აირიოს (იგი): „(წეროებში)... აირიენენ პაერში“. — (ფაფა); „გაჩნდა ხალხს ში ლაპარაკი: წყველა, ლანძლეა, მუქარა აირია ერთმანეთში“. — (ნ. ლომ.); „თავზარი დეცა მტრის ქარს, აირიენენ და გაიფანტნენ“. — (თ. რაზ.); „ღელდაკაცებში მამაკაცებიც აირიენენ.“ — (შ. არაგ.);

„ცა აირი, დაბნელდა უცებ და წამოვიდა სეტყვა შხუილით“: — (ილია); „მოდელი აირია, ენახე, რომ მოენამა თვალუბი“. — (ილია); „იასონი გაწითლდა და აირია, ალბათ ცოლისა შერცხვა“. — (ე. ნინოშ.).

გადარეცხ: გადაირია (მან იგი), გადაირიოს (მან იგი) ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — გადაირია (იგი), გადაირიოს (იგი): „ვინ, თუ... გადარეული უფრო გადაირიოს“ — (ილია); „სად იყავი, ადამიანო, ა? შიშით გადავირეთ“ — (რ. გეც.).

ღევს (დაღევს, გამოღევს, ამოღევს): დაილია, გამოილია, ამოილია (მან იგი), დაილიოს, გამოილიოს, ამოილიოს (მან იგი) ჩ ე ე უ ლ ე ბ რ ი ე ა რ ი ხ მ ა რ ე ბ ა — დაილია, გამოილია, ამოილია (იგი), დაილიოს, გამოილიოს, ამოილიოს (იგი): „ნავთი არ ამოილიოს (ლამფაში)“. — (ლ. ქიან.).

არკვევს (გამოარკვევს): გამოირკვია (მან იგი), გამოირკვიოს (მან იგი) — გამოირკვია (იგი), გამოირკვევს (იგი).

არყუვს (შეარყუვს, მოარყუვს...): შეირყუა, მოირყუა (მან იგი), შეირყუოს, მოირყუოს (მან იგი) — შეირყუა, მოირყუა (იგი), შეირყუვს, მოირყუვს (იგი).

არწევს (დაარწევს): დაირწია (მან იგი), დაირწიოს (მან იგი) — დაირწია (იგი), დაირწევს (იგი).

არღვევს (გაარღვევს, დაარღვევს): გაირღვია, დაირღვია (მან იგი), გაირღვიოს, დაირღვიოს (მან იგი) — გაირღვია, დაირღვია (იგი), გაირღვევს, დაირღვევს (იგი): „უცებ მეფემ თვალი მოკერა: ხალხი გაირღვია შუაზე“. — (ილია).

შეაქცევს, დააქცევს: შეიქცია, დაიქცია (მან იგი), შეიქცეოს, დაიქცეოს (მან იგი) — შეიქცეულ იქნა, დაიქცა (იგი), შეიქცეულ იქნეს, დაიქცეს (იგი).

აჩევს (შეაჩევს, დააჩევს...): შეიჩვია, დაიჩვია (მან იგი), შეიჩვიოს, დაიჩვიოს (მან იგი) — შეიჩვეულ იქნა, დაიჩვეულ იქნა (იგი), შეიჩვეულ იქნეს, დაიჩვეულ იქნეს (იგი).

დაძლევს: დაძლია (მან იგი), დაძლიოს (მან იგი) — დაძლეულ იქნა (იგი), დაძლეულ იქნეს (იგი).

მოიწევს: მოიწვია (მან იგი), მოიწვიოს (მან იგი) — მოიწვეულ იქნა (იგი), მოიწვეულ იქნეს (იგი).

გააზღვევს: გააზღვია (მან იგი), გააზღვიოს (მან იგი) — გააზღვია (იგი), გააზღვიოს (იგი).

გაანძრევს, შეანძრევს: გაინძრია, შეინძრია (მან იგი), გაინძრიოს, შეინძრიოს (მან იგი) — გაინძრა, შეინძრა (იგი), გაინძრეს, შეინძრეს (იგი).

დასტევს: დაიტია (მან იგი), დაიტეოს (მან იგი) — დაეტია (იგი), დაეტეოს (იგი).

იკვლევს (გამოიკვლევს): გამოიკვლია (მან იგი), გამოიკვლიოს (მან იგი) — გამოიკვლეულ იქნა (იგი), გამოიკვლეულ იქნეს (იგი).

გადააქცევს: გადაიქცია (მან იგი), გადაიქცეოს (მან იგი) — გადაიქცა (იგი), გადაიქცეს (იგი): „იმოდენა ურემი... არ გადმოიქცეს და არ დაგვიტანოს“. — (თ. რაზ.); „(ალაზა) მივიდა სულშეხუთული და გადაიქცა ზღურბლზედა“ — (ფაფა); „გულში ისე ვიკარ ხელი, რომ კინაღამ გადავქვიცო“. — (ილია).

გადასწევს: გადაიწვია (მან იგი), გადაიწვიოს (მან იგი) — მაინც: გადაიწვია (იგი), გადაიწვიოს (იგი): „გადაიწვია ტყის შტოები და რამდენიმე შეიარაღებული კაცი გამოხტა“. — (ა. ყაზბ.); „შემოსაჰლის ფარდავი გადაიწვია“. — (შ. ლა.).

გაამჭრევს: გაიმჭრია (იგი), გაიმჭრიოს (იგი); „სიცივე მოტყდა, ქარი ჩაეარდა და განთიადთან ერთად ნისლი გაიმჭრია“. — (ა. ყაზბ.).

და ა. შ.

**ეკთაიკიანი ჰენაბითი გჰაკის ზენაგის ჟოკათა ნაკომაბა
თუკამოგით პიკაპისა და თუკამოგით გეოკამი**

(ვშობილვარ თუ შობილვარ? ვშობილიუავი თუ შობილციუავი ან ვშობილციუავი?)

მესამე ჭგუფში შემდეგი სამი დრო-კილო შედის: ა) თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი პ ი რ ე ე ლ ი (რა უქნა?): გაუგზავნია, შეტყობებია, დამღვარა; ბ) თ უ რ მ ე ო ბ ი თ ი მ ე ო რ ე (რა ექნა?): გაუგზავნა, შეტყობებოდა, დამღვარაიუო; გ) კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი მ ე ს ა მ ე (რა ექნას?): გაუგზავნო, შეტყობებოდებ, დამღვარაიუო.

1. თურმეობითი პირველი:

ერთპირიან ზმნებში ეს დრო შედგება ნამყო დროის მიმღვობისა და მეშველი ზმნისაგან აწმყოფი ფორმით (ვარ): დავმღვარავარ, დავწოლილვარ, ვშობილვარ, გავწრდილვარ, მოვგვადარვარ და სხვა.

აქ მოყვანილი ფორმები პირველ პირს წარმოადგენს. დღეს გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს ეს სახე. მისში დასაბუთებას მოითხოვს ვ- პრეფიქსის ხმარება.

ძველ ქართულში იყო:
 გაზრდილ ვარ
 გაზრდილ ხარ
 გაზრდილ არს
 გაზრდილ ვართ
 გაზრდილ ხართ
 გაზრდილ არიან

ახალ ქართულში გვაქვს:
 გავზრდილვარ
 გავზრდილხარ
 გავზრდილა
 გავვზრდილვართ
 გავვზრდილხართ
 გავვზრდილან

ძველ ქართულში მეშველ ზმნას ყველა პირში შენახული აქვს თავისი სახე შეუცვლელად, ახალ ქართულში კი სხვაგვარი მდგომარეობაა: მხოლოდ ბოთნი რიცხვის მესამე პირში -ა გვაქვს და ეს -ა უბრალო ფორმანტა და არა მეშველი ზმნის გარკვეული ფორმა. გრავლობითის მესამე პირში მეშველი ზმნა აგრეთვე აღარსად ჩანს: „არაინ“-ის ადგილას მხოლოდ -ან დაბოლოებაა; ფორმები „დამღვარარაინ, შობილარაინ. გავწრდილარაინ“ დღეს დიალექტიზმად მიიჩნევა.

მეშველი ზმნის ფორმანტად გადაქცევა მოასწავებს. აღწერითი წარმოებების ორგანულ წარმოებად შეცვლას, რასაც ხელს უწყობს ისიც, რომ მიმღვობა ფუძითაა წარმოდგენილი (დავმღვარავარ — პირველი თურმეობითა ზმნისაგან „ვღვებო“, შუალ.: „დამღვარი ვარ“ — აწმყო).

პროცესი აღწერითი წარმოების ორგანულ წარმოებად შეცვლისა მესამე პირში უკვე დამთავრებულია; პირველ პირში იგი წვევს ვ- პრეფიქსის გაჩენას,

ამით მთელ ფორმას მარტივი ორგანული წარმოების სახე ეძლევა და „ვარ“ იჩრდილება. შეუძლებელი არ იყო „ვარ“-ს თავისი -ვ დაეკარგა კიდევ და მთელ ფორმას მხოლოდ თავში შერჩენოდა ვ- პირის ნიშნად, რომ მას ზურგს არ უმაგრებდეს, ერთი მხრით, მეორე პარს „ზარ“ (სადაც „ზ“, როგორც გაქვევებულა ნაშთი, ურყევად დგას), და მეორე მხრით, ანალოგიური წარმოებანი.

სალიტერატურო ქართულში კარგა ხანია, რაც დაკანონდა ისეთი ფორმები, სადაც -ვ პრეფიქსიც არის წარმოდგენილი და „ვარ“ მეშველი ზმნაც დართულია. ესენია, ერთი მხრით, იმავე თურმეობითი პირველის ფორმები ორპირიან ზმნებში: შევჭკითხებოვარ მე მას, დავხდგომოვარ მე მას, ვუქივარ მე მას... და, მეორე მხრით, ერთპირიანი ზმნები აწმყო დროში: ვზივარ, ვწევარ, ვდგავარ და სხვა. ამგვარ ზმნებს ძველ ქართულში „ვარ“ არ გააჩნდა (იყო: ვუქიე მე მას... ვზი, ვწვი, ვდგა... მე). მართალია, აქ -ვ პრეფიქსი თავიდანვე იხმარებოდა და „ვარ“ ზმნა შემდეგ დაერთო, ხოლო „დავმდგარვარ“ და მისთანებში, პირუკუ, „ვარ“ იმთავითვე იყო, თავსართი -ვ შემდეგში გაჩნდა, მაგრამ ეს გენეზისის საქმეა, ფაქტი კი ის არის, რომ სალიტერატურო ქართულის დღევანდელ სისტემაში კანონიერი ისეთი ფორმა, რომელიც „ვარ“ მეშველი ზმნაც მოიპოვება და -ვ პრეფიქსიც.

ამრიგად, ერთპირიანი ზმნების თურმეობითი პირველის ფორმები, როგორცაა: დავმდგარვარ, ვზოზილვარ, გავზრდილვარ და მისთანები, ერთადერთი კანონიერი ლიტერატურული ფორმებია. მიუხედავად იმისა, რომ პირველ პირში ასეთი ფორმის აგებულებას ქმნის ზმნის მიმღებობა პლუს პირველი პირის თავსართი -ვ და ბოლოს მეშველი ზმნა ვარ, ფორმა მაინც კანონიერია, რადგანაც 1) ანალოგიური აგებულების ფორმებმა უკვე მოიპოვეს სალიტერატურო ქართულში სანქცია (თურმეობით პირველში: შევჭკითხებოვარ, შევდგომოვარ, ვყოფილვარ; აწმყოში: ვზივარ, ვდგავარ, ვჩანვარ) და 2) პროცესმა, რომლის შედეგადაც -ვ თავსართი მოგვევლინა (ვზოზილვარ), უკვე გაიმარჯვა მხოლოობითისა და მრავლობითის შესამე პირში.

მაშასადამე, უნდა ეიხმარათ ვზოზილვარ (და არა: ვოზილვარ), გავზრდილვარ (და არა: გავრდილვარ), ავღელეებულვარ (და არა: აღელეებულვარ), ავმდგარვარ (და არა: ამდგარვარ).

2. თურმეობითი მეორე:

ერთპირიანი ზმნები ამ დროსაც აწარმოებენ აღწერთად, ისე, როგორც ამას ქონდა ადგილი თურმეობითს პირველში. განსხვავება ისაა, რომ მეშველი ზმნა იქ აწმყოში იყო (ვზოზილვარ, ვოზილზარ...), აქ კი იგი ნამყო ძირითადად (წყვეტილში) დაიხმის (ვიყავ, იყავ, იყო): მოვმკვდარიყავ, მომკვდარიყავ, მომკვდარიყო... დავმდგარიყავ, დამდგარიყავ, დამდგარიყო... ვზოზილიყავ, ვოზილიყავ, ვოზილიყო... გავზრდილიყავ, გავზრდილიყავ, გავზრდილიყო...).

ეს აღწერთი ფორმა ორგანულ წარმოებადაა ქცეული: თურმეობითს პირველში -ვ პრეფიქსის გამართლება ხდებოდა საკირო (-ვზოზილვარ), აქ კი ანალოგიური -ს საკითხი გადაკერალდ უნდა ჩაითვალოს, ოღონდ საკითხი ეხება მეშველი ზმნის „ვიყავ“-ის -ვ პრეფიქსის ყოფნა-არყოფნას.

ქველ ქართულში

ახალ ქართულში

შობილ	ვიყავ	ა) ეშობილვიყავ	ბ) ეშობილიყავ
გაზრდილ	ვიყავ	გაეზრდილვიყავ	გაეზრდილიყავ
ყოფილ	ვიყავ	ვეყოფილვიყავ	ვეყოფილიყავ
დამდგარ	ვიყვენით	დავმდგარვიყვეით	დავმდგარიყვეით
მომკედარ	ვიყვენით	მომკედარვიყვეით	მომკედარიყვეით
შობილ	ვიყვენით	ეშობილვიყვეით	ეშობილიყვეით
ყოფილ	ვიყვენით	ვეყოფილვიყვეით	ვეყოფილიყვეით...

უკანასკნელი სახე, ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ხ მ ა რ ე ბ უ ლ ი, ძირითადი ფორმად სალიტერატურო ქართულის განვითარების თანამედროვე საფეხურისათვის.

თურმეობითს მეორეში ერთპირიანი ზმნების პირველ პირში ჭ პრეფიქსი რჩება თავში მიმღებური ნაწილის წინ, ხოლო ჭ პრეფიქსი აკლდება მეშველ ზმნას.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ: მოვმკედარიყავ(ი), დაეწოლილიყავ(ი), დავმდგარიყავ(ი), დავმდგარიყავ(ი), ვეშობილიყავ(ი), გაეზრდილიყავ(ი), ვეყოფილიყავ(ი) და სხვა (და არა: ვეშობილვიყავ(ი), გაეზრდილვიყავ(ი), ვეყოფილვიყავ(ი), დავმდგარვიყავ(ი) და სხვა ან ვეშობილვიყავ(ი), გაეზრდილვიყავ(ი), ვეყოფილვიყავ(ი), დავმდგარვიყავ(ი) და სხვა. ხოლო მრავლობითში: მოვმკედარიყავით, დაეწოლილიყავით, დავმდგარიყავით, ვეშობილიყავით, გაეზრდილიყავით, ვეყოფილიყავით და სხვა (და არა: მოვმკედარვიყავით, დაეწოლილვიყავით, დავმდგარვიყავით, ვეშობილვიყავით, გაეზრდილვიყავით, ვეყოფილვიყავით და სხვა. ან მოვმკედარვიყავით, დაეწოლილვიყავით, დავმდგარვიყავით, ვეშობილვიყავით, გაეზრდილვიყავით, ვეყოფილვიყავით და სხვა.)

ოკაიკიანი ბარაუპალი ზნაბითი გვარის ზმნაზის ჴოკამათა
ნაკრობა თარაოობით მერაკში

(შევკითხებოდი თუ შევკითხებიყავი?)

• თურმეობით მეორეში ოკაიკიანი გარდაუქალი ენებითი გვარის ზმნა სალ-ტერატურო ქართულში ოკგვარი სახითაა წარმოდგენილი:

შევკითხებოდი და შევკითხებიყავ, შეკითხებოდი და შეკითხებიყავ, შეკითხებოდა და შეკითხებიყო; დავსდგომოდი და დავსდგომიყავ, დასდგომოდი და დასდგომიყავ, დასდგომოდა და დასდგომიყო; დავსჯდომოდი და დავსჯდომიყავ, დასჯდომოდი და დასჯდომიყო; გავსჩენოდი და გავსჩენიყავ, გასჩენოდი და გასჩენიყო.

სალიტერატურო ქართულში ისტორიულად -ოდ არის გავრცელებული; ასე, მაგალითად, ჭერ კიდევ „ვეფხისტყაოსანში“ -ოდ სუფიქსიანი ფორმებია გაბატონებული:

სული დაიდეს, დადუმდეს, ორთავე ცეცხლი ს დ ე ბ ო დ ა ;

ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰ გ ზ ე ბ ო დ ა ;

დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კვლა მიწვიე ჰ გ ე ბ ო დ ა ,

ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ იამებოდა (სტროფი 99, 1957 წლის გამოცემა).

-ოდ სუფიქსიანი ფორმებს აქვს უპირატესობა დ. გურამიშვილის ენაში.

ამეამად -ოდით წარმოება გაბატონებულია სალიტერატურო ქართულში: „იყავ“-ით წარმოება სპორადულადლა გვხვდებოდა ძველადაც და ახლაც (მაგალ., ვაჟა-ფშაველას, ილიას და ნ. ლომოურის ნაწერებში), ჩვეულებრივია -ოდ სუფიქსიანი წარმოება (მაგალითად: „რომ არ გ ც ო დ ნ ო დ ა, რომ ეგრე უნდა გამოყვანა გუთანსა, რით მოხნავდი მიწასა?“ — ილია, „მე რომ მაშინ წიგნი მ ც ო დ ნ ო დ ა და ის ზღაპრები მეკითხნა, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყეფდა“. — ილია).

-ოდით წარმოება საესებით კანონიერია და გაბატონებულია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; სალიტერატურო ქართულის ისტორიული ტრადიცია მას უჭერს მხარს. ამდენად, უნდა დარჩეს -ოდით წარმოება.

მაშასადამე, უნდა ვიხმაროთ ერთი -ოდ სუფიქსიანი ფორმა: შევკითხებოდი, შეკითხებოდი, შეკითხებოდა; დავსდგომოდი, დავსჯდომოდი, გავსჩენოდი, მოვჭკდომოდი... დასდგომოდი, დასჯდომოდი, გასჩენოდი, მოჭკდომოდი... დასდგომოდა, დასჯდომოდა, გასჩენოდა, მოჭკდომოდა და სხვა და არა: შევკითხებიყავ, დავსდგომიყავ, დავსჯდომიყავ, გავსჩენიყავ, შეკითხებიყავ, დასდგომიყავ, დასჯდომიყავ, გასჩენიყავ, შეკითხებიყო, დასდგომიყო, დასჯდომიყო, გასჩენიყო და სხვ.

**ოკაიკიანი -აჲ და -ამ სუფიქსიანი ზმნების უოკაბთა ნაკრობა
თარგომობით პიკაველი**

**(გაუბედავს თუ გაუბედა? მოუკლავს თუ მოუკლია? დაუხაზს თუ დაუხია?
შეუსვამს თუ შეუსვია? უნახავს თუ უნახია?)**

ზოგი ორპირიანი გარდაამავალი ზმნის აწმყოს (მყოფადის) ფუძეს აწარმოებენ სუფიქსები -აჲ და -ამ. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში თურმეობითი პირველის ფუძე ამ ზმნებისა აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, ე. ი. თურმეობით პირველში ეს -აჲ და -ამ სუფიქსები შემონახულია. ასევე იყო ძველ ქართულშიც ძველი ქართულისაგან განსხვავებით თანამედროვე ქართულში პირველისა და მეორე სუბიექტური პირის ფორმები მეშველი ზმნის (ვარ, ხარ, ვართ, ხართ) დართ-ვითაა ნაწარმოები.

აწმყო-მყოფადი: ნახავს ის მას

თურმეობითი პირველი:

უნახავს მას ის
უნახებარ მას შენ
უნახავვარ მას მე
უნახათ მათ ის
უნახებართ მათ შენ
უნახავვართ მათ ჩვენ

მინახავს მე ის
მინახებარ მე შენ
მინახავს შენ ის
მინახავვარ შენ მე

აწმყო-მყოფადი: აბამს ის მას

თურმეობითი პირველი:

გაუბამს მას ის
გაუბამბარ მას შენ
გაუბამვარ მას მე
გაუბამთ მათ ის
გაუბამბართ მათ შენ
გაუბამვართ მათ ჩვენ

გაიბამს მე ის
გაიბამბარ მე შენ
გაიბამს შენ ის
გაიბამვარ შენ მე

ასევე გვექნება:

-აჲ სუფიქსიანი

-ამ სუფიქსიანი

აწმყო:

თურმეობითი I:

აწმყო:

თურმეობითი I:

ის ფარავს მას მას დაუფარავს იგი
ის მალავს მას მას დაუმალავს იგი

ის ღვამს მას ის სევამს მას

მას დაუღვამს იგი მას შეუღვამს იგი

ის წკაეს მას	მას დაუწკაეს იგი	ის ასხამს მას	მას დაუსხამს იგი
ის ღლავს მას	მას მოღვლავს იგი	ის იცემს მას	მას ჩაუტევამს იგი
ის ზედავს მას	მას გაუზედავს იგი		

(...საქ მოუკლავს, ის მოკლავს... -- ხალხური)
 და ამის კვალობაზე:

მე დამიძალავს	შენ დაგიძალავს
მე მომიკლავს	შენ მოვიკლავს
მე დამიდგამს	შენ დაგიდგამს
მე ჩამიკეამს	შენ ჩაგიკეამს და სხვ.

სხვა ზმნების ანალოგიით, რომელთაც თურქობით I-ში -ა- დაბოლოება აქვთ, ასეთი ზმნებიც ზოგჯერ -ა- დაბოლოებით გვხვდება, განსაკუთრებით პირ-ველსა და მეორე სუბიექტურ პირში. ამის გამო გვაქვს:

III სუბიექტურ პირში:

დაუმალავს და დაუმალია	დამიძალავს და დამიძალია
უნახავს და უნახია	მინახავს და მინახია
ჩაუტევამს და ჩაუტეოა	ჩამიკეამს და ჩამიკეოა
შეუწევავს და შეუწევია	შემიწევავს და შემიწევია
დაუხატავს და დაუხატია	დამიხატავს და დამიხატია

(„მე ვერაპამ სახლში არ შემიწვია, რადგან ტფილისს მწვადი მეც შემიწვიოა“ — ე. გრიშაშვილი).

I და II სუბიექტურ პირში:

უნახებარ და უნახოსარ	მინახებარ და მინახისარ
ვენახებარ და ვენახებარ	გინახებარ და გინახებარ
დაუხატებარ და დაუხატისარ	დამიხატებარ და დამიხატისარ
დაეუხატებარ და დაეუხატისარ	დაგიხატებარ და დაგიხატისარ
დაუმალებარ და დაუმალისარ	დამიძალებარ და დამიძალისარ
დაეუმალებარ და დაეუმალისარ	დაგიძალებარ და დაგიძალისარ
გაუღახებარ და გაუღახისარ	გამიღახებარ და გამიღახისარ
გაეუღახებარ და გაეუღახისარ	გაგიღახებარ და გაგიღახისარ

გვხვდება ნარევი ფორმებიც:

დაუმალისარ, დაეუმალისარ, დამიძალისარ, დაგიძალისარ, უნახვისარ, ვუნახვისარ, მინახვისარ, გინახვისარ.

(„გოლიან დღესა ტფილისშია, შუა ბაზრისკენ, მე ჩამივლია, ჩემო მუშავ, მინახვისარ შენ“ — ილია).

მესამე სუბიექტურ პირში -ია დაბოლოებიანი ფორმები თანამედროვე სალიტერატურო ენაში მეტად იშვიათად გვხვდება და, თუ გვხვდება, დიალექტურად მიიჩნევა. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ერთადერთ ლიტერატურულ ფორმებად უნდა დარჩეს -ავ და -ამ სუფიქსიანი ფორმები: დაუფარავს, უნახავს, დაუმალავს, დაუწვავს, მოუკლავს, გაუზედავს, დაუდგამს, შეუსევამს, ჩაუტევამს და მისთანანი, რომლებიც

- ა) მართებული ფორმებია წარმოების თვალსაზრისით;
- ბ) მართებული ფორმებია ისტორიული თვალსაზრისით;
- გ) გაბატონებული ფორმებია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

შენიშვნა. ის ფაქტი, რომ თურმეობითი პირველის ეს ფორმები სამპირიანი ზმნების სასუბიექტო ქცევის აწყო-ყოფადის ფორმებს ემთხვევა, რა თქმა უნდა, ამ ფორმათა დატოვების საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება (იგულისხმება ასეთი შემთხვევები: რას შერება? რას იზამს? მიხატავს (დამიხატავს) მხატვარი მე სურათს. რა მიქნია? მიხატავს (დამიხატავს) მე სურათი).

რამდენადაც დაუხატხარ, დავუხატევარ, დამიხატხარ, დაგიხატევარ ფორმები და აგრეთვე ნარევი ფორმები—დავუხატევარ, დამიხატეხარ, დაგიხატევარ დაუხატია -- დამიხატია — დაგიხატია ფორმათა გავრძელებას წარმოადგენს, ეს ფორმები უკუგდებულ უნდა იქნეს და ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად უნდა მიჩნეულ იქნეს დავუხატევარ, დაუხატეხარ, დამიხატეხარ, დაგიხატევარ ფორმები.

შენიშვნა. პირველი სუბიექტური პირის ფორმებში ორი გ გვხვდება.

ამთგან ერთი ფუძისეულია, ხოლო მეორე — მეშველი ზმნისა: დავუხატევარ.

ამრიგად:

ერთადერთ სალიტერატურო
ფორმებად დარჩება:

უნახავს მას ის
უნახახარ მას შენ
ეუნახევიარ მას მე
უნახავთ მათ ის
უნახახართ მათ შენ
ეუნახევიართ მათ ჩვენ
მინახავს მე ის
მინახახარ მე შენ
გინახავს შენ ის
გინახევიარ შენ მე
გაუბამს მას ის
გაუბამხარ მას შენ
გავუბამეარ მას მე
გაუბამთ მათ ის
გაუბამხართ მათ შენ
გავუბამეართ მათ ჩვენ
გამიბამს მე ის
გამიბამხარ მე შენ
გავიბამს შენ ის
გავიბამეარ შენ მე

არალიტერატურულად უნდა
იქნეს მიჩნეული:

უნახია მას ის
უნახიხარ, უნახეიხარ მას შენ
ეუნახევიარ, ეუნახევიარ მას მე
უნახიათ მათ ის
უნახიხართ, უნახეიხართ მათ შენ
ეუნახევიართ, ეუნახევიართ მათ ჩვენ
მინახია მე ის
მინახიხარ, მინახეიხარ მე შენ
გინახია შენ ის
გინახევიარ, გინახევიარ შენ მე
გაუბია მას ის
გაუბიხარ, გაუბიხარ მას შენ
გავუბივიარ, გავუბივიარ მას მე
გაუბიათ მათ ის
გაუბიხართ, გაუბიხართ მათ შენ
გავუბივიართ, გავუბივიართ მათ ჩვენ
გამიბია მე ის
გამიბიხარ, გამიბიხარ მე შენ
გავიბია შენ ის
გავიბივიარ, გავიბივიარ შენ მე

**-მე სუფიქსიანი ბაგდავაპელი ზმნავის ზოგამთა ნაკომება თარამოგით
მეორასა და კავშირებით მესამეში**

(აეშენებინა თუ აეშენებია? აეშენებინოს თუ აეშენებინოს?)

-მე სუფიქსიანი ზმნებს დრო-კილოთა III ჯგუფის ფორმები ორგვარად აქვთ ნაწარმოები. ზოგი ზმნა თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში აწმყოს ფუძეს იყენებს (-მე სუფიქსი გადაწყევბათ), ზოგი ზმნა კი დრო-კილოთა მეორე სერიის ფუძეს (-მე სუფიქსი ამ დრო-კილოებში არა გვაქვს). ერთი მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აშენებს — უშენებია და ა. შ., აკეთებს — უკეთებია და ა. შ., ალაგებს — ულაგებია, აქეზებს — უქეზებია და ა. შ., ხოლო, მეორე მხრით, გვაქვს ასეთი ფორმები: აქებს — უქია და ა. შ., აგებს — უგია, ავლებს — უვლია, აესებს — უესია და ა. შ.

იმ შემთხვევაში, როცა III ჯგუფის წარმოება აწმყოს ფუძეს ეყრდნობა, თურმეობით მეორესა და კავშირებით მესამეში სადავო ფორმები ჩნდება. ბაღებს — დაუბადებია, მაგრამ გვხვდება დაეზადა და დაეზადოს დაეზადებინას და დაეზადებინოს პარალელურად; უბრძანებია, მაგრამ გვხვდება ებრძანა და ებრძანოს ებრძანებინას და ებრძანებინოს პარალელურად და ა. შ. ზოგჯერ ასეთი მოვლენა თურმეობით პირველშიც იჩენს თავს: დაუბადებია და დაუბადია („რაც კი რამ და უბაღია, უფალს სულიერ-უსულო, სულყველას თურმე ენა აქვს.“ — ვაჟა).

დრო-კილოთა II ჯგუფის ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითისა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დილექტიზმებად უნდა იქნეს მიჩნეული. სალიტერატურო ენაში გაბატონებულია აწმყოს ფუძეზე დაყრდნობილი ფორმები. ამიტომ უნდა იხმარებოდეს:

აეშენებინა და აეშენებინოს და არა აეშენა და აეშენოს; დაეზადებინა და დაეზადებინოს და არა დაეზადა და დაეზადოს; გაეკეთებინა და გაეკეთებინოს და არა გაეკეთა და გაეკეთოს; დაეშავებინა და დაეშავებინოს და არა დაეშავა და დაეშავოს და ა. შ.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც გვხვდება პარალელური ფორმები: აეშენებინა — აეშენებია, აეშენებინოს — აეშენებინოს; დაეზადებინა — დაეზადებია, დაეზადებინოს — დაეზადებინოს; გაეკეთებინა — გაეკეთებია, გაეკეთებინოს — გაეკეთებინოს; დაეშავებინა — დაეშავებია, დაეშავებინოს — დაეშავებინოს.

ამ პარალელურ ფორმათაგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია წარიანი ფორმები და ესენი უნდა იქნენ მიჩნეული ერთადერთ სალიტერატურო ფორმებად.

ამგვარად:

სალიტერატურო ფორმებია:

აეშენებინა
აეშენებინოს
დაეზადებინა
დაეზადებინოს

უკუსაგდებია:

აეშენებია
აეშენებინოს
დაეზადებია
დაეზადებინოს

გაეკეთებინა
გაეკეთებინოს
დაეშავებინა
დაეშავებინოს და სხვ.

გაეკეთებია
გაეკეთებია
დაეშავებია
დაეშავებიოს და სხვ.

ეს წესი გავრცელდება კაუზატრეებზედაც, გვექნება:

დაეწერინებინა და არა
დაეწერინებინოს .
აეშენებინებინა
აეშენებინებინოს
დაეხატვინებინა
დაეხატვინებინოს

დაეწერინებია
დაეწერინებია
აეშენებინებია
აეშენებინებია
დაეხატვინებია
დაეხატვინებია

ოკრიპიანი ბაგდაშაძე ზმნათა წარმოებისა თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში თავს იჩენს პარალელური ფორმები

(გაუტებია თუ გაუტებნია? გაეტება თუ გაეტებნა?)

გარდამავალ ორიპირიან ზმნათა წარმოებისას თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში თავს იჩენს პარალელური ფორმები.

ერთი მხრით გვაქვს:

მეორე მხრით გვაქვს:

გაუტებია და გაეტება

გაუტებნია და გაეტებნა

დაუღლეჟია და დაეღლეჟა

დაუღლეჟნია და დაეღლეჟნა

გაუჟიღია და გაეჟიღა

გაუჟიღნია და გაეჟიღნა

ე. ი. თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში ნარიანი ფორმები ჩნდება.

განსაკუთრებით იკიდებს ფეხს ნარიანი ფორმები თურმეობით მეორეში, აქ ნარიანი ფორმები იმ შემთხვევაშიც გვაქვს, როცა თურმეობით პირველში ნარის ჩართვა შეუძლებელია: გაუშლია (შეუძლებელია: გაუშლნია), მაგრამ: გაეშალა და გაეშალნა.

ამგვარი ფორმები მაშინაც ჩნდება, როცა -ავ და ამ სუფიქსიან წარმოებას თურმეობით პირველში -ე-ა დაბოლოებიანი წარმოება ცვლის. მართებული გაუბედავს ფორმის ნაცვლად ვაუბედავს პარალელურად გაუბედავსა და გაებედავს.

ნ-ს ჩართვა თურმეობით პირველსა და თურმეობით მეორეში ყოველთვის არ შეიძლება.

1. ნ-ს ჩართვა შესაძლებელია:

ა) იმ შემთხვევაში, როცა ზმნას აწმყოს ფუძის საწარმოებელი სუფიქსი არა აქვს:

ტეხს: გაუტებია

—

გაუტებნია, გაეტებნა

ამათვე ეკედლება უძედრეკადი ზმნები:

კენეტს : გაუკენეტია

—

გაუკენეტნია, გაეკენეტნა

ფლეთს : დაუფლეთია

—

დაუფლეთნია, დაეფლეთნა

ცვეთს : გაუცვეთია

—

გაუცვეთნია, გაეცვეთნა

ბ) -ავ სუფიქსიან ზმნებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ეს სუფიქსი ჩამოსცილდათ:

ლეწავს — ლეწის:

გაულეწია — გაულეწნია, გაილეწნა

თესავს — თესხს:

დაუთესია — დაუთესნია, დაეთესნა

გ) -ემ სუფიქსიანებს იმ შემთხვევაში, თუ სუფიქსი ფუძეს შეეხორცა:

სცემს : უცემია

—

უცემნია, ეცემნა

მაგრამ: გამოსცემს — გამოუცია. შეუძლებელია: გამოუცნია და გამოიცნა; მისცემს — მიუცია. შეუძლებელია: მიუცნია და მიიცნა.

დ) -ებს სუფიქსიანებს, თუ სუფიქსი ჩამოსცილდა:

მოიტაცებს — მოუტაცებია	მაგრამ:	მოუტაცნა, მოეტაცნა
დაივიწყებს — დაუვიწყებია	მაგრამ:	დაუვიწყნა, დაევიწყნა
დაბადებს — დაუბადებია	მაგრამ:	დაუბადნა, დაეუბადნა

მაგრამ არა ყოველთვის:

აქებს — უქია — ექო	შეუძლებელია:	უქნია, ექნო
ანთებს — აუნთია — ანთო		
წასცხებს — წაუცხებია — წაეცხო		

II. წს ჩართვა შეუძლებელია:

ა) -ი სუფიქსიან ზმნებში:

გვის — დაუგვია, დაგვაგა.

ამ შემთხვევაში წ თურმობით პირველში არასოდეს არ გვხვდება, მაგრამ შესაძლებელია მისი გაჩენა თურმობით II-ში:

თვლის — დაუთვლია — დაეთვალა//დაეთვალნა
თლის — გაუთლია — გაეთალა//გათალნა
ღერის — დაუღვრია — დაეღვარა//დაეღვარნა
შლის — წაუშლია — წაეშალა//წაეშალნა

მაგრამ: ცრის — გაუცრია — გაეცრა (შეუძლებელია: გაეცრნა).

თურმობით პირველში წ შეიძლება შეგვხედეს მხოლოდ ყიდის ზმნაში:

ყიდის — გაუყიდიო//გაუყიდნია.

ბ) -ამ სუფიქსიან ზმნებში, თუნდაც -ამ სუფიქსი ჩამოშორებულ იქნეს: დაუბია — დაება (შეუძლებელია: დაუბნია, დაებნა).

გ) -ემ სუფიქსიან ზმნებში, თუ სუფიქსი შეხორცებული არაა:

გამოუცია — გამოეცა
მიუცია — მიეცა.

დ) -ებს სუფიქსიან ზმნებში, როცა -ებს სუფიქსი შენარჩუნებულია.

ე) -ობ სუფიქსიან ზმნებში, თემცა -ობ სუფიქსი ჩამოშორებულია:

გმობს — უგმობია — ეგმო
უთმობს — დაუთმობია — დაეთმო
აღბობს — დაუღბობია — დაეღბო
აღპობს — დაუღპობია — დაეღპო
ათმობს — გაუთმობია — გაეთმო
აპობს — გაუპობია — გაეპო
აქნობს — დაუქნობია — დაექნო
ახმობს — გაუხმობია — გაეხმო
ატკობს — დაუატკობია — დაეატკო

ვ) -ევ სუფიქსიან ზმნებში, სადაც -ევ სუფიქსი შემონახულია:

ათევს — გაუათევია — გაეთია
არწევს — უარწევია — ერწია
იკვლევს — უკვლევია — ეკვლია

ამტრევს	— უმტრევია	— ემტრია
ამშრევს	— უმშრევია	— ემშია
აკმრევს	— უკმრევია	— ეკშია
არღრევს	— ურღრევია	— ერღვია
არჩრევს	— ურჩრევია	— ერჩია
არხრევს	— ურხრევია	— ერხია

ასევე: აჭრევს, აჩრევს, აქაცრევს, ამჩრევს, იწრევს, ახრევს, ურრევს.

მაშასადამე, -ს სუფიქსის ჩართვა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა თურმეობითში აწმყოსეული სუფიქსი არა გვაქვს.

ზოგჯერ -ს სუფიქსი ფორმათა განსხვავების მიზნით გაჩენილადაა მიჩნეული; კერძოდ, ამ სუფიქსის დართვით ხდება თითქოს განსხვავება გარდამავალი ზმნების თურმეობითი მეორისა სუფიქსიანი ენებითების ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან).

მაგრამ ფორმათა შორის განსხვავებას ეს -ს ვერ დაამყარებს, რადგან:

1) იგი არ დართვის ყველა ზმნას.

2) თუ საჭიროა გარდამავალი ზმნების თურმეობითი II-ის განსხვავება ენებითის ნამყო ძირითადისაგან (წყვეტილისაგან), ასევე საჭიროა განსხვავდეს გარდამავალი ზმნების კავშირებითი III ენებითის კავშირებითი II-ისაგან, გარდამავალი ზმნების კავშირებით III-ში კი -ს ჩართვა შეუძლებელია.

გ) -ს სუფიქსი თურმეობით პირველშიც ჩნდება, თუმცა ფორმათა განსხვავების საჭიროება ამ შემთხვევაში არ არსებობს.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში იმ შემთხვევაშიც კი, როცა, -ს ჩართვა შესაძლებელია, გაბატონებულია უნარო ფორმები. ერთადერთ ლიტერატურულ ფორმად ეს უნარო ფორმები უნდა იქნეს მიჩნეული.

-ი-ა დაბოლოების წინ -ს დარჩება მხოლოდ იმ ზმნებში, რომელთაც ფუძეში -ს მოეპოვებათ:

ესენია:

უძღვია, უძღრწია, გაუხხნია, გაურუვნია, გაუსკვნია, დაუტკეპნია, გაუზზავნია, დაუვარცხნია, გაუთოხნია, დაუთხუპნია, დაუკორტნია, დაუკოცნია, დაულოშნია, უშოვნია, დაუცოხნია, დაუწიწნია, ამოუწუწნია, დაუჯიჭვნია, უწვრთნია და მისთ.

აგრეთვე -ენ სუფიქსიანი ზმნები:

უკბენია	გაუფენია
დაუღგენია	დაუფრენია
დაუბჭენია	უქშენია
გაპოუვლენია	შეუღრენია
მოუღბენია	დაუშენია
ურკენია	შეუცდენია
გაურბენია	გაუჭერენია
დაურჩენია	მიუწვდენია
შეურცხვენია	უწყენია
უსტვენია	დაუწვენია
უსმენია	წაუხდენია და მისთ.

სტატიკური ზმნები ცხოვრობს, მეფობს, მუშაობს—ტიპისა, რაგორც ცნობილია, დრო-კილოთა მესამე ჩგუფში დანაკლის ფორმებს გარდამავალი ზმნე-

ბის ინერსიული ფორმებით ივსებენ. ამასთან, მათი მესამე სერიის ფორმები სათანადო გარდამავალი ზმნების ფორმათაგან იმით განსხვავდება, რომ გარდამავლებს -ებ სუფიქსი შენარჩუნებული აქვთ, ცხოვრობს ტიპის ზმნები კი თუმცა გარდამავალი ზმნების ფორმებს გამოიყენებენ, მაგრამ -ებ სუფიქსის ჩამოშორებით, ამდენად, დასახელებული ფორმები ისედაც გარჩეულია ერთმანეთისაგან.

შდრ. აცხოვრებს — უცხოვრებია, ეცხოვრებინა, ეცხოვრებინოს

ცხოვრობს — უცხოვრია, ეცხოვრა, ეცხოვროს

ამდენად, ნ-ს ჩართვა ამ ტიპის ზმნების თურმობით I-სა და II-ში გასარჩევ საშუალებად არ შეიძლება გამოდგეს. ამის გამო ნარიანი ფორმები ამ შემთხვევაშიც უარსაყოფია.

ნ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ იმ ზმნებში დარჩება -ი-ის წინ, რომელთაც ფუძეში ნ მოეპოვებათ:

კაკანებს — უკაკანია

ქაქანებს — უქაქანია .

კიხვინებს — უკიხვინია

ბუზღუნებს — უბუზღუნია და სხვ.

დ ა მ ა ტ ე ბ ა

ადამიანთა სახელები სარაკოვნადამიო სია

ა. ქალის სახელები

აგნესა

აგრაფინა

ანა (ანიკო, ანო, ანუკა)

ანანა

ანასტასია (ტასო)

ანგელინა

ანეტა

არეთა

ასინეთ-ი; მიმართვისას: ასინეთი

ასმათ-ი; მიმართვისას: ასმათი

ალათი; მიმართვისას: ალათი

ბაბილინა

ბარბარე //ბარბალე (ბაბო, ბაბუცა)

ბორენა

გაიანე

გვანცა

გოგოლა (გოგუცა)

გულთამზე

გულისა (გულიკო)

გულნაზ-ი; მიმართვისას: გულნაზი

გულნარა

გულქან-ი; მიმართვისას: გულქანი (გუქა)

დავარ-ი; მიმართვისას: დავარი

დალი; მიმართვისას: დალი

დარეჯან-ი; მიმართვისას: დარეჯანი (დარო, დარიკო)

დედიკა

დესპინე (დესი; მიმართვისას: დესი)

დიანა

დოდო (დოდონა)

დომინიკა

ედუკი; მიმართვისას: ედუკი //ვედოკია
ვეა
ვედოკია//ედუკი მიმართვისას: ედუკი
ეთერ-ი; მიმართვისას: ეთერ!
ეკატერინე (ეკა, კატო)
ელენე (ელო, ვლიკო)
ელეონორა
ელზა
ელისაბედი; მიმართვისას: ელისაბედი (ლიზა, ლიზიკო)
ელისო
ელპიდე
ესმა
ფეფია (ფეფო, ფეფიკო)
ფეროსინე (ფერო)

ვალენტინა
ვალიდა
ვანდა
ვარლო (ვარდიკო)
ვასასი; მიმართვისას: ვასასი
ვენერა
ვერა (ვერიკო)

ზეინაბ-ი; მიმართვისას: ზეინაბ!
ზინაიდა (ზინა)

თამარ-ი; მიმართვისას: თამარი (თამარო, თამარიკო, თალციკო)
თეა
თებრონე (თებრო)
თეკლე (თეკო)
თეო
თეოლინე
თეონა
თვალშაისა
თვალშაევა
თინათინ-ი; მიმართვისას: თინათინი (თინა, თინიკო, თიკო)
თოვლია

ია
იათამზე
იამზე
ივლით-ი; მიმართვისას: ივლით!

ივეტა
ფელიტა
იმედა
ინა
ინგა
ირინე (ირა)
ირმა
იულია

კესანე
კესარია (კესო)
კლავდია
კლარა

ლალი; მიმართვისას: ლალი!
ლამარა
ლამზირა
ლანა
ლარისა
ლატაერა
ლაურა
ლეილა
ლელა
ლია
ლიანა
ლიდა
ლილი; მიმართვისას: ლილი!
ლოლა

მაგდანა (მაგდა)
მადლენა
მაურა
მაია (შაიკო)
მაკა
მაკრინე (მაკო)
მამისა
მანანა
მარგალიტა (მარგო)
მარეხ-ი; მიმართვისას: მარეხ!
მართა (შაიკო)
მარიამ-ი, მიმართვისას: მარიამ! (შარო, მარიკო)
მარინე
მაყვალა
მედუა (მედიკო)

მელანია (მელო, მელანო)
მერი; მიმართვისას: მერი!
მზალო
მზევინარ-ი; მიმართვისას: მზევინარი
მზექალა
მზეზა
მზია
მთვარისა
მინადორა

ნათელა
ნათია
ნაზიზროლა
ნანა
ნანული; მიმართვისას: ნანული
ნატალია (ნატო)
ნენე
ნესტანი-ი; მიმართვისას: ნესტანი
ნინო (ნუცა, ნინიკო)
ნონა
ნორა
ნუგეშა
ნუნუ

ოლა (ოლა)

პელაგია (პელო)
პირიმზე

ქუქუნა

რაისა
რიფსიმე
როდამი-ი; მიმართვისას: როდამი
რუსულანი-ი; მიმართვისას: რუსულანი! (რუსიკო)

სალომე
სანათა
სიღონია (სიღო)
სოფიო (სოფო, სოფიკო)

სულიკო
სუსანა

ტატანა (ტატო)
ტერეზია

ფატმან-ი; მიმართვისას: ფატმანი//ფატი; მიმართვისას: ფატი
ფიქრია
ფაცა (ფაცია)

ქალთაშზე
ქეთევან-ი; მიმართვისას: ქეთევანი (ქეთო, ქეთინო, ქეთეთო)
ქონია
ქრისტინე
ქსენია

შორენა.
შუქია
შუშანიკ-ი; მიმართვისას: შუშანიკი (შუშანა)

ჩიტო

ცაცა
ცეცილია
ციაგა
ციალა
ცირა
ცისანა
ცისია
ციცინო (ციცო)
ცუცა

ძიძია

ხათუთა
ხათუნა
ხეარაშზე
ხორეშან-ი; მიმართვისას: ხორეშანი

ბ. ვაჟის სახელები

აბელ-ი; მიმართვისას: აბელ!
აბესალომ-ი; მიმართვისას: აბესალომ!
აბო
აბრაამ-ი; მიმართვისას: აბრაამ!
ადამ-ი; მიმართვისას: ადამ!
აეტ-ი; მიმართვისას: აეტ!
ავთანდილ-ი; მიმართვისას: ავთანდილი (ავთო)
ავქსენტი; მიმართვისას: ავქსენტი!
აზო
ათანასე
აქაკი; მიმართვისას: აქაკი (კაკო)
ალექსანდრე (სანდრო)
ალექსი; მიმართვისას: ალექსი (ლექსო)
ალმასხან-ი; მიმართვისას: ალმასხანი
ალუდა
ალფესი; მიმართვისას: ალფესი!
ამბაკო
ამბერკი; მიმართვისას: ამბერკი
ამბროსი; მიმართვისას: ამბროსი!
ამირან-ი; მიმართვისას: ამირანი!
ამირინდო
ანანია
ანდრია (ანდრო)
ანდრუყაფარ-ი; მიმართვისას: ანდრუყაფარი!
ანზორ-ი; მიმართვისას: ანზორ!
ანთიმოზ-ი; მიმართვისას: ანთიმოზ!
ანტონ-ი; მიმართვისას: ანტონი!
აპოლონ-ი; მიმართვისას: აპოლონი!
არკადი; მიმართვისას: არკადი!
არონ-ი; მიმართვისას: არონ!
არსენ-ი; მიმართვისას: არსენი!
არტემ-ი; მიმართვისას: არტემი!
არჩილ-ი; მიმართვისას: არჩილი!
არჯევანი-ი; მიმართვისას: არჯევანი!
ასალო
ასლანი-ი; მიმართვისას: ასლანი!
აფრასიონ-ი; მიმართვისას: აფრასიონი!
აფშინა

ბაადურ-ი; მიმართვისას: ბაადური!
ბააკა
ბაგრატი-ი; მიმართვისას: ბაგრატი!
ბადრი; მიმართვისას: ბადრი!
ბაკურ-ი; მიმართვისას: ბაკური!

ზარათა

ზართლომე (ზათუ)

ზარნაბა; მიმართვისას: ზარნაბა!

ზაქარი; მიმართვისას: ზაქარ!

ზახვა

ზეზურ-ი; მიმართვისას: ზეზურ!

ზეგლარ-ი; მიმართვისას: ზეგლარ!

ზენედიქტე (ზენე)

ზენიამენ-ი; მიმართვისას: ზენიამენ! (ზენო)

ზექან-ი; მიმართვისას: ზექან! (ზექა)

ზერდია

ზესარიონ-ი; მიმართვისას: ზესარიონ! (ზესო)

ზესიკ-ი; მიმართვისას: ზესიკ!

ზექა

ზეშქენ-ი; მიმართვისას: ზეშქენ!

ზიკენტი; მიმართვისას: ზიკენტი!

ბირთველ-ი; მიმართვისას: ბირთველ!

ბიძინა

ბორისი; მიმართვისას: ბორის!

ბოცო

გაბრიელ-ი; მიმართვისას: გაბრიელ! (გაბო)

გაგა

გაიოზ-ი; მიმართვისას: გაიოზ!

გალაქტიონ-ი; მიმართვისას: გალაქტიონ!

გარსევან-ი; მიმართვისას: გარსევან!

გახა

გედევან-ი; მიმართვისას: გედევან!

გელა

გენადი; მიმართვისას: გენადი!

გერასიმე

გერუასი; მიმართვისას: გერუასი!

გერმანე

გერონტი; მიმართვისას: გერონტი!

გვი; მიმართვისას: გვი!

გიორგი; მიმართვისას: გიორგი! (გიო, გა. გოგო, გოგიტა)

გიქო

გობრონ-ი; მიმართვისას: გობრონ!

გოგოთურ-ი; მიმართვისას: გოგოთურ!

გოდერძი; მიმართვისას: გოდერძი!

გონა

გრიგოლ-ი; მიმართვისას: გრიგოლ! (გიგა, გგო გიგლა, გიგოლი; მიმართვისას: გიგოლი!)

გულბათ-ი; მიმართვისას: გულბათ!

გურამ-ი; მიმართვისას: გურამ!

გურგენ-ი; მიმართვისას: გურგენ!

დავით-ი; მიმართვისას: დავით! (დათა, დათო. დათიკო)
დათუნა
დანიელ-ი; მიმართვისას: დანიელ!
დარისპან-ი; მიმართვისას: დარისპან!
დაჩი; მიმართვისას: დაჩი!
დევი; მიმართვისას: დევი!
დემეტრე; დომიტრი; მიმართვისას: დომიტრი! (დიტო, დუტუ, მიტო)
დემნა
დომიტრი; მიმართვისას: დომიტრი!//დემეტრე (ღატო, ლუტუ, მიტო)
დიომიდე
დომენტი; მიმართვისას: დომენტი!
დოროთე
დურმიშხან-ი; მიმართვისას: დურმიშხან!

ეგნატე
ელიშერ-ი; მიმართვისას: ელიშერ!
ეეგენი; მიმართვისას: ეეგენი! (გენო)
ეედემონ-ი; მიმართვისას: ეედემონ!
ეედოკიმე
ეესევი; მიმართვისას: ეესევი!
ელგუჯა
ელიზბარ-ი; მიმართვისას: ელიზბარ! (ელიზო)
ემელიანე
ეპიფანე
ერასტი; მიმართვისას: ერასტი!
ერეკლე//ირაკლი; მიმართვისას: ირაკლი!
ერმილე
ესტატე (ტატე)
ეფრემ-ი; მიმართვისას: ეფრემ!
ექვთიმე

ვალერიანე (ვალიკო)
ვაჟა (ვაჟია, ვაჟიკო)
ვარაზ-ი; მიმართვისას: ვარაზ!
ვარდენ-ი; მიმართვისას: ვარდენ!
ვარლამ-ი; მიმართვისას: ვარლამ! (ვალიკო)
ვასილ-ი; მიმართვისას: ვასილ! (ვასო, ვასიკო)
ვაჩე
ვახტანგი; მიმართვისას: ვახტანგ!
ვახუშტი; მიმართვისას: ვახუშტი!
ვეფხია
ვიქტორ-ი; მიმართვისას: ვიქტორ!
ვლადიმერ-ი; მიმართვისას: ვლადიმერ! (ლალო)

ზაალ-ი; მიმართვისას: ზაალი (ზალიყო)

ზაზა

ზაქარია (შაქრო, ზაქრო)

ზებელე

ზეზვა

ზეიად-ი; მიმართვისას: ზეიადი

ზოსიმე

ზურაბ-ი; მიმართვისას: ზურაბი (ზურა, ზურიყო)

თადეოზ-ი; მიმართვისას: თადეოზი (თადე)

თამაზ-ი; მიმართვისას: თამაზი

თარხან-ი; მიმართვისას: თარხანი

თაყა

თედორე (თედო)

თეიმურაზ-ი; მიმართვისას: თეიმურაზი (თემო)

თენგიზ-ი; მიმართვისას: თენგიზი

თეოფილე

თომა

თორნიკე

თორლეა

იაგო

იაგორ-ი; მიმართვისას: იაგორი

იაკობ-ი; მიმართვისას: იაკობი (ია, იაკო)

იასე

იასონ-ი; მიმართვისას: იასონი

იერემია

იესე

ივანე (ვანო)

ივლიანე

ილარიონ-ი; მიმართვისას: ილარიონი

ილია (ილა, ილო, ილიყო)

იმედა

იოველ-ი; მიმართვისას: იოველი

იოთამ-ი; მიმართვისას: იოთამი

იონა

იორამ-ი; მიმართვისას: იორამი

იორდანე

იოსებ-ი; მიმართვისას: იოსები (სოსო, სოსიყო, ოსიყო)

იპოლიტე

ირაკლი; მიმართვისას: ირაკლი//ერეკლე

იროდიონ-ი; მიმართვისას: იროდიონი

ისაია

ისაკ-ი; მიმართვისას: ისაკ!
ისიდორე
იულონ-ი; მიმართვისას: იულონი
იუსტინე

კალენიკე (კალე)
კალისტრატე
კანდიდ-ი; მიმართვისას: კანდიდი
კაპიტონ-ი; მიმართვისას: კაპიტონი
კარლო
კარპეზ-ი; მიმართვისას: კარპეზ! (კარპე)
კასიანე
კაცია
კახაბერ-ი; მიმართვისას: კახაბერ! (კახა)
კვირია
კვირიკე
კიაზო
კირილე
კიტა
კლიმენტი; მიმართვისას: კლიმენტი!
კობა
კონა
კონდრატე
კონსტანტინე (კოტე, კოსტა)
კორნელი; მიმართვისას: კორნელი!
კოხტა

ლავრენტი, მიმართვისას. ლავრენტი!
ლაზარე
ლაშა
ლამქარა
ლევან-ი; მიმართვისას: ლევანი!
ლეონიდე (ლეო)
ლეონტი; მიმართვისას: ლეონტი!
ლიპარიტ-ი; მიმართვისას: ლიპარიტი!
ლომინ-ი; მიმართვისას: ლომინ!
ლონგინოზ-ი; მიმართვისას: ლონგინოზ!
ლუარსაზ-ი; მიმართვისას: ლუარსაზ! (ლუა)
ლუკა
ლუხუმ-ი; მიმართვისას: ლუხუმ!

მათე
მაკარ-ი; მიმართვისას: მაკარი!
მალაქია

მალხაზ-ი; მიმართვისას: მალხაზი
მამაშვი
მამა
მამუკა
მანასე
მანუჩარ-ი; მიმართვისას: მანუჩარი
მარკოზ-ი; მიმართვისას: მარკოზი
მაჭიმე
მაყა
მახარე
მეთოდე
მელიტონ-ი; მიმართვისას: მელიტონი
მელქისედეკ-ი; მიმართვისას: მელქისედეკი (მექი; მიმართვისას: მექი)
მერაბ-ი; მიმართვისას: მერაბი
მზეკაბუკ-ი; მიმართვისას: მზეკაბუკი
მინდია
მირიან-ი; მიმართვისას: მირიანი
მიტროფანე
მიხეილ-ი; მიმართვისას: მიხეილი (მიხა, მიხო, მიხაკო)
მოსე
მურზაყან-ი; მიმართვისას: მურზაყანი
მურმან-ი; მიმართვისას: მურმანი
მუხრან-ი; მიმართვისას: მუხრანი

ნესტორ-ი; მიმართვისას: ნესტორი
ნიკიფორე
ნიკოლოზ-ი; მიმართვისას: ნიკოლოზი (ნიკო, ნიკა)
ნოდარ-ი; მიმართვისას: ნოდარი
ნოე
ნოშრევანი-ი; მიმართვისას: ნოშრევანი
ნუგზარ-ი; მიმართვისას: ნუგზარი

ოთარ-ი; მიმართვისას: ოთარი
ონისე
ონისიმე
ონოფრე
ორბელ-ი; მიმართვისას: ორბელი
ოტია
ოქროპირ-ი; მიმართვისას: ოქროპირი (ოქრო)

პაატა
პავლე
პანტელეიმონ-ი; მიმართვისას: პანტელეიმონი

პაპუნა
პართენ-ი; მიმართვისას: პართენ!
პარმენ-ი; მიმართვისას: პარმენ!
პეტრე (პეტო)
პიმენ-ი; მიმართვისას: პიმენ!
პლატონ-ი; მიმართვისას: პლატონ!
პოლიკარპე
პორფილე
პროკლე
პროკოფი; მიმართვისას: პროკოფი!

რაიბულ-ი; მიმართვისას: რაიბულ!
რამაზ-ი; მიმართვისას: რამაზ!
რატი; მიმართვისას: რატი!
რაჟდენ-ი; მიმართვისას: რაჟდენ!
რაფიელ-ი; მიმართვისას: რაფიელ! (რაფო)
რევაზ-ი; მიმართვისას: რევაზ! (რეზო)
როინ-ი; მიმართვისას: როინ!
რომან-ი; მიმართვისას: რომან!
რომანოზ-ი; მიმართვისას: რომანოზ!
როსტევეან-ი; მიმართვისას: როსტევეან!
როსტომ-ი; მიმართვისას: როსტომ!

საბა

სავლე

სამოელ-ი; მიმართვისას: სამოელ!
სამსონ-ი; მიმართვისას: სამსონ!
სარდიონ-ი; მიმართვისას: სარდიონ!
სარიდან-ი; მიმართვისას: სარიდან!
საურმაგ-ი; მიმართვისას: საურმაგ!
საჩინო

სევერიანე

სევესტი; მიმართვისას: სევესტი!
სეით-ი; მიმართვისას: სეით!
სერაპიონ-ი; მიმართვისას: სერაპიონ!
სერგო; მიმართვისას: სერგი!

სესე

სეხნია

სილიბისტრო

სილოვან-ი; მიმართვისას: სილოვან!
სიმონ-ი; მიმართვისას: სიმონ! (სიკო, სისო, სიმონიკა)
სოკრატ-ი; მიმართვისას: სოკრატ!
სოლომონ-ი; მიმართვისას: სოლომონ! (სოლო, სოლიკო)
სოსლან-ი; მიმართვისას: სოსლან!

სოფრომ-ი; მიმართვისას: სოფრომი
სპირიდონ-ი; მიმართვისას: სპირიდონ!
სტეფანე
სულხან-ი; მიმართვისას: სულხან!

ტრასი; მიმართვისას: ტრასი!
ტარიელ-ი; მიმართვისას: ტარიელ! (ტაია)
ტერენტი; მიმართვისას: ტერენტი!
ტომოთე
ტიტე (ტიტიკო)
ტრიფონ-ი; მიმართვისას: ტრიფონ!
ტროფიმე

უშანგ-ი; მიმართვისას: უშანგ!
უშიშა
უჩა

ფარნაოზ-ი; მიმართვისას: ფარნაოზ! (ფარნა)
ფარსადან-ი; მიმართვისას: ფარსადან!
ფარსმანი; მიმართვისას: ფარსმან!
ფილიმონ-ი; მიმართვისას: ფილიმონ!
ფილიპე
ფირან-ი; მიმართვისას: ფირან!
ფრიდონ-ი; მიმართვისას: ფრიდონ! (ფიდო)

ქავთარ-ი; მიმართვისას: ქავთარი
ქაიხოსრო
ქართლოს-ი; მიმართვისას: ქართლოს!
ქიშვარდი; მიმართვისას: ქიშვარდი!
ქრისტეფორე
ქუცნა
ქუჯი; მიმართვისას: ქუჯი!

ლენტორ-ი; მიმართვისას: ლენტორ!

ყარამან-ი; მიმართვისას: ყარამანი
ყაფლან-ი; მიმართვისას: ყაფლანი

შავლეგ-ი; მიმართვისას: შავლეგ!
შალვა (შალიკო)

შამშე // შანშე

შერგილ-ი; მიმართვისას: შერგილ!

შერმადინ-ი; მიმართვისას: შერმადინ!

შიო

შოთა

შოშიტა

ცანგალა

ცისკარა

ცოტნე

წათე

ქიაბერ-ი; მიმართვისას: ქიაბერ;

ქოლა

ხარიტონ-ი; მიმართვისას: ხარიტონ!

ხარლამპი; მიმართვისას: ხარლამპი!

.

ჩაბა

ჩიმშედ-ი; მიმართვისას: ჩიმშედ!

ჩიმშერ-ი; მიმართვისას: ჩიმშერ!

ჩუანშერ-ი; მიმართვისას: ჩუანშერ!

ჩუმბერ-ი; მიმართვისას: ჩუმბერ!

ჭურხა

სახელგის საჩაქოვენდუი სიის ზედენიღობის შესახებ

ამჟამად ქართულში სხვადასხვა წარმოშობის მრავალი სახელია გავრცელებული. სახელთა ძირითად მასას შეადგენს ე. წ. კალენდრის სახელები (პეტრე, ივანე, გიორგი, თამარი, მარიაში და მისთ.), მაგრამ ამით გვერდით გვხვდება ისეთი სახელებიც, როგორცაა: ძველთაგანვე (შუა საუკუნეებიდან) შემოსული სპარსული სახელები, რომელთა დიდი ნაწილი საკმაოდ სახეცვლილია (როსტომი, ზურაბი, ქეთევანი...); ერთი ჯგუფი რუსული სახელებისა, რომლებიც XIX საუკუნიდან გავრცელდა ჩვენში (ვლადიმერი, ოლდა, ნადეჟდა); თურქული წარმოშობის სახელები (ქეშალი, მუსტაფა...); ევროპული წარმოშობის სახელები (მენრიხი, რობერტი, რიჩარდი...), მათ შორის ლიტერატურული წარმოშობისანიც (მამლექი, კორდელია, იზოლდა, ტრისტანი...); საკუთრივ ქართული წარმოშობის სახელები (მაყვალა, ნათელა, მზია...), მათ შორის ქართული გამონათქვამების შემცველი (დედისიმიდი, გულნაზი, ქალთამაზე...); საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ადგილობრივი სახელები (ყაყიტა, ბენწა, დათვია, ჭიჭიკო, ბონდო, ბუხუტი, თოლისქვამი...); ახალი შერქმეული სახელები, რომლებიც წარმოადგენენ: ან უცხო გვარების განმეორებას (ბისმარკი, ფორესი...), ან გამოჩენილ პირთა სახელების დასაწყისი ასოების ან მარცვლების შეერთებითა მიღებული (მელსი, მარლენი...) ან სხვადასხვა გამოთქმაში შემავალ სიტყვათა დასაწყისი ასოების ან მარცვლების შეერთებითა მიღებული (დაწმირი, მელორი...), ან დედისა და მამის სახელების დასაწყისი მარცვლების შეერთებითა მიღებული (გრივერი, ლეომერი...) , ან კიდევ სხვადასხვა საგნის თუ ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა გამოყენებული სახელად (ტროლეიბუსი, ხეკრეტო...) და სხვ. ამასთან ერთად, ძალიან გავრცელებულია საშინაო სახმარი, მოფერებითი სახელების გამოყენება ოფიციალურ სახელბად. ოფიციალურ დოკუმენტებში ვხვდებით ისეთ სახელებს როგორცაა: ჭიჭიკო, სერიოჟა, ლადო, გრიშა და მისთ.

ასეთი მდგომარეობა არეგ-დარეგას ქმნის სახელთა დარქმევისას. აუცილებელი ვახდა ამ საქმის მოწესრიგება და ჩვენში სახმარ სახელთა სარეკომენდაციო სიის შედგენა. სია შედგენილია გარკვეულ პრინციპებზე დაყრდნობით, რომელთა შესახებ ქვემოთაა საუბარი.

იმ სახელთაგან, რომლებიც ამჟამად გვხვდება ჩვენში და რომლებიც, როგორც აღინიშნა, სხვადასხვაგვარი წარმოშობისანი არიან, სახელთა სარეკომენდაციო სიაში

ა) შერჩევით შეტანილია ე. წ. კალენდრის სახელები (პეტრე, ივანე, გიორგი, ნიკოლოზი, სოლომონი, დავითი, იაკობი, თამარი, მარიაში, მართა და მისთ.), მათ შორის ისეთებიც, რომელბსაც უკანასკნელ ხანებში ბავშვებს თითქმის აღარ არქმევენ, მაგრამ რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება უფროს თაობაში (ტიმოთე, თეოფილე, კალისტრატე, კირილე...);

ბ) შერჩევითვეა შეტანილი ძველთაგან დამკვიდრებული სახელები აღმოსავლური წარმოშობისა, რომლებიც ფონეტიკურად სახეცლოლია (გაღმოქართულებულია), განსაკუთრებით ისეთები, რომელთაც ან ლიტერატურული, ან სხვა ტრადიცი უქერს მხარს: გავრცელებული ლიტერატურული ნაწარმოებების პერსონაჟთა სახელებსა, ერქვა რომელიმე ისტორიულ პიროვნებას და სხვ (როსტომი, ზურაბი, ლუარსაბი, ქეთევანი, როდამი და მისთ.);

გ) შერჩევითაა შეტანილი XIX საუკუნიდან ჩვენში ფეხმოკედებული და შემდგომ გავრცელებული სახელები: ვლადიმერი, ვერა, ნადეჟდა, ტატიანა...;

დ) შეტანილია ერთი ნაწილი ქართული ძველი წარმოშობის შერჩეული სახელებისა, რომლებიც ძალიან გავრცელებულია დღეს და ოფიციალურ სახელებადაა ქცეული: მაყვალა, მზია, ფიქრია, ცისანა, ცისია, ციალა, მწვეინარი, პირიმზე, მწეკალა, ლელა, ქალთამზე, იამზე, გულნაზი და მისთ;

ე) შეტანილია ერთი ნაწილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული სახელებისა: ალუდა, გოგოთური, ვეფხია და მისთ.;

ვ) მამაკაცისა და ქალის იმ სახელთაგან, რომლებიც რუსულში ერთი და იგივეა და მხოლოდ დაბოლოებით განსხვავდება ერთმანეთისაგან, სარეკომენდაციო სიით ქართულში ერთ-ერთი მათგანია დატოვებული: ან ქალისა, ან მამაკაცისა. მაგალითად, შეტანილია მამაკაცის სახელები — ვეგენი, ალექსანდრე, იუსტინე; არაა შეტანილი ქალის სახელები — ვეგენია, ალექსანდრა, იუსტინა. შეტანილია ქალის სახელი კლავდია; არაა შეტანილი მამაკაცის სახელი კლავდი;

ზ) შეტანილია თითო-ორი სახელი, რომლებიც მწერლობაშია გამოყენებული ნაწარმოებების პერსონაჟთათვის: ციკა, შუქია.

თ) ოფიციალური სახელი უნდა იყოს ერთი, მოფერებითი სახელების ოფიციალურ სახელედან გამოყენება დაუშვებელია, მაგრამ მოფერებით სახელთა მოწესრიგებაცაა საჭირო.

ყოველგვარი მოფერებითი სახელის ხმარება არ ვარგა. ამტომ სარეკომენდაციო სიაში ოფიციალური სახელების (არა ყველას) გვერდით ფრჩხილებში მოთავსებულია სათანადოდ შერჩეული შინაური, მოფერებითი სახელებიც. მაგალითად: ანა (ანიკო, ანო, ანუკა), ეკატერინე (ეკა, კატო), მარიაში (მარო, მარიკო), სოფიო (სოფო, სოფიკო), ალექსანდრე (სანდრო), გროგოლი (გოგა, გიგო, გოგოლი, გოგლა), გიორგი (გიო, გია, გოგი, გოგიტა), ზაქარია (ზაქრო, შაქრო), მიხეილი (მისა, მისო, მისაკო) და სხვ. ფრჩხილებში ჩასმული სახელები რეკომენდებულია ოფიციალურ სახელთა შესაბამის არაოფიციალურ სახელებად. ოფიციალურ დოკუმენტებში (პასპორტში, პარტიბილეთში, პირადობის მოწმობაში, ატესტატში, დიპლომში...), დაწესებულებებსა და სკოლებში სახმარებლად, ოფიციალური სიების შედგენისას და სხვა მსგავს შემთხვევებში მათი ხმარება დაუშვებელია.

სარეკომენდაციო სიაში არ არის შეტანილი:

ა) ზემოდასახელებულ მუხლებში შერჩევის შედეგად უარყოფილი სახელები.

ბ) უკანასკნელ ხანებში გავრცელებული, მეტწილად თურქული წარმოშობის სახელები: ომარი, ჭემალი, მუსტაფა, მირზა, მურთაზი, ენვერი, ისმაილი და მისთ.

გ) უკანასკნელ ხანებში გავრცელებული ევროპული სახელები (ალბერტი, ნაპოლეონი, ზოფრიდი, ზოგმუნდი, რიჩარდი, პენროსი...) და აშუვე რიგის სახელები ლიტერატურული წარმოშობისა (მამლეტი, ოტელიო, დეზდემონა, კორდელია, აივენჯო...);

დ) ახალი შერჩეული სახელები, მიღებული

1) უცხოური გვარებისაგან თუ სხვადასხვა საგანთა სახელწოდებებისაგან: ფორესი, ბისმარკი, ბარბიუსი... კომუნა, სეკრეტო, პრინციკო, ლეიტენანტი...), აგრეთვე ამ ტიპის სახელები ქართული წარმოშობისა (ელფა, კოლთავრი...);

2) დედამისი სახელთა დასაწყისი მარცვლების შეერთებით (ლეომერი, გრაი-ვირა...);

3) გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლების ან ბგერების შეერთებით ან კიდევ სხვადასხვა გამოთქმებში შემავალ სიტყვათა დასაწყისი ბგერების შეერთებით (მელსი, მარლენი, ღაზმირი, მელორი...).

ე) საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ადგილობრივი სახელები: ნასყიდა, წყალობა, ყაყიტა, ბეწინა, ფუნჩია, ბერიძე (სახელია მამაკაცისა), თოლისძე (აგრეთვე!), ფრუშკი, ციხელი, წიქა, გამიხარდი, გამახარე, მენწინა, ჭიკო, ბიბინა, კოკინა, კუჭიკო და მისთ.

ვ) არ არის შეტანილი აგრეთვე სახელები, რომლებიც ქართულ გამოთქმებებს წარმოადგენენ: ვარდისახარი, შაქრისახარი, მონავარდისა, ეშხიანა და მისთ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სახელები ქართულია და ძველად საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული, ოფიციალურ სახელებად არასოდეს ქცეულან. ბევრ შემთხვევაში ასეთ სახელებში კლასობრივი თვალსაზრისიცი ვლინდებოდა: ვარდისახარს, შაქრისახარს, მონავარდისას და მსგავს სახელებს მოახლე გლეხის ქალებს არქმევდნენ ფეოდალურ საქართველოში.

სახელები სიაში შეტანილია სახელობითი ბრუნვის ფორმით. სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი ყველგან დეფისითაა გამოყოფილი; სადაც ბოლოკიდური ი დეფისით არაა გამოყოფილი, იქ ი სახელის ფუძეს ეკუთვნის და ყველა ბრუნვაში გადაჰყვება. მაინც, ისეთ სახელებს, რომლებიც ა, ე, ო, უ ხმოვნებზე არ ბოლოვდება, ყველგან მიწერილი აქვს მიმართვის ფორმა. როცა ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია, იგი მიმართვის ფორმაში აღარ გვექნება, ხოლო, როცა ი ფუძეს განეკუთვნება, იგი მიმართვის ფორმაშიც გვაქვს.

მაგალითად, როცა წერია: გურამ-ი; მიმართვისას: გურამი — ეს ნიშანს, რომ ი ამ შემთხვევაში სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ბრუნვებში და მიმართვისას აღარაა საჭირო, მიმართვისას გვექნება გურამი და არა: გურამი! ხოლო, როცა წერია: გიორგი; მიმართვისას: გიორგი — ეს ნიშანს, რომ ი ამ შემთხვევაში ფუძეს ეკუთვნის, გადაჰყვება სხვა ბრუნვაშიც და მიმართვისას გვექნება გიორგი!

სია ამომწურავად სრული, რა თქმა უნდა, არ არის, იგულისხმება მისი თანდათანობით შევსება ისეთი სახელებით, რომლებიც გამოვლინდება შემდგომი მუშაობის პროცესში და დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნილებებს, ამ სიის შედგენას რომ დაელო საფუძვლად.

ოკთობრაჟიული სპინიბელი

ა*

- აბაშავი || აბაშაი წოღ. 63
- აბაშიძე ვახტანგ, ბერიძე გურამ, გაბუნია თამაზ, დიასამიძე ქეთევან, ერისთავი თენგიზ, ვარლოსანიძე მარიამ, ზვიადაძე ნოდარ, თარგამაძე იოსებ და ა. შ. 134
- აბაშიძე მიხეილ, ბაქრაძე ვახტანგ, გელევანიშვილი დავით, დარახველიძე ოთარ, ერისთავი თამარ და სხვ. [და არა აბაშიძე მიხეილი, ბაქრაძე ვახტანგი, გელევანიშვილი დავითი, დარახველიძე ოთარი, ერისთავი თამარი და სხვ.] 80
- აბდაუბდა 150
- აბდერჰალდენი 44
- აბედვიენებს 16
- აბნეეს (გააბნეეს, დააბნეეს): სახუბი-ჟქო ქცევა დაიბნია, გაიბნია მან იგი, დაიბნოეს, გაიბნოეს მან იგი; ვნებითი დაიბნა, გაიბნა იგი, დაიბნეს, გაიბნეს იგი 209
- აბრევიატურა 23
- აბრუნებს 16
- აბრწყინებს 16
- აბსოლუტური 129
- აბსცისა 59
- აბჟესი 43
- აგენტი ლათინურისაგან აგო (agens) 43
- აგენტურა 23, 56
- აგიტაცია 44
- აგორებს 16
- აგროვებს, აგროვა, აგროვოს (ვაგროვო, აგროვო) 16
- აგრონომია 44
- აღგენს [და არა არღვენს] 175
- აღიკავატი 47
- აღიკავატური 47
- აღიკავატურა 56
- აღიუტანტი 24
- აღმინისტრაცია: აღმინისტრაციული 126
- აეტორლიალები: ასტორლიალებია, ასტორლიალებობა, ასტორლიალებობა 197
- აეშენებინა [და არა აეშენა ან აეშენებია], აეშენებინოს [და არა აეშენოს ან აეშენებინოს] 218
- აეშენებინებინა, აეშენებინებინოს [და არა აეშენებინებია, აეშენებინებინოს] 219
- აეაღმყოფი 153, 156
- აეანტიურა 25
- აეანჩავანი 150, 155
- აეალორძინებ, აეალორძინებდი, აეალორძინე, აეალორძინობ, ამილორძინებია, ამელორძინებინა [და არა აღეალორძინებ, აღეალორძინებდი, აღეალორძინებდი, აღეალორძინობ და სხვ.] 169
- აედარი 152, 155
- აეკრძალეო 10
- აემდგარეარ [და არა ამდგარეარ] 212
- აეტოვამია 47
- აეტონომია 47
- აეჟსენტი წოღ. 63
- აელეკებულეარ [და არა აღელეკებულეარ] 212
- აზიღენებს 16
- აზოგადებს [და არა ანზოგადებს] 175
- აზღვეეს (დააზღვეეს): სასუბიექტო ქცევა დაიზღვია მან თავი, დაიზღვიოს მან

* ოკთობრაჟიული სპინიბელში შეტანილია წიგნში განხილული სიტყვა-ფორმები. ზოგ შეშხივევაში ცალკეულ სიტყვათა თუ გამოთქმათა სრული ფორმაცალეუბაყა წარმოდგენილი. თითოეულ სიტყვა-ფორმას მიწერილი აქვს გვერდი, რომელზედაცაა იგი წიგნში განხილული.

- თავი, გნებითი დაეზღვრა იგი, დაეზღ-
ვიოს იგი 29
- ათავისუფლებს, ათავისუფლებდა, ათა-
ვისუფლებდეს [და არა ანთავისუფ-
ლებს, ანთავისუფლებდა, ანთავისუ-
ფლებდეს] 174
- ათ-ათი 150, 156
- ათასი 152
- ათას შუდას ოცდაათი 70
- ათას ცხრაას. ერთი 70
- ათეთრებს, ათეთრებდა, ათეთრებდეს,
გაათეთრებს 21
- ათვისტი 42
- ათრევს (შეათრევს, გაათრევს): ხასუბი-
ექტო ქვევა შეითრია, გაითრია მან
იგი, შეითრიოს, გაითრიოს მან იგი;
გნებითი შეეთრია, გაეთრია იგი,
შეეთრიოს, გაეთრიოს იგი 209
- ათხოვებს, ათხოვა, ათხოვოს (ეთხო-
ვო, ათხოვო) 16
- აიარ-ჩაიარა 151
- აიელ-ჩაივლის 156
- აინშტანი 35
- აირბინ-ჩაირბინა 151, 156
- აკალემიკოს-მდივანი (და არა აკალემი-
კოსი-მდივანი) 159
- აკაკი წოდ. 63
- აკაკი, მოთხრ. აკაკიმ, მიმართვისას
აკაკი 76
- აკეთებდნენ ისინი მას 190
- აკვარელი 47
- აკვარიუმი 47
- აკვირებს 16
- აკვლევინებს 16
- აკმევს (დააკმევს): ხასუბიექტო ქვევა
დაიკმია მან იგი, დაიკმიოს მან იგი;
